# კვირის პალიტრა

32 გვ

№ 49 (294) ◆ 4 – 10 დეკემბერი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## ვერც მინსკში ვთქვით ის, რაც ათი წელია დაგროვილია სათქმელად...



– მინსკში საქართველოს პრეზიდენტი აშკარად ცუდად გრძნობდა თავს იქ შექმნილი ვითარების გამო, მაგრამ კადრში ისიც გამოჩნდა, რომ არც რუსეთის პრეზიდენტი თვლიდა თავს კომფორტულად...

– თუ უარს ვიტყვით სახელმწიფოებრიობაზე, მაშინ მოვა ალბათ რუსეთ-ბელორუსული „მშვიდობა“ ჩვენთანაც... არ ვიცი, იქნებ ჩვენს ხალხს უკვე უნდა, რომ ასე მოხდეს?

უნდა ვიცოდეთ, რა გვიღირს დამოუკიდებლობა... ვყიდოთ რუსეთში ღვინო და ყვავილები, თუ ვეძებოთ გასაღების ახალი ბაზრები?

**კიდევ ერთხელ აგვიგდეს და გაგვაწნეს სილა** გვ.3

## რას წერენ ჩვენზე:

– საქართველომ აღიარა, რომ თავისი ადგილობრივი ჩეჩნეთი აქვს პანკისის ხეობაში...

– სავიზო რეჟიმთან დაკავშირებით რუსეთი თავის პოზიციას ამიერიდან აღარ განიხილავს... გვ.12

## „თვითმფრინავის ბიჭები“



გვ.6

– როგორც მაშინ ვუყურებდი ამ ფაქტს, ახლაც ასე ვუყურებ – ვახტანგ რაზმაძე.

მაშინ, 1983 წლის 18 ნოემბერს Ту-134 გაიტაცეს...



## ITS-ს გააქმევენ?..

...**ვის** გადაუხადა აი-თი-ესმა 2 მილიონი ტენდერში გამარჯვებისთვის...

...**როგორ** გადაწყდება კვირის ბოლოს აი-თი-ესის ბედი...

...**რამდენი** უნდა გადაუხადოს ახალ ტენდერში გამარჯვებულმა ფირმამ საქართველოს... გვ.21

## „კვირის პალიტრის“ საოცარი პროექტი...



...ხიდი XX საუკუნიდან XXI საუკუნის ბოლომდე;

...ჩემო შთამომავალო! შენ გამიცანი, ე.ი. მე ვცოცხლობ;

...XXI საუკუნის მოქალაქევ, მინდა იცოდე, რომ... გვ.5

## როგორ შეიპყრეს თენგიზ ასანიძე

– არ არის გამორიცხული, 16 დეკემბერს ასანიძის ეტაპირებისას მოხდეს რაღაც პროვოკაციაც... გვ.6

– როცა სამართალდამცავებს აღარ მიეცემათ ახალი სისხლის სამართლის საქმის „შეკერვის“ შესაძლებლობა, მას მოკლავენ...

**ადვოკატი ზაზა ხატიაშვილი**

წლის ყველაზე დიდი ცრუპენტელა გვ.31
– დავით მირცხულავა
მკითხველის ოლიმპი

## ეს თქვენ უნდა იცოდეთ:

როგორი ხელშეკრულება უნდა დავდოთ ეი-ი-ეს-თელასთან... გვ.6

**ვალდებულება და პასუხისმგებლობა**



## რა და რა ფასად იყიდება აფხაზეთში

...მთელი „აფხაზკურორტი“ ლიკვიდირებულია, საკურორტო ობიექტები ჩალის ფასად ჩაიგდეს ხელში – არძინბას ახლობლებმა.

...გასხვისდა კინდღა, მიუსერა, აღლერი და ბიჭვინთა... გვ.8

საფრანგეთში აღიარებული ქართველი მოქანდაკის ცოლ-შვილი თბილისში ბინიდან გამოაძევეს გვ.4



## ჩვენ, ქართველები:

... სამიოდე წლის სიცოცხლეს სამი დღის სიცოცხლე არჩია და – ბედნიერი მოკვდა.

... ცურვა არ იცოდა და მტკვარში გადაყრილი ლეკვების გადასარჩენად, თვალიც ვერ მოვკარი, ისე გადაეშვა ხიდიდან.

... ეპისკოპოსმა შეუნდო „შემცოდე“ მღვდელს. გვ.14

## ვერსია: ფულზე ბინძურ თამაშს არც ცეკას მდივნები თაკილობდნენ

...მუშტაიდის პარკში საბილიარდო რომ იყო (მოგვიანებით იმ შენობაში ქვანია დასახლდა თავისი „მწვანეებით“), საქართველოს თითქმის ყველა ცნობილი „იგროკი“ და ქურდი იქ იკრიბებოდა...

...„სტრელი“ ღამის პირველი საათისთვის იყო დანიშნული... ნახალოვკაში, ჯავის ქუჩაზე ორსართულიან სახლში ცეკას მდივანი გველოდებოდა. გვ.10


ფირმა „ბერმუხა“



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, სარდაფების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50




## საკვირაო ტელე-კინოაფიშა 4 - 10 დეკემბერი

გვ. 16-17

Неделя · КОММАНДОС · ЧАСТНАЯ ЖИЗНЬ · ТЕЛОХРАНИТЕЛЬ · За РУБЕЖОМ · МОСКОВСКИЕ НОВОСТИ · Newsweek · FOCUS · Общая газета · DER SPIEGEL · КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА · МК · stern · СЕГОДНЯ · Клюква · ИЗВЕСТИЯ · ТРУД · СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО · АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ · Иностранец · LE FIGARO magazine · PARIS MATCH · ТВ ПАРК · ЛИЦА · ОГОНЁК · daily · Le Nouvel Observateur · Итоги

## „კვირის პალიტრის“ საოცარ პროექტში თქვენც მიიღებთ მონაწილეობას...

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## სამიტისა და „სიურპრიზის“ შესახებ

კულუარული ინფორმაციით, დიდი ხნის ჭოჭმანის შემდეგ პრეზიდენტმა შევარდნაძემ მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტა დსთ-ის ლიდერთა სამიტში მონაწილეობა და მინსკში ჩასვლა, რომ როგორმე გადაეთქმევინებინა ვლადიმირ პუტინისთვის საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღების გადაწყვეტილება, მაგრამ ფაქტობრივად, არაფერი გამოვიდა. მეტიც, პრეზიდენტ პუტინთან პირისპირ შეხვედრის შემდეგ, შევარდნაძემ განაცხადა, რომ დსთ-ის ლიდერთა პლენარული სხდომის შემდეგ, ის აღარც ერთობლივ პრესკონფერენციაში მიიღებდა მონაწილეობას და არც კოლეგა ლიდერებთან ერთად გადაიღებდა სამახსოვრო სურათს, ანუ სამიტის პროგრამით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე დაბრუნდებოდა თბილისში! ამ განცხადებამ ათასგვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და, უწინარესად, ამის მიზეზად დასახელდა გაჟონილი ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, პირისპირ შეხვედრისას პუტინს, სავიზო რეჟიმის არშემოღების სანაცვლოდ, პირდაპირ შეუთავაზებია შევარდნაძისათვის საქართველოს მიერთება რუსეთ-ბელორუსის კავშირთან(!)...

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ სამიტის დასრულებისთანავე შევარდნაძემ რატომღაც შეცვალა გადაწყვეტილება, პრესკონფერენციაშიც მიიღო მონაწილეობა და კოლეგა ლიდერებთან ერთად სამახსოვრო სურათიც გადაიღო... პრესკონფერენციაზე კი სინანული გამოთქვა, რომ რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ახორციელებს დისკრიმინაციულ პოლიტიკას და რომ სავიზო რეჟიმის შემოღება არის უკან გადადგმული ნაბიჯი, თუმცა იქვე გამოთქვა იმედი, რომ ეს რეჟიმი დროებითი იქნება...

## რუსეთის საკონსულოსთან უკვე რიგებია

დაიწყო რუსეთ-საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოები. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 2000 წლის 5 დეკემბრიდან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ცხვირს ვერ შეჰყოფს საქართველოს ვერც ერთი მოქალაქე, თუ მას არ ექნება თბილისში არსებული რუსეთის საკონსულოს მიერ დამოწმებული და ნებადართული ვიზა... ანუ რუსეთ-საქართველოს საზღვრის საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე არ გაიცემა ვიზა, როგორც ეს დღეს თურქეთთან ხდება. რუსეთის საკონსულოსთან უკვე გაიჭიმა გრძელი რიგები! ამ ფონზე ცოტა უცნაურად გამოჩნდა თბილისში რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის შეფის, ნიკოლაი პატრუშევის ვიზიტი, რომელმაც ვახტანგ ქუთათელაძესთან ერთად ხელი მოაწერა დოკუმენტთა პაკეტს სახელწოდებით — „ოქმი თანამშრომლობის შესახებ“ და რომელიც ზოგადი ხასიათისაა! რაც შეეხება ამ ვიზიტისას განხილულ თემებს, იგი უცნობი დარჩა და არც რუსულ, არც ქართულ მხარეებს მასზე კრინტიც არ დაუძრავთ. ცნობილი შეიქნა მხოლოდ ის, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე „მაგრად მიხურულ“ კარს მიღმა დიდხანს ესაუბრა რუსეთის უშიშროების შეფს... და კიდევ, მოსკოვი გვპირდება მკაცრი სავიზო რეჟიმის გავრცელებას საქართველოს ყველა კატეგორიის მოქალაქეზე, ანუ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ეხება სეპარატისტებსაც!

მაშ, ასე, 200 წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, რუსეთი საქართველოსთვის უცხო სახელმწიფო გახდა! რუსეთში წასასვლელი ვიზის მაქსიმალური ფასი კი — 20 დოლარი იქნება!

## ჩვენი „დინამო“ შპს-ის საკუთრება გახდება?!

ნამდვილი ფურორი გამოიწვია ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებსა და, საერთოდ, ქართველ საზოგადოებაში თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის, რეზო არველაძის განცხადებამ, რომ 10 დეკემბრიდან „დინამო“ მისი (ანუ არველაძის) და ასევე მისი რამდენიმე მეგობრის საკუთრება გახდება! ამით შესაძლოა, კვლავ ახალი ძალით განახლდეს თბილისის „დინამოს“ ხელში ჩასაგდებად წლების მანძილზე კლანებს შორის მიმდინარე ბრძოლა, რადგან რეზო არველაძე აპირებს (მეგობრებთან ერთად) რეგისტრაციაში გაატაროს ახალი შპს, რომლის მფლობელობაშიც გადავა თბილისის „დინამო“. ჯერჯერობით, ცნობილი არ არის, თუ ვინ იქნებიან ამ შპს-ის პარტნიორი ფირმები... არველაძეს მიაჩნია, რომ სწორედ ეს გზაა ერთადერთი, რომელიც „დინამოს“ გამოიყვანს ათასგვარი კრიზისიდან და სახელსა და დიდებას დაუბრუნებს ქართულ ფეხბურთს.

არველაძის ინიციატივას, როგორც გუნდის გადარჩენისაკენ მიმართულ ძალისხმევას, მხარს უჭერენ ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და ქართული ფეხბურთის სხვა ცნობილი მესვეურნი!

## ინვალიდები 900.000 ლარს ეძებენ

საქართველოს ინვალიდთა ორგანიზაციები: წმინდა თამარ მეფის ორდენი, ღვთის შვილთა კავშირი და ინვალიდთა დასაქმებისა და რეაბილიტაციის ცენტრი საქართველოს პარლამენტისა და ხელისუფლების მიმართ საპროტესტო აქციების მოწყობით იმუქრებიან . ისინი სერიოზულ ბრალდებას უყენებენ „ინვალიდთა ლიგის“ თავმჯდომარეს გია ძნელაძეს და მის მოადგილეს გოგა კოხრეიძეს — კერძოდ, ინვალიდთა ორგანიზაციებისათვის ბიუჯეტიდან გაცემული 900.000 ლარის უკანონოდ მითვისებას.

ინვალიდთა ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციების ხელმძღვანელები აცხადებენ: „გია ძნელაძისა და გოგა კოხრეიძის უკან ხელისუფლებისა და პარლამენტის ზოგიერთი წარმომადგენელი დგას. სხვანაირად „ინვალიდთა ლიგა“ ბიუჯეტიდან ამხელა თანხის გამოტანასა და მითვისებას ვერ შეძლებდა. საპარლამენტო არჩევნების დროს ჩვენ დავაფინანსეთ პროგრამა „მივიყვანოთ ინვალიდები საარჩევნო ყუთებთან“, მხარი დავუჭირეთ მოქალაქეთა კავშირს, როგორც პრეზიდენტის პარტიას. დღეს კი მოქალაქეთა კავშირის სახით პარლამენტი იგნორირებას უკეთებს პრეზიდენტის ბრძანებულებებს, ყოველგვარ კანონს და ადამიანის უფლებებს. პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია კი გამაოგნებელ განცხადებებს აკეთებს, თუ ინვალიდები აქციებს მოვაწყობთ, თურმე პარლამენტიც გაიფიცება... ლიგას ამის უფლება არ ჰქონდა. ეს თანხა განსაზღვრული იყო საკოორდინაციო საბჭოში შემავალი 20 ორგანიზაციისათვის და არა მხოლოდ „ინვალიდთა ლიგისათვის“, თანაც ხაზინიდან თანხა გაიცა 2000 წლის ბიუჯეტის დამტკიცებამდე, ცხადია, ნახუცრიშვილი ამას მარტო ვერ გააკეთებდა. თავის დროზე პასუხი მოვთხოვეთ ფინანსთა მინისტრს, დავით ონოფრიშვილს, რომლის ბრძანების გარეშეც ხაზინიდან ერთი თეთრიც კი არ გაიცემოდა. მინისტრმა ინვალიდები მისაღებში ხუთი საათი გვალოდინა. თვითონ დაგვიბარა და შემდეგ არ მიგვიღო“, — ამბობს წმინდა თამარ მეფის ორდენის მაგისტრი ვახტანგ ჯორჯიკია, — პასუხს ვითხოვთ მხოლოდ 900 ათასი ლარის გაქრობის თაობაზე, რომელიც წმინდა თამარ მეფის ორდენსაც ეკუთვნოდა. დღემდე ერთად მოვდიოდით ინვალიდთა ორგანიზაციები. „ინვალიდთა ლიგის“ დანაშაულებრივმა ქმედებამ კი მასთან დაპირისპირების საბაბი მოგვცა.“

ინვალიდები დეკემბერში საპროტესტო აქციების გამართვას აპირებენ და ვარაუდობენ, რომ ამ იდუმალებით მოცული 900.000 ლარის გაქრობის საქმის გახსნა დიდ სკანდალს გამოიწვევს.

## ლეკიანობა განახლდა?!

პანკისელმა ბანდიტებმა, როგორც ჩანს, ახლახან გატაცებული ესპანელი მძევლები (ესპანელი ბიზნესმენები აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე აიყვანეს) არ იკმარეს და 1 დეკემბერს, გამთენიისას, ახმეტის მკვიდრი, 52 წლის ვალერი სამხარაძე გაიტაცეს. მას თბილისში სატვირთო მანქანით საპარკეტე მასალა მოჰქონდა. სამხარაძის ოჯახმა კუთვნილ ავტომანქანას რამდენიმე საათის ძებნის შემდეგ მიაგნო სოფელ ქისტაურთან, ოღონდ, რა თქმა უნდა, იქ ვალერი სამხარაძის კვალიც ვერ აღმოაჩინეს. ამით აღშფოთებული ახმეტელები დაირაზმნენ და სოფელ მატანთან, პანკისის ხეობაში შესასვლელი გზები გადაკეტეს. ისინი იმუქრებიან, თუ ჩეჩნები და ქისტები ხელს არ აიღებენ ადამიანთა და საქონლის გატაცებაზე, ან საქართველოს სამართალდამცავები არ აღკვეთენ განახლებულ ლეკიანობას, თავად გაუსწორდებიან ყველა ბანდიტსა და ქურდბაცაცას!

## სტიპენდიებს ქართველი სტუდენტებიც მიიღებენ

**(გეა)** ბილ და მელინდა გეითსების ფონდი და კემბრიჯის უნივერსიტეტი ქართველი სტუდენტებისათვის სტიპენდიების ახალ რაუნდს აცხადებენ. პროგრამა გრძელვადიანია და ითვალისწინებს ნიჭიერი სტუდენტების დაფინანსებას კემბრიჯის უნივერსიტეტში განათლების მისაღებად.

სტიპენდიების დაწესებით ბილ და მელინდა გეითსების ფონდი იმედოვნებს, შექმნას ახალგაზრდა ლიდერების საერთაშორისო ქსელი, რომლებიც მომავალში გამოავლენენ ახალ ხედვას და მიდგომას მშობლიური ქვეყნის მოქალაქეთა ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით. სტიპენდიების პროგრამა შემუშავებულია ნიჭიერი ახალგაზრდებისათვის და მისი მიღება შეუძლია ნებისმიერ სფეროში განათლების მიღების მსურველს. სტიპენდიების მიღება შეუძლიათ, ასევე, მაგისტრის ხარისხის მქონე სტუდენტებს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან. სტიპენდია ფარავს ყველა ხარჯს.

ფონდი არანაკლებ 225 სტუდენტის დაფინანსებას იმედოვნებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, ქართველი სტუდენტებისაც.

## „მშენებლობას წინ არაფერი დაუდგება...“

„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობას წინ არაფერი დაუდგება“, — განაცხადა ლონდონში ნავთობკომპანიების ხელმძღვანელებთან გამართული შეხვედრებიდან დაბრუნებულმა ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა გია ჭანტურიამ. ძირითადი ნავთობსადენის ინვესტორთა ჯგუფის ლიდერმა კომპანიამ „ბრითიშ პეტროლიუმმა“, ქართულ მხარესთან მიღწეული შეთანხმებების საფუძველზე, საქართველოს საერთაშორისო ნავთობკორპორაციას გადასცა ოფიციალური დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, უახლოეს მომავალში დაიწყება ნავთობსადენის საინჟინრო სამუშაოები.

გია ჭანტურიას თქმით, ახლა მთავარია ქართულმა მხარემ ზუსტად დაიცვას ნავთობსადენის მშენებლობისთვის განსაზღვრული ვადა და დროულად შეასრულოს მასზე დაკისრებული ყველა ამოცანა!

## ბატონებო, სად იყავით აქამდე?!

გენერალური პროკურატურა ისე, როგორც არასდროს, მუშაობის მაღალი აქტიურობის ხარისხს უჩვენებს საზოგადოებას. დაპატიმრებათა სერიალი გრძელდება და კულუარულმა ინფორმაციამ, რომ ჯამლეთ ბაბილაშვილის უწყებამ უახლოეს მომავალში შეიძლება დააპატიმროს 20-მდე მაღალი თანამდებობის პირი, გასაოცრად აამოძრავა ქართველ ჟურნალისტთა კორპუსი, რამაც აიძულა გენპროკურორის პირველი მოადგილე ანზორ ბალუაშვილი პრესკონფერენციაზე უარეყო ინფორმაცია დასაპატიმრებელ მაღალჩინოსანთა სიის არსებობის შესახებ, თუმცა ბატონმა ანზორმა მრავალმნიშვნელოვნად გვაგრძნობინა, არ არის გამორიცხული, რომ დასაპატიმრებელ ჩინოვნიკთა რაოდენობა 150-ზე მეტიც იყოს. ბალუაშვილმა არც ის გამორიცხა, რომ ამ ადამიანთა შორის შეიძლება აღმოჩნდნენ საზღვარგარეთ მოღვაწე თანამდებობის პირებიც...

ითქვა ისიც, რომ დამნაშავე ქართველ ჩინოვნიკებს უცხოეთის ბანკებში ალბათ მალე ანგარიშებს გაუყინავენ. საგულისხმოა, რომ ამ საკითხებზე ქართველმა და უცხოელმა პროკურორებმა ახლახან სტრასბურგსა და სოფიაში გამართულ შეხვედრებზე იმსჯელეს. სარწმუნო კულუარული ინფორმაციით, რიგი სახელმწიფოების სამართალდამცავებმა, ქართველი კოლეგების თხოვნით, დაიწყეს ფართომასშტაბიანი მოკვლევა იმ უკანონო საბანკო გარიგებებისა და ანგარიშებისა, რასაც კორუფციაში ჩამხრჩვალი აქაური ჩინოვნიკები აწარმოებდნენ წლების მანძილზე.

ზოგიერთი მათგანის მადა, ასევე კულუარული ინფორმაციით, ევროპის ბანკებით აღარ დაკმაყოფილებულა და ჰონკონგის სახელგანთქმულ ბანკებშიც „დაუვანებიათ“ ქართველი ხალხის ძარცვით მოპოვებული „თვალ-მარგალიტი“... ახლა მასმედიაც და საზოგადოებაც ერთადერთი კითხვით მიმართავენ გენპროკურატურას და მის თანამშრომლებს — კი მაგრამ, ბატონებო, სად იყავით აქამდე?!

## აღინიშნა შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე

საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, 1 დეკემბერს აღინიშნა შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე. საგანგებოდ გაფორმებულმა შიდსის შესახებ საგანმანათლებლო-სამედიცინო ლიტერატურით დატვირთულმა უზარმაზარმა ავტობუსმა ზესტაფონი-ხაშური-გორი-თბილისის მარშრუტით მოიარა დასახლებული პუნქტები, სადაც უსასყიდლოდ დაარიგეს კონტრაცეპტივები და ბუკლეტები. არადა, ვითარება საქართველოში, მართლაც რომ საგანგაშოა უკვე. ქვეყანაში დაფიქსირებულია შიდსის ვირუსით ინფიცირებული 181 ავადმყოფი, უკვე გარდაიცვალა 26 კაცი... თავზარდამცემია ის ფაქტიც, რომ შიდსით ინფიცირებულთა შორის არის 2 თვის ბათუმელი ბავშვიც, რომლის მშობლებიც დაავადებულნი არიან ამ სენით...

შიდსთან ბრძოლისა და ავადმყოფთა განკურნებისათვის საჭირო თანხების შესაგროვებლად, 1 დეკემბერსვე, ქართული ესტრადის ვარსკვლავებმა გამართეს საქველმოქმედო კონცერტი და შემოსული თანხა — 10 ათასამდე ლარი, შიდსით დაავადებულებს გადაურიცხეს სამკურნალოდ!

და კიდევ: შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის ამ დღეს მსოფლიო შეხვდა უკვე 30 მილიონი ინფიცირებული ადამიანით!

## სიბნელეს სიკვდილი მოაქვს!

ქრონიკულმა უშუქობამ რომ შიზოფრენიამდე მიიყვანა ჩვენი მოსახლეობა, ფაქტია, მაგრამ ამ წყვდიადს ეწირება ადამიანთა სიცოცხლე და ჯანმრთელობაც, გამკითხავი კი არავინაა. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს ხელისუფლებისა და ხელისუფალთა დანაშაულებრივ გულგრილობას ქვეყნისა და ადამიანთა ბედის მიმართ. თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩაზე, ნაქირავებ ბინაში გაზის აირით გაიგუდა ეუთოს მისიის პოლიტიკური მრჩეველი, საფრანგეთის მოქალაქე, 32 წლის იან რუბიანე, რომელმაც გაზის ღუმელი ღამით ჩართული დატოვა...

აბესაძის ქუჩაზე კი, იმავე ღამით, ერთ-ერთი კომპიუტერული ფირმის ორი ახალგაზრდა თანამშრომელი გაიგუდა, ამჯერად, გენერატორის გამონაბოლქვისგან...

აღნიშნულ ფაქტებს გამოძიება უბედური შემთხვევის კვალიფიკაციას აძლევს...

წყვდიადი კვლავაც მეფობს თბილისში და სამედიცინო დახმარებისთვის სულ უფრო ხშირად აკითხავენ საავადმყოფოებს ნავთქურებითა და სხვა გამათბობელი საშუალებებით მოწამლული თბილისელები.




## მკვლელობის შემკვეთი პრეზიდენტია?!

მძაფრდება სკანდალი უკრაინაში, რომელიც ამ ქვეყანაში მოღვაწე და საიდუმლო ვითარებაში მოკლული ქართველი ჟურნალისტის, გიორგი ღონღაძის ირგვლივ აგორდა და, პრაქტიკულად, პოლიტიკური ელფერი შეიძინა.

გიორგი ღონღაძე, რომელიც უკიდურესად აკრიტიკებდა უკრაინის პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას პოლიტიკას, 2000 წლის 16 სექტემბერს გაუჩინარდა. სამი კვირის წინ კი მისი თავმოჭრილი და დასახიჩრებული გვამი კიევის მახლობლად აღმოაჩინეს. გამოძიება პირად კონტროლზე აიყვანა თავად ლეონიდ კუჩმამ, მაგრამ ამ დღეებში უკრაინის სოციალისტური პარტიის ლიდერმა, ალექსანდრ მოროზმა მის მიერ მოპოვებული სენსაციური მასალების შესახებ ამცნო მასმედიასა და საზოგადოებას. მოროზის თქმით, მას აქვს აუდიოჩანაწერი, სადაც დაფიქსირებულია ლეონიდ კუჩმას, უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და შინაგან საქმეთა მინისტრის საუბრები. ეს ჩანაწერი მოწმობს, რომ ჟურნალისტის ჩამოშორების ინიციატორი და შემკვეთი, მოროზის თქმით, არის... პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა, რომელიც პერსონალურად გასცემდა ბრძანებებს ღონღაძის შესახებ. მოროზის მტკიცებით, ეს კასეტა მას გადასცა უშიშროების სამსახურის ერთ-ერთმა ყოფილმა ოფიცერმა, რომელიც სამთავრობო რეზიდენციიდან ინფორმაციის გაჟონვის ბლოკირებას უზრუნველყოფდა.

მოროზი აღნიშნულ აუდიოკასეტას საპარლამენტო საგამოძიებო კომისიას გადასცემს, რომელიც ღონღაძის მკვლელობასა და უკანასკნელ წლებში პოლიტიკურ მოღვაწეთა წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობებს იძიებს. თუ დამტკიცდა აუდიოჩანაწერში დაფიქსირებული ფაქტების ჭეშმარიტება, კუჩმას იმპიჩმენტი ემუქრება...

მოროზის ამ განცხადებებს კი კატეგორიულად უარყოფენ კუჩმაც და მისი ადმინისტრაციაც და იქით ემუქრებიან სასამართლო პროცესით მოროზს ცილისწამებისთვის.

## ყოფილ დიქტატორს კვლავ ციხე ემუქრება

**(გეა)** ჩილეს დედაქალაქში ქვეყნის ყოფილ მმართველს, გენერალ აუგუსტო პინოჩეტს ოფიციალურად წაუყენეს 70-მდე ბრალდება ადამიანთა გატაცებისა და მკვლელობების შესახებ. რეპრესიების მსხვერპლნი უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ 1973 წელს პინოჩეტის მიერ განხორციელებული სამხედრო გადატრიალების შემდეგ.

ჩილეს ტელე და რადიოსადგურებმა შეწყვიტეს თავიანთი პროგრამები ამ ახალი ამბის გადასაცემად, რადგან მრავალი ადამიანისთვის ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი აღმოჩნდა.

ბრალდებები უკავშირდება ჯგუფ „სიკვდილის ქარავნის“ მოქმედებებს, რომელშიც არმიის ოფიცრები შედიოდნენ. გადატრიალების შემდეგ ეს ოფიცრები ვერტმფრენით გადაადგილდებოდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე და პოლიტპატიმართა სიკვდილით დასჯის განკარგულებებს იძლეოდნენ.

## აუქციონმა მოლოდინს გადააჭარბა

**(გეა)** პარიზში ცნობილი ბერძენი საოპერო მომღერლის, მარია კალასის პირადი ნივთების ორდღიანი აუქციონი გაიმართა. მარია კალასი 1977 წელს გარდაიცვალა, 53 წლის ასაკში.

პირველი დღის ნავაჭრმა თანხამ მთლიანად გადააჭარბა იმ თანხას, რომლის აღებასაც აუქციონის ორგანიზატორები ვარაუდობდნენ.

მომღერლის კუს ბაკნისაგან გაკეთებული სათვალე 17 ათას დოლარად გაიყიდა, რამაც ნავარაუდევ თანხას ორჯერ გადააჭარბა. კალასის შინიონი კი თითქმის 11 ათას დოლარად იყიდეს. ყველაზე დიდი თანხა — 130 ათასი დოლარი გადაიხადეს მცირე ზომის ზეთით შესრულებულ ტილოში, რომელზეც გამოსახულია „წმინდა ოჯახი“. ეს სურათი კალასს ყოველთვის თან დაჰქონდა. აუქციონზე გატანილ ნივთებს შორისაა მომღერლის ნიჭის თაყვანისმცემელთა წერილები, სამზარეულოს ნივთები და თეთრი წავის პალანტინი, რომელიც მარია კალასს ბერძენმა მაგნატმა, საზღვაო კომპანიების მფლობელმა არისტოტელე ონასისმა აჩუქა, ვიდრე ერთმანეთს დაშორდებოდნენ და „დიდი ბერძენი“ პრეზიდენტ ჯონ კენედის ქვრივზე, ჟაკლინზე დაქორწინდებოდა.

## „მის მსოფლიო“ კვლავ ინდოელია

ლონდონში გამართულ „მის მსოფლიო-2000“-ის კონკურსში გაიმარჯვა 18 წლის ინდოელმა გოგონამ პრიანკა ჩოპრამ. მან დედოფლის გვირგვინთან ერთად 100 ათასი დოლარიც მიიღო. საგულისხმოა, რომ ამავე კონკურსში მე-5 ადგილი დაიკავა ყაზახელმა ლამაზმანმა.

ბოლო 7 წლის მანძილზე სილამაზის მსოფლიო კონკურსში ინდოელი ქალები უკვე მეოთხედ იმარჯვებენ! საუკუნის მიწურულის მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ქალი თავის იდეალად დედა ტერეზას ასახელებს და ამბობს, რომ ჯილდოდ მიღებულ 100 ათას დოლარს ადამიანთა კეთილდღეობას მოახმარს!

# დავთმოთ სახელმწიფო და ვყიდოთ რუსეთში ღვინო, ყვავილები და მანდარინი?!

ასეთი შესავლის წერა გვიჭირს, მაგრამ ართქმაც არ ეგების...

შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ მინსკში გამართულმა დსთ-ის ლიდერთა სამიტმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა (და არა მარტო ქართველებს), თანაც ჩვენი ღირსების შეურაცხმყოფელ „ფერებში", თუ რაოდენ უსუსური და დაკნინებულია საქართველო მისი კორუმპირებული ხელისუფლების ხელში. დსთ-ის წევრი 12 ქვეყნიდან რუსეთმა სწორედ საქართველო გამოარჩია უკვე მერამდენედ ჩასაწიხლად, რაც გვარიანადაც გამოუვიდა და, ჩვენდა საუბედუროდ, ქვეყნის ხელმძღვანელობას იმის ელემენტარული პოლიტიკური ნება, ვაჟკაცობაც არ ეყო, თუნდაც სიტყვიერი დემარშისთვის მიემართა იქვე, საჯაროდ და დსთ-ის ლიდერთა პრესკონფერენციაზე მაინც ეთქვა ის, რა სათქმელიც ბოლო ათწლეულის მანძილზე დაუგროვდა ქართველ ხალხს თავის „მტერ-მოყვარე" ჩრდილოელი მეზობლისადმი... დიახ, არაფერიც არ ითქვა და თანაც როდის: თუ კულუარულ ინფორმაციას ვენდობით, პუტინმა „დელიკატურად" შესთავაზა შევარდნაძეს რუსეთ-ბელორუსის კავშირში საქართველოს შესვლა... სავიზო რეჟიმის შემოუღებლობის სანაცვლოდ(!) რა უპასუხა საქართველოს პრეზიდენტმა, სამწუხაროდ, უცნობია, მაგრამ თავისთავად ის (თუ, რა თქმა უნდა, მსგავსი შეთავაზება მართლაც იყო), რომ რუსეთი ამ კავშირში შესვლას გვთავაზობს, არა, ვთქვათ, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის აღდგენაში დახმარებისა და ქართული არმიის მშენებლობის საქმეში თანადგომის სანაცვლოდ, არამედ სწორედ ყბადაღებულ სავიზო რეჟიმს იყენებს საქართველოს მოსათოკად, სცდება ყოველგვარი პოლიტიკის, დიპლომატიის თუ პოლიტიკური თამაშის საზღვრებს, რასაც, ძალიან ძნელია, ქართველმა კაცმა გულხელდაკრეფილმა უსმინო და უცქირო...

ამასობაში კი, ჩვენს ნაცვლად დემარშს ეუთო, ვაშინგტონი აკეთებენ. აი, კონკრეტული ფაქტიც: ახლახან „როსიისკაია გაზეტაში" გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით „ბანდიტთა თავშესაფარი", („ბანდიტთა თავშესაფარში", რა თქმა უნდა, საქართველო იგულისხმება), ავტორი ვლადიმირ კულიკოვი შავით თეთრზე წერს: „საქართველოში შექმნილი ვითარება უცხოეთიდან (რა თქმა უნდა, რუსეთიდან) ინტერვენციას საჭიროებს..." ამ ერთმა წინადადებამ კი გამოიწვია ის, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ოფიციალურ განცხადებაში მკვეთრად დააფიქსირა, რომ აშშ კვლავაც მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, პატივს სცემს მის სუვერენიტეტს და რომ მსგავსი განცხადებები, საქართველოში უცხოეთის ქვეყნის შესაძლო ინტერვენციის შესახებ, აბსოლუტურად მიუღებელია!

აი, ასე: მძლავრი ანტიქართული პროპაგანდის ფონზე, რაც ძირითადად, ჩეჩნეთის მხარდაჭერაში საქართველოს დადანაშაულებით გამოიხატება, რუსული პრესა უკვე სინჯავს ნიადაგს მორიგი კამპანიის დასაწყებად, ამჯერად თემაზე — საქართველოში „უცხო" ქვეყნის შესაძლო ინტერვენცია! შინაპრობლემებში ყელამდე ჩაფლულ საქართველოს, მის ხელისუფლებას, მოსახლეობისა და საზოგადოების ნაწილს კი, უფრო სავიზო რეჟიმი და რუსეთის ბაზრის დაკარგვა აფიქრებს, ვიდრე კარს მომდგარი აშკარა საშიშროება... ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრები პოლიტოლოგ **დავით დარჩიაშვილს**.

— ქართულ პოლიტიკას მხოლოდ ერთი ნიშან-თვისება გამოარჩევს — მოვლენების უკან მიდევნება, ანუ თანმდევია პროცესებისა და არა წინმსწრები. მესმის, რომ წინსწრება ძნელია, მაგრამ პოლიტიკა იმიტომაა ხელოვნებაც, რომ მოვლენის პროგნოზირება შეძლო და მოემზადო მოულოდნელობებისათვის. მით უმეტეს, რომ იცი კარგს არაფერს არ უნდა ელოდე ჩრდილოელი მეზობლისგან. საერთოდ, ურთულესი პროცესია ყოფილი მეტროპოლიისა და ყოფილი კოლონიის ურთიერთობები. მით უმეტეს იმ მეტროპოლიისა, რომელიც მტკივნეულად აღიქვამს იმპერიის დაკარგვას. ბევრი იმპერია დანგრეულა, მაგრამ რაღაცნაირად მოუნელებიათ. რუსეთში კი არც ხალხს, არც მის პოლიტიკურ ელიტას ვერ მოუნელებია და ყველაფერს გააკეთებენ საქართველოზე გავლენის შესანარჩუნებლად. ჩვენ კი არაფრისთვის არ ვართ მზად. არ ვიცი, შეიძლება ეწოდოს დაბალანსების პოლიტიკა საქართველოს ხელისუფლების კურსს? ვაცხადებთ, დასავლეთისკენ ვისწრაფითო, მაგრამ არაფრით ვამაგრებთ ამას ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებით. საგარეო პოლიტიკისთვის საშინაო პოლიტიკით, პრობლემების მოგვარებით ემზადებიან... ხშირად ამბობენ, ქვეყანა გაივსო უცხო აგენტურით, ფუნქციონირებს „მეხუთე კოლონაო" და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს ასე იქნება, როცა საამისო ნოყიერ ნიადაგს ახვედრებ. შეიძლება ვერ მისდიო ყოველ აგენტს, მაგრამ ნიადაგი უნდა აკონტროლო. არ უნდა იყოს ისეთი გარემო, რომელიც ხელს უწყობს აგენტურის მომრავლებას; ამასთან, თვითონ ხალხში თესავს ამგვარ განწყობას — საქართველოსგან სახელმწიფო არ გამოვა და რაც მოხდება — მოხდესო. არადა, ეს ნიჰილისტური განწყობა საყოველთაოდაა გავრცელებული...

— **სამიტის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა განაცხადა, იმედი მაქვს, სავიზო რეჟიმი დროებითი მოვლენა იქნებაო. მას დაეთანხმა პუტინიც, მაგრამ ისიც ითქვა, რომ სავიზო რეჟიმის საკითხს და სხვა პრობლემებს დაარეგულირებს ახალი ჩარჩო-ხელშეკრულება რუსეთ-საქართველოს შორის, რომელიც რამდენიმე თვეში უნდა გაფორმდეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ხელშეკრულების მომზადების პროცესში რუსეთი არ შეასუსტებს საქართველოზე ზეწოლას და მაქსიმალურად შეეცდება, დოკუმენტში საკუთარი ინტერესების დაფიქსირებას... ღმერთმა დაიფაროს და, თქვენი აზრით, რამდენად მოსალოდნელია, რომ ეს ახალი ჩარჩო-ხელშეკრულება იდენტური თუ არა, მსგავსი აღმოჩნდეს რუსეთ-ბელორუსის კავშირის ხელშეკრულებისა.**

— თუ ჩვენი სახელმწიფოებრიობა კრახით დასრულდა, რის ნიშნებზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, მაშინ არ გამოვრიცხავ ასეთი სცენარით მოვლენების განვითარებას. არადა, ასეთი სცენარი რომ არსებობს და იგი არც ისე არარეალურია, ესეც ფაქტია. თუ ვერ მოვახერხეთ შინაპრობლემების მოგვარება, ყბადაღებულ კორუფციასთან ბრძოლა, ასეთი ფინალი სავარაუდოა! მაგრამ არსებობს ოპტიმისტური ალტერნატივა: მომავალში რუსეთსაც ისევე უნდა სტაბილურობა ჩვენს რეგიონში, როგორც საქართველოს. რა თქმა უნდა, მოსკოვს ურჩევნია, აქ „რუსული სტაბილურობის" დამყარება, მაგრამ ვიტოვებ იმედს, რომ რუსეთის საზოგადოება მაინც პრაგმატიზმისა და რაციონალიზმის გზით განვითარდება. ხოლო თუ რუსეთი დარწმუნდება, რომ საქართველოში გავლენას იაფად განიმტკიცებს, ბუნებრივია, ურჩევნია ბოლომდე მიიყვანოს საქმე. საკითხავია, რა დევს სიტყვებში — სავიზო რეჟიმი დროებითია, უნდა დავდოთ ახალი ჩარჩო-ხელშეკრულება? არის ეს სვლა ორმხრივი მშვიდობისა და თანასწორუფლებიანი ურთიერთობების დასამყარებლად, თუ ეს არის სვლა იქითკენ, რომ აქაც დამყარდეს რუსეთ-ბელორუსული „მშვიდობის" მსგავსი ვითარება, ამის თქმა დღეს ძნელია და ჩვენზეა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული. თუ დავანახვებთ მოსკოვს, რომ აქ რუსეთ-ბელორუსული კავშირი არ გამოვა და ეს მხოლოდ სისხლის ღვრას მოიტანს, შეიძლება რუსეთი დღეს თუ არა, ხვალ მაინც წამოვიდეს ჩვენთვის მისაღებ მშვიდობაზე! არ დავანახვებთ ამას და ისევ საკუთარ პენსიონერებს ვერ გავუსწორებთ თვალს, მაშინ, ალბათ, მოვა რუსეთ-ბელორუსული „მშვიდობა"... არ ვიცი, იქნება ხალხს უკვე უნდა, რომ ასე მოხდეს?

— **და აქ ისევ მთელი აქტუალობით დგება რეგიონში და კერძოდ, საქართველოში დასავლეთის, უწინარესად, აშშ-ის როლისა და გავლენის გაძლიერების საკითხი. ფაქტია, რომ როცა საქმე საქართველოს შეეხება, რუსეთი ყველა დონეზე შეხვედრისას აგრესიულ პოზიციას იკავებს და რჩება შთაბეჭდილება, რომ ვაბანკზე მოდის...**

— როგორც არ უნდა მოსწონდეს მავანს ამერიკა, ამ ქვეყანას რეალურად აქვს საკუთარი ინტერესები ჩვენს რეგიონში და დღეს საქართველოს ამერიკის ეს ინტერესები და გავლენის გაძლიერება ჰაერივით სჭირდება. ჩვენი უუნარობის პირობებში სწორედ ერთადერთი აშშ აბალანსებს რუსულ გავლენას. ფაქტია, რომ ამერიკასაც ახასიათებს „საკუთარ დაკრულზე ყველას ცეკვის" სურვილი, მაგრამ ჩვენს გამოუვალ ვითარებაში სწორედ მისი „დაკრული" არის საქართველოს ერთადერთი ხსნა! მე არ ვიცი, რა იქნება 20 წლის შემდეგ, შეიძლება ჩვენც ისევე თავში საცემი გაგვიხდეს ამერიკული გავლენა, როგორც ევროპის ზოგიერთ ქვეყანას, მაგრამ, ვიმეორებ — აშშ-ის გავლენა დღეს ჩვენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია... მალე ახალი ადმინისტრაცია მოვა, რომელიც ახლებურად შეაფასებს გლობალურ და რეგიონალურ პოლიტიკურ პროცესებს. რამდენიმე დღეში მივემგზავრები ვაშინგტონში, სადაც გაიმართება კონფერენცია, რომელიც აშშ-ის ახალ ადმინისტრაციას მაგიდაზე დაუდებს თავისებურ შეხედულებებს, თუ რა შეიძლება მოხდეს კავკასიაში, როგორი უნდა იყოს აშშ-ის კავკასიური პოლიტიკა. იქ გაირჩევა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მდგომარეობა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ თუ აქ არ გატარდა რადიკალური ცვლილებები, თუ ჩვენვე არ გავანძრიეთ ხელი, ამერიკელი ახალგაზრდები ჩვენი გულისთვის თავს არ გაწირავენ! თავის დროზე, ასევე ჰქონდა ინტერესები ამერიკას სამხრეთ ვიეტნამში, მაგრამ მრავალწლიანი ომის მიუხედავად, არაფერი გამოუვიდა, რადგან სამხრეთი ვიეტნამი სრულიად უუნარო გამოდგა, რომ თვითონაც გაენძრია ხელი. უკვე უცხოელი დიპლომატები და ექსპერტები წუხან, რომ მათი რჩევები არ სრულდება საქართველოში — არც ეკონომიკაში, არც სამხედრო სფეროში, არსად. თუ არ ვაკეთეთ ჩვენი გასაკეთებელი საქმე, დასავლეთის დახმარება ქარივით ჩაივლის.



— **მინსკის სამიტის დამთავრებისთანავე საქართველოს სახელისუფლებო კულუარებში და პოლიტიკურ სპექტრში დაიწყეს ლაპარაკი, თუ რა სავარაუდო ნაბიჯებს გადადგამს პრეზიდენტი რუსეთთან მიმართებაში. ბევრი არ გამორიცხავს, რომ ხელისუფლების შესანარჩუნებლად შევარდნაძე შეიძლება მნიშვნელოვან დათმობებზე წავიდეს რუსებთან, თუნდაც იმავე ახალი ჩარჩო-ხელშეკრულების ფარგლებში. უკვე იხსენებენ ფოთში ბალტინის შემოსვლის პერიოდსაც...**

— ყველა ქვეყანაში ხელისუფლებას ახასიათებს თვითმიზნური მოქმედება, გაიგივება საკუთარი თავისა სახელმწიფოსთან. ძალიან ხშირად ლოზუნგები — „გადავარჩინოთ სახელმწიფო" — სინამდვილეში ნიშნავს — გადავარჩინოთ ხელისუფლება! ეს, რა თქმა უნდა, საფრთხეა. ზოგჯერ გაუცნობიერებლადაც ხდება ის, რაც ლუდოვიკოს დაემართა, როცა გაიძახოდა — საფრანგეთი — ეს მე ვარ! ანუ მე უნდა გადავრჩე, საფრანგეთი რომ გადარჩესო. ასე აღიქვამდა იგი თავის როლს სახელმწიფოში. დღეს კი ამას სჭირდება მუდმივი კონტროლი, გააზრება იმისა, სად მთავრდება ხელისუფლება და სად იწყება მარადიული სახელმწიფოებრივ-ეროვნული ინტერესი. აქედან გამომდინარე კი, ხდება პოლიტიკის დაგეგმვა-განხორციელება. დღეს ძნელია რაიმე პროგნოზის გაკეთება, მაგრამ მუდამ უნდა გვახსოვდეს ერთი რამ — ხელისუფლებები მიდიან და მოდიან, ქვეყანა რჩება! იმავე აფხაზეთში დამარცხება, ბალტინის შემოსვლა რომ გავიხსენოთ, როცა ომის წაგების შედეგად იძულებით აღმოვჩნდით დსთ-ში, ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ მსგავსი რამ ისევ არ დაგვემართოს. ოქტომბერში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაარიგა ე.წ. პოლიტიკური დოკუმენტი, სადაც წერია, რომ „ჩვენი ორიენტაცია დასავლურია და რომ გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს ნატოს რიგებში აღვიქვამთ!" კი მაგრამ, არ ვიცოდით, რომ ამას რუსეთის გაღიზიანება მოჰყვებოდა? მაშინ რატომ ვამბობდით, რა გვრჯიდა? როგორც კი დავინახეთ, რომ მოსკოვი გაღიზიანდა, ახლა რა, შეიძლება ეს სიტყვები უკანვე წავილოთ? ამასთან, ხშირად ლაპარაკობენ, როგორ გადავწყვიტოთ აფხაზეთის პრობლემა — მოლაპარაკებებით, დასავლური სტრუქტურების ჩარევით, თუ რუსული ხიშტითო? არჩევანი კი არ ჩანს. იმასაც ამბობენ, ოღონდ დავიბრუნოთ და თუნდაც რუსული ხიშტითო! მაგრამ რუსული ხიშტი ხომ უანგაროდ არ მოვა!

— **მოკლევადიან პერსპექტივაში, თქვენი აზრით, რას უნდა ელოდოს ქვეყანა რუსეთთან პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით? ფაქტია, რომ საქმე უარესობისკენ მიდის. აღარც დსთ გვშველის და აღარც მამაზეციერი. ბოლოს და ბოლოს, რატომ არ მივმართავთ დემარშს და რატომ არ გამოვდივართ დსთ-დან, რომელსაც ბოლო დროს ე.წ. „პოლიტიკური ტრიბუნის" კვალიფიკაცია მისცეს, სხვა სახელი რომ ველარაფერი მოუგონეს...**

— ნახევრად ბიზნესმენი და ნახევრად პოლიტიკოსი ადამიანები ამბობენ, რუსეთის ბაზარი არ უნდა დავკარგოთო და ამას განაპირობებს დსთ-ში საქართველოს წევრობაო. გასაგებია ეს, მაგრამ ეკონომიკა პოლიტიკის გარეშე არ არსებობს. უკვე ისეთი ურთიერთობებია რუსეთთან, რომ შეიძლება რუსეთის ბაზარზე ღვინის გასაღებას ჩვენი სახელმწიფოებრიობა შეეწიროს. გვილირს ამად ჩვენი დამოუკიდებლობა? რა გვირჩევნია, გავიჭირვოთ და პროდუქციის გასაღების სხვა ბაზრები ვეძებოთ, რაც ძალიან მტკივნეული იქნება, თუ დავთმოთ სახელმწიფო და ვყიდოთ რუსეთში ღვინო, ყვავილები და მანდარინი, რასაც 70 წლის მანძილზე ვაკეთებდით? რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ გამოდის საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი დსთ-დან, ეს ე.წ. თანამეგობრობა ჯერჯერობით რჩება რუსულ პროექტად. ამიტომ, რუსეთი დსთ-დან რომელიმე ქვეყნის შესაძლო გასვლას აღიქვამს, როგორც რუსეთის მტრად გადაქცევის ფაქტს, სილის გაწვნად. ამიტომ ამ ეტაპზე პრობლემაა, გვილირს თუ არა რუსეთისთვის სილის გაწვნა. ამის გაკეთება კუჩმასაც და ალიევსაც ეჩოთირებათ და შეიძლება იმის იმედიც აქვთ, რომ ოდესმე დსთ-დან რაიმე პოზიციური დივიდენდი მიიღონ. მთავარი მიზეზი დსთ-ში ყოფნისა კი არის ის, რომ არც ერთ მათგანს არ აქვს იმის ძალა, რომ რუსეთს სილა გააწნას! მით უმეტეს, ამის უნარი არა გვაქვს ჩვენ. მაგრამ, მიუხედავად დსთ-ში საქართველოს დარჩენისა, მაინც ჩვენ გვაწნიან სილას, მაშინ საპასუხო სილა ის კი არ უნდა იყოს, რომ აი, ჩვენ ჩეჩნეთთან საზღვარს გავხსნით (ან რა უნდა გავხსნათ, როცა ამ დღეებში ვნახეთ, რომ საზღვარი თურმე პანკისის ხეობის დასაწყისში ყოფილა...), არამედ მაგარი სილის გაწვნა იქნებოდა რუსეთისთვის სწორედ დსთ-დან საქართველოს გამოსვლის საკითხის სერიოზულად დაყენება!

და კიდევ, თუ თავის კავკასიურ პოლიტიკაში ამერიკამ აიყოლია ევროპაც და ერთობლივი ძალისხმევით ისეთივე უკომპრომისონი იქნებიან რუსეთის მიმართ, როგორც ბალკანეთში იყვნენ, სადაც რუსებს ბაქიბუქის მეტი არაფერი შერჩათ ხელთ, მაშინ, ვფიქრობ, სამხრეთ კავკასიაშიც, კერძოდ, საქართველოში, რუსეთი დათმობს გავლენას, თუ, რა თქმა უნდა, კრემლში ვიღაც არანორმალური არ მოვიდა, რომელსაც არაფრად ეღირება მილიონობით რუსის სიცოცხლე საიმისოდ, რომ ოღონდ აქ პატარა ადგილი დაიმკვიდროს და ვაზიანში თვითმფრინავი დასვას... მოკლედ, არის იმის რეზერვები, რომ აშშ-მა რუსეთი დათმობებზე დაითანხმოს ჩვენს რეგიონში, მაგრამ აქ ერთადერთი რამ რჩება გასაკეთებელი: ჩვენი კატეგორიული ყვირილი მსოფლიოს გასაგონად, რომ საქართველო არანაირ კომპრომისზე არ წავა რუსეთთან სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხში.

*— ყველა ქვეყანაში ხელისუფლებას ახასიათებს თვითმიზნური მოქმედება, გაიგივება საკუთარი თავისა სახელმწიფოსთან. ძალიან ხშირად ლოზუნგები — „გადავარჩინოთ სახელმწიფო" — სინამდვილეში ნიშნავს — გადავარჩინოთ ხელისუფლება! ეს, რა თქმა უნდა, საფრთხეა. ზოგჯერ გაუცნობიერებლადაც ხდება ის, რაც ლუდოვიკოს დაემართა, როცა გაიძახოდა — საფრანგეთი — ეს მე ვარ!*

## გაჩეხილი ბაღ-ვენახები და გაოსებული ქართველები...

„Если бы на Украине знали цену, по которой российские энергоносители поставляются в Грузию, Леонид Кучма перестал бы угощать своего российского коллегу и горилкой, и салом..."

დსთ-ის სამიტზე გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტ პუტინს ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული საქართველოს დასამადლებლად წარმოთქმული ეს სიტყვები, რომ რუსეთმა იმ დღესვე „გაუგებარი" მიზეზებით საქართველოს გაზის მიწოდება შეუწყვიტა, რითაც სრული კატასტროფის წინაშე დააყენა თბილსრესის მე-9 და მე-10 ბლოკები. მართალია, ენერგომამები გაიძახიან, მილებში რამდენიმე დღის სამყოფი გაზი დარჩაო, ხოლო სახელმწიფო მინისტრი გია არსენიშვილი ორშაბათს მოსკოვში გაფრინდა ამ და სხვა ეკონომიკური საკითხების „მოსაგვარებლად", მაგრამ ფაქტი ერთია: მაშინ, როცა „ეი-ეს-თელასი" პატიოსნად და დროულად უხდის რუსეთს მე-9 და მე-10 ბლოკებისთვის საჭირო გაზის საფასურს (რაც, მიუხედავად პუტინის მტკიცებისა, სულაც არ არის იაფი და შეესაბამება მსოფლიო ბაზრის ფასებს), მოსკოვი წყვეტს მის მიწოდებას, რითაც ისედაც წყვდიადით მოცულ თბილისს სამუდამო დაბნელებით ემუქრება ზამთრის პერიოდში, აქედან გამომდინარე უმძიმესი სოციალურ-პოლიტიკური შედეგებით. მოსალოდნელია, რომ თბილისელები ამას ალბათ ვეღარ აიტანენ (რაც შესანიშნავად იციან მოსკოვშიც) და არის რეალური საშიშროებაც, რომ პროცესები უმართავი გახდეს...



ყოველივე ზემოთქმულს ემატება ისიც, რომ რუსეთთან სავიზო რეჟიმის შემოღება უკვე იძლევა სავალალო შედეგებს საქართველოს მოსახლეობისათვის. საკუთარ სამშობლოში უმუშევრად, უხელფასოდ და უპენსიოდ დარჩენილი ის ადამიანები, რომლებიც რუსეთში მოსავლის გაყიდვით ირჩენდნენ თავს, პანიკამ მოიცვა. ამ დღეებში მრავალკილომეტრიანი ქარავანი მიემართება საქართველოდან რუსეთისკენ და ყველა ცდილობს, 5 დეკემბრამდე მოასწროს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე შეღწევა და მოსავლის გაყიდვა. ამ მხრივ მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა გორის და ქარელის რაიონების მოსახლეობა, სადაც ვაშლის კარგი მოსავალი მიიღეს და იმის გამო, რომ ვაშლის გაყიდვას ქართულ ბაზარზე ვერ ახერხებენ პროდუქციის სიჭარბის გამო, ერთადერთ იმედად რუსეთი ეგულებათ. არადა, ქართველი გლეხები ირწმუნებიან, რომ თუ მოსავალს ვეღარ გაიტანენ რუსეთში, გაჩეხენ ვაშლის ხეებს(!). ეს კიდევ „არაფერი". უკვე სერიოზულად ლაპარაკობენ იმაზეც, რომ გვარები გადაიკეთონ და ოსებად ჩაეწერონ, რაც საშუალებას მისცემს გალატაკებულ მოსახლეობას შეუფერხებლად იმოძრაოს რუსეთში(!)...

საუბედუროდ, ამტყდარმა პანიკამ ერთი საზარელი ტრაგედიაც დაატრიალა. გორელ გიორგი ბიბილურს ვაშლით დატვირთული „კამაზი" აუფეთქდა, როცა ერთ-ერთ დეტალს ადუღებდა მანქანაზე. სიჩქარისგან გამოწვეულმა გაუფრთხილებლობამ ბიბილურის ორი შვილი შეიწირა, რომლებიც დაიწვნენ. ექიმებს თავად ბიბილურის გადარჩენის იმედიც არა აქვთ.

***გვერდი მოამზადა ზურაბ მჭედლიშვილმა***

# ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაული



დღესასწაული, რომელიც 4 დეკემბერს აღინიშნება, არის ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება და თავისი მნიშვნელობით ღვთისმშობლის შობის დღესასწაულს შეესაბამება. ამ დღეს საფუძველი დაედო ყოვლადწმინდა მარიამის სულიერ შობას.

მარიამი შეძლებული მშობლების წმ. იოაკიმესა და ანას ოჯახში დაიბადა. მშობლებს თავიდანვე აღთქმა ჰქონდათ დადებული, რომ შვილს უფალს შესწირავდნენ, ამიტომ ისეთ გარემოცვაში ზრდიდნენ, რომ არავითარი ბიწი არ შეხებოდა. ღვთისმშობელი თავიდანვე არაჩვეულებრივი გამჭრიახობით გამოირჩეოდა.

სამი წლის რომ შესრულდა მარიამი, მშობლებმა და ნათესავებმა მშობლიურ ქალაქ ნაზარეთიდან ზეიმით წაიყვანეს იერუსალიმში. მესამე დღეს, გამთენიისას მიუხლოვდნენ წმინდა ქალაქს. მომლოცველებს შესახვედრად მღვდელმთავარი ზაქარია გამოეგება. ქალწულმა მარიამმა დატოვა მშობლები, თითქმის სირბილით აიარა ტაძრის უზარმაზარი კიბე და მღვდელმთავარს ანაფორაზე შემოეხვია. ზაქარიამ მარიამს ხელი ჩასჭიდა და ტაძრის საკურთხეველში — წმიდა წმიდათაში შეიყვანა. ამ ფაქტმა ყველა გააოცა — წმიდა წმიდათაში შესვლის უფლება მღვდელმთავრის გარდა არავის ჰქონდა, ისიც წელიწადში მხოლოდ ერთხელ.

ამ დღიდან მარიამი ტაძრის სიახლოვეს იზრდებოდა და უმეტეს დროს წმიდა წმიდათაში ლოცვას ანდომებდა. 10 წლის მანძილზე კი გულისა და გონების ისეთ სიწმინდეს მიაღწია, რომ მისი გული ჭეშმარიტ ღვთის ტაძრად იქცა.

საეკლესიო გადმოცემებით შემონახულია ცნობები ღვთისმშობლის გარეგნობაზე. წმ. მამების თანახმად: ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი იყო საშუალო ტანის, ჰქონდა ოდნავ მოგრძო სახე, სწორი ცხვირი, ზეთისხილისფერი თვალები, წაბლისფერი თმა და თხელი ბაგეები. საუბრისას აჩქარება არ სჩვეოდა და ბილწი სიტყვა არასოდეს დასცდენია. სიარულიც ნელი ნაბიჯით იცოდა და ხმამაღლა არასოდეს გაიცინებდა. რაც არ უნდა მომხდარიყო არ აღელდებოდა და არავის განიკითხავდა. მასთან მყოფებს საოცარი სითბო ეუფლებოდათ და უჭირდათ განშორება.

მარიამი მარადის ქალწულად დარჩა, თუმცა მუცლად იღო სამყაროს მხსნელი ძე ღვთისა.

***ანა ჩხეიძე***

# თბილისური ბაზრობები: გუშინ, დღეს...

უამრავ პოეტს მიუძღვნია მისთვის აღტაცებული სტრიქონები და ჩვენც, ყოველთვის, რაღაც განსაკუთრებულთან, რომანტიკულთან ვაიგივებდით თბილისურ აისს...

იოსებ გრიშაშვილის შესანიშნავ წიგნში — „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“, თვითმხილველის მიერ შესანიშნავად არის აღწერილი დილის მწვანილი და კინტოური გადაძახილ-გადმოძახილი, დიდუბეში მტკვრის პირას მომდგარი ტივები და შეშით დატვირთული



ურმები. თითქოს დილის საარის ხმაც ჩაგესმის კაცს და შავსამოსიანი გენიალური მხატვრის მიერ გალამაზებული დუქნის კუთხეში უზიხარ ჭიქა არაყსა და პურჩაყრილი ხაშით პირთამდე სავსე თიხის მათლაფას...

თბილისი — თბილისი იყო 1500 წლის წინათაც და გრიშაშვილის დროსაც.

დღეს კი... დღეს თბილისი ევროპული ქალაქია და დიდუბე ტივებით კი არა ბაზრობითაა ცნობილი — თბილისური დილის „მადლიც“ სახეცვლილია. დღეს — დილმიდან და წყნეთიდან ჩამოტანილი მწვანილითა და კიტრებით პირმობმული თაბახებით მორბენალი კინტოების მაგივრად, „ფენოვან ხაჭაპურად“ წოდებულ ცომისა და მარილიანი წყლის ნაზავს მოარბენინებენ სახეზე ტანჯვა-წამებაალბეჭდილი, ქალობადავიწყებული ქალები; დილის საარის ნაცვლად, „დარიდური“ და სხვა „ჰიტები“ ისმის მეტროს გამოსასვლელებსა და სხვა ხალხმრავალ ადგილებში დადგმული აუდიოკასეტების სავაჭრო ჯიხურებიდან. გლდანი და დიდი დიღომი, ვარკეთილი და ვაზისუბანი, გარეუბნებად წოდებული მახინჯი საცხოვრებელი კორპუსების ერთობლიობა ვერასოდეს გახდება პოეტებისა და მხატვრების შემოქმედებითი მუზა — „ცივილიზაციის“ მსახვრალმა ხელმა ჩვენს ქალაქსაც დაატყო კვალი და, სამწუხაროდ, ვგონებ — წარუშლელიც...

დუქან-რესტორნები არც ახლა აკლია თბილისქალაქს, მაგრამ ცნობილი სომეხი მსახიობის, ფრუნზიკ მკრტჩიანის ნათქვამი რომ მახსენდება: — მამაჩემი მიამბობდა, მთელი კავკასია ბაქოში მუშაობდა და თბილისში ქეიფობდაო, — მაინც სხვა მგონია მთელი კავკასიის მოქეიფეთა მასპინძელი თბილისი, ვიდრე დღეს არის...

ვისაც ადრე დილით, 6-7 საათზე გაუვლია თბილისის იმ ადგილებში, რომლებიც ორიოდე საათის შემდეგ ათასი ჯურის ადამიანის ყაყანით აივსება, ადვილად მიმიხვდება ნოსტალგიისა და პესიმიზმის მიზეზს — ამ დროს აკაკის ძეგლიც თვით პოეტივით მედიდურად გამოიყურება, ჯერ არ გამოუფენიათ პოეტის ფეხებთან გასაყიდი კოლგოტები და საცვლები, „თბილისური ჭადრებიც“ თითქოს უფრო ლამაზები და ახოვანები ჩანან...

თბილისის ბაზრობებზე არაერთგზის დაწერილა, როგორც ჩვენი ქალაქისათვის უცხო და მახინჯ მოვლენაზე, ბევრი მის საერთოდ აკრძალვასაც ითხოვს. თუმცა, ბაზარი, ბაზრობა ყოველთვის იყო თბილისის ორგანული ნაწილი, რომელიც არა მხოლოდ სავაჭრო-საჩარჩო ადგილს, არამედ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქალაქის ცხოვრებაში. ერთ-ერთი უდიდესი ბაზრობა თვით ახლანდელი თავისუფლების მოედანზეც ყოფილა გაშლილი, მაგრამ მხოლოდ უქმე დღეებში, როდესაც ახლომახლო



ქუჩებზე მდებარე მაღაზიების პატრონები და ჩამოსული გლეხები გარეთ, მოედანზე მასპინძლობდნენ მუშტარს.. ეს ბაზრობა რუსული „იარმარკის“ ქართული ვარიანტი იყო, დაახლოებით — ვაჭრობის გარდა მოხეტიალე ცირკის, ქუჩის მუსიკოსებისა და მოცეკვავეების გამოსვლებით, მხატვრებისა და ბუკინისტების სახელდახელო გამოფენა-გაყიდვებით.

როგორც ამბობენ, ასორტიმენტი მწვანილით იწყებოდა, შეშითა და თივით გრძელდებოდა და ავეჯით, ოთხფეხითა და თვით ეტლებით თავდებოდა.

გრიშაშვილის თქმით — ვისაც ფული ჰქონდა, შეეძლო ცარიელ-ტარიელი მოსულიყო, ჩაეცვა, დაეხურა და ცხენშეკაზმული გაბრუნებულიყო.

მისივე სიტყვებით, ერთ პეტერბურგელ ჟურნალისტს „ერევნის მოედნის“ ბაზრობა პეტერბურგის ბაზრისათვის ასე შეუდარებია: „პეტერბურგის ბაზარი წვეთია ზღვაში, ხოლო თბილისის ბაზარი ზღვაა წვეთში“.

ამის მიუხედავად, ეს „ზღვა“ მეორე დღესვე ცხრებოდა, წყნარდებოდა და ქალაქის მთავარი მოედანი მომავალ უქმეებამდე ისევ მთავარ მოედნად და არა — მთავარ ბაზრად იქცეოდა.

დღეს კი თვით ქალაქი, როგორც წვეთი, ისე იკარგება ბაზრობათა ზღვაში და ეს „ევროპული მეგაპოლისი“ — თბილისი, გაცილებით უფრო „აზიური“ ჩანს, ვიდრე საუკუნის წინანდელი, მართლაც აზიურ-კინტოურ-ყარაჩოხული ქალაქი.

არადა, ვფიქრობ, მართლა არაფერია შეუძლებელი ქალაქისთვის თავისი იერსახის დაბრუნების საქმეში — ცოტა საქმის ცოდნა, ცოტა მონდომება, ცოტა სიყვარული და... სოფელიც აშენდება და ქალაქიც.

***ზვიად გურული***

# რა ბედი ელის თეკლა ბატონიშვილის სასახლეს ანუ შემოქმედის ბედი საქართველოში



რამდენად ჯანსაღ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, ამის შესაფასებლად ერთი ჩვეულებრივი და ამავე დროს უჩვეულო ამბავი გამოდგება: ჩვეულებრივი იმით, რომ საქმე ეხება თბილისის ერთ პრესტიჟულ უბანში, ერეკლე -ის ქ. №10-ში მდებარე ბინის მფლობელობის საკითხს — იგი სადავოდ ქცეულა. უჩვეულო კი ის გახლავთ, რომ სახლი თეკლა ბატონიშვილისეულია. ხელისუფალთაგან კი დღემდე არავინ შეწუხებულა იმაზე ფიქრით, რომ სახლი თეკლა ბატონიშვილის მუზეუმად ქცეულიყო.

სახლის მობინადრენი არიან მხატვრები: იდა თვარაძე (ზედა სართულზე) და მოქანდაკე ჯემალ ბჟალავა (მის ოჯახს ქვედა სართული ეკავა), მოდავე მხარე კი ხალხური საკრავების მუზეუმია (დირექტორი რევაზ კოტრიკაძე), რომელსაც 1998 წლის 27 აპრილის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, შენობის კანონიერი მფლობელობა დაუმტკიცდა.

მოგახსენებთ დავის მიზეზს:

ქალბატონ იდა თვარაძეს 1987 წლამდე ბინა არ ჰქონია: ხან ქირით ცხოვრობდა, ხან რომელიმე მეგობართან ათევდა ღამეს. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით, ხშირად სიონის სამრეკლოშიც კი სძინებია. ჯემალ ბჟალავას ოჯახი წყნეთში, ფაქტობრივად, სარდაფში ცხოვრობდა (ამჟამად ეს სარდაფიც ლტოლვილებს აქვთ დაკავებული).

1987 წლის 17 თებერვალს მინისტრთა კაბინეტის ბრძანებით, სახლის მფლობელები მხატვრები გახდნენ, თუმცა 2 თვის თავზე მთავრობამ გააუქმა გადაწყვეტილება და იგი კულტურის სამინისტროს გადასცა. ამ უკანასკნელმა კი აქ ჯერ თეატრის, კინოსა და მუსიკის მუზეუმი შეასახლა, შემდეგ კი, 1996 წლის 16 აპრილამდე ფართი კულტურის ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციის სამმართველოს გადასცა. მოგვიანებით, სამინისტროს ბრძანებით, სახლი ხალხურ საკრავთა მუზეუმს გადაეცა. თუმცა, ამ დროისათვის აქ უკვე ცხოვრობდნენ იდა თვარაძე და ჯემალ ბჟალავას ოჯახი. მათ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან შეთანხმებით, ჩაფიქრებული ჰქონდათ ამ ადგილის ერთიან მონუმენტურ მემორიალად ქცევა. კულტურის მაშინდელმა მინისტრმა ვალერი ასათიანმა შეაჩერა მობინადრეთა გამოსახლება, ახალი მინისტრი სესილი გოგიბერიძე კანონის მკაცრი დამცველი გამოდგა და მორალურ მოვალეობად მიიჩნია ხალხური საკრავების მუზეუმის გადარჩენა.

ქალბატონმა ბელა ბჟალავამ გვიამბო, რომ 30 ნოემბერს კულტურის მინისტრი და მისი მოადგილეები პოლიციის თანხლებით შეიჭრნენ მის ოჯახში და ბინის დაუყოვნებლივ დაცლა მოსთხოვეს. მუშებმა ყუთებში ჩაყარეს საოჯახო ნივთები და გორგასლის ქ. №7-ში გააქანეს (იქ, სადაც ადრე ხალხური საკრავების მუზეუმი იყო). ბელა ბჟალავას კი განუცხადეს, — თუ დროულად არ წაიღებთ ნივთებს, აუქციონზე გაიყიდებაო. ასეთივე ბედი ელის იდა თვარაძის ნამუშევრებს. მართალია, მავანთა განცხადებით, ქ-ნი იდა აკოფიანის ქუჩა №2-ში, სხვენზე გამოკეტილ სახელოსნოს ფლობს, მაგრამ შეუძლია თუ არა სხვენის გაუსაძლის პირობებში ორჯერ გულის ოპერაციაგადატანილ შემოქმედს ცხოვრება, ეს მათ ნაკლებად აღელვებთ. ამბობენ, ჯემალ ბჟალავასაც აქვს დიდუბეში ერთი ოთახიო. თუმცა, როგორ უნდა იცხოვროს 14 კვ.მ. ოთახში ბელა ბჟალავამ 25 წლის ქალიშვილსა და 18 წლის ვაჟთან ერთად (მისმა ქალიშვილმა, ნინო ბჟალავამ ახლახან მოაწყო პერსონალური გამოფენა საფრანგეთში, რომელსაც საკმაო წარმატება ხვდა წილად — ნ.ტ.)? ჯემალ ბჟალავა ამჟამად საფრანგეთში მოღვაწეობს. ქართულ საზოგადოებრიობას საფრანგეთში ჯემალ ბჟალავას გამოფენის წარმატების შესახებ სწორედ მაშინ ეუწყა, როდესაც მისი ცოლ-შვილი ბინიდან გამოყარეს.

მხატვართა შორის ასეთი აზრიც გაჩნდა, — შესაძლებელია, ამ სახლის ბინადარი არც მუზეუმი აღმოჩნდეს, რადგან ეს ფართი მას არ ეყოფა და კულტურის სამინისტრო ამ ეტაპზე მისი საშუალებით ცდილობს მხატვართა გამოსახლებას. შემდგომ კი სახლს გაყიდიან ან გაასხვისებენ. ეს ხომ შესანიშნავი ადგილია კაზინოებისა და ბარებისათვის?

P.S. როგორც შევიტყვეთ, ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქოსაც გაუკეთებია შესაბამისი განცხადება: „გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ეს ადამიანები ათეული წლებია ქართულ კულტურას უანგაროდ ემსახურებიან. მათ არა აქვთ და წლების მანძილზე არ ჰქონიათ ცხოვრებისათვის ელემენტარული პირობებიც კი, მიუხედავად ამისა, ქმნიან ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს, მონაწილეობენ პერსონალურ თუ საერთო გამოფენებში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ბატონ ჯემალ ბჟალავას იცნობს თითქმის მთელი ევროპა. ამჟამად იგი მიწვეულია ამერიკაში, მისი ოჯახი კი თბილისში უთავშესაფროდ დარჩა.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ქალბატონი იდა არის 9 აპრილს მოწამლული, ჯგუფის ინვალიდი. ამდენად, მათ მიმართ ასეთი დამოკიდებულების გამოვლენა კულტურის სამინისტროს მხრიდან, სრულიად გაუგებარია, რა იურიდიული კანონებითაც არ უნდა იყოს განპირობებული.

ვფიქრობთ, აუცილებელია, გამოიძებნოს შესაბამისი სანაცვლო ფართი, სადაც ეს ხელოვანნი დაიდებენ ბინას და შეძლებენ თავიანთი ნიჭის რეალიზებას, რადგან საყოველთაო გაჭირვების მიუხედავად, შემოქმედი ადამიანებისადმი ასეთი დამოკიდებულება ყოვლად დაუშვებელი და მიუღებელია“.

***ნინო ტარყაშვილი***



# „ჩემს შთამომავლობას, XXI საუკუნის მოქალაქეებს!“

## (სახალხო პროექტი)



*‘სულით უდრუბლო და მოწმენდილო წინაპარო ჩემო,*
*ზოგჯერ უსაფლაო და დაუტირებელო უცხო ძვალშესალაგებში!*
*უსაქართველოდ დარჩენილი საქართველოთი რომ ცხოვრობდი,*
*ხმლითა და გონებით რომ იღვწოდი საქართველოსთვის*
*მაშინაც კი, როცა სამშობლო შენი,*
*სამკვიდრო შენი იმ ჩიტსა ჰგავდა,*
*ღობეს რომ ეხვეწება, ქარს ნუ გამატანო.*
*დღეს შენს ნაკვალევზე დავდივართ შენი შთამომავალნი...*
*... [ჩვენს] კვალზე შედგომა ალბათ უკვე თქვენ დაგედებათ ვალად, ალბათ უკვე თქვენ უნდა იღოთ ხელად ოცდამეერთე საუკუნის ქართველებო, რომლებიც ჯერ არც კი დაბადებულხართ, – ან მხოლოდ ახლა იბადებით!*
*ღმერთმა უტყუარი გეში, ყისმათი და ნათელი დღენი მოგცეთ ჩვენი საუნჯის საძიებელ გზებზე ხეტიალისას. უკუგეფანტოთ ყველა, ვინც წინ აღგიდგეთ:– სიბრძნით აღჭურვილი მტერიც და ბრიყვი, შეუსმინარი შინმყოფი მოკეთეც...*
*კაცობრიობა იმ დროისათვის მაინც მოეგება გონს, იმ დროისათვის მაინც დაცხრებიან და დაგრილდებიან მსოფლიოს ამღვრეული ვნებები და კაცთა მოდგმა ალბათ უფრო მოიცლის ამგვარი წმინდა ქმედებისათვის.*
*დალოცვილ იქნეს ზნემაღალი ცხოვრება და ღვაწლი თქვენი, შთამომავალნო ჩვენნო, პატივდებულ და დიდებაგანფენილ საქარ-თველოში!“*

***რეზო თაბუკაშვილი***

დიდი ქართველი მამულიშვილის ეს მიმართვა XX საუკუნის ქართველებისადმი, რითაც მთავრდება ბატონ რეზოს ერთ-ერთი შესანიშნავი ფილმი „ნაძარცვის ნაკვალევზე“, შემთხვევით არ წარვუმძღვარე წინამდებარე პუბლიკაციას.

... სადაცაა მესამე ათასწლეული დადგება, დადგება ახალი საუკუნე, რომელიც ახალ ზნეობრივ კრიტერიუმებს მოიტანს, ახალ ესთეტიკურ მოთხოვნილებებს წარმოშობს, ბევრ რამეს დააფასებს და გადააფასებს. როგორ ხვდება მას საქართველო? ხომ არ დარჩება მომავალი საუკუნის ქართველ ადამიანს ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჩვენ, ანუ დღევანდელი საზოგადოება, განგებ ვიხშობდით სმენას, თვალებზე ხელს ვიფარებდით, ენას ძალუმად ვაჭერდით კბილს, რათა არაფერი გაგვეგონა, არაფერი დაგვენახა და არაფერი გვეთქვა და მოგვემოქმედა. ხომ არ დაებადება მას ზოგიერთი ისეთი კითხვა, რომელზე პასუხიც ჩვენსავე ეპოქაში უნდა გაგვეცა?! საიდან გაჩნდა მომხვეჭელობისა და აშკარად ქურდობის უზომო წყურვილი, ადამიანურ ღირსებათა დაკარგვისა და ყოველივე ზნეობრივის შეწირვის ფასად? რატომ უფრო ხშირად არ ვწერთ ზნეობის პრობლემებზე, რა ძალებისა და მოვლენების წყალობით ითრგუნება და ირღვევა იგი, სად და რაში იხარჯება ჩვენი სულიერი ენერგია...

მომავალ თაობებს XX საუკუნეში ბევრი, ძალიან ბევრი კითხვა დაებადებათ და, ვეჭვობ, ისტორიკოსებმაც ამომწურავი პასუხი გასცენ ამ კითხვებს და სწორედ იმიტომ, რომ საქართველოს ისტორია აღარ დარჩეს მხოლოდ „მეფეების ისტორიად“, და ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა მაინც გამოთქვას თავისი მცირე, მაგრამ ალალი და პირუთვნელი აზრი — როგორც პირად, ისე ზოგადად ჩვენს დღევანდელ ყოფასა და ცხოვრებაზე, ვფიქრობ, ამაში თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს „კვირის პალიტრის“ იმ იდეის განხორციელება, რომელიც ჩვენი გაზეთის ყოველკვირეული დამატების, ჟურნალ „გზის“ რედაქტორს **გოჩა ტყეშელაშვილს** დაებადა და რომლის შესახებაც უკვე გაუწყეთ „კვირის პალიტრის“ წინა ნომრებში. მოვუსმინოთ იდეის ავტორს:

— ეს იდეა სპონტანურად არ დაბადებულა და მისი გამჟღავნების და განხორციელების დაწყების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი იყო ბატონ რეზო თაბუკაშვილის სწორედ ეს ფილმიც. ამასთან, ცნობილია, რომ მიხეილ ჯავახიშვილს აქვს დატოვებული ბარათი-ანდერძი თავისი შვილისთვის, ასევე პავლე ინგოროყვას და ბევრ სხვას. საერთოდ, ფაქტია, რომ ყოველ ადამიანს აქვს ბუნებრივი სურვილი რაღაც კარგი საქმე აკეთოს და კეთილი მოსაგონარი დაუტოვოს შთამომავლობას საკუთარი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნებისმიერ ადამიანს აწუხებს კითხვა: ემახსოვრებათ თუ არა იგი თავის შთამომავლებს, ვთქვათ, 50 წლის შემდეგ... კიდევ ერთი გარემოება, რამაც ეს იდეა დაბადა ჩემში, გახლდათ ის, რომ ჩემს საოჯახო ალბომში ჩემი წინაპრების ერთ-ერთ სურათში, რომელსაც მიკრული ჰქონდა მუყაოს ნაჭერი, აღმოჩნდა კიდევ ერთი ფოტო, ჩადებული სურათსა და მუყაოს შორის. ეს ფოტო საუკუნის დასაწყისშია გადაღებული და მასზე გამოსახულია იმდროინდელი საზოგადოების ელიტის წარმომადგენლები. სამწუხაროდ, დღემდე ვერ გავარკვიეთ, თუ ვინ არიან ისინი, რომელია ჩვენი ოჯახის ნათესავი, ან რატომ იყო ეს ფოტო ამ „სამალავში“ ათწლეულების მანძილზე? არადა, მას რომ ბარათიც ხლებოდა, ყველაფერი გასაგები გახდებოდა... მოკლედ იდეა დაიბადა, რომელიც კარგა ხნის მანძილზე არ მასვენებდა და აი, ახლახან ეს იდეა გავუზიარე „კვირის პალიტრის“ ხელმძღვანელობას, რომლებსაც მოეწონათ იგი და გააანალიზეს, თუ რამდენად განსახორციელებელი იქნებოდა. დავიწყეთ ფიქრი და განსჯა, თუ როგორი ფორმით შეგვესხა ხორცი ამ იდეისთვის და მივედით დასკვნამდე, რომ ეს იქნება ჭეშმარიტად სახალხო პროექტი, ხელმისაწვდომი ნებისმიერი მოქალაქისთვის, განურჩევლად სქესისა, ასაკისა, ეროვნებისა, სოციალური მდგომარეობისა, თანამდებობისა და არა მხოლოდ ელიტისთვის, გამოჩენილი პიროვნებებისთვის. ნებისმიერ მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა, დაუტოვოს თავისი ნაფიქრი, სურვილი, რჩევა, დალოცვა, განცდა, გნებავთ აღსარება თავის შვილებს, შვილიშვილებს, ბადიშიშვილებს და საერთოდ, შთამომავლობას...

**— ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იქნება ბარათი-ანდერძი, რომელსაც დღეს მცხოვრები ადამიანები დაუტოვებენ XXI საუკუნეში მოვლენილ შთამომავლებს...**

— რა თქმა უნდა, ჩვენი ჩანაფიქრით, მსურველებს საშუალება ექნებათ ბარათთან ერთად თავისი ფოტოც დაუტოვონ ადრესატებს. ამასთან, პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობა ექნებათ სამშობლოდან უცხოეთში გადახვეწილ ქართველებსაც, რომლებიც ლუკმაპურის საშოვნელად არიან მოწყვეტილნი საქართველოს. ახალი ათასწლეული მოდის და, ბუნებრივია, თითოეულ მათგანს სურს თავის სამშობლოსა და ოჯახში შეხვდეს ამ განუმეორებელ მოვლენას. აი, რას ფიქრობენ, რას განიცდიან ისინი დღეს, რა აქვთ სათქმელი თავიანთი შთამომავლობისთვის, მათაც ექნებათ შანსი დაუტოვონ ბარათი-ანდერძი, დალოცვა საკუთარ სისხლსა და ხორცს. ჩვენ გვინდა, რომ ყველა ადამიანის დანაბარები შთამომავლობისთვის იყოს დალოცვილი, ნაკურთხი და, ვფიქრობთ, რომ საქართველოს საპატრიარქო, რომელიც უკვე ეცნობა პროექტს, მხარში ამოგვიდგება ამ კეთილშობილურ წამოწყებაში და აკურთხებს მას!

2001 წლის 13 იანვარს მოხდება „კვირის პალიტრის“ ჩანართებისაგან მიღებული კონვერტების ლოცვა-კურთხევა, დალუქვა და შენახვა. ამ სახალხო პროექტის სახელწოდებაა „ჩემს შთამომავლობას, XX საუკუნის მოქალაქეებს“.

**— თუ გავითვალისწინებთ გლობალიზაციის, კომპიუტერიზაციისა და საერთოდ, კაცობრიობის განვითარების ტემპსა და მასშტაბებს 21-ე საუკუნეში, როგორ ფიქრობთ, რამდენად გასაგები იქნება დღეს გაგზავნილი ბარათები მომავალ თაობათა ადამიანებისთვის, ვთქვათ, 50-100 წლის შემდეგ... და კიდევ, რამდენად იქნებიან გარანტირებულნი ბარათების ავტორები, რომ მათ დანაბარებს, სურვილებს, მოკლედ, წერილების შინაარსს ადრესატების გარდა, არავინ გაეცნობა?**

— ადამიანის ფიქრი, განცდა, გულისნადები თუ ტკივილი არის იმდენად ინტიმური, რომ არ მგონია გლობალიზაციამ ან კომპიუტერიზაციამ მოახდინოს ზეგავლენა. ბოლოს და ბოლოს, ამ გზავნილებში შეიძლება სიყვარულის ახსნაც იყოს, რომელსაც წლების შემდეგ შეიტყობს ადრესატი. სათქმელი დღეს უამრავ ადამიანს აქვს, თბილისის ქუჩაში ლუკმაპურის მოსაპოვებლად გასულებიდან დაწყებული, უცხოეთში გადახვეწილებით დამთავრებული... რაც შეეხება გარანტიას, მოგახსენებთ შემდეგს: ეს ბარათები არსით იქნება წმინდა, პირადული. არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ ვინმემ, ვთქვათ, მკვლელობის აღიარებაც კი დააფიქსიროს მასში ან ისეთი ისტორია მოყვეს, რომელიც არავისთვის ცნობილი არ არის დღეს. ბუნებრივია, ბარათები საჭიროებს ზედმიწევნით დაცვას. ამიტომ, ჩვენ ვთავაზობთ თანამშრომლობას სხვადასხვა ორგანიზაციას, უწინარესად ისეთ ბანკებს და სადაზღვევო კომპანიებს, რომლებიც მყარად დგანან ფეხზე და აქვთ იმედი და პერსპექტივა, რომ იარსებებენ და განვითარდებიან მთელი 100 წლის განმავლობაში. სწორედ ამ ორგანიზაციებში მოხდება ამ ბარათების დაცვა-შენახვა. თუ ვთქვათ, საქართველოში არ გამოჩნდა ორგანიზაცია, რომელსაც აქვს ასწლიანი არსებობის პერსპექტივა, მაშინ, არ არის გამორიცხული, რომ უცხოეთის ბანკებს მივმართოთ ამ ბარათების შენახვისთვის, რა თქმა უნდა, შესაბამისი ანაზღაურებისა და გარანტიის საფუძველზე. ამასთან, ჩვენს საზოგადოებას, თითოეულ მსურველს ვაძლევთ სრულ გარანტიას, რომ წერილები დარჩება სრულიად კონფიდენციალურ გარემოში და მას მხოლოდ ადრესატები მიიღებენ და წაიკითხავენ. წინასწარმეტყველებმაც დაწერონ, რასაც ხედავენ და წლების შემდეგ გამოსცადონ თავიანთი პროგნოზები.

**— ალბათ, შესაძლებელია, რომ ვთქვათ, იმავე აფხაზეთის ომის მონაწილეებმა, რომლებსაც, ვინ იცის, რამდენი აქვთ სათქმელი, მაგრამ დღეს ვერ ან არ ამბობენ, ამ ბარათების საშუალებით მაინც დაუტოვონ შთამომავლობას აფხაზეთის ტრაგედიის უცნობი ან გასაიდუმლოებული ფაქტები, მოვლენები, რომლებიც 10-25-50 წლის შემდეგ იხილავს დღის სინათლეს, სწორედ ამ ბარათების საშუალებითაც...**

— რასაკვირველია. იმედი გვაქვს, რომ აფხაზეთის ტრაგედიის ყველა ნიუანსი დროთა განმავლობაში გაიშიფრება და დარჩება არა მარტო შთამომავლობას, არამედ ეს ინფორმაცია უაღრესად მსუყე მასალა იქნება XX საუკუნის ქართველი ისტორიკოსებისთვის, რომლებიც პირუთვნელ შეფასებას მისცემენ აფხაზეთის ომში ჩვენს დამარცხებასაც და, საერთოდ, ყველაფერს, რაც უკანასკნელ ათწლეულში დაატყდა თავს ქვეყანას და ქართველ ხალხს. დიახ, აფხაზეთის თემა იმთავითვე იყო ჩადებული ამ იდეაში და ვფიქრობთ, ეს ერთ-ერთი ქმედითი ფორმაა ამ ტრაგედიის სრულად გაშიფვრისთვის.

**— სიტყვამ მოიტანა და ჩვენს საზოგადოებას აფხაზეთის ტრაგედიასთან ერთად მართლაც უკიდურესად აწუხებს და აფიქრებს, რაც ბოლო წლებში და დღეს ხდება საქართველოში, უწინარესად, ფანტასტიკური მასშტაბის კორუფცია, შინა და საგარეო პოლიტიკური პრობლემები. ალბათ, ეს პროექტი შესანიშნავ შანსს აძლევს საქართველოს დღევანდელ ხელისუფალთაც, რომ მათაც დაუტოვონ მიმართვა, აღსარება, გნებავთ ანდერძი XXI საუკუნის საქართველოს ხელისუფალთ.**



— ბუნებრივია, დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, თუ, რა თქმა უნდა, ექნებათ სურვილი, აქვთ შესანიშნავი საშუალება, დაუტოვონ ბარათები არა მხოლოდ საკუთარ შთამომავლებს, არამედ 20-50-100 წლის შემდგომ ქვეყნის სათავეში მოსულ მთავრობებს და გააცნონ, თუ რა ვითარებაში უხდებოდათ მოღვაწეობა, რა უშლიდათ ხელს საქმიანობაში, რატომ ჩაეფლო მთელი ხელისუფლება და საზოგადოებაც კორუფციაში. არის ამის მიზეზი საბჭოური წარსული, ჩვენი მენტალიტეტი, უპასუხისმგებლობა, ღალატი თუ რა! მათი ბარათებიც აბსოლუტურად დაცული იქნება და მას გაეცნობიან სწორედ მომავალი საუკუნის ხელისუფალნი.

**— მოდით, ახლა ავხსნათ, თუ როგორ იმუშავებს ამ პროექტის მექანიზმი და შევახსენოთ მკითხველს, რომ პროექტი გათვალისწინებულია 100 წელიწადზე.**

— დავიწყოთ იმით, რომ ჩვენ დიდი და საფუძვლიანი იმედი გვაქვს — „კვირის პალიტრა“ იარსებებს 100 წლის მანძილზე და მეტიც. მაგალითად, მე, გოჩა ტყეშელაშვილმა დავუწერე ბარათი ჩემს შვილთაშვილს, რომელიც იცხოვრებს, ვთქვათ, 2050 წელს. მე საგანგებო კონვერტზე მივანიშნებ, რომ ბარათი უნდა გაიხსნას 2050 წელს და გადაეცეს ჩემს იმ შთამომავალს, რომელიც აღნიშნული დროისთვის, ვთქვათ, იქნება სრულწლოვანი. ან დავუშვათ, დღევანდელმა რომელიმე მინისტრმა დაუტოვა ბარათი თავის მომავალ კოლეგას, რომელიც ამავე პოსტზე იქნება, ვთქვათ, 2025 ან 2100 წელს... ამიტომ, თითოეულ მოქალაქეს შეუძლია შეავსოს „კვირის პალიტრის“ 2000 წლის 25 დეკემბრის, 2001 წლის 1 იანვრისა და 8 იანვრის ნომრებში ჩადებულ ჩანართში სპეციალური ადგილი საკუთარი სურვილისამებრ: შთამომავლობისადმი მიმართვით, დალოცვით, ნახატით, ლექსით და ა.შ. ჩანაწერი სასურველია იყოს მკაფიო, რათა იკითხებოდეს ათწლეულების და 100 წლის შემდეგაც. ჩანართში შესაძლებელია ჩაიდოს ფოტოსურათი. ჩანართი უნდა დაიკეცოს მითითებული სპეციალური ინსტრუქციის საფუძველზე და მიეცეს კონვერტის სახე. ჩანართისაგან ამოჭრილი სპეციალური კონვერტის სპეციალურად მითითებულ ადგილზე გარკვევით უნდა დაიწეროს ბარათის, ანუ მიმართვის ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი და მისამართი. კონვერტზე გამოყოფილი იქნება ადგილი ადრესატისთვის. გარდა ამისა, კონვერტზე აღნიშნული იქნება წლები — 2002, ანუ დალუქვიდან ერთი წლის შემდეგ. 2005, 2010, 2025, 2050, 2100! ბარათის ავტორი სურვილისამებრ გადახაზავს იმ წელს, როცა უნდა გაიხსნას ეს ბარათი. თავდაპირველად აბსოლუტურად ყველა მიღებული ბარათის აკუმულირება მოხდება „კვირის პალიტრის“ რედაქციაში, სადაც დახარისხდება იმ წლების მიხედვით, როცა უნდა გაიხსნას ბარათები. მიღებული კონვერტ-ბარათები მკითხველებმა უნდა ჩააგდონ „კვირის პალიტრის“ ყუთებში, რომლებიც განლაგებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. რედაქციაში აღნიშნული წლების მიხედვით დახარისხებული ბარათები ჩაიდება სპეციალურ ყუთებში და გაიგზავნება შესაბამის ბანკში ან ორგანიზაციაში შესანახად. და კიდევ: თუ მკითხველებს სურვილი ექნებათ, შეუძლიათ, მიმართვები გაუგზავნონ თავიანთ შთამომავლებს, ახლობლებს, ნაცნობ-მეგობრებს ცალ-ცალკე, ყველა ზემოთ აღნიშნული წლისთვის! შეიძლება ადამიანმა, ბოლოს და ბოლოს, საკუთარ თავს მისწეროს წერილი, რომელსაც, 5-10 თუ 25 წლის შემდეგ წაიკითხავს! ბარათი შეიძლება დაიწეროს ნებისმიერ ენაზე! შესაბამისი თარიღის დადგომისა და შესაბამისი ყუთის გახსნისთანავე გამოქვეყნდება გამგზავნთა და ადრესატთა სია.

**— რეზიუმეს სახით, შეიძლება ვთქვათ, რომ „კვირის პალიტრის“ მკითხველებს და, საერთოდ, დღევანდელ საქართველოს ყველა მოქალაქეს ეძლევა შანსი, რომ მთელი ერთი საუკუნის მანძილზე დარჩეს შთამომავალთა ხსოვნაში!**

— აბსოლუტურად მართალია! მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, თანამედროვე ადამიანს არ ახსოვს ან არ იცის თუნდაც საუკუნის დასაწყისში მცხოვრები თავისი წინაპრების ვინაობა, სახელი, მოღვაწეობა თუ საქმიანობა. ამასთან, ჩვენი პროექტი საშუალებას აძლევს დღევანდელ ადამიანს, ბოლოს და ბოლოს, შეადგინოს საკუთარი გვარის გენეალოგია და დაუტოვოს შთამომავლობას. ხომ იტყვიან, — ბაბუა მანამ ცოცხლობს, ვიდრე შვილიშვილია ცოცხალი ანუ ვიდრე ვინმე ჰყავს მომხსენებელიო... ახლა წარმოიდგინეთ, რა მძლავრ გენეალოგიურ ხეს დავტოვებთ: — სულ ცოტა ექვსი თაობით უკან (თუ წინ) ეცოდინება XX საუკუნის მიწურულს ჩვენი გენისა და შტოს გამაგრძელებელს საიდან მოდიან, ვისი გორისანი არიან... გაგვიხსენებენ, ფიქრით გადმოგვწვდებიან, შეგვეხმიანებიან და გაცოცხლდება ჩვენი გენეალოგიური ხე... უწყვეტი გახდება სიცოცხლე... თქვენი არ ვიცი, მე კი ფიქრით და ნატვრით ბევრჯერ მდომებია მიმედევნებინა თვალი ჩემი წინაპრების გვარ-ტომობისათვის. ამაზე უკეთესი რა იქნება მომავალი თაობებისთვის, რომლებიც, თქვენი თქმისა არ იყოს, გლობალიზაციის ეპოქაში შეიძლება სრულიად სხვა მენტალიტეტის მატარებელნი გახდნენ, მით უმეტეს, რომ ამის სამწუხარო ტენდენცია უკვე შეიმჩნევა დღეს...

სასიხარულოა, რომ „კვირის პალიტრის“ წინა ნომრებში გამოქვეყნებულ ინფორმაციას აღნიშნული პროექტის შესახებ დიდი ინტერესი მოჰყვა და უკვე უამრავი მკითხველიც გამოგვეხმაურა. მათთვის საინტერესო დამატებით ინფორმაციას, ცვლილებას პროექტში, თუ სიახლეს, ოპერატიულად ვაცნობებთ ჩვენი გაზეთის და საქტელერადიო კორპორაციის საშუალებით, რომლის თავმჯდომარემ, ბატონმა ზაზა შენგელიამ ძალიან მოიწონა პროექტი და სრული საინფორმაციო მხარდაჭერა აღგვითქვა. პროექტი ხომ სრულიად საქართველოს მოიცავს. აქვე დავუმატებ, გათვალისწინებული გვაქვს ისიც, რომ, ვთქვათ, ქართველმა მეწარმეებმა ბარათთან ერთად ჩვენ მიერ გაკეთებულ საგანგებო ყუთებში ჩადონ თითო-თითო ეგზემპლიარი თავიანთი პროდუქციისა, ვთქვათ ერთი ბოთლი ღვინო, ქართული ნავთობის ნიმუში, კვარციტი, მოკლედ ისეთი რამ, რომელიც 10-50-100 წელი გაძლებს. და უკვე ჩვენს შთამომავლებს მიეცემათ შანსი, ილაპარაკონ დღევანდელი პროდუქციის ხარისხზე. მოკლედ, ჩვენ მზად ვართ ნებისმიერი აზრის, იდეის, ინიციატივის გასაცნობად ამ პროექტ-

Ту-134 ტიპის თვითმფრინავს გუშინ თბილისიდან ლენინგრადისკენ უნდა აეღო. რეისი არ შედგა. თვითმფრინავი აეროპორტიდან ცოტა ხნის შემდეგ კვლავ თბილისის აეროპორტში დაეშვა.

გეგა კობახიძე, სოსო წერეთელი, გია ტაბიძე, პაატა ივერიელი, კახა ივერიელი, დავით მიქაბერიძე ანუ... „თვითმფრინავის ბიჭები", ასე შეარქვეს მათ განვლილი 17 წლის მანძილზე...

ინფორმაციას, რომელსაც მაშინ საქინფორმი ავრცელებდა, უბრალოდ პრიმიტიულს ვერ უწოდებს კაცი. ჭეშმარიტების გაყალბების საბჭოური მანქანა არნახული სიმძლავრით ამოქმედდა. თვითმფრინავის გამტაცებლები „თავისუფალი იმპროვიზაციები" იქამდეც კი მივიდა, რომ ოფიციალურ კორესპონდენციებში ჯერ კიდევ ... თითქოს ... (?!)

ახალგაზრდების ელიტური ნაწილის წარმომადგენელთა პოლიტიკური პროტესტი ის მეტი იყო, რომელმაც მთელ საბჭოეთს გადაურბა...

გასულ თვეში კიდევ ერთხელ მოექცნენ „თვითმფრინავის ბიჭები" საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ამჯერად, როგორც „ჯინსების თაობა". სწორედ ასეა დასათაურებული მწერალ დავით ტურაშვილის პიესა, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში ...

... განაჩენს ამ საქმის გარშემო იმჟამინდელი გენერალური პროკურორი, ანზორ ბარაბაძე ხელმძღვანელობდა, რომელმაც შემდგომში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. პარლამენტარი ვახტანგ რაზმაძე მაშინ ბარაბაძის მოადგილე გახლდათ...

**— 1983 წელს თქვენ გენერალური პროკურორის მოადგილე იყავით. შეიძლება თუ არა თქვენი დამოკიდებულება 18 წლისწინანდელ მოვლენებთან გავიგოთ?**

— როგორც მაშინ ვუყურებდი ამ ფაქტს, ახლაც ისე ვუყურებ.

**— ანუ, როგორ?**

— როგორ და... ადამიანს თავისუფლებისთვის ბრძოლაში უნდა დაუჭირო მხარი, მაგრამ თუ ის თავის თავისუფლებას რამდენიმე ადამიანის სიცოცხლეს შესწირავს, მან ამისთვის პასუხი უნდა აგოს. იმ დროს, თუ სურვილი ჰქონდა ადამიანს, საზღვარგარეთ წასვლა პრობლემას არ წარმოადგენდა. ტურისტული ორგანიზაციები მუშაობდა და ტურისტები საზღვარგარეთ დადიოდნენ. ამ ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს ... 70-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე დააყენეს საფრთხის ქვეშ. იქ რამდენიმე დაიღუპა კიდეც...

*„ალფის" შტურმის შემდეგ თვითმფრინავი, როგორც თვითმხილველები ამბობენ, ... „სახარება და ... სისხლით ..." ...*

**— ეს ალბათ ნაკლებად დასაჯერებელია, ისე კი არის აზრი, რომ გადაწყვეტილების მიღება მოსკოვში მოხდა...**

— ანზორ ბარაბაძეს ჰქონდა ურთიერთობა ცენტრალურ კომიტეტთან და მოსკოვთანაც. მოსკოვიდან, რა თქმა უნდა, დაინტერესება იყო, თვითმფრინავის გატაცება არ არის პატარა დანაშაული, მით უმეტეს 1983 წელს, როცა ... საბჭოთა მოქალაქე უცხოეთში ... როგორ უნდა წავიდეს!.. რა თქმა უნდა, საკავშირო პროკურატურას და საკავშირო ცენტრალურ კომიტეტს ... კონტროლზე ჰყავდა აყვანილი. ... რაც შეეხება განაჩენის სისრულეში მოყვანას — ... 

— თბილისში.

ბატონი ვახტანგ რაზმაძის საუბარში ბევრი პაუზა და სახეზე ოდნავ გამკრთალი ღიმილი იყო. ეს ყოველივე კი ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ბატონმა ვახტანგმა გაცილებით მეტი იცოდა, ვიდრე ... 

განაჩენი 1984 წლის შემოდგომაზე აღასრულეს. შეტყობინება დახვრეტილთა ოჯახებს არ მიუღიათ. ბევრი მათგანი წლების მანძილზე გზავნიდა „პერედაჩებს" სხვადასხვა მისამართზე და ატანდა ვითომდა მათი შვილების „ნაცნობებს."

ისედაც განამებული და აბუჩად აგდებული ხალხი მზად იყო ანონიმურ სატელეფონო ზარსა თუ შემთხვევით გამოჩენილი გადამთიელის სიტყვას ჩასჭიდებოდა. რამდენიმე მათგანი, ასე, იმედს აყოლილი რუსეთის ქალაქებშიც მიემგზავრებოდა და იქიდან გაწბილებული ბრუნდებოდა... მხოლოდ წლების შემდეგ ხვდებოდნენ, რომ ეს ყოველივე ისევ და ისევ „კგბ"-ს ტრიუკები იყო და მეტი არაფერი...

არ გახლავთ ცოცხალი იმჟამინდელი გენერალური პროკურორი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ამ ქვეყანაზე აღარ არის მოსამართლე თემურ გერსამია, რომელმაც განაჩენი გამოიტანა (ცნობისათვის — სწორედ გერსამიამ გამოუტანა განაჩენი სოლიკო ხაბეიშვილსაც).

ოთარ ხატიაშვილი, უშიშროების კომიტეტის იმჟამინდელი თავმჯდომარის, ალექსი ინაურის მოადგილე.

**— ბატონო ოთარ, მაინც სად მოხდა გადაწყვეტილების მიღება ბიჭების დახვრეტის შესახებ, თბილისში თუ მოსკოვში?**

— ეს საკითხი უფრო მაღალ ეშელონებში წყდებოდა. თუმცა ამ საქმესთან შეხება მეც მქონდა. გადაწყვეტილება თბილისში იქნა მიღებული მოსკოვთან შეთანხმებით...

ასეთი იყო პასუხი, რომელიც საჩხერიდან მომავალმა ბატონმა ოთარმა (ტელეფონით) გაგვცა...



## დახვრეტილი „თვითმფრინავის ბიჭები"...

### „იცით რა... ძნელია ამაზე ლაპარაკი"

**— განაჩენი... დღეს იმაზე უფრო საუბრობენ, რომ ეს ბიჭები სასჯელის უმაღლეს ზომას არ იმსახურებდნენ...**

— იცით, რა... ძნელია ამაზე ლაპარაკი. მოსამართლეზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული. მოსამართლე კანონის ფარგლებში მოქმედებდა. მას არაფერი გადაუჭარბებია. სასჯელის ამ ზომას ითვალისწინებდა სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლი. თუმცა, მე რომ ვყოფილიყავი მოსამართლე, რას გავაკეთებდი, ჩემი საქმეა. დღეს ამას არ ვიტყვი.

**— მაინც რას?**

— მე რომ მოსამართლე ვყოფილიყავი, შეიძლებოდა განაჩენი ცოტა სხვანაირი ყოფილიყო. იმ მოსამართლემ ასე გადაწყვიტა. სხვათა შორის, ძალიან კვალიფიციური და ძლიერი მოსამართლე იყო თემურ გერსამია.

**— თქვენ მართლა თვლით, რომ გადაწყვეტილება მოსამართლემ დამოუკიდებლად მიიღო?**

— მაშინ მოსამართლეები დღევანდელთან შედარებით, რა თქმა უნდა, გაცილებით დამოუკიდებლები იყვნენ...

მხარს უჭერდა ბრალდებას...

*სახელმწიფო უწყებათა „ერთსულოვნება" გასაგები იყო. ინტელიგენციამ მაინც სცადა შეწყალების წერილით შეეცვალა განაჩენი. თუმცა ზეწოლამ თუ დარწმუნების სხვა მეთოდებმა გაჭრა. — ფაქსიმილე მხოლოდ რამდენიმე ბელის მომწერმა არ წაიღო უკან...*

**— და მაინც... შეიძლებოდა თუ არა მათი გადარჩენა...**

— ეს ალბათ შევარდნაძეს უნდა ჰკითხოთ. (პაუზის შემდეგ) თქვენ ალბათ არ გახსოვთ ის რეჟიმი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით... ეს სხვანაირი რეჟიმი იყო... განაჩენი გამოიტანეს. საქართველოს უმაღლესი საბჭოს შეწყალების კომისიამ უარი თქვა შეწყალებაზე. ასევე მოსკოვშიც...

**— ჩიხლაძე (მღვდელი, რომელიც თვითმფრინავში არ იმყოფებოდა)?**

— დახვრეტაზე მე ნუ მეკითხებით!

**— განაჩენის აღსრულება როდის მოხდა?**

— 3 თუ 4 ოქტომბერს, 1984 წელს.

**— თბილისში?**

ისე კი, შეუძლებელია არ დაეთანხმო სოსო წერეთლის მამას, პროფესორ კოტე წერეთელს იმაში, რომ ბიჭების რეაბილიტაცია უკვე მოხდა. არ გაიზიარო გეგა კობახიძის დედის, ქალბატონ ნათელა მაჭავარიანის აზრი, რომელიც ითხოვს, რომ ის ცოდვები, რომლებიც მათ მიაწერეს, არ დარჩეს ამ ბიჭების კისერზე. დასმული კითხვის პასუხად კი შეიძლება გამოდგეს ივერიელების მამის, 1 წლის წინ გარდაცვლილი ვაჟა ივერიელის დიდსულოვანი სიტყვები — „რაც მოხდა, ყველაფერი იმჟამინდელი რეჟიმის პირობებმა განაპირობეს, თორემ პიროვნულად ვინ მოაწერა ხელი, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ეს ტრაგედია უფრო ეპოქის ტრაგედია იყო..."

*მაია გაბუნია*

## შვიდი წელია, მზის სხივი არ მინახავს...

თენგიზ ასანიძეს, პრეზიდენტისგან შეწყალებულ მსჯავრდებულს, აჭარის უზენაესმა სასამართლომ 2 ოქტომბრის განაჩენით პატიმრობა 2006 წლამდე გაუგრძელა. მსჯავრდებულის დამცველის ზაზა ხატიაშვილის შუამდგომლობით ეს განაჩენი გასაჩივრდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. საკასაციო პალატა თანახმაა საქმის განხილვის პროცესში მონაწილეობა მიიღოს თავად განსასჯელმა.

საქმის განხილვა 21 დეკემბრისათვის დაინიშნა. სასამართლომ უარყო დაზარალებული გოგიტიძის მხარის წარმომადგენლის ვალერი გიორგაძის თხოვნა გამსვლელი სხდომის ბათუმში ჩატარების შესახებ.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილების შემდეგ განსასჯელი აჭარის უშიშროების სამინისტროს იზოლატორში ინახულა მისმა ადვოკატმა ზაზა ხატიაშვილმა, რომელიც ინტერვიუზე დაგვეთანხმდა.

**— ბატონო ზაზა, როგორ შეხვდა თენგიზ ასანიძე უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის გადაწყვეტილებას?**

— მე და თენგიზი ერთ პოზიციაზე ვდგავართ და მიგვაჩნია, რომ უზენაესმა სასამართლომ მიიღო კანონიერი გადაწყვეტილება, — საკასაციო ინსტანციის სასამართლოში განსასჯელის მონაწილეობის თაობაზე.

**— თენგიზ ასანიძემ არაერთხელ განაცხადა, რომ მის სიცოცხლეს შესაძლებელია საფრთხე დაემუქროს. ეს ხომ არ უკავშირდება განსასჯელის ეტაპირებას ან ამ განცხადების დამადასტურებელი რაიმე ცნობა ხომ არ გაქვთ?**

— თენგიზ ასანიძე რომ უკანონო პატიმარია, მთელმა საქართველომ იცის. დემოკრატიულმა ინსტიტუტებმა და მათ შორის სახალხო დამცველმაც კი არაერთხელ დააფიქსირეს თავისი დამოკიდებულება ასანიძის საქმესთან დაკავშირებით. პრეზიდენტის შეწყალების მიუხედავად, ის არ გაუთავისუფლებიათ და ახალი საქმე შეუქმნეს. ჩემი აზრით, როცა კანონიერი გზით მოვახერხებთ ასანიძის გათავისუფლებას და აჭარის სამართალდამცავებს არ მიეცემათ ახალი სისხლის სამართლის საქმის „შეკერვის" შესაძლებლობა, მას მოკლავენ. აშკარაა ისიც, რომ „ვიღაცას" მისი გათავისუფლება არ აძლევს ხელს. ასანიძე ჰგავს მონას, რომელსაც არც უფლებები გააჩნია და ვერც ვერავინ ეხმარება. 16 დეკემბერს უნდა მოხდეს მისი ეტაპირება. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და შესაბამისი სამსახურები ვალდებულნი არიან, სასამართლოს ეს განჩინება შეასრულონ. მაგრამ არ არის გამორიცხული, მოხდეს რაღაც პროვოკაციაც, რომელიც შესაძლოა სავალალოდ დამთავრდეს.

თენგიზ ასანიძე საკუთარ თავს პოლიტტუსაღად მიიჩნევს. 7 წლის პატიმრობის შემდეგ, მან პირველად გაგვაცნო დაპატიმრების დეტალები:

— ასლან აბაშიძემ უზენაეს საბჭოში დამიბარა. კაბინეტში შესვლისთანავე შევატყვე, რომ უგუნებოდ იყო (ბატონი თენგიზი საუბრისას ცდილობდა, ასლან აბაშიძის სახელი არ ეხსენებინა). შემდეგ ფანჯარასთან დადგა და ზურგი მომაქცია. ეს საქციელი ჩემთვის მიუღებელი და დამამცირებელია, მაგრამ თავი შევიკავე და არაფერი მითქვამს. ორთავე ვდუმდით. რამდენიმე წუთის შემდეგ გავიდა მეორე ოთახში, საიდანაც უმალ გამოცვივდნენ მისი მცველები. ხელები გადამიგრიხეს და ბორკილები დამადეს...

ადამიანს, რომელსაც აპატიმრებენ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში, ასამართლებენ უკანონოდ, შემდეგ მას იწყალებს პრეზიდენტი, მაგრამ არ ათავისუფლებენ, როგორ ფიქრობთ, პოლიტიკური ტუსაღი არის თუ არა?! არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჩემი დაპატიმრების შემდეგ ოჯახის ყველა წევრის, მათ შორის ქალები და ბავშვები „კონტროლზე აიყვანეს", ჩემს შვილებს დღესაც დევნიან, — გვითხრა თენგიზ ასანიძემ.

იგი სასჯელს აჭარის უშიშროების იზოლატორში იხდის. საკანი 8-10 კვმ-ია. აქვს ტელევიზორი, კედელზე გაკრულია ოჯახის წევრთა უამრავი სურათი (ძალიან მენატრება ყველაო). პატარა ხარკმელი გარედან შელებილია. შეხვედრის დროს აშკარად ჩანდა, რომ ადამიანებთან ურთიერთობა ენატრება. სინანულით მითხრა, — დღის სინათლე შვიდი წელია, არ მინახავს. ერთხელ ვნახე მხოლოდ მთვარე, — შემდეგ წუთით ჩაფიქრდა და განაგრძო, — მასზე ლექსიც დავწერე, მაგრამ რატომღაც ვერ ვიხსენებ, ვღელავო...

*ავთანდილ გადახაბაძე*

*ბათუმი*

## როგორი ხელშეკრულება უნდა დავდოთ ეი-ი-ეს-თელასთან

ცნობილმა ქუჩის აქციებმა და საკმაოდ აგრესიულმა გამოსვლებმა, ხოლო შემდგომ ენერგეტიკაში შექმნილი მდგომარეობით მაღალჩინოსანთა დაინტერესებამ ზედაპირზე კიდევ ერთხელ ამოატივტივა ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ეი-ი-ეს-თელასსა და მოსახლეობას შორის ჯერ კიდევ ორი წლის წინ უნდა გაფორმებულიყო. ამ ხნის მანძილზე თბილისში ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანია საკმაოდ წარმატებით ახორციელებდა მრიცხველების გარეთ გატანას, მაგრამ მოსახლეობის მიმართ საკუთარი ვალდებულებების ქაღალდზე დაფიქსირებას რატომღაც არ ჩქარობდა. რა იყო ამის მიზეზი? დღეს ეი-ი-ეს-თელასი თამამად აცხადებს, რომ კომპანია მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღებას თითქმის 100%-ით ახერხებს. ხელშეკრულება კი მას მხოლოდ ზედმეტ ვალდებულებებს წამოჰკიდებდა ზურგზე — მოსახლეობა ხომ ისედაც მშვენივრად იხდის ფულს?! ქუჩის აქციებიდან ზუსტად ერთ კვირაში საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკი) ყველა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო უწყებაში აღნიშნული ხელშეკრულების პროექტი გააგზავნა. მას, ალბათ, ქვეყნის პრეზიდენტიც წაიკითხავს. რაც შეეხება ხელშეკრულების, უკვე როგორც იურიდიული დოკუმენტის დამტკიცებას, მას იუსტიციის სამინისტრო დაამტკიცებს. როგორც სემეკ-ში გვითხრეს, ეს პროცესი დაახლოებით ორი კვირა გაგრძელდება და შემდგომ მოსახლეობას უკვე შესაძლებლობა ექნება საკუთარი უფლება-მოვალეობა ეი-ი-ეს-თელასის მიმართ ხელშეკრულების სახით დააფიქსიროს.

და მაინც, რა უფლება-მოვალეობას მიანიჭებს ხელშეკრულება მომხმარებელს?

საერთოდ, მოსახლეობა ყველაზე ხშირად პრეტენზიას უხარისხო დენის მიწოდების გამო გამოთქვამს (რა თქმა უნდა, თუკი საერთოდ არის ელექტროენერგია). რამდენად პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ჩვენ, მომხმარებელს სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით დღესაც გვაქვს უფლება სასამართლოში სარჩელი შევიტანოთ მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად(!) ამჯერად მტკიცებულების მთელი სიმძიმე მომხმარებელზე გადადის — დაზარალებულმა უნდა დაამტკიცოს, რომ მიყენებული ზარალი, მაგალითად, ელექტროხელსაწყოს გადაწვა, ელექტროენერგიის ძაბვის მომატებამ გამოიწვია. მომხმარებლის მიმართ ხარისხიანი დენის მიწოდების შესახებ ვალდებულება თბილისში ელექტროენერგიის ერთადერთ გამანაწილებელ კომპანიას ეი-ი-ეს-თელასს, ფაქტობრივად, არსად დაუფიქსირებია და ყოველგვარი მტკიცებულება აქ უკვე აზრს კარგავს. ხელშეკრულების უმთავრესი მიზანიც სწორედ ის არის, რომ მომხმარებლისთვის ხარისხიანი დენის მიწოდებაზე უშუალო პასუხისმგებელი დაფიქსირდეს.

ეი-ი-ეს-თელასს არ სურს უხარისხო დენის მიწოდებაზე იყოს პასუხისმგებელი და ძაბვის ცვალებადობაზე მთელ პასუხისმგებლობას საქენერგოს, ანუ სახელმწიფოს აკისრებს. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის პოზიცია კი ასეთია: მოსახლეობისთვის ხარისხიანი ელექტროენერგიის მიწოდებაზე პასუხისმგებლობა ეი-ი-ეს-თელასმა თავის თავზე უნდა აიღოს, ხოლო ის არგუმენტი, რომ საქენერგო მას ხარისხიანი დენით ვერ უზრუნველყოფს, მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება. მოსახლეობას დენი თელასის ქვესადგურების გავლით მიეწოდება და ამდენად, ძაბვის დარეგულირება აქაც შესაძლებელია. ამ პოზიციას იზიარებს ანტიმონოპოლიური სამსახურიც. სხვათა შორის, სემეკ-ში უკვე დევს მათი დასკვნა ხელშეკრულების პროექტის შესახებ, საიდანაც ირკვევა, რომ პროექტი მთლიანობაში ანტიმონოპოლიური სამსახურისთვისაა მისაღები. თუ უფრო კონკრეტულები ვიქნებით, კვლავინდებურად ძალაში დარჩება ელექტროენერგიის საფასურის ქვითრის წესით გადახდა, ანუ მომხმარებელი თვის პირველ რიცხვებში მიიღებს სპეციალურ ქვითარს, სადაც დაფიქსირებული იქნება გადასახდელი თანხა. დღემდე პრობლემად რჩება ის საკითხი, რომ ეი-ი-ეს თელასის მიერ ქაღალდზე დაფიქსირებული დახარჯული ელექტროენერგიის მოცულობა და მრიცხველის მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვევა. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ თუკი მომხმარებელს ამ საკითხზე პრეტენზია გაუჩნდება, მას შეუძლია იგი გააპროტესტოს და ამის შესახებ ეი-ი-ეს-თელასს აცნობოს. თუკი დადასტურდა, რომ ცდომილება ქვითარსა და მრიცხველს შორის 2%-ზე ნაკლებია, მაშინ მომხმარებელი ჩვეულებისამებრ იხდის თანხას, ხოლო თუკი იგი 2%-ზე მეტი იქნება, მაშინ ეი-ი-ეს-თელასი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეიტანოს შესწორება. რაც შეეხება მრიცხველებზე ლუქის დაზიანებას, ეი-ი-ეს-თელასი ამგვარი ფაქტის დაფიქსირებისას, მომხმარებელს 5 ლარით დააჯარიმებს. ანტიმონოპოლიური სამსახური ამგვარი სახის სანქციის გატარების წინააღმდეგია და ასე ვთქვათ, ულუქო მრიცხველების დამონტაჟებას მოითხოვს. რაც შეეხება თავად მრიცხველების მოხსნისა და ე.წ. კაბელების ჩაჭრის საკითხს, ხელშეკრულება მომხმარებელს ავალდებულებს, ქვითრის მიღებიდან 15 დღის ვადაში გადაიხადოს მასზე დარიცხული თანხა. ყოველ გადაცილებულ დღეზე მომხმარებელს საერთო თანხის 0,2% დაემატება. როდესაც ჯარიმის სახით გადასახდელი თანხა (ანუ 0.2%) მიაღწევს მთლიანი თანხის 10%-ს, მაშინ მომხმარებელს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდება და არ მოხდება არც კაბელის ჩაჭრა და არც მრიცხველის მოხსნა, რაც დღემდე არაერთხელ დაფიქსირებულა. ხელახალი ჩართვისას კი მომხმარებელი მხოლოდ მის მიერ იმ დროისათვის დახარჯული ელექტროენერგიის საფასურს გადაიხდის. მას დაემატება თელასის მომსახურებისთვის გადასახდელი 2 ლარიც. ამ პროცედურის გავლის შემდეგ „ეი-ი-ეს-თელასი" ვალდებულია, მრიცხველი დაუყოვნებლივ ჩართოს.

სხვათა შორის, ხელშეკრულების პროექტში გაკვრით არის ნახსენები მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის დეპოზიტური სისტემის შემოღების შესახებ — ეი-ი-ეს-თელასი მომხმარებელს ორი თვის წინასწარ გადახდას სთავაზობს. სემეკ-ი ფიქრობს, რომ არ არის გამორიცხული ეს თანხები არამიზნობრივად დაიხარჯოს, რადგან ეი-ი-ეს-თელასი პროექტში არ აკონკრეტებს, თუ რა სახით და როგორ მოხდება დეპოზიტის დახარჯვა. ალბათ, ეს საკითხი მწვავე განხილვის საგანი გახდება, რადგან იგი აბსოლუტურად ცვლის გადახდის სისტემას. ასეა თუ ისე, ეი-ი-ეს-თელასი სულ მალე იძულებული გახდება მომხმარებელთან საკუთარი მოვალეობები უკვე ქაღალდზე დააფიქსიროს. ეს კი ამერიკული კომპანიისთვის საქართველოს ენერგობაზარზე საბოლოო დამკვიდრების საფუძველი იქნება.

*ლელა წითლანაძე*

# საქართველოს ენერგეტიკას რომ ერთი მამა ჰყავდეს, არ იქნებოდა ასეთი მიუსაფარი ნაბიჭვარი...

*დღევანდელი ხელისუფლება ოპოზიციის ნაკლებობის გამო ნამდვილად ვერ დაიჩივლებს (მას ლამისაა ქვეყნის მთელი მოსახლეობა უდგას ოპოზიციაში), მაგრამ ოპოზიციაც არის და ოპოზიციაც. დღევანდელ ხელისუფლებას ახალი ოპოზიციური ძალა უპირისპირდება ექსპარლამენტართა კავშირის სახით. ადამიანები, რომლებიც გუშინ იყვნენ ხელისუფლებაში, დღეს ხელისუფლების ოპოზიციაში მიდიან და თანაც საკმაოდ ომახიანი განცხადებით — ამათგან განსხვავებით, ჩვენ ღირსება არ შეგვილახავს ვილების მშენებლობითა და საკუთარი ბიზნესის ლობირებითო. 175 ყოფილი პარლამენტარის გაერთიანების, ანუ ექსპარლამენტართა კავშირის თავმჯდომარე გურამ უსტიაშვილი „კვირის პალიტრის“ სტუმარია.*



**გურამ უსტიაშვილი 1992-95 წლების მოწვევის პარლამენტის წევრი, სახალხო-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე:**

— პრობლემები, რომლებიც დღეს აქვს საქართველოს, ხელოვნურადაა შექმნილი იმ ძალების მიერ, რომლებიც მართავენ მსოფლიოს, რომელთაც დაშალეს საბჭოთა კავშირი და დაიწყეს საქართველოს დაშლაც. 1987-88 წლებში ეს პროცესი გორბაჩოვის ე.წ. გარდაქმნის პროგრამით დაიწყო. იქ იყო ერთი მუხლი „დესტალინიზაცია“, რომელიც გულისხმობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას — აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ჩამოცილებას და პლუს ენერგოსისტემების მწყობრიდან გამოყვანას. ამის გამო დაიწყო ხუდონჰესის მშენებლობის წინააღმდეგ გამოსვლები. ძირითადად მაშინ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციები აქტიურობდნენ. მათ შორის იყვნენ ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და ნოდარ ნათაძეც. მათ იმ პერიოდში არც ისეთი პოლიტიკური ძალა ჰქონდათ და არც ისეთი გავლენა საზოგადოებაში, რომ ეს საკითხი გადაეწყვიტათ, მაგრამ ყველაფერი გორბაჩოვის გეგმით ხდებოდა.

**— გინდათ თქვათ, რომ პოლიტიკოსები, რომლებიც მაშინ აქტიურობდნენ, ვიღაცის, უფრო კონკრეტულად კი რუსეთის მითითებას ასრულებდნენ?**

— ასეთი პირდაპირი ბრალდების წაყენება შეუძლებელია. ისინი ინსპირირებულნი ან პროვოცირებულნი იყვნენ, ან მითითებული ჰქონდათ რაღაც. შესაძლოა, ისიც, რომ ისინი გულუბრყვილოდ, საკუთარი ინიციატივითაც მოქმედებდნენ. მათ ხმაური ატეხეს, რომ ხუდონჰესის მშენებლობის გამო ილუპებოდა სოფელი ცაიში, მისი კულტურული ძეგლები. და კიდევ, მიწისძვრის დროს თითქოს შეიქმნებოდა საფრთხე, რომ გამსკდარიყო კაშხალი, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს წალეკავდა. ისინი, ვინც მაშინ ყვიროდნენ, ენერგეტიკოსები არ ყოფილან... მათ უნდა მოეთხოვათ საგანგებო ექსპერტიზა, რომ სპეციალისტებს ეთქვათ გადამწყვეტი სიტყვა და არა ხელაღებით განეცხადებინათ უარი ხუდონჰესის მშენებლობაზე, რომლის ამოქმედება საქართველოსაც უზრუნველყოფდა ელექტროენერგიით და მისი ექსპორტის საშუალებასაც შექმნიდა. ჩვენთან კი რა მოხდა? საქართველოს მთავრობამ დაიწყო მოლაპარაკებები მოსკოვთან. გორბაჩოვმა ცკ-ის მდივანს (ჯუმბერ პატიაშვილს) გამოუგზავნა დეპეშა — არ გააღიზიანოთ ეროვნული მოძრაობა, მშენებლობა დროებით შეაჩერეთო. საქართველოს მთავრობამაც დახურა მისი მშენებლობა.

უდავოა, რომ ენერგეტიკული კრიზისი პოლიტიკურ ელფერს იძენს. არ გამოვრიცხავ, რომ ამას მოჰყვეს საკითხი — სანდო პირი დაინიშნოს ენერგეტიკის მინისტრად ან ყველა სახის ენერგომატარებელი რესურსი ერთ სამინისტროში გაერთიანდეს. საქართველოს ენერგეტიკას რომ ერთი მამა ჰყავდეს, არ იქნებოდა ასეთი მიუსაფარი ნაბიჭვარი... მაგრამ ის ადამიანი, რომელიც ამ სისტემის სათავეში მოვა, ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდება. ხალხი ნელ-ნელა ფხიზლდება და არ გაუჭირდება საკადრისი მიუზღოს მას, ვინც საქართველო ამ დღეში ჩააგდო. ის ყველას გაუსწორდება, რა გვარისაც არ უნდა იყოს, რა თანამდებობაზეც არ უნდა მუშაობდეს და მსოფლიოს რომელი სამსახურის განსაკუთრებული ემისარიც არ უნდა იყოს.

ამ რამდენიმე წლის წინ იყო საუბარი — გადავაქციოთ საქართველო ევროპის „კორიდორადო“. როგორ უნდა აკადრო ქვეყანას, რომ „კორიდორი“ უწოდო?! სხვაა, ისაუბრო ქვეყნის სატრანზიტო შესაძლებლობებზე და არა „კორიდორზე“. „კორიდორად“ ისევ ის ხალხი გადაიქცა, ვინც ამ თემაზე საუბრობდა. ბოლო დროს წამოიწია თემამ — არშემდგარი სახელმწიფო. ესეც იდეოლოგიური პოსტულატია, ნებსით თუ უნებლიეთ ნათქვამი. ძალიან ცუდი და საშიშია ხალხს თუ იმას ჩაუნერგავენ, რომ ისინი არშემდგარი სახელმწიფოს არშემდგარი მოქალაქეები არიან. ეს ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობისთვის არის საშიში. რას ნიშნავს არშემდგარი სახელმწიფო? ან რატომ არის საქართველო ასეთი ქვეყანა. 3000 წლიანი სახელმწიფოებრივი ისტორიის მქონე ქვეყანაა არშემდგარი სახელმწიფო?!

**— ყველაფრის თავიდათავი, რაზეც თქვენ საუბრობთ, ყბადაღებული კორუფციაა, რამდენიმე დღის წინ ანტიკორუფციულმა პროგრამამ იხილა დღის სინათლე, იქნებ ეს დოკუმენტი იქცეს რაღაც დადებითი ბიძგის მომცემად ჩვენი ქვეყნისათვის?**

— დოკუმენტი, რომელიც ანტიკორუფციულმა კომისიამ შეადგინა, ადასტურებს, რომ სახელმწიფო ხელისუფლება მთლიანად (დიდიც და პატარაც) კორუფციაშია ეჭვმიტანილი. ეს არის პირველი თვითაღიარება სახელმწიფოს უმაღლესი ეშელონების დონეზე. მაგრამ რამდენად მისაღები და ძლიერია ეს დოკუმენტი, როცა არ არის მიღებული კანონი კორუფციის შესახებ? ანტიკორუფციული პროგრამის თანახმად, კორუმპირებულია საჯარო მოსამსახურე, რომელიც თანამდებობას პირადი ინტერესებისთვის იყენებს. ჩვენ სხვანაირი განსაზღვრება გვაქვს — კორუფცია არის სახელმწიფო ხელისუფლებითა და კანონებით ვაჭრობა და შუამავლობა. პირადი, ჯგუფური, ნათესაური, კლანური ინტერესების დაკმაყოფილებისთვის, კორუფციული ინტერესების განხორციელების ერთ-ერთი მთავარი იარაღია პროტექციონიზმი. რაც ამ დოკუმენტში საერთოდ არ არის განსაზღვრული. ეს დოკუმენტი უნდა მიუთითებდეს კორუფციული ფენების მისამართს. კორუფციაში ეჭვმიტანილნი არიან ის პირები, რომლებიც ფლობენ და განკარგავენ სახელმწიფო ხელისუფლებას. კორუფციაში ეჭვმიტანილი არ შეიძლება იყოს რიგითი მოქალაქე, რომელსაც არ გააჩნია არანაირი ძალაუფლება, არ შეუძლია სახელმწიფო გადაწყვეტილების მიღება. კორუმპირებულები არიან ისინი, ვინც სიტუაციას ფლობენ, განკარგავენ ან იყენებენ თავისი ან თავიანთი ახლობელ-ნათესავების ინტერესებისათვის. როცა ესა თუ ის მინისტრი, პრეზიდენტი, რაიონის გამგებელი ან მერი თავის ახლობელს ასაქმებს სახელმწიფო ხელისუფლებაში, გასაქანს აძლევს ბიზნესის განვითარებაში — ეს არის კორუფცია, უფრო მეტიც, ზეკორუფცია.



„ეს საირმეზე, აბა ვერეს ხევშიც ჩაიხედეთ...“

ამ დოკუმენტის მთავარი ნაკლი ის არის, რომ არ აღიარებს სისტემის კორუმპირებულობას. რომ ადამიანი კი არ არის კორუმპირებული, არამედ სისტემაა ასეთი. ადამიანი, რომელიც დაუპირისპირდება ამ სისტემას, ისე გაიჭყლიტება, როგორც გაქანებული მატარებლის ბორბლებქვეშ ჩავარდნილი. ამიტომ ამ კანონში მოცემული უნდა იყოს პუნქტი საჯარო მოსამსახურის დაცვის მექანიზმის შესახებ. მე, საჯარო მოსამსახურე თუ დავუპირისპირდი კორუფციას, კანონმა უნდა დამიცვას.

უმაღლესი სასწავლებლები საბჭოთა პერიოდში კორუფციის ბუდე იყო. ბევრი რექტორი, დოცენტი და პროფესორი დასჯილა ქრთამის აღების გამო. ამ კორუფციის ბუდეში გაზრდილი ხალხი სამსახურს ყიდულობდა და მერე ამ დახარჯული ფულის ამოგებაზე მუშაობდა. ანტიკორუფციულ პროგრამაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაიქცეს საბჭოთა კორუმპირებული უმაღლესი სისტემა, წესიერ სისტემად. რომის იმპერია ისე დაეცა, იქ ცოდნა არ გაყიდულა. საბჭოთა სისტემაში 70 წლის მანძილზე იყიდებოდა ცოდნა. ფული ღირდა ნებისმიერი გამოცდა. რა ხდება დღეს? ვინ მართავს ინსტიტუტებს? ვინ დანიშნა ისინი იქ? ვაპირებთ დავიწყოთ რამდენიმე წამყვანი ინსტიტუტის ხელმძღვანელის საქმიანობის შესწავლა. ჩვენ გვაქვს ამის უფლება.

პროტექციონიზმის გამოა, რომ ქართველი ხალხი იძულებულია თავშესაფარი საზღვარგარეთ ეძიოს. ჩვენი გენოფონდის ყველაზე აქტიურმა ნაწილმა დატოვა ქვეყანა. 10 ათასობით ქართველი გოგონა წასულია საზღვარგარეთ. ეს ის გურჯი-ხათუნები არიან, რომელთაც უცხოელი პოეტები ლექსებს უძღვნიდნენ. ეს გოგონები ლუკმაპურის საშოვნელად დღეს იძულებულნი არიან წავიდნენ ისეთ ადამიანებთან, ისეთ საზოგადოებაში საზღვარგარეთ, რომლებთანაც სხვა ვითარებაში დალაპარაკებასაც არ იკადრებდნენ. ამისთვის პასუხი უნდა აგოს ამ ხელისუფლებამ. მან პასუხი უნდა აგოს იმისათვის, რაც დამართეს დღეს ქართველ ქალს, რომელიც კდემამოსილებისა და პატიოსნების სიმბოლო იყო. ეს ჩვენი, კაცების სირცხვილია, რომ ქართველი ქალები ვერ დავაფასეთ. დამნაშავენი ვართ ყველანი. სახელმწიფო იმისთვის არის, რომ ხალხს უპატრონოს. ეს ხელისუფლება კი მარტო თავის თავს პატრონობს. ვილები მარტო საირმეზე კი არ შენდება. აბა, მდინარე ვერეს ხევში გადაიხედეთ, რა მდგომარეობაა... იქ განსაკუთრებული ქალაქი აშენდა. როგორ შეიძლება ჩინოვნიკი უფრო მდიდარი იყოს, ვიდრე მეწარმე. დაბოლოს, ვაპირებთ წერილით მივმართოთ პრეზიდენტს, რომ ანტიკორუფციულ კომისიის წევრთა ბიოგრაფიები, ქონებრივი დეკლარაციები და საერთოდ, მათი პიროვნებები უფრო გამჭვირვალე გახდეს.

**— თქვენი აზრით, ისინი ეჭვს იწვევენ?**

— არ მინდა პირდაპირ ამის თქმა. მაგრამ ხალხში უკვე დადის რაღაც ხმები. კითხულობენ — ვინ არიან ისინიო? რა პრინციპით, რა დამსახურების ან ცოდნის გამო გახდნენ ისინი ანტიკორუფციული პროგრამის შემქმნელნი? სახელმწიფომ ეს დოკუმენტი უკრიტიკოდ, ახალი მესიის ქარტიად მიიღო. ჩვენ კი გვაინტერესებს ამ კომისიის ზოგი წევრის წარსული.

**— ეტყობა, რაღაც ინფორმაცია გაქვთ „შვიდკაცას“ ზოგიერთ წევრზე.**

— ფაქტების გარეშე ვერ ვილაპარაკებ. ორ პიროვნებაზე გვაქვს სერიოზული მასალები, მაგრამ ჯერჯერობით ვსწავლობთ ამ ფაქტებს.

***იზო რიკაძე***

# «შვიდკაცას» თავმჯდომარე «დაუწუნეს»

***თავის დროზე გარეგნული ზარ-ზეიმით და ტაშის გრიალით დამტკიცებულმა „შვიდკაცამ“ თავისი ექვსთვიანი მუშაობის „ნაყოფი“ — კორუფციის გამომწვევი მიზეზები და მასთან ბრძოლის ძირითადი პარამეტრები — პარლამენტართა სამსჯავროზე გამოიტანა.***

## „პოზიცია“ ოპოზიციის როლში

წინასწარი ვარაუდით, საპარლამენტო ოპოზიცია ანტიკორუფციული ჯგუფის წევრებს თავზე რისხვას დაატეხდა და მათ მიერ წარმოდგენილი პროგრამა ყველაზე მეტ დარტყმას სწორედ ოპოზიციისაგან მიიღებდა. მოხდა პირიქით, მართალია, მწარე-მწარე „ქათინაურები“ ლეგენდარული „შვიდკაცას“ მისამართით ოპოზიციის წარმომადგენლებმაც უშურველად აფრქვიეს, მაგრამ ყველაზე რადიკალური ოპოზიციონერის როლი არც მეტი, არც ნაკლები, სწორედ პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, მოქკავშირის ერთ-ერთმა „სტაჟიანმა“ რუპორმა ელდარ შენგელაიამ შეითავსა. ჯერ იყო, ანტიკორუფციული ჯგუფის ხელმძღვანელად ლადო ჭანტურია დაიწუნა და არც აცია და არც აცხელა, უბოდიშოდ განუცხადა, — ლადო, კომისიის თავმჯდომარე შენ არ უნდა ყოფილიყავიო. ბატონმა შენგელაიამ ესეც არ იკმარა და პირდაპირ შევარდნაძე დაადანაშაულა — პრეზიდენტმა დიდი შეცდომა დაუშვა, როცა ჯგუფის ხელმძღვანელად შენ დაგნიშნაო. მერე კი დაიწყო „თითის ქნევა“ ქვეყნის დამქცევთა, ხელფასებისა და პენსიების დამგვიანებელთა და ხალხის უკიდურეს გაჭირვებაში ჩამგდებთა მისამართით. მის გამოსვლას თან ახლდა მღელვარე პათოსი და ისეთი გულისამაჩუყებელი ფრაზები, როგორიცაა: „ხალხო, იღუპება საქართველო“, „ეს არ არის სახელმწიფო“, „მოდით, ერთმანეთს ვუთხრათ სიმართლე, რომ ძალიან მძიმე და სავალალო მდგომარეობაში ვიმყოფებით“ და ა.შ. ამ სიტყვებზე დარბაზში ყველას ღიმილი მოეფინა პირზე — თვით პარლამენტის თავმჯდომარესაც კი. არ ეღიმებოდა მხოლოდ „შვიდკაცას“ „დაწუნებულ“ თავმჯდომარეს ლადო ჭანტურიას, რომელმაც შენგელაიას გამოსვლას საპროტესტო რეპლიკით უპასუხა: ბარემ ისიც თქვით, ვინც ჩააგდო ქვეყანა ამ მდგომარეობაში. მე სულ 3 წელია, რაც ხელისუფლებაში ვარ, თქვენ კი უკვე — 10 წელია, სხვებზე რომ ლაპარაკობთ, თქვენი თავიც არ დაგავიწყდეთო. ბოლოს კი დაამატა — თუ ასეთი ტონით გაგრძელდება საუბარი, ჩემი „ამალიანად“ აქაურობას დავტოვებო. ამას კი შედეგად ჭანტურიასი არა, მაგრამ თავად ელდარ შენგელაიას მიერ დარბაზის დემონსტრაციული დატოვება მოჰყვა, — აბა, კარგად იყავით, ხელს არ შეგიშლით, ღმერთმა ხელი მოგიმართოთო.

რაც შეეხებათ სხვა დეპუტატებს, მათ შედარებით ნელთბილად მიმოიხილეს აღნიშნული პროექტი და ასევე ნელთბილად შეაფასეს.

## ვისაც გჯერა, გაგვატარეთ!

რომ აღარაფერი ვთქვათ ანტიკორუფციული პროგრამის ღირსება-ნაკლოვანებებზე, რომელთა შესახებაც ასევე ხანგრძლივი დებატები გამართეს ჩვენმა დეპუტატებმა, უწინდელი მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, გაჩნდა ერთი სრულიად საფუძვლიანი ეჭვი: აღნიშნული პროგრამა რეალურად განხორციელდება, თუ, ისიც თავისი წინამორბედების ბედს გაიზიარებს? დეპუტატებში ამ მხრივ აზრთა დიდი სხვადასხვაობაა — ზოგს სჯერა, ზოგს — არა. „ახალი ფრაქციის“ წევრმა ლევან გაჩეჩილაძემ კომისიის თავმჯდომარეს რიტორიკულად ჰკითხა, — თქვენ გჯერათ, რომ ეს პროგრამა შესრულდება? ლადო ჭანტურიამ ასევე რიტორიკულად უპასუხა, — დიახ, მჯერა. ყოველ შემთხვევაში, მინდა რომ მჯეროდეს! ჭანტურიას მსგავსად სჯერა (თანაც, როგორ!) პარლამენტის თავმჯდომარეს — ზურაბ ჟვანიასაც, რომელმაც პროგრამას „უნიკალური“ უწოდა და მასზე დიდი იმედები დაამყარა. ერთი სიტყვით, საბოლოო ჯამში, სიტუაცია ასეთია: ვისაც გჯერა, გაგვატარეთ!

## საქართველოში კორუფცია ერთადერთი კაცის ბრალია და იმასაც მალე ციხეში ჩასვამენ

დეპუტატმა კობა დავითაშვილმა, რომელმაც ამ ბოლო დროს მასმედიაში ძალოვნებთან დაპირისპირებით გაითქვა სახელი, სხდომაზე ლამის რევოლუცია მოახდინა. თავდაპირველად, პუბლიკას აღფრთოვანებული გამოუტყდა: ამდენი ხანია კორუფციას ვებრძვი და გამიხარდა, როცა გავიგე, რომ ბრძოლა სხვებსაც დაუწყიათ და უფრო დიდი წარმატებისთვისაც მიუღწევიათო. მერე კი მოულოდნელად განაცხადა: ნუ გეშინიათ, ცოტაც მოითმინეთ, მალე ყველაფერი მოგვარდება, იმიტომ რომ საქართველოში კორუფცია ერთი კაცის ბრალია და იმასაც მალე ციხეში ჩასვამენო. დარბაზს კინაღამ სული შეეხუთა. ადვილი მისახვედრია, იმ „ერთ კაცში“ ვისაც იგულისხმებდა იქ მსხდომთა უმრავლესობა, თუმცა დავითაშვილმა დროზე „შეიბრალა“ კოლეგებიც და ჟურნალისტებიც და, ბოლოს და ბოლოს, „კარტები გახსნა“. საზოგადოებამ შვებით ამოისუნთქა, როცა შეიტყო, რომ თურმე ის „ერთი კაცი“ თავად კობა დავითაშვილი ყოფილა. საქმე ეხებოდა მასსა და პროკურატურას შორის არსებულ დაპირისპირებას, რომელიც ახალ ფაზაში შედის და თანდათან მწვავე ფორმებს იძენს. ისე, კორუფციასთან ბრძოლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ძალოვნებისა და მოქალაქეთა კავშირის ურთიერთდაპირისპირება დღითი დღე ნამდვილ, ხელჩართულ ბრძოლას ემსგავსება.

## პოსტსკრიპტუმის მაგიერ

ილუზია, რომ ამ კანონით საქართველოში კორუფცია საერთოდ აღმოიფხვრება, არც ჩვენ გვაქვს და არც თავად ჯგუფის წევრებს, მაგრამ... თვით ის ფაქტი, რომ ანტიკორუფციული პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები მიზანშეწონილად არ მიიჩნევენ სპეციალური ანტიკორუფციული კომისიის შექმნას იმ მოტივით, ვაითუ, მის დასაკომპლექტებლად არაკორუმპირებული ხალხი ვერ ვიპოვოთო, უკვე ძალიან ცუდ რამეზე მეტყველებს.

***ხათუნა ყვირალაშვილი***


## შევარჩევთ მხოლოდ საუკეთესოს!!!

**საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრი (CERMA) აცხადებს კონკურსს ფინანსებისა და საბუღალტრო აღრიცხვის სფეროში კონსულტანტის თანამდებობაზე**

კონსულტანტები შეირჩევიან ტესტირებისა და ინტერვიუების საფუძველზე. კონკურსში გამარჯვებულები გამოცდილ უცხოელ და ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად იმუშავებენ ქართულ საწარმოებში.

**მოთხოვნები:** კონკურსში მონაწილე უნდა გამოირჩეოდეს ფინანსებისა და საბუღალტრო აღრიცხვის სფეროს საფუძვლიანი ცოდნით, უნდა ჰქონდეს ამ სფეროში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, ფლობდეს ინგლისურ ენას, იყოს კომუნიკაბელური და ჰქონდეს ანალიტიკური აზროვნების უნარი, უნდა შეეძლოს კომპიუტერის სრულყოფილად გამოყენება (**Excel, Word, PowerPoint**).

**დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი CV ინგლისურ ენაზე ა/წ 15 დეკემბრამდე შემდეგ მისამართზე:**

**თბილისი, ალ. ყაზბეგის 42ა, საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრი (CERMA).**
**ტელ: 30-77-01/5/6. ფაქსი: 30-77-03**
**ელ-ფოსტა: mailbox@cerma.ge**

# დევნილები ხელისუფლებას კომპენსაციას — 25 ათას დოლარს სთხოვენ

დევნილები საკუთარ ხელისუფლებას დაუპირისპირდნენ, თუმცა, დიდად ტკბილი ურთიერთობა არც ცენტრალურ ხელისუფლებასთან აქვთ. უფსკრული კი დღითი დღე ღრმავდება. აფხაზეთში დაბრუნების იმედგადაწურული მოსახლეობა კომპენსაციის სახით თითოეულ ოჯახზე 25.000 დოლარს ითხოვს; პარალელურად — ავტონომიური ხელისუფლების კომპეტენტურობის საკითხსაც სვამენ. „25.000"-ის გახმაურებას დევნილები ამ კვირაში საპარლამენტო ხელისუფლებაში აპირებენ.

ამ საქმის მოსაგვარებლად აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა საკოორდინაციო საბჭო აქტიურობს (თუმცა, ცხინვალელი დევნილების როლი აქ მეორეხარისხოვანია). შეგახსენებთ, რომ საბჭოსთან თავიდანვე თანამშრომლობდა ტერორისტად შერაცხული ბორის კაკუბავა და ეს ურთიერთობა დღესაც გრძელდება. ამ საბჭოსთან გულთბილი დამოკიდებულება აქვს „აღორძინებასაც".

„კვირის პალიტრა" შეხვდა და ესაუბრა საკოორდინაციო საბჭოს ერთ-ერთ ხელმძღვანელს ბატონ **ელგუჯა გულედანს:**

**— გვიამბეთ საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის და ჩამოყალიბების შესახებ.**

— საკოორდინაციო საბჭო 1996 წელს ჩამოყალიბდა და მასში გაერთიანდა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ჩვენი მიზანი იყო, დაგვეკონსერვებინა ყველა სამოქალაქო ხასიათის წინააღმდეგობა და გავერთიანებულიყავით ერთი საერთო — დაკარგული ტერიტორიების აღდგენის იდეით. მანამდე არსებული ყველა ორგანიზაცია — დევნილთა კავშირი, აფხაზეთის ხსნის კომიტეტი და ა.შ. დღეს ჩვენთანაა. თუმცა რამდენიმე გაერთიანება, რომელიც მიზეზთა გამო არ და ვერ დაუპირისპირდა ავტონომიურ ხელისუფლებას, გამოგვეყო. დღეს საბჭოში ის ხალხია, რომელიც აფხაზეთის დაბრუნების საკითხს ძალზე მკაცრად სვამს და ხელისუფლებას ბრალს სდებს უნიათობასა და უმოქმედობაში. ამ მთავრობის მიზეზით დევნილთა იმ მასას, რომელიც ყველაზე უპოვარი და ლატაკია, დაბრუნების იმედი საბოლოოდ გადაეწურა.

**— ძირითადად რა კონკრეტული მოთხოვნები გაქვთ?**

— დაგვიგროვდა უამრავი დოკუმენტი იმის თაობაზე, თუ როგორი ქაოსია დევნილთა აღრიცხვიანობის, გრანტების გაცემის, შემწეობების თანხების დარიგების საქმეში. გვაქვს კონკრეტული მაგალითებიც: ზუგდიდში, ლტოლვილ ახალაიას სამი თვის შემწეობა მხოლოდ იმ პირობით მისცეს, თუ ერთი თვისას იქვე დატოვებდა. მეტი რა ჩარა იყო! ხელი მოაწერა 36 ლარს და მისცეს 24 ლარი. უარესი შემთხვევების დამამტკიცებელი საბუთებიც გვაქვს: შემწეობის თანხებით, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, მავანნი ბიზნესს ატრიალებენ: ამ ფულით ბაზრობებზე საქონელს ყიდულობდნენ, მერე ყიდდნენ და როდის-როდის, უბრუნებდნენ ლტოლვილებს... განუკითხაობისა და ცინიზმის მორევია. დევნილებში უფრო დიდი მაფიაა, ვიდრე ენერგეტიკაში.

**— როგორ ფიქრობთ, სად მიდის ეს თანხები?**

— გამომძიებლებმა დაადგინონ — ვინ რამდენს „ჭამს". ფაქტია, რომ ეს ფული ისევ მაღალ ეშელონებში — ხელისუფლებაში რჩება.

მათ ხელში ამ წლების მანძილზე იმდენმა თანხამ გაიარა, 10%-იც რომ გაემეტებინათ აფხაზეთის პრობლემისთვის, საქმე ბევრად წინ წავიდოდა; აფხაზებისთვის ისეთი პირობების შექმნა შეიძლებოდა, რომ არძინბას თავისივე ხალხი ჩამოახრჩობდა. სამწუხაროდ, მთელი უბედურება ის არის, რომ ვერც ნადარეიშვილს და ვერც შევარდნაძეს ერთმანეთთან ვერ გაურკვევიათ, რა სჯობს არძინბასთან ურთიერთობაში: მშვიდობიანი მოლაპარაკება თუ ომი. ზუსტად ისე მარჩიელობენ, ერთ მეგრულ სიმღერაში რომ არის — ქუდია თუ ბოხოხიო, — ნატო თუ რუსეთი?!

**— ისე, სიტყვამ მოიტანა და, თქვენ ხშირად პრორუსულ ორიენტაციას გაბრალებენ.**

— რომელი კონფლიქტი მოაგვარა გაერომ, ეუთომ და ნატომ?! ფაქტები სახეზეა: ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი, იუგოსლავიის, ირლანდიის — ვერც ერთი! ჩვენ რისი იმედი გვაქვს? 200-მდე დოკუმენტი დევს გაეროში, მაგრამ რად გინდა, ფარატინა ქაღალდია. არძინბას ძალიანაც აძლევს ხელს ნადარეიშვილისა და შევარდნაძისნაირი პროდასავლელი მტრების ყოლა. იმიტომ, რომ დასავ-

> **მოვითხოვთ, რომ ხელისუფლებამ ყოველ დევნილ ოჯახს 25 ათასი დოლარი მისცეს. ეს იქნება ზნეობრივი ზარალის კომპენსაცია. სადაც უნდა იქ მონახოს სახელმწიფომ სახსრები. განუკითხაობისა და ცინიზმის მორევია... დევნილებში უფრო დიდი მაფიაა, ვიდრე ენერგეტიკაში!**

ლეთის მოგვარებული კონფლიქტი, როგორც გითხარით, არავის ახსოვს. შევარდნაძის სადღეგრძელოსაც კი სვამენ არძინბა და მისი ხროვა. ნადარეიშვილი კი აფხაზებისთვის უსუსური მტერია. არძინბას ჭორი გაუვრცელა — მოკვდაო. ეს არის ვაჟკაცური მტრობა?

**— დავუბრუნდეთ რუსეთთან თქვენს დამოკიდებულებას.**

— როგორც ვხედავ, ურუსეთოდ ეს პრობლემა არ მოგვარდება. ის უხეში ძალაა და პირდაპირ გეუბნება — კავკასიას, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორიას, არ დავთმობო. კავკასიის ქვეყნები მისთვის არის ბუფერი ისტორიულად მტრულად განწყობილ თურქეთთან. ახლა რა ვქნათ: დაველოდოთ ნატოს, რომელსაც 2005 წელს უნდა მივუკაკუნოთ (და რამდენ ხანს გაგრძელდება ეს კაკუნი, არავინ იცის), თუ რუსეთს მივუდგეთ ტექნიკურად? ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამერიკა რუსეთს არ აწყენინებს პატარა აფხაზეთის გამო. რუსეთი ნატოს არასოდეს დაუშვებს ფსოუზე. ჩვენ გვქონდა ძალიან კარგი პროგრამა, ისეთი, რომლის მიხედვითაც, არც ერთი კაცი — არც ქართველი და არც აფხაზი არ მოკვდებოდა. გალის ამბებამდე გვინდოდა ამ პროგრამის განხორციელება. მაგრამ ვინ გაიზიარა?! ამ პროგრამის მიხედვით ჩვენ უნდა გვემუშავა აფხაზეთის, ოჩამჩირის, მოსკოვის აფხაზურ დიასპორაზე. მოფიქრებული გვქონდა მუშაობის ბევრი არასტანდარტული მეთოდი, რომელიც არძინბას დიდ სირთულეებს შეუქმნიდა. მას ძლიერი ოპოზიცია ეყოლებოდა და არა, ლაკერბასნაირი! ამ პროგრამის შესახებ ნადარეიშვილმა იცოდა, მაგრამ ვერ გაბედა გაზიარება იმიტომ, რომ წინ ვერ გადაუხტა შევარდნაძეს, რომელმაც სკამის სანაცვლოდ დათმო აფხაზეთი.


ელგუჯა გულედანი

**— ძალიან სერიოზული ბრალდებაა და რა მტკიცებულება გაგაჩნიათ?**

— აღებულ ტერიტორიებს რომ დაკარგავ და დატოვებ, რას ნიშნავს?! უამრავი ხალხი შეეწირა ამას. მძიმე ტექნიკა სოხუმის დაცემამდე გაიყვანეს ქალაქიდან. იმასაც გავიხსენებ, რომ ჭუბერი-საკენის გზაც მანამდე სამი თვით ადრე შეკეთდა. წინასწარ იყო ყველაფერი მოფიქრებული. სხვათა შორის, მასმედიამ მაშინ ცუდი როლი ითამაშა: ყველაფერს ისე დაუფარავად ამბობდნენ, რომ არძინბას შპიონაჟის ამუშავება არ სჭირდებოდა. დიდ საიდუმლოებებზე ღია ეთერში ლაპარაკობდნენ. ამ დროს კი აფხაზი ჟურნალისტები მაროდიორობის ფაქტებს კამერით აფიქსირებდნენ და მერე ყველაფერი გაეროს გაუგზავნეს — აი, ქართველები როგორ გვიწყობდნენ გენოციდსო. ჩვენ კი ვერც კამანის, ვერც კოჩარის ტრაგედია ვერ გადავიღეთ. გაგრაში რომ მეომართა თავებით ფეხბურთს თამაშობდნენ, ამის ამსახველი არც ერთი ფაქტი არ გვაქვს! ერთადერთი — ჭუბერის უღელტეხილია გადაღებული...

**— ზემოთ ახსენეთ, რომ არძინბა შევარდნაძის სადღეგრძელოს სვამსო. საიდან იცით?**

— იქ დარჩენილმა ნაცნობ-მეგობრებმა და ნათესავებმა შეგვატყობინეს, მათ შორის, აფხაზებმაც. ხალხის თვალს და ყურს არაფერი დაემალება. დღეს ნადარეიშვილი პრეზიდენტისთვის მეხამრიდია, რომ დევნილები მას არ მისცვივდნენ წივილ-კივილით და ლანძღვა-გინებით. აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებაში ძირეული ცვლილებები უნდა მოხდეს და თუ ამას ისინი არ გააკეთებენ, ხალხი აიძულებს და ძალიან მალეც. კაცს რომ უბრალო წამლის და პურის ფული არ აქვს, ვინ და რა დააკავებს?

**— რას გულისხმობთ, იმას, რომ ერთ მშვენიერ დღეს რევოლუცია მოხდება და მისი წარმატებისაც გჯერათ?**

— რა ფორმით მოხდება, ეგ არ ვიცი, მაგრამ დაიწყება არნახული მასშტაბის აქციები. ხალხი ცუდ დღეშია: სამედიცინო პოლისები იხსნის სიკვდილისგან ან შიმშილისგან? ამ პოლისებს ხუმრობით პაპის ინდულგენციებს ვეძახით. პაპი ყიდდა ინდულგენციებს და მოქალაქეებიც ყიდულობდნენ იმ იმედით, რომ საიქიოში ცოდვები ეპატიებოდათ. ჟვანიასთან ამ დღეებში შევიტანეთ მოთხოვნა, რომ დევნილს, როგორც განსაკუთრებული სტატუსის მქონეს, მიეცეს უფასო სამედიცინო მომსახურება. და კიდევ აი, რას მოვითხოვთ: თბილისის ომის დროს სახლებდანგრეული ხალხი ისევ თავის უბნებში დაბრუნდა, ახალაშენებულ სახლებში შესახლდა. მათ გამოუყვეს 40 ათასი ლარის კომპენსაცია, თუმცა, როგორც ვიცი, მხოლოდ 10 ათასი მიიღეს. ჩვენთვის არაფერი არსებობს. ამიტომ მოვითხოვთ ჩვენ სახელმწიფოსგან, რომ ყოველ ოჯახს მისცეს ერთჯერადი დახმარება 25 ათასი დოლარის სახით. ეს საკითხი ძალიან მკაცრად დადგება. სადაც უნდა, იქ მონახოს სახელმწიფომ სახსრები. იმ დევნილებს კი, რომელთაც თბილისში სამი სახლი აქვთ, ფული არ მიეცემა.

**— ხმა გავრცელდა, რომ თქვენ ამ 25 ათასს აფხაზეთში დარჩენილი სახლების სანაცვლოდ ითხოვთ. ქვეტექსტში ისიც იგულისხმეს, რომ დაბრუნების იმედი ან არ გაქვთ, ან არ გსურთ.**

— კი. გაავრცელეს ეს ხმა. ჩვენ არ ვითხოვთ დატოვებული სახლების და უძრავი ქონების კომპენსაციას. ეს იქნება მოძრავი ქონების და ზნეობრივი ზარალის კომპენსაცია, იმ ელემენტარული პრობლემების გადასაჭრელად, რომელიც ცოცხალ ადამიანს ესაჭიროება.

**— იმედი გაქვთ, რომ ეს მოთხოვნა, საბიუჯეტო კრიზისის ფონზე, დაკმაყოფილდება?**

— მაშინ მოვითხოვთ მინიმუმს — უფასო სამედიცინო მომსახურებას — დაწყებული ბავშვის დაბადებიდან, დამთავრებული სარიტუალო მომსახურებით. ამ მოთხოვნებს ამ კვირაშივე დავაყენებთ პარლამენტის თავმჯდომარესთან. დიდი იმედი გვაქვს ვიცე-სპიკერ ვახტანგ ყოლბაიასი. მართალია, კონკრეტულად რაიმეს გაკეთება არ შეუძლია, მაგრამ გვხვდება მაინც, გვესაუბრება და ტკბილ სიტყვას გვეუბნება. ნადარეიშვილის კაბინეტში მოხვედრა კი ზღაპარია. ეგ კი არა და, ნადარეიშვილის ხელისუფლებამ ბიუჯეტის პროექტში არ შეიტანა დევნილებისთვის მცირე ბიზნესის დასაწყებად საჭირო ის თანხა, რომელიც კანონით იყო გათვალისწინებული.

**— კაკუბავა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე იყო. დღესაც თანამშრომლობს თქვენთან?**

— კი, დღესაც ჩვენი თანამოაზრეა. მას ტყუილად აბრალებენ, რომ ტერორისტია. ოთხი მუხლით წაუყენეს ბრალდება. ამდენი მუხლი ბენ ლადენისთვისაც კი არ წაუყენებიათ. ერთი მტკიცებულებაც რომ ჰქონდეს, ერთ საათში დაიჭერენ — არ გაუჭირდებათ მისი მოძებნა იმიტომ, რომ თვითონ უკეთ იციან, სადაც არის — ჩერნოგორიაში, ზაგრებში თუ ბრატისლავაში.

დამერწმუნეთ, ჩვენი კამპანია წმინდა სოციალური ხასიათისაა. მაგრამ საქართველოში ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ გინდა-არ გინდა, მაინც პოლიტიკას უკავშირდება. ძირითადი მოთხოვნა ასეთია — მოგვცენ ის სამი მილიონი, რომელსაც მავანნი ყოველთვიურად ჰპარავენ დევნილებს.

*ქეთი ბერეკაშვილი*

# აფხაზეთის დეფიციტიანი ბიუჯეტი, განსხვავებული კურორტები და სხვა...

## რა და რა ფასად იყიდება აფხაზეთში



ჩვენი დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ალბათ დიდია მოსახლეობის ინტერესი აფხაზეთში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების მიმართ. რით და როგორ ივსება თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ბიუჯეტი, რამდენად კანონიერად ხდება ამა თუ იმ ობიექტის პრივატიზება და რა ძვრები შეინიშნება სოფლის მეურნეობის განვითარებაში? სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით, დღეს საშუალება გვეძლევა, ყველა ამ კითხვას შეძლებისდაგვარად ვუპასუხოთ.

აფხაზები უმთავრესად დაინტერესებულნი არიან „რესპუბლიკაში" რუსული კაპიტალის შემოსვლით, თუმცა არ გამორიცხავენ სხვა უცხოური ეკონომიკური კავშირების განვითარების შესაძლებლობებს.

ამ მხრივ, უკვე გადაიდგა რეალური ნაბიჯები. მიმდინარე წლის აპრილში თურქულ ფირმას „ადა მელენჯიკ სან ლტდ"-ს იჯარით გადაეცა ტყვარჩელის ქვანახშირის ქარხანა. ეს ფირმა საბადოებიდან 100 ათასი ტონა ქვანახშირის ამოღებას გეგმავს. დადებული საიჯარო ხელშეკრულებიდან მომავალში აფხაზეთის ბიუჯეტს უნდა შეემატოს 300 ათასი დოლარი. 2000 წლის აფხაზეთის ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილი შეადგენს 160 მლნ რუსულ რუბლს. ხარჯვითი ნაწილი — 170 მლნ რუბლს. როგორც ვხედავთ, დეფიციტი 10 მლნ რუბლია. ბიუჯეტის შევსებას სეპარატისტები ვარაუდობენ ხეტყის მასალის, ჯართისა და ციტრუსის ექსპორტით, ასევე, საბაჟო და საგადასახადო შემოსავლებით.

სოხუმის თამბაქოს ქარხნის შესაძლო ამუშავებისა და ორმხრივი თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა სამსახურებრივი ვიზიტით მოსკოვში ჩასულმა ბულგარული თამბაქოს ფირმა „ალფა და ზეტის" გენერალურმა დირექტორმა პ. ზახარიევმა.

არასახარბიელო მდგომარეობაა აფხაზეთის საკომუნიკაციო ქსელში. სეპარატისტები საკუთარი ძალისხმევითა და ჩრდილოკავკასიელთა დახმარებით ცდილობენ დანგრეული სატელეფონო კავშირების აღდგენას. ამ მხრივ, მათ განსაკუთრებით უდგანან მხარში ადიღეელები, რომლებმაც დიდი რაოდენობით ძვირფასი სამშენებლო მასალით მოამარაგეს ისინი. დაგეგმილია კაბელის აღდგენა სოფელ ეშერაში.

„რესპუბლიკაში" კარგა ხანია, მიმდინარეობს უკანონო, ნომენკლატურულ-კლანური პრივატიზების პროცესი, რაც, უპირველესად, საკურორტო მეურნეობაში შეიმჩნევა. ადრე, ამ სფეროს შემადგენელი ყველა ობიექტი გაერთიანებული იყო სახელმწიფო კომპანიაში „აფხაზკურორტი". 2000 წლის საკურორტო სეზონისთვის „აფხაზკურორტის" ბალანსზე შემორჩა მხოლოდ განადგურებული დასასვენებელი სახლები და პანსიონატები. ცნობილია, რომ „აფხაზკურორტის" გენერალური დირექტორი გენადი აიბა მოხერხებულად უწყობდა ხელს ვლ. არძინბას ახლობლებს, მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების „ჩალის ფასად" დაუფლებაში. ყოველივე ამის შედეგად მოხდა „აფხაზკურორტის" ლიკვიდაცია, მის მაგივრად კი შეიქმნა ამორფული კურორტების სამმართველო.

ქ. გაგრის პანსიონატი „ნართი" იჯარით გადაეცა შპს „დიოსკურიას", რომლის მფლობელებიც არიან მადინა ვლადისლავის ასული არძინბა, ალხას იურის ძე არღუნი და ირინა გრიგოლის ასული აიბა (საწესდებო კაპიტალი — 200 რუბლი — 14 ლარი). სააქციო საზოგადოება „ანაკოფიას" იჯარით გადაეცა პანსიონატი „სამშიტოვაია როშჩა" (საწესდებო კაპიტალი — 60 რუბლი — 4.20 ლარი). ამ გარიგების კანონიერების შესამოწმებლად შეიქმნა კომპეტენტური კომისია, მაგრამ ხელისუფალთა მხრიდან მათი მუშაობის შედეგების განხილვა გაურკვეველი დროით გადაიდო.

ქ. გაგრის დასასვენებელი სახლი „სოლნეჩნი", ასევე იჯარით ეკუთვნის შპს „სოლნეჩნის", რომლის მეპატრონეებიც არიან: რიმა დიმიტრის ასული. არძინბა, სლავა კონსტანტინეს ძე ბენია, ხირიპს ვალერის ძე ტაბაღუა (საწესდებო კაპიტალი — 500 რუსული რუბლი — 35 ლარი).

დასასვენებელი სახლი „გაგრა" შეიძინა სააქციო საზოგადოებამ „გეგე-ფ", მისი დამფუძნებლები არიან ლევან იასონის ძე არძინბა, ფარიდ ნურის ძე ხიშბა (საწესდებო კაპიტალი — 10 ათასი რუბლი — 700 ლარი).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გასხვისებულ ობიექტთა მნიშვნელოვანი ნაწილი სხვა რესპუბლიკების მფლობელობაშიც გადავიდა. უკანონოდ გაიყიდა გუდაუთის რაიონის პანსიონატი „მიუსერა" და გაგრის დასასვენებელი სახლი „აბსკრილი", რომლებიც ხელში ჩაიგდო ქ. ჩებოქსარის საკურორტო ფირმამ „ბერიოზკა".

ამგვარივე გზით გასხვისდა ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდღის დასასვენებელი სახლი „სოხუმი" და სოხუმის „ტყვარჩელი", რომელთა მფლობელებიც გახდნენ ქ. ჩერკესკის (ყარაჩაეთ-ჩერქეზეთი) საკურორტო ფირმები.

ცნობილი დასასვენებელი კომპლექსი „აგუძერა" ხელში ჩაიგდო ქ. ნალჩიკის (ყაბარდო-ბალყარეთი) ახალგაზრდობის სახლმა.

მიმდინარე წლის ივნისში „აფხაზეთის ღვინოებისა და წყლების" ქარხანამ გამოუშვა პირველი პროდუქცია აფხაზური სამარკო ღვინოების სახით. ქარხანა დაფინანსებულია იტალიელი ინვესტორების მიერ. ჯერჯერობით გამოშვებულია ღვინო, სახელწოდებით „ლიხნი". მომავალში დაგეგმილია „ბუკეტ აფხაზიის", „ფსოუსა" და „ანაკოფიის" წარმოება. ქარხანაში ამჟამად ასხამენ მოლდავურ და არგენტინულ ღვინომასალებს. შემდეგისთვის აფხაზები ფიქრობენ მევენახეობის აღორძინებას, რაც ხელს შეუწყობს საკუთარი ნედლეულის წარმოებას. საინვესტიციო სამუშაოები სრულდება ოჩამჩირის რაიონში. აქ 1000 ჰა იჯარით გადაეცა რუსულ საკონდიტრო კონცერნს „ბაბაევსკი" თხილის პლანტაციის გასაშენებლად. სოხუმში გახსნილია მოსკოვის საკონდიტრო ფირმის მაღაზია „ბაბაევსკი". შექმნილია თურქულ-აფხაზური ერთობლივი თევზსაჭერი საწარმო „ამალაგური". სოხუმის ადმინისტრაციამ ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის მეწარმეებთან გააფორმა საიჯარო ხელშეკრულება ქალაქის სასტუმრო ობიექტების აღსადგენად.

მცირე ძვრები შეინიშნება სარკინიგზო და ავიახაზების აღდგენის საქმეში. ცოტა ხნის წინ სოხუმი-ფსოუს მარშრუტზე გავიდა მეორე ელექტრომატარებელი. დაგეგმილია „ტყვარჩელი-ფსოუს" მიმართულებით მოძრაობის განახლება. რაც შეეხება აფხაზეთის ავიახაზებს, მისი ამოქმედება მომავალზეა დამოკიდებული. ავიავაგზლის ძველ შენობაში ამჟამად განთავსებულია ფრენის მართვის ორგანოები და ჰიდრომეტცენტრი. განზრახულია რამდენიმე „ან-2" ტიპის თვითმფრინავის აღდგენა, რომლებიც სოფ. ფსოუს მიმართულებით იფრენენ. პარალელურად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ავტომაგისტრალის გაფართოება რუსეთ-საქართველოს სასაზღვრო მონაკვეთზე ადლერის ზონაში.

ეკონომიკის უკიდურესად ჩამორჩენილ დარგს სოფლის მეურნეობა მიეკუთვნება. აფხაზები ჯერ კიდევ საკოლმეურნეო სისტემას ებღაუჭებიან და დღესაც თითქმის მამაპაპური მეთოდებით ამუშავებენ მიწას. ყველაფერთან ერთად შეინიშნება მუშახელის დეფიციტი, რადგან უმაღლესდამთავრებული აფხაზობა მაღალი თანამდებობების ძიებაშია, სოფლებში კი აფხაზთა მთავარი საკვების — ლობიოსა და სიმინდის მომწევი არავინ დარჩა. ეს ფაქტორი აფხაზებს მეტად მძიმე მდგომარეობაში აყენებს, რადგან იძულებულნი ხდებიან, უცხო მუშახელი მიიზიდონ. ამის შემდეგ კი შესაძლოა გაჩნდეს საფრთხე, აფხაზების, როგორც უმრავლესობის, როლის დაკარგვისა. ასე რომ, საფიქრალი და სათავცემო „თავისუფლებისმოყვარე" სეპარატისტებს ნამდვილად აქვთ. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, აფხაზეთის მთავრობა და აფხაზი ხალხი მაინც ჯიუტად ადგას აკვიატებულ გზას — „დამოუკიდებლობისაკენ".

*ირმა ბერიშვილი*

# ᲢᲘᲠᲐᲡᲞᲝᲚᲘ ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ

მდინარე და მასზე გამავალი საავტომობილო ხიდის თავი და ბოლო ბეტონის ფილებითაა ჩახერგილი, იქვე რუსი „ცისფერჩაფხუტიანების" საკონტროლო გამშვები პუნქტებია გახსნილი „MC" წარწერებით. ხიდზე ღარიბულად ჩაცმული, ეტყობა, ადგილობრივი მოსახლეობა, პროდუქტებით დატვირთულ ურიკებს მიაგორებს...

სურათი ბევრი ჩვენგანისთვის კარგად ნაცნობია — სწორედ ასე გამოიყურება ხიდი მდ. ენგურზე, რომლის იქით აფხაზეთია.

თუმცა, ამჯერად საუბარი გვექნება არა საქართველოზე, არამედ მოლდოვაზე, ის ზემოხსენებული ხიდი ენგურზე კი არა, დნესტრზეა გადებული და კიშინეუს (ასე ეძახიან თავად მოლდაველები თავიანთ დედაქალაქს) სეპარატისტული დნესტრისპირეთის რესპუბლიკასთან აკავშირებს, უფრო ზუსტად კი, გამოყოფს.

დუბასარი, ბენდერი, ტირასპოლი — ამ სახელებს 1992 წლის გაზაფხულზე ხშირად ახსენებდნენ მსოფლიო საინფორმაციო საშუალებები, თუმცა, მაშინ საქართველოს თავისი საშინაო პრობლემებიც (სისხლის ღვრა თბილისში, ბრძოლები ცხინვალთან, შეიარაღებული შეტაკებები დასავლეთ საქართველოში) ყელამდე ჰქონდა. ამიტომაც ჩვენში შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა კიდევ ერთ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში მიმდინარე კონფლიქტს. და შეიძლება ითქვას, რომ ძალიანაც ცუდი იყო, რადგან დნესტრისპირეთის კონფლიქტს ძალზე ბევრი საერთო ჰქონდა (და ახლაც აქვს) სამაჩაბლოს ბრძოლებთან და შემდგომში კი აფხაზეთის ომთან. ჩვენთან რომ გარკვეული დასკვნები გამოეტანათ ამ მსგავსებიდან, შეიძლება აფხაზეთში ომი არც დაწყებულიყო, ან სულაც სხვა სახით წარმართულიყო.

ამბობენ, ჭკვიანი სხვის შეცდომებზე სწავლობს, სულელი კი თავისაზეც ვერაო. როგორც უკვე ტრადიციად დამკვიდრდა, მაშინ (და ახლაც) ოფიციალურმა ქართულმა ხელისუფლებამ ამ ანდაზის მეორე ნახევარი უფრო გაიზიარა.

პირდაპირ გასაოცარია, თუ როგორ ერთნაირი ხელწერით სრულდება დღესაც ბენზინის, სიგარეტისა თუ სხვა ფართო მოხმარების ტვირთების კონტრაბანდული შეტანა სეპარატისტული დნესტრისპირეთიდან მოლდოვაში, ისევე როგორც სეპარატისტული აფხაზეთიდან — დანარჩენ საქართველოში.

მოლდოვაში იმაშიც არიან დარწმუნებულნი, რომ ამ კონტრაბანდული ფულის (სხვათა შორის, ბევრად უფრო შთამბეჭდავ ფარგლებში, ვიდრე ეს ენგურის გაყოლებით იშოვება) საკმაოდ დიდი ნაწილი თავად კიშინეუში ხვდება, ოღონდ არა ქვეყნის ბიუჯეტში, არამედ მაღალჩინოსანი მოლდოველი სახელმწიფო მოხელეების ხელში.

ყოველ შემთხვევაში, მაღალჩინოსანთა კორუფცია მოლდოვაში ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორიც ჩვენთან. ასევე უკვე ჩვეულებრივად აღიქმება უდენობის გამო შუა ქუჩაში უშნოდ გაჩხერილი ტროლეიბუსები და ავად ჩაბნელებული კორპუსები, ხოლო მოულოდნელად დაწყებულმა ყინვებმა უგაზოდ დარჩენილი მოსახლეობის დიდი ნაწილი ახალი პრობლემების წინაშე დააყენა. ერთი ეგ არის, ზოგიერთი თბილისელივით, კიშინეუელებს ქუჩები არ გადაუკეტავთ — ან ჯერ ვერ მოიფიქრეს, ანდა ძველი საბურავები არ ჰყოფნით.

1-ელ დეკემბერს საპრეზიდენტო არჩევნები კინაღამ ჩაიშალა — დეპუტატებს შორის დიდი გაწევ-გამოწევა ატყდა და პრეზიდენტობის ვერც ერთმა კანდიდატმა საჭირო ხმების რაოდენობა ვერ დააგროვა. თუკი ორი კვირის მანძილზე პარლამენტი განმეორებითი კენჭისყრითაც ვერ აირჩევს ახალ პრეზიდენტს, მაშინ ძველ პრეზიდენტს თავად პარლამენტის... დათხოვნა შეუძლია. როგორც იტყვიან, მოლდოვის სახელისუფლებო სტრუქტურებში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობს.

იმას, რომ მოსკოვს უზარმაზარი გავლენა აქვს სეპარატისტულ დნესტრისპირეთზე, დღეს აღარავინ მალავს. მოლდოვის უშიშროების სამსახურები ამტკიცებენ, სეპარატისტულ დნესტრისპირეთში მაღალი თანამდებობების 90% რუსეთის მოქალაქეებს უკავიათო. ამასთან, ტრადიციულად დნესტრის მარცხენა სანაპირო უხვად იყო „მოფენილი" საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საწარმოებით და აქედან გამომდინარე, იქ პრორუსული განწყობილება დომინირებს. მაგრამ, როგორც თავად მოლდოველ პოლიტიკოსთა უმეტეს ნაწილს მიაჩნია, დნესტრისპირელი სეპარატისტების წარმატებებში (შედარებით მცირე ტერიტორიაზე 600 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს და განვლილ 8 წელში სახელმწიფო სტრუქტურების თითქმის ყველა რგოლი შექმნეს) მარტო რუსებს არ მიუძღვით წვლილი, თურმე მეზობელ უკრაინას თავისი ინტერესები ამოძრავებს, რომელიც ძალზე ხშირად არ ემთხვევა თავად მოლდოვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სტრატეგიულ ინტერესს.




საკუთარი მიწების დასაბრუნებლად კი მოლდოველებს ძალზე მოკრძალებული სამხედრო ძალა გააჩნიათ, შეიძლება ითქვას, რომ თავად ქართულ არმიაზე ნაკლებიც კი.

მოლდოვა მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა უნდა იყოს, რომლის არმიის შეიარაღებაში ერთი ტანკიც კი არ ირიცხება. შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა 10 ათასს უახლოვდება (ქვეყნის მოსახლეობა 4 მლნ 400 ათასს აჭარბებს). აქედან 6 ათასი კაცი 4 ბრიგადაშია გაერთიანებული, 1.100 — ავიაციაში მსახურობს, ხოლო 2.500 კი სხვადასხვა (კარაბინერები, მესაზღვრეები, „ოპონი") უწყებაშია გაერთიანებული. არმია აღჭურვილია 209 ჯავშანმანქანით (მათ შორისაა რუმინეთში ნაყიდი TAB-71-ები) და 153 ერთეული საარტილერიო დანადგარით. აქედან 14 ცალი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა 9P140 „ურაგანია", რომელიც შორ მანძილზე ისვრის და წესით, მოლდოველი სამხედროების მთავარ მრისხანე ძალას უნდა წარმოადგენდეს; თუმცა, როგორც „კვირის პალიტრამ" გაარკვია, ისინი „ურაგანების" გაყიდვას აპირებენ. ალბათ ისევე, როგორც ორიოდე წლის წინ, საბჭოთა ავიაციისგან დარჩენილი 21 ცალი МиГ-29 გამანადგურებელი თვითმფრინავი პენტაგონს მიჰყიდეს. მაშინ, როგორც ჩანს, აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ „იყოჩაღა" და დროზე დააფიქსირა, რომ ირანი ამ მოლდოვური МиГ-ების ყიდვით მეტად იყო დაინტერესებული. ცსს-ს ინფორმაციით „თეთრმა სახლმა" 40 მლნმდე დოლარი არ დაიშურა 21 ერთეული МиГ-ის ხელში ჩასაგდებად, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი მწყობრიდან იყო გამოსული.

სხვათა შორის, აქაც არის საერთო მოლდოვასა და საქართველოს შორის. საქართველოში წარმოებული მოიერიშე Су-25-ებით აღფრთოვანებული ოფიციალური თეირანი თბილისის საავიაციო ქარხანაში რამდენიმე ასეთი თვითმფრინავის ყიდვას აპირებდა, თუმცა ცსს-მ აქაც იმარჯვა — საქართველოში სასწრაფოდ მოავლინეს საქვეყნოდ ცნობილი გენერალი შალიკაშვილი: ოფიციალური ვერსიის თანახმად, კახეთში მამაპაპისეული სახლ-კარის მოსანახულებლად, არაოფიციალურად კი — საქართველოს უმაღლესი ხელისუფლებისთვის „სასარგებლო რჩევის" მისაცემად — ირანს Су-ები არ მიჰყიდოთო (თუმცა მოლდოვური МиГ-ებისგან განსხვავებით, ქართული Су-ები აშშ-ს დღემდე არ შეუძენია)!

მოლდოველები კვლავ აპირებენ ამერიკელების აფორიაქებას — მათ კიდევ 6 ერთეული МиГ-29 დარჩათ, რომლის მყიდველებსაც ისევ „თეთრი სახლის" „მეგობრებში" ეძებენ.

სეპარატისტი დნესტრისპირელების შეიარაღებული ძალა თითქმის შეესატყვისება მოლდოვურისას — იგი 9.500 კაცს მოითვლის და თავის განკარგულებაში აქვს 18 ტანკი, 50 ჯავშანმანქანა და 85-მდე საარტილერიო დანადგარი. შეიძლება სწორედ სეპარატისტების ამ საარტილერიო შეიარაღებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი, როდესაც საბრძოლო მოქმედებები დნესტრის გასწვრივ სულ ხუთიოდე თვეში დამთავრდა და ამასთანავე, არც მოლდოვამ გამოიყენა თავისი მრისხანე „ურაგანები". საქმე იმაშია, რომ სეპარატისტები კიშინეუმდე სულ რაღაც 25-30 კმ-ში იმყოფებიან და მოლდოვის დედაქალაქის საარტილერიო დაბომბვა არ გაუჭირდებოდათ. ამ რეგიონში ძირითად სამხედრო ძალას კვლავ ყოფილი საბჭოთა მე-14 არმიის დარჩენილი დანაყოფები წარმოადგენენ, რომლებიც ამჯერად ОГРВ-ად (რუსეთის ჯარების ოპერატიული ჯგუფი) იწოდებიან.

2.300 მებრძოლი, 108 ტანკი, 131 ჯავშანმანქანა, 125 საარტილერიო დანადგარი და, რაც მთავარია, ტყვია-წამლის აურაცხელი მარაგი, რუს სამხედროებს საშუალებას აძლევს, მეტად ანგარიშგასაწევ ძალად დარჩნენ მოლდოვაში.

თუმცა, ზუსტად ერთი წლის წინ, სტამბოლის სამიტზე, მიღწეულ იქნა შეთანხმება 2001 წლის ბოლომდე მძიმე ტექნიკის, ხოლო 2002 წლისთვის — მთლიანად რუსეთის შეიარაღების გატანის შესახებ.

„კვირის პალიტრის" მოლდოვაში ყოფნის დროს რუსული ტექნიკით (ძირითადად არასაბრძოლო) დატვირთული ერთი ეშელონი უკრაინისკენ დაიძრა, მაგრამ შუა გზაში გაიჭედა, რადგან ძლიერმა ყინვებმა რკინიგზის ელექტრომომარაგების სისტემა მწყობრიდან გამოიყვანა.

ფაქტობრივად, მოლდოვის სახელმწიფო სტრუქტურები ვერ აკონტროლებენ რუსული ტექნიკის გაყვანის ამ პროცესს, ეტყობა, ანალოგიური პრობლემები ჩვენც მალე გაგვიჩნდება გუდაუთის სამხედრო ბაზის საბოლოო ლიკვიდირებასთან დაკავშირებით.

დაბოლოს, სეპარატისტული ტირასპოლი ნელნელა იქცევა ერთგვარ ცენტრად, სადაც თავს იყრიან მთიანი ყარაბაღის, ცხინვალისა და სოხუმის წარმომადგენლები (ამ თვითაღიარებული წარმონაქმნების საგარეო უწყებათა ხელმძღვანელები ორიოდე კვირის წინ უკვე შეიკრიბნენ ტირასპოლში).

მათი საერთო მიზანია, გაერომ და ევროსტრუქტურებმა ისინი დე იურედ აღიარონ.

***სპეციალურად „კვირის პალიტრისთვის" მოლდოვიდან კიშინეუ–დნესტრისპირეთი***

## ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲕᲔᲢᲘ

**გთხოვთ განგვიმარტოთ, შეუძლია თუ არა დიზელის წყალქვეშა ნავმა ისროლოს ატომური (ბირთვული) ქობინი?**

**პატივისცემით**

***მერაბ ყიფიანი, კახაბერ ლიკლიკაძე, გოჩა ლიკლიკაძე, დათო გაბრიჩიძე და ჯონი ნიკოლაძე***

წყალქვეშა ნავების შეიარაღება მრავალფეროვანია — ტორპედოები, ფრთოსანი, ბალისტიკური და საზენიტო რაკეტები, საზღვაო ნაღმები, ანტიდივერსიული და დივერსიული საშუალებები და ა.შ.

ატომურქობინიანი ტორპედოებით წყალქვეშა ნავების აღჭურვა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყეს, როდესაც მათ მხოლოდ დიზელის ძრავები ჰქონდათ. პირველი პროექტები აშშ-სა და საბჭოთა კავშირშიც დაახლოებით ერთდროულად — 50-იანი წლების დასაწყისში დამუშავდა. სტალინი ძალზე დაინტერესებული იყო, რომ საბჭოთა წყალქვეშა ნავებს მალულად მიეღწიათ ჩრდილო ამერიკის სანაპიროებამდე და ატომურქობინიანი ტორპედოებით დამუქრებოდნენ



გეოგრაფიული თვალსაზრისით კარგად დაცულ ამერიკელებს (მაშინ ბალისტიკური რაკეტები ჯერ კიდევ ჩასახვის პერიოდში იყო).

შემდგომში, უკვე, როდესაც წყალქვეშა ნავები ბირთვულქობინიანი ფრთოსანი და ბალისტიკური რაკეტებით შეიარაღდნენ, თითქოს ტორპედოებმა დაკარგეს უმთავრესი ფუნქცია, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. ამერიკელების უზარმაზარი ავიამზიდების ჩასაძირად 8-12 ჩვეულებრივი ფრთოსანი რაკეტის მოხვედრაა საჭირო, მაშინ, როდესაც ერთი ატომურქობინიანი ტორპედო ამ „მცურავ კუნძულს" ფერფლად აქცევს.

დიზელისძრავიანი წყალქვეშა ნავების აღჭურვა ატომურქობინიანი იარაღით, განსაკუთრებით აქტუალური იყო შავი ზღვის აკვატორიისთვის, რადგან აქ, საერთაშორისო კონვენციის თანახმად, აკრძალულია ატომურძრავიანი მცურავი საშუალებების (გინდ სამხედრო, გინდაც სამოქალაქო) ცურვა. სტატიის ავტორის მონაცემებით, ამ ოციოდე წლის წინ საბჭოთა შავი ზღვის ფლოტმა ზღვაში (საქართველოს სანაპიროდან არცთუ ისე შორს) სწორედ ატომურქობინიანი რაკეტა დაკარგა.

„კურსკის" ტრაგედიამ საკმაოდ აქტუალური გახადა წყალქვეშა ნავების თემა არა მარტო ჩვენთან, არამედ მთელ მსოფლიოში. ისინი მრავალი ადამიანის დაინტერესების საგანს წარმოადგენენ, რადგან თვითმფრინავით თითქმის ყველას უფრენია, ხოლო წყალქვეშ გასეირნება ერთეულთა ხვედრია.

ეტყობა, სწორედ ამიტომაც შეუკვეთა მოსკოვის მერიამ ერთ-ერთ ქარხანას რუსული დიზელისძრავიანი წყალქვეშა ნავი, რომელსაც მდინარე მოსკოვის შუაგულში დააყენებენ. იდეის ავტორებს დიდი იმედი აქვთ, რომ დამთვალიერებელთა რაოდენობა არასდროს მოიკლებს, ისევე როგორც შემოსავალი.

# ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘ – ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲡ ᲑᲠᲐᲚᲡ ᲡᲓᲔᲑᲡ...

რამდენიმე დღის წინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან, როგორც ეტყობა, მიზანმიმართულად გაიჟონა საიდუმლო მასალები — რუსეთი აშშ-ს ბრალს დებს აკრძალული ტიპის რაკეტების გამოცდაში. თუკი კრემლი მოახერხებს ამ ბრალდების საბოლოოდ დადასტურებას, მაშინ თეთრი სახლი საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგან მისი მხრიდან დაირღვევა 1987 წლის ორმხრივი ხელშეკრულება საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ.

მკითხველისთვის რომ უფრო ნათელი გახდეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი მსოფლიოსთვის ამ ხელშეკრულებას, გადავხედოთ უახლოეს ისტორიას.

1987 წლის 8 დეკემბერს გორბაჩოვმა და ბუშმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლის თანახმადაც, ორივე მხარეს უნდა გაენადგურებინა 500-დან 5000-მდე კმ მოქმედების რადიუსის ბალისტიკური რაკეტები. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირს ამ ხელშეკრულების მიხედვით ბევრად უფრო მეტი რაკეტის ლიკვიდირება მოუწია, იგი მოსკოვისთვის მაინც მომგებიანი იყო, რადგან პენტაგონმა ევროპიდან გაიტანა და გაანადგურა „პერშინგ "-ის ტიპის საშუალო სიშორის ბირთვული ბალისტიკური რაკეტები. მათ დასავლეთ გერმანიიდან მოსკოვამდე მისაღწევად სულ რაღაც 8-12 წუთი სჭირდებოდათ, რითაც თავად კრემლის ბინადართაც კი, ბუნკერში ჩასვლის დროს არ უტოვებდა (უბრალო ადამიანების გადარჩენაზე ხომ არც უფიქრიათ).

ამერიკელებმა 80-იანი წლების შუა ხანებში იმიტომ დაიწყეს დასავლეთ ევროპაში „პერშინგების" განთავსება, რომ მანამდე, რამდენიმე წლით ადრე, აღმოსავლეთ ევროპის ტყეებში, საიდუმლო პოზიციებზე, გამოჩნდნენ საბჭოთა „პიონერები".

მიუხედავად ასეთი მშვიდობიანი სახელისა („პიონერი") ეს РСД-10 ტიპის მობილური სარაკეტო კომპლექსები მრისხანე ბირთვულ ხელკეტს წარმოადგენდა კრემლისთვის, რომლის საშუალებითაც, მას მთელი ევროპის ბირთვული შანტაჟირება შეეძლო.

თუმცა, „პიონერები", რომელთა ფრენის მაქსიმალური სიშორე 5 ათას კმ-ს არ აღემატებოდა, ჩრდილო ამერიკის კონტინენტამდე ვერ მიაღწევდნენ, სამაგიეროდ, ვაშინგტონს „პერშინგებით" საბჭოთა კავშირის მთელი ევროპული ნაწილი (მათ შორის საქართველოს ტერიტორიაც) მიზანში ჰყავდა ამოღებული.

როგორც ამბობენ, საშუალო და ნაკლები სიშორის მქონე რაკეტების ლიკვიდაციის პროცესში უდიდესი როლი ითამაშა იმ დროს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ, რასაც, სხვათა შორის, მას დღემდე არ ჰპატიობენ რუსი გენერლები და ხშირად თავიანთი გულისწყრომა საქართველოზე გადმოაქვთ.

არც ის არის დასავიწყებელი, რომ 650 განადგურებული „პიონერის" (NATO-ს კლასიფიკაციით — SS-20) ავტორი ასევე ჩვენი თანამემამულე,





**ნადირაძისეული „პიონერების" (ზემოთ) მზე დიდი ხანია ჩაესვენა, სამაგიეროდ, ამერიკული „გერები" (მარცხნივ) იღებენ სტარტს**

აკადემიკოსი ალექსანდრე ნადირაძე გახლდათ, რომლის გულმაც ვერ გაუძლო საყვარელი „შვილობილების" ასე პირწმინდად განადგურებას და იმავე, 1987 წელს გარდაიცვალა. როგორც იტყვიან, ერთი ქართველის ქმნილება მეორე ქართველმა გაანადგურა, თუმცა მაშინ, სიმართლე რომ ითქვას, წმინდა ქართულ ინტერესებს არც ერთი არ ემსახურებოდა — ორივე დიდი იმპერიის შვილი იყო.

თუმცა, დავუბრუნდეთ დღევანდელობას. ბოლო სამი წლის მანძილზე პენტაგონმა ბალისტიკური რაკეტის „გერას" ათზე მეტი საცდელი გაფრენა განახორციელა. რუსები სწორედ „გერას" მიიჩნევენ „პერშინგის" გაუმჯობესებულ ვარიანტად. მისი ფრენის რადიუსი 1000 კმ-ს აღემატება და ავტომატურად ხვდება 1987 წლის ხელშეკრულებით აკრძალული რაკეტების სიაში.

მაგრამ თავად პენტაგონი სულ სხვა აზრისაა. იგი ბალისტიკურ სამიზნედ თვლის „გერას", რომელმაც საბჭოთა СКАД-ის იმიტაცია უნდა განახორციელოს. მის ჩამოსაგდებად ამერიკელები თავიანთი საზენიტო „პეტრიოტებით" გამუდმებით ვარჯიშობენ.

ამერიკელებმა ძალზე მარტივ და, ამასთანავე, ეკონომიკურ გზას მიაგნეს — „გერა" აწყობილია საბრძოლო მორიგეობით მოხსნილი სტრატეგიული „მინიტმენ-2" ბალისტიკური რაკეტებიდან მოხსნილი პირველი და მეორე სარაკეტო საფეხურებით, მაგრამ რუსებს სულ სხვა რამ აშინებთ — თავის დროზე ევროპიდან გატანილი და განადგურებული 234 „პერშინგ-"-ის სრულყოფილი დამიზნების სისტემები წინდახედულმა ამერიკელებმა საწყობებში საგულდაგულოდ შეინახეს. თუკი მათ „გერას" დაუყენებენ, ეს რაკეტები მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უზუსტესი აღმოჩნდება — ამ სისტემის რადიოლოკატორის მიერ დაფიქსირებული სამიზნე თუ დაემთხვა სადაზვერვო თანამგზავრებიდან მოპოვებულ რადიოლოკაციურ სურათს, მაშინ „ტყვია ტყვიაში ჩაჯდება", ანუ კრემლში პუტინის კაბინეტის სარკმელში თუ არა, მისი მდივნის ფანჯარაში აუცილებლად „შეყოფს თავს" „გერა".

მალე შეიძლება ისეთი დრო დადგეს, რომ რუსმა სამხედროებმა ნადირაძისეული „პიონერების" აღდგენაზე დაიწყონ ფიქრი და ცხელ გულზე არც ამ „საქმეში გასული" მეორე ქართველიც დაივიწყონ...

***გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# „ფულზე ბინძურ თამაშს არც ცეკას მდივნები თაკილობდნენ“

***„მე ვარ „იგროკი“, ორმოცწლიანი სტაჟით. იმდენი რამ ვიცი, ყველაფერი რომ მოვყვე, საქართველოში რევოლუცია მოხდება!“ — ამბობს ჩვენი რუბრიკის დღევანდელი რესპონდენტი, თუმცა იქვე გვთანხმდება, „ცოტა რამ“ მაინც მოგვითხროს... მაშ ასე — გიორგი ვახტანგის ძე კვარაცხელია, 73 წლის, თბილისელი, უცოლშვილო, პატიმრობაში არასოდეს ყოფილა, თუმცა, როგორც თავად აცხადებს, მთელი ცხოვრება ბეწვის ხიდზე სიარულში გაატარა:***

— კარტის თამაში ფულზე, როგორც ჩემთვის ცნობილია, საქართველოში ძალზე პოპულარული ყოფილა XX საუკუნესა და XX ს-ის დასაწყისში. სტალინის მმართველობის ეპოქაში, ფაქტობრივად, უკვე აღარ თამაშობდნენ, რადგან მოსახლეობას საამისო ფული არ ჰქონდა. შემდეგ, 60-იან წლებში, შეძლებული ფენა კვლავ გაჩნდა და კარტიც მაშინვე გაიხსენეს. იმხანად სისხლის სამართლის კოდექსი მსგავს თამაშებს არ კრძალავდა და „იგროკებიც“ მშვენივრად იყენებდნენ ამ გარემოებას. 60-70-80-იან წლებში საქართველოში მცხოვრები მდიდარი ადამიანების უსაყვარლესი გართობა სწორედ ეს ქაღალდის თამაში იყო, თუმცა მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ეს, რა თქმა უნდა, არ იცოდა. ორთაჭალაში მდებარეობდა რამდენიმე კერძო ბინა, სადაც ყოველდღე იკრიბებოდნენ მოთამაშეები, ძირითადად, ებრაელები. მილიცია, როგორც წესი, მათ ხელს არ ახლებდა, სამაგიეროდ, ბინის მფლობელთაგან გვარიან თანხას იღებდა. მსგავსი, კონსპირაციული კაზინოები არსებობდა პლეხანოვზე, ვაკეში, დიდუბესა და ნახალოვკაშიც. აქ ვგულისხმობ მუდმივი თავშეყრის ადგილებს, სადაც, ასე ვთქვათ, პროფესიონალები თამაშობდნენ.

განსაკუთრებით აზარტულ „იგროკად“ ითვლებოდა ოცამდე ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მსახიობი და პოეტი. კარტზე არანაკლებ ისინი კამათლის თამაშით იყვნენ გატაცებულნი და თავიანთ თავს „იგროკთა“ ელიტას უწოდებდნენ, სინამდვილეში კი არიფი და უწესო ხალხი იყო, რომელთათვისაც ღირსება და სიტყვა არაფერს წარმოადგენდა. პატიოსანი მოთამაშეები მუდამ ერიდებოდნენ ასეთ ტიპებთან ურთიერთობას, რადგან იცოდნენ, რომ უთუოდ პრობლემები შეექმნებოდათ. ცნობილი ამბავია: ერთმა კაცმა ჩვენს სახელგანთქმულ პოეტს 2 თუ 3 ათასი მოუგო. თამაში წესების დაცვით, ყოველგვარი აფერის გარეშე მიმდინარეობდა, მაგრამ პოეტი მაინც დაიბოღმა და მეორე დღეს ის კაცი სამსახურიდან გაათავისუფლებინა. სხვათა შორის, ამ „ელიტარების“ რამდენიმე წარმომადგენელი დღემდე აქტიური „ყომარბაზია“. ყველა სახის ფოკუსი და კომბინაცია ათწლეულების მანძილზე მათ იმდენად კარგად შეისწავლეს, რომ ამ სფეროში არანაკლები წარმატებები აქვთ, ვიდრე ლეგალურ ასპარეზზე.

ინტელიგენციის წარმომადგენლების გარდა თამაშობდნენ სამართალდამცავები, მეღვინეები და რაიკომის მდივნებიც. ერთი სიტყვით, ისინი, ვისაც დიდი ფული ჰქონდათ.

არცთუ იშვიათი იყო კონფლიქტური სიტუაციები. ასეთი შემთხვევაც მახსოვს: ერთ-ერთი რაიონის მილიციის უფროსმა, პოლკოვნიკმა, იმხანად პოპულარულ ჟურნალისტს 27 ათასი მანეთი მოუგო, მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერაფრით შეაგროვა საჭირო თანხა და მოგებულს ორი თვით გადავადება სთხოვა. არაო, გაჯიუტდა მილიციელი, ვალი მაქვს და ფული დროულად უნდა ჩამაბაროო. ჟურნალისტი დაფაცურდა, მანქანა და ცოლის სამკაულები გაყიდა, მაგრამ მხოლოდ ნახევარი თანხის შეგროვება შეძლო და პოლკოვნიკს დაუჩოქა — აგერ, აიღე ეს და მალე მეორე ნახევარსაც მოგართმევო. მაინც ვერ მორიგდნენ და მილიციელმა საქმეში კანონიერი ქურდი ჩართო — ჟურნალისტი შეაშინე, ფული წაართვი და 5 ათასი მანეთი შენი წილი იყოსო. ქურდიც ესტუმრა წაგებულს და ის უბედური იძულებული გახდა პროცენტიანი, „ურიის“ ვალი აეღო, რომელსაც მერე რამდენიმე წელი ისტუმრებდა. ამბავი კი ამით არ დასრულებულა. მას შემდეგ, რაც 22 ათასი ჩაიჯიბა, პოლკოვნიკი დააწინაურეს და სამუშაოდ თბილისში გადმოიყვანეს. მან ის ქურდი მაშინვე დაიჭირა და ათი იმდენი წაჰგლიჯა, რაც თავის დროზე წილად მისცა — პოლკოვნიკ კაცს მაშინ ფული როგორ გამომართვი, ისედაც უნდა დამხმარებოდიო....

რადგან ქურდებზე ჩამოვარდა საუბარი, ერთსაც ვიტყვი. ზემოთ კერძო კაზინოები ვახსენე და თითქმის ყოველ ასეთ ადგილს თავისი არბიტრი ჰყავდა — კანონიერი ქურდის სახით. ის სათამაშო მაგიდის მახლობლად ჯდებოდა და თვალს ადევნებდა, რომ „იგროკებს“ არ ეთაღლითათ. თამაშის მსვლელობისას წარმოქმნილ ნაირ-ნაირ გაუგებრობას თუ კონფლიქტს ის არეგულირებდა და ამისთვის, ცხადია, თავის წილს (გათამაშებული თანხის ათ პროცენტს) იღებდა. ერთ-ერთი ასეთი არბიტრი, ამჟამად უკვე ასაკოვანი ქურდი, რომელსაც საქართველოში ერთგვარი სასმლის სახელით იცნობენ, დღემდე ინტენსიურად მსაჯობს და ამ საქმის ყველაზე სტაჟიან და უბადლო ოსტატად ითვლება.

ბევრს მიაჩნია, რომ „იგროკის“ ძირითადი იარაღი კარტის ჩაწყობაა, ჩემი აზრით კი, მთავარია არიფი პარტნიორის პოვნა. ასეთ ადამიანებს ზოგჯერ „ლოხებსაც“ ვეძახით. აქვე აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ არიფების უდიდესი ნაწილი ძალიან კარგი ადამიანია. მათ სამართლიანობის სჯერათ. გულუბრყვილო, ალალი ხალხია და სწორედ ამიტომაც აგებენ. პრინციპში კი ყოველი ჩვენგანიც „ლოხია“ — არ მეგულება მოთამაშე, რამდენჯერმე მაინც მწარედ რომ არ წაეგოს. ასეთია ცხოვრება: დღეს ერთს გააცურებ, ხვალ კი მეორე გაგაარიფებს...

იყო, მაგალითად, თბილისში ერთი პიროვნება, თავში ნაღდად კომპიუტერი ედგა. მასთან თამაშს აზრი არ ჰქონდა. მოთამაშეებმა ეს კარგად ვიცოდით და არასოდეს ვეპაექრებოდით. ისიც „ლოხებს“ პოულობდა და მათ ატყავებდა. ერთხელაც, მორიგმა არიფმა შავი დღე აყარა და იმხელა თანხა მოუგო, რომ ჩვენი „კომპიუტერა“ კარგა ხანს ვერ ჯდებოდა სათამაშოდ — შიში დასჩემდა.



სხვა მაგალითების მოყვანაც შემიძლია. ითვლება, რომ პროფესიონალი ილუზიონისტი, ცირკში რომ გამოდის და ხალხს კარტით აბრიყვებს, მაგარი მოთამაშეც უნდა იყოს. მართლაც საოცარი საცქერია „ფოკუსნიკის“ მანიპულაციები, კარტი თითქოს შენ თვალწინ ქრებაო. აბა, ამისთანა „ჯადოქარი“ ქაღალდის თამაშში როგორ უნდა დაჯაბნო? მაგრამ არც მთლად ეგრეა საქმე. ილუზიონისტ არუთინ აკოპიანის (ამჟამად პოპულარული „ფოკუსნიკის“ ამაიაკ აკოპიანის მამა) სახელი თავის დროზე ლამის მთელმა მსოფლიომ იცოდა. ჰოდა, ამ აღიარებულ „ჯადოქარს“ ერთმა ქართველმა ებრაელმა გაგრაში პრეფერანსში 30 ათასი მანეთი (იმ დროს 6 ახალი „ვოლგის“ ოფიციალური ფასი) მოუგო. მეგობრებისგან ვიცი, რომ აკოპიანზე არანაკლებ ცნობილი იგორ კიოც არაერთხელ გაუარიფებიათ. ეგეც თქვენი მსოფლიო დონის ილუზიონისტები! მჯობნის მჯობი მართლაც რომ არ დაილევა.

კარტის დანიშვნა ცალკე საუბრის საგანია, თუმცა აქვე განვმარტავ — დანიშნული ქაღალდით მხოლოდ არიფს თუ მოატყუებ. ნამდვილ „იგროკს“ მახვილი თვალი აქვს და მსგავს აფერას უმალ ამჩნევს. საქართველოში და მთელ საბჭოთა კავშირშიც ყველაზე გავრცელებული მეთოდი იყო „ტრეშჩოტკა“, ანუ კარტის კიდეების დამუშავება. ჩვეულებრივი „ბრიტვით“ კიდეებზე პატარა ღარებს აკეთებდნენ. ერთ ქაღალდს მეორის კიდეზე რომ გადაუსვამდნენ, დამუშავებული კარტი გარკვეულ ხმას გამოსცემდა, რომელიც მხოლოდ სმენაგამძაფრებულ მოთამაშემდე აღწევდა... არსებობდა ასეთი მეთოდიც: ქაღალდის გარე მხარეს ლამპის საშუალებით მსუბუქ ტონს ადებდნენ ანუ ოდნავ შესამჩნევად ამუქებდნენ (ან კიდევ დასტიდან ამოღებულ რამდენიმე კარტს მზეზე აწყობდნენ და ახუნებდნენ). დილეტანტი მოთამაშისთვის, როგორც წესი, ასეთი ტონები ძნელი გასარჩევი იყო... რაც შეეხება კარტის ჩაწყობის მექანიზმებს, მისი თეორიულად ახსნა შეუძლებელია. სრულყოფას ამ საქმეში მხოლოდ დიდი ხნის (ზოგჯერ მრავალწლიანი) პრაქტიკული მეცადინეობების შედეგად აღწევენ. აქ ნებისყოფაა მთავარი.

„ლოხი“, შესაძლოა, დაეჭვებულიყო, თუ სათამაშო ქაღალდის დასტას პირდაპირ გულის ჯიბიდან დავაძრობდი, ამიტომ იგი მაღაზიაში მიმყავდა და კარტის რამდენიმე ახალ შეკვრას ერთად ვყიდულობდით. ამ დასტებს ის თავის ჯიბეებში იტენიდა და სათამაშოდ თამამად მომყვებოდა. „ლოხი“, რა თქმა უნდა, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ გამყიდველი ჩემთან გახლდათ „შეკრული“, ის ვითომდაც ახალი შეკვრები კი ჩემი ერთი „პადელნიკის“ მიერ წინასწარ დანიშნული კარტი იყო.

70-იან წლებში მსგავსი ოპერაცია მრავალჯერ ჩამიტარებია ბორჯომში. იქ, თბილისისგან განსხვავებით, კარტი თითქმის ყველა მაღაზიაში იყიდებოდა. სამ მათგანში ჩემი გამყიდველი მყავდა. მივადგებოდი ხოლმე, არიფთან ერთად და გავუღიმებდი: „ქალბატონო, სამი „კოლოდა“ კარტი გვინდა“. ისიც მოგვართმევდა ლენინგრადის ფაბრიკაში დამზადებულ და შემდეგ ოსტატურად დამუშავებულ „ახალთახალ“ ქაღალდს... თითო ასეთი დასტისთვის გამყიდველს მოგვიანებით ხუთ თუმანს ვუხდიდი.

ბორჯომში მაშინ მთელი სსრკ-ის „იაზვენიკები“ — კუჭის წყლულით დაავადებულები — იკრიბებოდნენ. მდიდარი არიფების ამორჩევა მაინცდამაინც რთულ საქმეს არ წარმოადგენდა. სქემა მარტივი იყო: ვხედავ, მაგალითად, ბორჯომ-პარკში შუახნის მამაკაცი მოსეირნობს, სახე გარუჯული არა აქვს. ე.ი. ახალი ჩამოსულია და ფულიც ჯერ არ დაუხარჯავს. ხელში მინერალური წყლის დასალევად განკუთვნილი „ტრუბკიანი“ ჭიქა უჭირავს. ტანსაცმელსა და მიხრა-მოხრაზე ეტყობა, მუშაა თუ დირექტორი. თუ დირექტორია, კვალში ვუდგები. წყლის ონკანთან მუდმივად რიგია. შერჩეული მსხვერპლის გასაცნობად ეს საუკეთესო ადგილია. იმავე საღამოს ობიექტს სოკოს რესტორანში ვპატიჟებ და იქვე ვარკვევ, გამომადგება თუ არა პარტნიორად კარტის თამაშში.

ჩემი „ლოხები“, ძირითადად, ციმბირიდან ჩამობრძანებული ფულიანი „შიშკები“ ან შუააზიელები იყვნენ. ბევრს მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირში ყველაზე შეძლებული ხალხი ქართველები ვიყავით. ამ აზრს ვეთანხმები. მთლიანობაში მართლაც ასე იყო, მაგრამ მრავალი ციმბირელი თანამდებობის პირი და უზბეკი „ცეხავიკი“ გაცილებით მეტ ფულს შოულობდა, ვიდრე, ვთქვათ, რომელიმე ცნობილი ქართველი მეღვინე ან ცეკას მდივანი. პირადად ვიცნობდი ასეთ სტუმრებს. გაზაფხულზე, ზამთარსა და შემოდგომაზე ზოგიერთი მათგანი ბორჯომს სტუმრობდა ხოლმე, ზაფხულში კი ზღვის კურორტებს არჩევდნენ და ჩემნაირი ხალხიც იქით მიეშურებოდა.

შვებულებაში მყოფ არიფებს მაინცდამაინც დიდი თანხები არ ჩამოჰქონდათ, მაგრამ იმდენი ყოველთვის ედოთ ჯიბეში, მე რომ მყოფნოდა... კარტის თამაშზე, როგორც წესი, უმალ მთანხმდებოდნენ. ეტყობოდა, რომ სათამაშო ქაღალდით თავიანთ სამშობლოშიც ერთობოდნენ ხოლმე. ჰოდა, მეც მეტი არაფერი დამრჩენოდა და მათ საფულეებს ვაცარიელებდი... წაგებულის გამო სულაც არ დარდობდნენ. ზოგჯერ სახლში დეპეშებსაც გზავნიდნენ, ამდენი და ამდენი თანხა გამომიგზავნეთო. მერე კვლავ დამიჯდებოდნენ და, რა თქმა უნდა, აგებდნენ.

მე, ასე ვთქვათ, „ადინოჩკა“ ვიყავი და უმეტეს შემთხვევაში მარტო ვმუშაობდი, განსხვავებით ჩემივე კოლეგებისგან, რომლებიც „პარაში“ ანუ „ნაპარნიკთან“ — დამხმარე მოთამაშესთან ერთად ასუფთავებდნენ „ლოხებს“. როცა სამი კაციდან ორი „შეკრულია“, წარმატებაც მუდამ მათ მხარესაა, მაგრამ, მეორე მხრივ, ორ უცნობ ადამიანთან მსხვერპლიც უფრო ფრთხილად იქცევა, ვიდრე ერთთან... ამიტომაც სჯობდა „ადინოჩკობა“.


ილუზიონისტ არუთინ აკოპიანის (ამჟამად პოპულარული „ფოკუსნიკის“ ამაიაკ აკოპიანის მამა) სახელი თავის დროზე მთელმა მსოფლიომ იცოდა. ჰოდა, ამ „ჯადოქარს“ ერთმა ქართველმა ებრაელმა გაგრაში პრეფერანსში 30 ათასი მანეთი მოუგო.

1972 წელს ბათუმში ერთი ხანში შესული არიფი „შევაბი“ — ვინმე გრიგორი პავლოვიჩი. შემიჩნდა, გინდა თუ არა, პოკერი ვითამაშოთო. ამ თამაშში სუსტი ვიყავი, მაგრამ ვიფიქრე, მაინც მოვუგებ-მეთქი. საღამოს ტურბაზაში ვეახელი და თამაშს მისივე ქაღალდით (დაუნიშნავი იყო) შევუდექით. თავიდანვე შევატყვე, რომ პოკერის აზრზეც არ იყო. ექვსასი მანეთი იმ იმედით მოვაგებინე, რომ მეორე დღეს, სულ ცოტა, სამ ამდენს ავართმევდი.

მეორე საღამოს კვლავ ვესტუმრე, მაგრამ იმ ოხერმა ათასი მანეთი სუფთად მომიგო. არ თაღლითობდა, ისე გამანადგურა, შემდეგ წამოდგა და მეუბნება, მორჩა, აღარ მინდა თამაშიო! კარგი, ხვალ ისევ მოვალ-მეთქი, მაგრამ გაჯიუტდა — შენს გზაზე წადი, მე თავი დამანებეო. ტყუილია, რომ ამბობდნენ, კარტის სათამაშოდ ხალხს ძალით სვამენ და სანამ ბოლომდე არ „გამოწურავენ“, არ ეშვებიანო. ადამიანს ნებისმიერ დროს შეუძლია შეწყვიტოს თამაში. გრიგორი პავლოვიჩიც ასე მოიქცა. რაღას ვიზამდი, ქუდი დავიხურე და პირში ჩალაგამოვლებული წამოვედი. მერელა შევიტყვე, რომ ის მოხუცი კაცი ცნობილი ხერსონელი მოთამაშე, მეტსახელად „მატროსი“ ყოფილა. კიდევ კარგად გადარჩი, შენნაირებს უფრო მაგრადაც ატყავებსო, — მითხრეს ნაცნობმა მოთამაშეებმა.

ერთ ამბავსაც მოგითხრობთ: ბრეჟნევის ეპოქაში მუშტაიდის პარკში საბილიარდო იყო (მოგვიანებით, იმ შენობაში ჟვანია დასახლდა, თავისი „მწვანეებით“), სადაც საქართველოს თითქმის ყველა ცნობილი „იგროკი“ და ქურდი იკრიბებოდა. იქ ბილიარდის თამაშით ვერთობოდით და თან ერთმანეთს ათასგვარ ახალ ამბავსაც ვუამბობდით.

ერთი სომეხი „ყომარბაზი“ მეგობარი მყავდა — რობერტა. „ზარის“ თამაშში სუპერპროფესიონალი იყო, მაგრამ რამდენჯერაც ბილიარდი ითამაშა, იმდენჯერ სოლიდური თანხაც იქვე დატოვა. მახსოვს, ერთხელ გვერდზე გამიყვანა და მეუბნება, ცეკას მდივანი რომ არის, ესა და ეს კაცი, სათამაშოდ მეპატიჟება, მაგრამ მარტო წასვლა არ მინდა და ეგებ, შენ გამომყვეო. — შემეშვი, შარია და თანაც რომელი „ზარისტი“ მე მნახე-მეთქი. მაგრამ რობერტა არ მეშვებოდა. გოგი-ჯან, ოღონდ წამომყე და „მალარიჩი“ ჩემზე იყოსო. დავთანხმდი.

თუ გახსოვთ, მაშინ დენი მუდმივად გვქონდა და თამაშზე „სტრელი“ ღამის პირველი საათისთვის იყო დანიშნული. ნახალოვკაში, ჯავის ქუჩაზე მდებარე ორსართულიან სახლს (ალბათ, კონსპირაციულს) მივადექით. კარი ვიღაც დარბაისლური გარეგნობის მამაკაცმა გაგვიღო და შინ შეგვიპატიჟა. ცეკას მდივანი მეორე სართულზე, მდიდრულად გაწყობილ ოთახში გველოდებოდა. რომ შევედით, მოგვესალმა და თითი ჩემკენ გამოიშვირა — სანდო კაციაო? — იკითხა. რობერტამ თავი დაუქნია, — დიახ, ბატონოო. მაშ, აქეთ მოდითო და ოვალურ, მაუდგადაკრული მაგიდისკენ მიგვითითა.

— ეს კამათლები დღეს უნივერმაღში ვაყიდვინე, — დინჯად წარმოთქვა მასპინძელმა და რამდენიმე „ზარი“ მაგიდაზე დაყარა, — აბა, რობერტ, შეამოწმე. თუ ყველაფერი წესრიგშია, დროზე დავიწყოთ, თორემ დილის ათ საათზე უკვე ბიუროს სხდომაზე უნდა ვიყო...

ჩემს მეგობარს სახეზე უკმაყოფილება შევატყვე, თუმცა ხმა არ ამოუღია და მაგიდას მორჩილად მიუჯდა. მეც იქვე მოვთავსდი.

თამაშმა სულ ნახევარ საათს გასტანა. რობერტამ, თუ არ ვცდები, ათას ორასი მანეთი წააგო და შემდეგ ცეკას მდივანს ბოდიში მოუხადა, მეტის თავი აღარ მაქვს და თუ ნებას მომცემთ, დაგტოვებთო. მასპინძელსაც თავი აღარ გამოუდვია, გინდა თუ არა, დარჩითო. ისედაც კმაყოფილი იყო, ამხელა თანხა რომ ჩაიჯიბა. ღიმილით გამოგვაცილა და კიდევ მესტუმრეთო, — მოგვაძახა.

ჩემი მეგობარი ასეთი გამწარებული არასოდეს მინახავს, იმ კაცს სულ დედის სულს უტრიალებდა. ოქტომბრის ქუჩაზე, თავის ბინაში ამიყვანა, უჯრიდან ორი ჩვეულებრივი კამათელი ამოიღო და მეუბნება:

— ნახე, გოგი-ჯან, ასეთი „ზარებით“ მომიგო იმ უნამუსომ!

როგორც ჩანს, შემატყო, რომ ვერაფერს მივუხვდი. რობერტამ მაგიდაზე ბრტყელი მაგნიტი დადო და ის კამათლები ზემოდან დააყარა. კამათლები, თითქოს ჯადოსნურიაო, მაშინვე ამოტრიალდნენ და „შაშზე“ დაჯდნენ. ამის შემდეგ რობერტამ მაგნიტი ამოაბრუნა და კამათლები კვლავ ზედ დაყარა. ისინი ამჯერად „იაქეზე“ დასკუპდნენ.

— ნახე, ბიჭო, როგორ მომიგო? — ყვიროდა „ყომარბაზი“, — ასეთი „სიაფანდი“ კამათლები ჩემი გამოგონილია! იმ დამპალს მაგნიტები მაგიდის ქვეშ, კუთხეებში ჰქონდა დამალული. შიგადაშიგ „ზარს“ იქით აგორებდა და რასაც უნდოდა, იმას აჯენდა!

— კი მაგრამ, თუ ხვდებოდი, ვერ ამოიღე ხმა?

— რას ამოვიღებდი... შინაგან საქმეთა მინისტრი მაგის „პრიამოი“ ძმაკაცია და ხვალვე დამიჭერდნენ! იძულებული ვიყავი, თავი მომესულელებინა და ის ფულიც მიმეშავებინა...

**დარწმუნებული ვარ, ფულზე ყოველთვის ითამაშებენ — ამის მიზეზი ადამიანის სიხარბეა. თამაში ჩვეულებრივი ავადმყოფობაა, მეორე მხრივ კი, მთელი ჩვენი ცხოვრებაც ხომ თამაშია.**

**კაზინოები, უკანასკნელ პერიოდში ასე რომ მომრავლდა ჩვენში, არ მიყვარს. კარგა ხანია, არც კარტს ვეკარები. ისე კი, არალეგალური თამაში დღესაც გრძელდება, თუმცა „იგროკების“ დონე მკვეთრად დაეცა და ის ინტერესი აღარ არის, უწინ რომ იყო.**

**დასასრულ, ახალგაზრდებს ერთი რჩევა მინდა მივცე: ფულზე არავითარ შემთხვევაში არ ითამაშოთ! რაც არ უნდა ბევრი მოიგო, საბოლოოდ მაინც წაგებული დარჩები. ეს, როგორც იტყვიან, ოქროს წესია.**

***გვერდი მოამზადა მიხეილ ჩერქეზიამ***

# ცხოვრებისეული კურიოზები

## მამის დარიგება



ჩემმა გურულმა ნათესავმა თავისი წვევამდელი ვაჟი დაარიგა:

— სამედიცინო კომისიაზე რომ შეხვალ, თქვი, ჭამის მადა არ მაქვს, სმა არ შემიძლია, ღამით ძილი არ მეკარება-თქვა... დალეული და გამხდარ-გაჩხიკინებული ქე ხარ, ხოდა, „დაგ-ბრაკავენ“ და ჯარში სამსახურს გადარ-ჩები...

ყურებჩამოყრილი გამოვიდა ბიჭი საკონტროლო ოთახიდან და მამას უს-აყვედურა:

— სულ ტყვილა მათქმევინე ამდენი ტყვილი.

— რა მოხდა, რავა, არ დაგიწუნეს? — გაიკვირვა ჩემმა ნათესავმა.

— კომისიამ ერთხმად მომიწონა. თქვეს, შენისთანა ბიჭები გვჭირდება ახლა ჩვენ, ხარჯიც ცოტა გვექნება და ჯარშიც ფხიზელი ჯარისკაცები გვეყოლებაო.

***ანა მზემთვარიშვილი***

## — სიდედრო დედიიი!..



გორის გამოჩენილ კოლორიტს — ჯიბოს წვეულება ჰქონდა.

სტუმრებმა შენიშნეს, რომ ჯიბო დედას სახელით მიმართავდა, ხოლო სიდედრს დედას ეძახდა.

ერთმა სტუმარმა, ვერ მოითმინა და ჯიბოს უსაყვედურა:

— შე დალოცვილო, ან ორივეს დედა დაუძახე, ან ორივეს სახელით მიმართე... რას ჰგავს შენი საქციელი?!

ჯიბომ ჩაიცინა და სტუმარს აუხსნა:

— ხომ მოგეხსენება, ვაჭრობის მუშაკებს დედის გინება წესად გვაქვს და მე ამით გინებას მისამართს ვუცვლი.

***დავით ბერიანიძე, გორი***

## გორიდან არ ჯობდა?!



გორის „დილას“ ფეხბურთელთა გუნდს გას-ვლითი მატჩი ჰქონდა ლანჩხუთის „გურიასთან“.

„დილას“ გამოცდილმა ლიდერმა მოედნის ცენტრთან მიიღო ბურთი, რამდენიმე მეტრი გაირბინა და, მოულოდნელად შორი მანძილ-იდან დაარტყა კარის მიმართულებით.

ეტყობა, ბურთი კარგად „მოაჯდა“ ფეხზე, მოწინააღმდეგის მეკარემ განძრევა ვერ მოასწრო, რომ ტყვიასავით გავარდნილმა ბურთმა კი-ნაღამ გახია კარის ბადე.

მოედანზე უჩვეულო, უხერხული სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც ერთი გურული გულშემატკივრის წამოძახილმა დაარღვია:

— შენი დედა... შენი... აქ რაღას მოდიოდი, ბარეღამ პირდაპირ გორიდან დაგერტყა.

***დავით ბერიანიძე***

## გამოცდაზე

მეზობელი მყავს ერთი, გვარს არ ვასახელებ, ჩემი ძმაკაცია და, მო-მკლავს.

ფილოლოგიურზე აბარებდა და მამამისმა ოთხი შემწვარი გოჭი, თავი-სი „ყველაფრით“ მიართვა საგამოცდო კომისიის თავმჯ-დომარეს და საქმე ჩააწყო:

— ისეთი შე-კითხვა მიეცით, შენი ჭირიმე, რო ადვილად უპასუხ-ოს ამ რეგვენმა (შვილზე).



მოვიდა გამოც-დის დღე... ელო-დებიან აღელვებუ-ლი მშობლები ბიჭს.

გავიდა ნახევარი საათი.

ბიჭი „დაძმარებული“ გამოდის აუდიტორიიდან.

— რა ქენი, ბიჭო? — ეცნენ მშობლები.

— ჩამჭრეს... მაგენს გოჭები კი არა, ჭირი უნდა მიუტანო!

— რაო? აიტ! — გადაირია მამა... რაო, რა გკითხა მაგ ოჯახ-ამოწყვეტილმა მაინც?

— დუტუ მეგრელი ვინ იყოო?

— მერე მაგის პასუხს რა უნდა, შე შტერო?

— კაი, ახლა, მამაჩემო, ისე ვარ გაბრაზებული, შენ გამოგჭრი ყელს იმ გოჭებივით.

— ა, ეცი ახლა ამ მუტრუკს პატივი! კი მაგრამ, ბიჭო... ყვე-ლაფერში უნიათო რავა უნდა იყო შენ? სულ ხელით როდემ-დე გათრიო მე შენ? მაგას როგორ ვერ უპასუხე?!! მაგაზე ად-ვილი რა უნდა ეკითხათ, ბიჭო?

— ხო... ხო... მითხარი თუ მაგრად იცი, ვინ იყო?

— დუტუ, შვილო, — აწი მაინც დეიმახსოვრე — მეგრელი იყო, მეგრელი, გეიგე?

— მასე ვუპასუხე მეც და გამო-მაგდეს გარეთ. შედი ახლა, წამეილე ი გოჭები... ცოდნას გვიკარგავენ...

ის „ბიჭი“ დღეს დიდ თანამდებობაზე მუშაობს.

***მურმან მერკვილიშვილი***

## ურწმუნო თომა

ის პერიოდია, ამერიკელი ასტრონავტები მთ-ვარეზე რომ დაფრინდნენ.

მე და 90 წლის ბაბუაჩემი რაჭაში, კაკლის ხის ძირას ჩამოვსხედით და არაყს ვწრუპავთ.

საღამო ხანია. მთვარე დაეკიდა საქორიის მინ-დორს და მეც პოეტურ-მეცნიერულ გუნებაზე დავდექი:

— ნახე ბაბუ, ჩვენ აქ ვღიღინებთ, იქ მთვარეზე კი ხალხია ასული და ისე დადიან, როგორც ჩვენ ამ ჩვენს ეზოში.

— მაგი დედაშენს მოატყუე. იქ რომ კაცს ფეხი დაუცდეს, ჩვენს კაკლამდე სული არ დაყობა, — შემომიბღვირა ბაბუამ.



***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

ერთი თავგატეხილი კაცი ექიმთან მივიდა, უმკურნალა ექიმმა.

— რამდენი მოგართვათ? — ჰკითხა ექიმს კლიენტმა.

— 50 ლარი.

— ექიმო, იცით, თავი რატომ მქონდა გატეხ-ილი? მეზობლის ვალი მაქვს — 30 ლარი და ვერ მივეცი.

***ჯანო ონიანი***



ზარი ექსტრასენსთან:

— გამარჯობათ, ექსტრასენსი ბრძანდებით?

— დიახ.

— შეიძლება, თქვენთან მიღებაზე ჩაწერა ოთხ-შაბათისთვის?

— არა!

— რატომ?

— სამშაბათს ფეხს მოიტეხთ.

***„სობ-33“***





კლიენტი, რომელსაც თავზე ღერი თმაც არა აქვს, შედის საპარიკმახეროში და თმაქო-ჩორა დალაქს ეუბნება:

— თუ შენნაირ პრიჩოსკას გამიკეთებ, 1000 დოლარს მოგცემ.

დალაქმა მაშინვე გადაიპარსა თავი.

***გიორგი ხომასურიძე, თბილისი***



ბარდღა თავის მეგობარ მიტუას ეწვია სტუმრად კახეთში. მალე კახური ღვინით შეჭიკჭიკდა და მეგობრის მამას შაქროს უხსნის:

— მე, ჩემო ბატონო, ჭამაზე უფრო კახური ლხინის პროცესი მაინტერესებს, სმაზე უფრო კი ღვინის დაყენების პროცესი.

— ახალგაზრდობაში მეც აგრე ინტერ-ესიანი ვიყავი, ჯო, მაგალითად, ე ჩემ მუტრუკ მიტუაზე უფრო მაგი შაქმნის პროცესი მაინტერესებდა — უპასუხა შაქრომ.

***დალი ნარსია, სენაკი***

აკვანში მწოლიარე ბავშ-ვი ტირის.

— ადე, მიხოო... ბავშვს აკვანი დაურწიე, ნახევარი ხო შენიცაა? — ექაჩება მარო მზრუნველ მამას.

— თავად ადექ და შენი ნახევარი დაარწიე, — უპა-სუხა მიხომ და გადაბრუნდა.

***ნოდარ კოჭლაშვილი, თბილისი***



— რა კარგი ცუგა გყავს, ჭიჭიკია, შეიძლება მივუახლოვდე?

— რა თქმა უნდა, აბა, ისე როგორ გიკბენს?

***გივი ქარქაშაძე, რუსთავი***



— უკვე მეორე დღეა, ვტრიალებ ამ კარუსელზე — ჩამოსძახა ჭიჭიკიამ შალიკიას.

— ასე მოგენატრა ბავშვობა?

— მომენატრა, არა, ის არ გინდა? ამ კარუსელის პატრონს ვალი აქვს ჩემი და ვუქვითავ.

***გივი ქარქაშაძე***

**ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენ-გან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.**

# საქართველო, რომელსაც ვკარგავთ დროებით და შესაძლოა, სამუდამოდაც

სულ მალე ჩვენი სამშობლოს სამხრეთი საზღვარი ბოქლომით ჩაიკეტება. 5 დეკემბრიდან რუსეთი სავიზო რეჟიმს შემოიღებს თანამეგობრობის პარტნიორ საქართველოსთან. როგორც ოფიციალური რუსეთი აცხადებს, სავიზო რეჟიმის შემოღება უკავშირდება რუსეთის ტერიტორიაზე ჩეჩენი ბოევიკების შემოჭრის საშიშროებას. იმისათვის, რომ ამ არგუმენტის მთელი სერიოზულობა აღვიქვათ, წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: დეკემბერი, დიდი კავკასიონის მთავარი ქედი, რომლის სიმაღლეც სამი ათასი მეტრია. მთის თოვლიან და ქარიან კალთაზე ნელ-ნელა მიემართება „არაბული, თურქული და ავღანური ეროვნების“ ახალწვეულთა ასაკის მამაკაცთა ჯგუფი. მძიმე ზურგჩანთებით მიაქვთ მათ „სტინგერის“ ტიპის გადასატანი რაკეტები, კალაშნიკოვის ავტომატები და რუსული წარმოების საიდუმლო სნაიპერული შაშხანები, ისეთი, როგორიც ჯერ კიდევ არა აქვს რუსეთის არმიას. დაქანცულ და გაწამებულ ჯგუფს მწვერვალზე რუსი მესაზღვრეები ხვდებიან და პასპორტებს და ვიზებს სთხოვენ...

როგორია? დამაჯერებელი სურათია!

არაოფიციალური საუბრებისას რუსი პოლიტიკოსები უფრო გულახდილნი არიან. მოსკოვში, ქართული დიასპორის, „მრგვალ მაგიდასთან“ შეხვედრაზე სახელმწიფო დუმის დეპუტატმა ბორის პასტუხოვმა შეკრებილთ აუწყა, რომ სავიზო რეჟიმის შემოღება რუსეთის მხრიდან საპასუხო ქმედებაა საქართველოს ხელისუფლების არაკეთილმოსურნე პოლიტიკის მიმართ. არაკეთილმოსურნეობაში იგულისხმება საქართველოს მისწრაფება, დაუახლოვდეს დასავლეთს, ნატოს, ანუ პატარა ქვეყნის ბუნებრივი სურვილი, მიისწრაფოდეს ნორმალური ცხოვრების სტანდარტებისკენ და როგორღაც დაიცვას თავი არასაიმედო მეზობლისგან, რომლის ახალი ხელმძღვანელობაც ანდროპოვის სადღეგრძელოს სვამს და აპირებს, აღადგინოს ბოლშევიკური იმპერიის ჰიმნი. ასე რომ, სავიზო რეჟიმის შემოღება სადამსჯელო აქციაა საქართველოს წინააღმდეგ. ამჟამად რუსეთის ტერიტორიაზე 500-დან 700 ათასამდე ქართველი ცხოვრობს და მუშაობს. ისინი ეხმარებიან სამშობლოში დარჩენილ ნათესავებს. ასეთი „ინვესტიციები“ ყოველწლიურად დაახლოებით მილიარდ დოლარს შეადგენს. ეს, რასაკვირველია, არ შეედრება იმ დახმარებას, რასაც დასავლეთის ქვეყნები უწევენ საქართველოს ხელისუფლებას, მაგრამ მაინც საგრძნობი თანხაა. განსაკუთრებით, ე.წ. უბრალო ხალხისთვის. საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა ვერ მოასწრებს სამ თვეში ლეგალიზებას და იძულებული გახდებიან, სამშობლოში დაბრუნდნენ. ამით კი შეავსებენ ქართველ უმუშევართა რიგებს. რასაკვირველია, ეს პროცესი დამატებით პრობლემებს შეუქმნის ქართველ ხელისუფალთ. მაგრამ, ალბათ სერიოზულ სოციალურ აფეთქებამდე საქმე მაინც არ მივა. რუსეთის ხელისუფლების რევანშისტულად განწყობილ ნაწილს ხომ სწორედ ამის იმედი აქვს. არ უყვარს შევარდნაძე რუსეთის გენერალიტეტს და მორჩა! ხოლო გენერალიტეტი დღეს, ფაქტობრივად, ქვეყნის მესაჭეა და რატომაც არ ასწავლოს ჭკუა მეზობელი სახელმწიფოს საძულველ ხელმძღვანელს? თან რატომ არ დაიკმაყოფილოს თავმოყვარეობა? ეს პოზიცია გამოხატა დეპუტატმა — კომუნისტმა ანატოლი ჩეხოვმა, როცა განაცხადა, რომ სავიზო რეჟიმის შემოღება საქართველოში არეულობას გამოიწვევს და შევარდნაძის ხელისუფლება დაემხობაო. მაგრამ დღეს საქართველო ის აღარ არის, რაც იყო ათი წლის წინათ. დღეს საქართველოს ელიტაში არ არის არც ერთი სერიოზული ადამიანი, რომელიც გაცვლის დემოკრატიისა და თავისუფლების ფასეულობებს, კაცმა არ იცის, რა ღირებულებებზე. ამიტომაც ძალზე ცინიკურად გამოიყურება რუსი პოლიტიკოსების განცხადება, რომ სავიზო რეჟიმი არ არის მიმართული ჩვეულებრივი ადამიანების წინააღმდეგ. სწორედ ისინი დაზარალდნენ ყველაზე მეტად, ხოლო რუსეთში არსებულ ქართულ კრიმინალიტეტზე ეს არ აისახება, რადგან კრიმინალიტეტი აქ დიდი ხანია ლეგალიზებულია. ბოლოს მოგებულები დარჩებიან ორივე მხარის საკონსულოთა თანამშრომლები, რომლებიც დამატებით თანხას მიიღებენ. ისინი არ დააყოვნებენ, ახალ-ახალი პრობლემები შეუქმნან „უბრალო ადამიანებს“ და სწორედ ამ დროს, როგორც რუსეთის ცნობილმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა ივერი ფრანგიშვილმა აღნიშნა, „ხალხთა შორის მეგობრობა სრულიად შესაძლებელია შეცვალოს მტრობამ“. რეჟიმის შემოღების შედეგად საქართველო არ გაქრება მსოფლიო რუკიდან, როგორც არ გაქრება გრიბოედოვის საფლავი ქართული მიწიდან.



ათი წლის შემდეგ ქართველ ხალხს არავითარი სიძნელე არ შეაშინებს. ხოლო „მადლიერების გრძნობა“ ჩრდილოელი მეზობლის მიმართ ასეთი „მეგობრული“ ნაბიჯისთვის კარგა ხანს შერჩება ქართველთა ხსოვნას. ამ პოლიტიკური აქციის რეალური შედეგი ის იქნება, რომ საქართველო კიდევ უფრო დაშორდება რუსეთს და ძალიან დიდი ხნით. იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ რუსეთიდან „შავების“ გაძევების შემდეგ ქვეყანაში სასწაული მოხდება: შემცირდება დანაშაულობა, ამუშავდება ეკონომიკა, ჩინოვნიკები აღარ მოიპარავენ და ხალხი სმას დაანებებს თავს.

სასწაული არ მოხდება. სანამ ხალხს ჩვენში ყოფენ სუფთა და ბინძურ ადამიანებად, თავისიანებად და უცხოებად, მანამდე მოგვიხდება ვაშენოთ მესამე რომი, ვიარსებოთ მეოთხე განზომილებაში და მივაბათ ეტლს მეხუთე ბორბალი... იძულებული ვიქნებით, ვეძებოთ ჩვენი განსაკუთრებული, ყველასთვის უცნობი და რაც მთავარია, ყველასთვის უსარგებლო გზა... არც შევარდნაძე და მით უმეტეს, დანარჩენი ქართველები აქ არაფერ შუაში არ არიან.

***ნოვიე იზვესტია №218***

# რუსეთის პრესა საქართველოში სავიზო რეჟიმის შესახებ...

## საქართველო მთელი მსოფლიოს გასაგონად „იყვირებს“

თბილისი სავსებით სამართლიანად არის გაღიზიანებული იმით, რომ რუსეთის მხარე ცალსახად იტოვებს უფლებას, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საზღვარზე შემოიღოს შეღავათიანი ვიზა. გარდა ამისა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო სამსახურის დეპარტამენტის დირექტორმა განაცხადა, რომ „სავიზო რეჟიმთან დაკავშირებით რუსეთის პოზიცია ამიერიდან აღარ განიხილება“.

* * *

საქართველოს პარლამენტმა განსახილველად წამოაყენა „შურისძიების აქტი“, რომელიც ქართველ დეპუტატთა უსაზღვრო ფანტაზიაზე მეტყველებს. ეს არის დენონსაცია ხელშეკრულებისა „მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ“, რომელიც რუსეთის სახელმწიფო დუმას არც კი მიუღია.

* * *

საქართველოს პარლამენტართა განცხადებით, თუ რუსეთი შემოიღებს შეღავათიან სავიზო რეჟიმს ზოგიერთ სასაზღვრო ტერიტორიაზე, ეს განიხილება, როგორც „რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ანექსია“. სპიკერი ზურაბ ჟვანია იმუქრება კიდეც: „საქართველო მთელი მსოფლიოს გასაგონად იყვირებს და დახმარებისათვის მიმართავს საერთაშორისო საზოგადოებრიობას“. ფაქტობრივად, ეს მუქარა შესრულდა კიდეც — საქართველოს საგარეო საქმეთა უწყებებმა გაეროს და ეუთოს სთხოვეს, შეაფასონ ტირასპოლში აულიარებელი აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღისა და დნესტრისპირეთის წარმომადგენელთა შეხვედრა. ქართველმა დიპლომატებმა ეს მოლაპარაკება შეაფასეს, როგორც „სეპარატისტთა მცდელობა, მოძებნონ გამოსავალი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ჩიხიდან, რომელშიც მოაქციეს მათ ზემოდასახელებული რეგიონების მოსახლეობა“.

* * *

პასუხი ჯერ არც ნიუ-იორკს და არც ვენას არ გაუცია. სამაგიეროდ, მოულოდნელად გააქტიურდა პარიზი. ამ დღეებში ფრანგმა სპეციალისტებმა მოაწყვეს გუდაუთაში არსებული რუსული სამხედრო ბაზის შეიარაღებისა და ტექნიკის ინსპექტირება.

## საქართველოს თავისი ჩეჩნეთი ექნება

საქართველოში პირველად აღიარეს, რომ ადგილობრივ „ჩეჩნეთის რესპუბლიკაში“, ქისტებითა და ჩეჩნებით დასახლებულ პანკისის ხეობაში, სიტუაცია კონტროლს აღარ ექვემდებარება.

საინტერესოა, რომ პანკისის ხეობის პრობლემებზე ღიად დსთ-ის სამიტის წინ ალაპარაკდნენ. ადრე თბილისში ამბობდნენ, ხეობაში სიტუაცია „სტაბილურად დაძაბულია“, მაგრამ ეს სოციალურ პრობლემებთანაა დაკავშირებული და იქ არავითარი შეიარაღებული ჯგუფები არ არიანო.

„სეგოდნიას“ კორესპონდენტს ახმეტის რაიონის პოლიციის უფროსმა თ. არაბულმა განუცხადა, რომ რაიონში შეყვანილი იქნება დამატებითი შეიარაღებული ძალები, რომლებიც გააკონტროლებენ ჩეჩნეთისკენ მიმავალ მთის არალეგალურ ბილიკებს, ხეობის ტყის მასივების „გაწმენდა“ ჩეჩენთა შეიარაღებული ჯგუფებისგან 11-12 დეკემბერს უნდა დასრულდეს. ჯერ-ჯერობით, ძალოვნები ოპერაციებს არ ჩაატარებენ სოფლებში, სადაც ბევრი ქალი, ბავშვი და მოხუცია.

***რუსული პრესის მიხედვით***

# რას გვეტყვი, მამაო?

**— როგორ უნდა ვამხილოთ მოყვასი?**

— არსებობს სამი მიზეზი, რომელიც ამართლებს მხილებას ქრისტიანული პოზიციიდან. პირველი ორი დამყარებულია მოვალეობასა და პასუხისმგებლობაზე. ყოველი საზოგადოება წარმოადგენს სტრუქტურათა შესაკრებელს — ოჯახიდან სახელმწიფომდე. ყოველი სტრუქტურა ემორჩილება იერარქიულ წესრიგს. ამგვარ სტრუქტურაში პასუხისმგებელ ადამიანს აქვს იმათი მხილების უფლება, ვინც იმყოფება მის დაქვემდებარებაში; ეს არის ხელმძღვანელი პირის უფლება. მხილების მეორე სახეობა, მოვალეობასა და პასუხისმგებლობაზე დამყარებული — გახლავთ მშობლის ვალი შვილების აღზრდაში, სადაც მხილება წარმოადგენს პედაგოგიკის ერთ-ერთ მეთოდს. აქვე უნდა აღინიშნოს აგრეთვე მღვდელმსახურთა მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შესახებაც, მრევლის ცოდვების სამხილებლად. მხილების სხვა სახეობა თვისებრივად განსხვავდება უკვე განხილულთაგან, ეს არის ძმური მხილება, რომელიც ემყარება არა იმდენად მოვალეობის გრძნობას, რამდენადაც სინდისისმიერ შინაგან მოთხოვნილებას. ეს უკანასკნელი სახეობა დაფუძნებულია მხოლოდ ზნეობრივ ფაქტორზე და მოკლებულია ძალაუფლებისა და იურიდიული სამართლის გარეგნულ ნიშნებს.

სამწუხაროდ, მხილება ნაკლებად ეფექტური გახდა იმის გამო, რომ უმეტეს შემთხვევაში ეფუძნება არა სიყვარულის გრძნობას, მოწოდებულს თვით პიროვნების გამოსასწორებლად (და არა მარტო ბოროტების დასათრგუნად), არამედ პირად ემოციებსა და განწყობილებებს. ძალიან ხშირად სხვათა მამხილებელი პიროვნება ამ გზით ახდენს საკუთარი ვნებების რეალიზებას: ქედმაღლობის, პატივმოყვარეობის, სიამაყის და ზოგჯერ მრისხანებისა და შურისაც კი. ამიტომ მხილებამდე თავდაპირველად ადამიანმა უნდა ჩაიხედოს საკუთარ გულში, ხომ არ ბუდობს იქ რაიმე ვნება ან შელახული თავმოყვარეობა? წმინდა მამები კრძალავენ მხილებასა და დასჯას მრისხანების ჟამს. უხეში და ავი სიტყვა ან თუნდაც გარეგნულად სამართლიანი შეგონება, მაგრამ სიმკაცრითა და ბოროტებით ნათქვამი, ერთგვარი უარყოფითი ენერგიით არის ავსილი და სხვა ადამიანის გული მისგან თავდასაცავ ზღუდეებს აღმართავს. თუ გადავხედავთ ჩვენს საკუთარ ცხოვრებას, განსაკუთრებით ბავშვობის პერიოდს, გავიხსენებთ, რომ ჩვენთვის მიუღებელი იყო ყოველივე ის, რასაც ყვირილით, გაღიზიანებით ან აწეული ტონით გვაკეთებინებდნენ; სათქმელს არ დავამთავრებინებდით, ისე უარვყოფდით წინასწარ იმ სიტყვებს, რომლის მოსმენაც სულ ცოტა ხანში გვიწევდა. მეორე პირობაა: ვინც ამხილებს, მან უნდა შეამოწმოს საკუთარი სული — ხომ არ მოუცავს იგი ისეთსავე მანკიერებებს, რომელთა მხილებაც მას გადაუწყვეტია? ეს თუ ასეა, მხილება არ იქნება შინაგანად დამაჯერებელი — მხილებული და მამხილებელი იმყოფებიან ერთი და იმავე ვნების სამოქმედო არეში.

წმინდა მამები გვირჩევენ, მაშინვე კი არ ვამხილოთ ადამიანი, რაჟამს ცოდვიან საქციელს ჩაიდენს, არამედ დავიცადოთ, ვიდრე ემოციები ჩაწყნარდება და გამოფხიზლდება გონება, მხოლოდ ამის შემდეგ მშვიდად უნდა ითქვას სათქმელი. მით უფრო, თუ ეს ეხება დასჯას. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას თანამედროვე ოჯახში. როგორც წესი, მამხილებელი დარწმუნებულია, რომ ის არის სწორედ სიმართლისა და სიკეთის ერთადერთი მატარებელი, ხოლო მხილებული მიიჩნევს, რომ მასზე ხორციელდება გამამართლებელი ძალმომრეობა. ამიტომ მშობელი ან აღმზრდელი თვით უნდა ჩამოყალიბდეს ისეთ პიროვნებად, როგორადაც მას სურს იხილოს თავისი შვილები და აღსაზრდელები. რაც შეეხება ძმურ მხილებას, აქ საერთოდ გაუმართლებელია პროკურორისა თუ მოსამართლის ტონი — შეიძლება საკმარისი იყოს მიუღებელი ქცევების ახსნა-განმარტება და მათი დამღუპველი შედეგების მითითება. ამასთანავე, მამხილებელმა საკუთარი თავიც არ უნდა გამორიცხოს გამოსასწორებელთა სიიდან. მორწმუნე ადამიანმა, ვიდრე ის სხვა ადამიანებს ამხილებდეს, უნდა სთხოვოს უფალს, რათა მან მიანიჭოს ცოდვით დაცემულის მიმართ სიყვარული და გულის კარი გაუღოს ამ უკანასკნელს მისი სიტყვების მოსასმენად. აქ ალბათ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ჰიპოკრატეს წესი: „უპირველესად არ ავნო, ხოლო შემდეგ — დაეხმარე“.

**— სურვილი მაქვს ჩემი საცხოვრებელი სახლის ერთ ოთახს გავუკეთო კარი, რომელიც იქნება ერთ-ერთი მართლმადიდებლური ქრისტიანული მოქმედი ეკლესიის კარის იდენტური ან მსგავსი. ხომ არ ჩამეთვლება ასეთი საქციელი ცოდვად?**

— ქრისტიანისთვის ტაძრის ელემენტების შერთვა საკუთარი სახლის არქიტექტურასა და ინტერიერში მკრეხელობაა და აკრძალულია! რამეთუ ქრისტიანული ტაძარი უნდა განსხვავდებოდეს ჩვეულებრივი, რიგითი საცხოვრებელი სახლებისგან. ტაძარი — ეს არის ხატი მიწისა და ზეცისა.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ.* *გვ. 32*

***თქვენს შეკითხვებს პასუხობს არქიმანდრიტი მამა რაფაელი***

კავკასია

# რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია სომხეთსა და აზერბაიჯანს შეარიგებს



**ყოველთა სომეხთა კათალიკოსი გარეგინ II სტუმრად რომის პაპთან**

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსი -ის ინიციატივითა და შუამდგომლობით მოსკოვში შედგა მოლაპარაკება ყოველთა სომეხთა კათალიკოს გარეგინ -სა და აზერბაიჯანის სულიერ ლიდერს შეიხ ულ-ისლამ ალაჰ-შიუკიურ ფაშა-ზადეს შორის. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების სამმხრივი დიალოგის მონაწილენი მიიღო რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა. შეხვედრის შემდეგ სომხეთის სამოციქულო ეკლესიის უმაღლესმა პატრიარქმა — კათალიკოსმა **გარეგინ II-მ** ინტერვიუ მისცა „ნგ“-ს კორესპონდენტს.

**— როგორია დიალოგის შედეგები?**

— მოლაპარაკების შემდეგ ხელი მოვაწერეთ შესაბამის შეთანხმებას და გავცვალეთ სამხედრო ტყვეთა სიები. ორივე მხარე დაჰპირდა ერთმანეთს, რომ ყველა ღონეს მიმართავს ტყვეთა გასათავისუფლებლად. გვწამს, რომ სულიერ ლიდერთა შეხვედრა ურთიერთნდობის ატმოსფეროს შექმნის.

**— თქვენს ვიზიტს ვატიკანში საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა, რაც, ნაწილობრივ, განპირობებული იყო რომის პაპის იოანე პავლე II-ის უპრეცედენტო განცხადებით იმის თაობაზე, რომ რომის კათოლიკურმა ეკლესიამ ცნო და დაგმო თურქეთში მომხდარი 1915 წლის სომეხთა გენოციდი. როგორია მოცემულ ეტაპზე სომხური ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულება რომის კათოლიკურ და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიებთან?**

— ძალზე მოხარულნი ვართ, რომ რომის პაპმა იოანე პავლე -მ პირველად მისცა ასეთი ფორმულირება სომხეთის ტრაგედიას. მოხარულნი ვართ, რომ სომხეთის სამოციქულო, რომის კათოლიკური და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიების ურთიერთობა ნორმალურად მიმდინარეობს.

***იბეჭდება შემოკლებით ნეზავისიმაია გაზეტა №226***

ცნობები ჩეჩნეთიდან

# ჩეჩნეთის საქმეთა მინისტრი



ამიერიდან ამბოხებული რეგიონის ფინანსებს მოსკოვიდან განაგებენ.

ვლადიმირ პუტინმა ჩეჩნეთის საქმეთა მინისტრად ვლადიმირ ელაგინი დანიშნა. ელაგინი „განთავისუფლებული“ მინისტრია. ფაქტობრივად, იგი ხდება „ჩეჩნეთის მეთაური“, რადგან სწორედ მან უნდა მართოს ფინანსების დინება ამ რეგიონში.

***სეგოდნია №267***

# მასხადოვი „ეროვნულ მოღალატეებს“ ემუქრება

ასლან მასხადოვმა ულტიმატუმი წაუყენა მმართველობის ახალ ორგანოებში მომუშავე ჩეჩენ მოხელეებს და მოითხოვა, რომ მათ 24 საათში დაეტოვებინათ თავიანთი პოსტები. ვინც დამორჩილებაზე უარი განაცხადა, ბოევიკები განადგურებით დაემუქრნენ.

ჩეჩენ მოხელეებს ომის დაწყებამდეც ემუქრებოდნენ. ბოევიკები მათ „ეროვნულ მოღალატეებს“ უწოდებენ და ომის გამჩაღებელ რუს პოლიტიკოსებსა და ჯარისკაცებზე მეტად სძულთ. ჩეჩნეთის ნომერ პირველ მოღალატედ ბოევიკები მიიჩნევენ აჰმად კადიროვს, რომელიც, სხვათა შორის, არცთუ ისე დიდი ხნის წინ პრეზიდენტ მასხადოვის უახლოესი თანამებრძოლი იყო.

***კომერსანტი №223***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. მადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიითხრობენ

**4 წლის კოტიკო ეჯიბაშვილს** ტანსაცმელს ვუსწორებ და შარვალი ჩავუწიე.

გაბრაზებული მეუბნება:

— რატომ ჩამხადე, ამხადე ახლავე!

**4 წლის მადონამ** დილით გაიღვიძა და თავის დაიკოს, 5 წლის ხატიას ეჩხუბება:

— გოგო, რა გინდოდა სიზმარში, რას მეუბნებოდი, ხმამაღლა ვერ მითხარი, რომ ვერ გავიგე?

— მე შენს სიზმარში სულაც არ ვყოფილვარ, მე მამიკოს სიზმარში ვიყავი და „ბუშტაეთის“ ბაღში წამიყვანა, — პასუხობს გაკვირვებული ხატია.

**გიორგი ქავთარაძე** უყურებს ტელესერიალს „ძილის წინ“ და მერე იძინებს.

თენდება დილა და მამიკო პატარა გიორგის კოცნის. გიორგი შეხედავს მამას და ეუბნება:

— ო, ლა სექსუალური თავი გაქვს, მამიტო!

**6 წლის მიშიკო ღოლიჯაშვილმა** თავის დას, თაკოს ხელი ატკინა. დედა გაუწყრა:

— რატომ ატკინე ხელი დას?

მიშიკომ უპასუხა:

— არა უშავს.

დედა უფრო გაუბრაზდა:

— რას ნიშნავს, არა უშავს, ბავშვს კინაღამ ხელი მოსტეხე?

მიშიკომ უპასუხა:

— მაშინ უშავს.

**6 წლის ილია კურტანიძეს** დედა უამბობს დავით აღმაშენებელზე, რომ დავითი ძლიერი მეფე იყო, საქართველო გააერთიანა, უამრავ კეთილ საქმეს აკეთებდა საქართველოსათვის და ხალხი ძალიან უყვარდა.

ილიამ უსმინა დედას და ეკითხება:

— დედიკო, დავით მეფის დროს საქართველოში შუქი სულ იყო?

## იპოვეთ 15 განსხვავება



## დაალაგეთ სურათები თანამიმდევრულად

II




## რებუსი I




## გამაფერადე ფერადი ფანქრებით



გამოიცანით, რომელი საჩუქარი, ტყის რომელ ბინადარს ეკუთვნის

## კროსვორდი

III



**შვეულად:** 1. ქრისტეფორ ვრუნგელის საზღვაო წოდება; 2. რომელი მულტფილმია, სადაც ჟღერს შემდეგი ფრაზა: „აქეთ მზე, იქით მთვარე, უკან კიდევ ვარსკვლავები“. 4. „საიდუმლო კუნძულის“ ავტორი; 5. ეკლესია თბილისში; 7. განთიადი ანუ...; 8. საპყრობილე, სატუსაღო...; 10. ახალი წლის ფეხბედნიერი სტუმარი; 13. ის, რასაც თაყვანი არ უნდა სცე (ათი მცნებიდან ერთ-ერთი).

**თარაზულად:** 3. რქისგან დამზადებული სასმისი; 6. ტომის მეტოქე (მულტფ.); 9. დღის შემცვლელი; 11. მულტფილმის პროპელერიანი პერსონაჟი; 12. გამაგრილებელი სასმელი; 13. მცენარე, რომლისგანაც მზადდება შოკოლადი; 14. მიუნჰაუზენის წოდება; 15. მაიმუნის ერთ-ერთი სახეობა; 16. მოლაპარაკე ფრინველი.

## მოთხრობა–გამოცანა

ერთ-ერთ საავიაციო ქვედანაყოფში მსახურობს ხუთი მეგობარი: პეტრიაშვილი, შონია, სიხარულიძე, კახიძე და სამადაძე. თითოეული მათგანის პროფესიაა: მფრინავი, შტურმანი, ბორტმექანიკოსი, რადისტი და სინოპტიკოსი. მათ შესახებ აგრეთვე, ცნობილია შემდეგი: 1) შონიამ და კახიძემ არ იციან თვითმფრინავის მართვა; 2) შონია და სამადაძე ცხოვრობენ საერთო საცხოვრებელში რადისტთან ერთად; 3) სიხარულიძე და შონია გასულ წელს, სინოპტიკოსის ვაჟიშვილთან ერთად ქობულეთში ისვენებდნენ; 4) პეტრიაშვილი და შონია თავისუფალ დროს ჭადრაკს თამაშობენ ბორტმექანიკოსთან ერთად; 5) კახიძე, სიხარულიძე და სინოპტიკოსი გატაცებული არიან კრივით; 6. რადისტს კრივი არ უყვარს.

თქვენი ამოცანაა, გამოიცნოთ, ვინ ვინ არის.

**(პასუხი გამოგვიგზავნეთ წერილობით)**

***წინა ნომერში შემოთავაზებული მოთხრობა-გამოცანის სწორი პასუხები გამოგვიგზავნეს:*** ნათია და გიორგი დაბრუნდაშვილებმა, ლელა ოჩხიკიძემ, ლიკა ლელაძემ, ცოტნე და შოთიკო ქარქაშაძეებმა, კოტე და ლევან ბირკაძეებმა, სოფიკო გძელიშვილმა, ნინო და დათო კავკასიძეებმა, სოსო კუპრაშვილმა, ინგა და თორნიკე ჭილაშვილებმა, ანა ჩხენკელმა, საბა, სინარი, გიორგი და ნანა მებონიებმა, გიორგი მოისწრაფიშვილმა, თეონა გოგაძემ, რეზიკო, ნინო და ნათია დავითაშვილებმა, თორნიკე გაგნიძემ, დავით ლომაშვილმა, გიორგი ოზბეთელაშვილმა, ლექსო დათუნაშვილმა, ელენა მარგალიტაშვილმა, გვანცა ფურცელაძემ, კახა მიქელაძემ, ჯაბა წურწუმიამ, რევაზ ჟვანიამ, გოგა ძიმცეიშვილმა, გვანცა და შოთიკო ნემსიწვერიძეებმა, ნინო ჭითანავამ, გვანცა რატიანმა, დიმიტრი სვანიძემ და მერი ლარიაშვილმა.

***სწორი პასუხი კი ასეთი გახლავთ:*** მართალი იყო გია, ხოლო ფანჯარა გატეხა ლევანმა.

## გამოიცანით გამოტოვებული ასოები და წაიკითხეთ ისრის მიმართულებით

IV




## მოძებნეთ დაბოლოება, რომელიც საერთოა ათივე სიტყვისთვის

V




## გამოცანები ფრინველებზე

VI

**ა** სიმბოლოა მშვიდობისა,
სათნოა და მეტად მშვიდი,
ზოგჯერ, როგორც ფოსტის შიკრიკს,
სარგებლობა მოაქვს დიდი.

***

**ბ** ფრინველია მეტად ავი,
ხორცთან ერთად ძვლის მყლაპავი.

***

**გ** არის ფრთამაღლი ფრინველი ერთი,
თევზიჭამია, თოვლივით თეთრი.

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

პასუხები იხილეთ 25-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

CMYK

# მადლიანი ცოდვა

## ანუ — ვერ დასაჯა ეპისკოპოსმა „შემცოდე“ მღვდელი



ყველას კარგად მოეხსენება, თუ რა მკაცრად დადგენილი წესი და რიგი აქვს ეკლესიაში ჩატარებულ ნებისმიერ რელიგიურ რიტუალს. მღვდელმსახურის ჩაცმულობაც ამ წესსა და რიგს მკაცრად ემორჩილება, — კვირაობით, საკვირაო წირვისას, ანაფორაზე გადაცმული ბრჭყვიალა და ძვირფასი ოქრომკედით მოსირმული ფილონითა და სხვა საჭირო ატრიბუტებით უძღვება წირვას. მხოლოდ წელიწადში რამდენჯერმე — ვნების კვირის ბოლოს, ღვთისმშობლის მიძინების დღეს, იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთის აღსანიშნავ დღესა და სხვა ამგვარ, მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის უმნიშვნელოვანეს დღეებში აუცილებლად უნდა გამოეწყოს შავ, სამგლოვიარო ფილონ-შესამოსელში, სხვა დროს შავი ფილონის ტარება აკრძალულია, მაგრამ... 1915 წლის თებერვლის ერთ ჩვეულებრივ, საეკლესიო კალენდრით არაფრით გამორჩეულ კვირა დღეს, იმერეთის ერთი პატარა სოფლის, დიხაშხოს მღვდელმა თეოფანე ნადირაძემ არაჩვეულებრივი და მანამდე არნახული საქმე ჩაიდინა: ეკლესიაში წირვაზე შეკრებილ მრევლს შავით მოსილი წარუდგა და მოოქრული ჯვრით ხელში ამბიონზე შემდგარმა აუწყა — ძმანო ქრისტიანენო! მოაწია რა უწყალომან სიკვდილმან, ღვთივ გარდაგველო ჩვენი დიდებული აკაკი, ღვთისმსგავსი და ღვთისნიერი დიდი პოეტი, ერის მამა, პატრონი და სიქადული ჩვენი. ჩაესვენა მზე და მიგვეფარა თვალთაგან ნათელი ამა სოფლისა... აკაკისთან ერთად ილიაც ახსენა, რომელიც სვეტი ნათლისა იყოო ამქვეყნად! — ეს უცნაური ამბავი კი ასე დასრულდა. მამა თეოფანეს შავი ფილონით შემოსვის ამბავი ვიღაც „ღვთისნიერმა“ მაშინვე აცნობა ქუთაისში იმერეთის მაშინდელ ეპისკოპოსს — გენათელს, გიორგი ალადაშვილს, ძალზე სათნო და ლმობიერ კაცს, ქართული მწერლობის დიდად მოყვარულ პიროვნებას. თეოფანე დაიბარეს ქუთაისში, ამჯერად აპატიეს, მკაცრად კი გააფრთხილეს, ასეთი რამ თუ ოდესმე განმეორდა, მრევლს ჩამოგართმევთ და მღვდლობასაც დაკარგავო.

განმეორდა. ექვსი თვის შემდეგ ვაჟა-ფშაველა გამოიგლოვა თავის პატარა ეკლესიაში მამა თეოფანემ. წირვის შემდეგ კი შინ აღარ მიბრუნდა, უხეში ტილოს თეთრი ანაფორა გადაიცვა და ქუთაისს გაეშურა. უკვე ბინდდებოდა, ეპისკოპოსის სახლის კარი რომ შეაღო, აცახცახებული დაემხო მის ფერხთა წინაშე, შავი აბრეშუმის ანაფორის კალთებს მოწიწებით წაეპოტინა და პატიება ითხოვა. შემცოდე მღვდლისადმი ეპისკოპოსის მსჯავრი ამგვარი აღმოჩნდა:

— წამოდექ შვილო! არა ხარ ღირსი და არც გეკადრება ჩემს წინაშე იყო ასე პირდამხობილი. უკვე დაგასწრეს. ყოველივე მეუწყა შენზე ადრიან. ეს-ეს არის, აქედან გავიდა ის ღვთისგარეგანი, ვინაც დაგასმინა მაშინაც და ახლაც. ნუ იშიშვი. არ მაქვს ნება დაგსაჯო. პირიქით, ვაქებ შენს სიკეთით აღსავსე ვაჟკაცურ გულს... ილიას, აკაკისა და ვაჟა-ფშაველას შემდეგ დიდხანს აღარ გვეყოლებიან მათი მსგავსნი და ამიერიდან არც სამგლოვიარო სამოსელის ჩასაცმელად გაგვიხდება საქმე ვინმეს გამო. წარვედ, შენს მრევლს მიჰხედე და ეპატრონე. სხვა მე მომანდე. ამჯერად პირადად მიპატიებია, დანარჩენი შენ და შენმა ღმერთმა იცოდეთ... მე რა ხელი მაქვს!..

ილიასეული „განათლებული რწმენა“ ედო საფუძვლად ამ მძიმე, მაგრამ მაინც მადლიან ცოდვას, რომელიც საკუთარი ქვეყნის და მისი მოჭირნახულე შვილების სიყვარულმა და თაყვანისცემამ ჩაადენინა სოფლის ერთ უბრალო მღვდელს, ეპისკოპოსს კი უფლება არ მისცა, დაესაჯა „შემცოდე“ მღვდელი.

***ლადო იოსებაძე***

# „უძეგლოდ იკარგებიან“

დიდი ქართველი მწერლის — ნიკო ლორთქიფანიძის საყოველთაოდ ცნობილი ნოველა „თავსაფრიანი დედაკაცი“ მძაფრი ემოციური დატვირთვისა და ადამიანური ტრაგედიის დიდოსტატური აღწერის გარდა, თვით მთავარი გმირის ორიგინალური შერჩევითაც განსაკუთრებულია — ბოლომდე უცნობი რჩება მისი სახელი და სწორედ ის არის ხაზგასმული, რომ უბრალო ადამიანის უბრალო ცხოვრებაც შეიძლება დიდებული იყოს.

ამბობს კიდეც ავტორი ნოველის ეპიგრაფში: „არ შემიძლია გრძნობა-გონება შევაჩერო დიდ პიროვნებებზე... ისინი აშლიან სულის შემხუთავ სურათებს... შემდეგ, ოდესმე, მათ აღმოუჩნდებათ მოციქული ვინმე მარკოზი ან იოანე.

მე ვწერ თავსაფრიან დედაკაცზე.“

თვით ნოველა კი ამ სტრიქონით მთავრდება: „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“.

ღმერთმა დამიფაროს, დიდ მწერალს შევადარო, მაგრამ ვისი ამბავიც უნდა მოგითხროთ, მისი სახელიც ვიცი და გვარიც და მიუხედავად ამისა, უპრიანი მგონია, რომ უკეთესია უსახელოდ დავტოვოთ, რადგან მისი აღსასრული ზოგადქართული ხასიათის, მშობლიური მიწისა და სახლის თანდაყოლილი სიყვარულის გამოხატულებაა.

30-იანი წლების საბჭოთა იმპერიის სისხლიანი ტერორი გურიის ერთ პატარა სოფელსაც მისწვდა. დასმენები, დაპატიმრებები, გადასახლება-დაკარგვა და დახვრეტები ყოველდღიურ ამბად იქცა. იმ სოფლიდანაც წაიყვანეს ოცამდე კაცი — ზოგი 1924 წლის აჯანყებისას ჩადენილი „ცოდვების“, ზოგი „გრძელი ენის“ გამო და ზოგიც უბრალოდ — „პროფილაქტიკის“ მიზნით მოაშორეს ოჯახსა და სამშობლოს.

ჩემი წერილის გმირს ყველა ეს მიზეზი მიესადაგებოდა. „სამეულის“ გადაწყვეტილებით შორეული აღმოსავლეთის გზას გაუყენეს და, ცხადია, მასაც და მის ცოლშვილსაც სამუდამოდ უნდა გადაწურვოდათ ერთმანეთის ნახვის იმედი — მაშინდელ პირობებში ათწლიანი პატიმრობა ხომ სიკვდილის ტოლფასი იყო.

სოფლურ სახლში დარჩენილი, ბოლშევიკების მიერ ჩამორთმეული მიწის ნარჩენზე მოწეული სიმინდის იმედად მყოფი ახალგაზრდა ცოლი და შვილები, რომელთათვისაც არათუ დახმარების გაწევა, არამედ სალმის მიცემაც ეშინოდათ მეზობლებს, უკაცო ოჯახის დუხჭირი ცხოვრებით ცხოვრობდნენ... თუმცა, ალბათ, კვლავ ერთად შეყრის, საკუთარი თავისთვისაც გაუმხელელი იმედის ნაპერწკალი მაინც ბჟუტავდა აქაც — პატარა ქართული სოფლის ღარიბულ სახლშიც და იქაც — შორეული აღმოსავლეთის უსიერი ტყის შუაგულში მოწყობილ პატიმართა ჭუჭყიან ბარაკშიც.

რამდენიმე წელი გავიდა, თითოეული საუკუნეს ჰგავდა... ახალგაზრდა, ჯანმრთელი და ზორბა აღნაგობის კაცი უდროოდ დაბერდა, დაავადდა და დაჩიავდა. მიხვდა, რომ ცოტაც და, უცხო მიწას შეერეოდა მისი ტანჯული ძვლები და „წამალიც“ გაახსენდა — სიცოცხლის ხსნის თუ არა, ლამაზად და მშვიდად სიკვდილის მაინც და... გამოიქცა — ფეხით, უსაგზლოდ და უთბილტანსაცმლოდ.

არც არავინ დადევნებია, რადგან იგი არც პირველი იყო და არც უკანასკნელი, ვინც სასოწარკვეთილი გაურბოდა ტყვეობას და იქ სიცოცხლეს სუფთა ჰაერზე სიკვდილს არჩევდა...

შვიდი თვის შემდეგ, ზამთრისპირის სუსხიან ღამით, ბუხრის ცეცხლით მკრთალად განათებულ იატაკს ადამიანის ფიგურის ჩრდილი გადაეფარა. დაბალ სკამზე, ბავშვის ნახევრად შეკერილი პერანგით ხელში ჩაძინებულმა ქალმა თავი ასწია და თმა-წვერმოშვებული, ჩამოკონკილი, მაგრამ სიამაყითა და სიხარულით სავსე თვალებით მოღიმარი კაცი დაინახა...

თვეების განმავლობაში გამოვლილმა სიცივემ, შიმშილმა და ყოველ წუთს დაჭერის მოლოდინმა, ჭაობში სიარულმა და ათეულ კილომეტრობით საბარგო ვაგონის ძირზე აკრულმა „მგზავრობამ“ თავისი გაიტანა — გზაზე ყველაფერს გაუძლო, რადგან იცოდა, რომ სახლამდე უნდა ჩამოეღწია, აქ ჩამოსულს კი ერთად უწია ყველაფერმა...

კეთილი ექიმიც გამოჩნდა და გულშემატკივარი მეზობელ-მოკეთეებიც, ზოგი სინდისის ქენჯნით შეწუხებული და ზოგიც მისი ვაჟკაცობით აღტაცებული...

სამი დღე იცოცხლა და... ბედნიერი გარდაიცვალა!

იქ, ტყვეობაში, ალბათ, ორიოდე წლით მეტს იცოცხლებდა, იცოდა ეს, მაგრამ ისიც უწყოდა, რომ ზოგჯერ სამი დღე გადაწონის სამ ათეულ წელიწადს. თუმცა არა უბრალოდ სამი დღე, არამედ სამი დღე და შემდეგ სამუდამოდ განსვენება წინაპართა საძვალეში და საკუთარი სისხლისა და ხორცის ალალი ცრემლი.

P.S. ცოტა ხნის შემდეგ, „ხალხის მტერთან“ ვიზიტისათვის (ჰიპოკრატეს ფიცით არგუმენტირებამ არ გაჭრა), ის „კეთილი ექიმიც“ მოუსავლეთში გაგზავნეს.

***ზვიად გურული***

# ზღვაო, მე მალე მოვალ შენთან!

უნივერსიტეტის ეზოში მუდამ სიმრავლეა სტუდენტებისა. იმ აპრილს მაინც სულ სხვა გამოცოცხლება იგრძნობოდა.

ცივი ზამთრის მერე მარტმაც დიდხანს იჭირვეულა, მაგრამ აპრილის პირველივე დღიდან უცებ დათბა, დაიბერა კვირტებიც და ირგვლივ საამო სურნელი დაატრიალა. ჩიტებს ახალგაზრდებთან ერთად რია-რია აეტეხათ.

ყველა ფაკულტეტს თავისი „ხელოვანი“ ჰყავს და ამიტომაც „გამორჩეულმა“ სტუდენტმა მოსამზადებელი ეტაპი უნდა გაიაროს საგაზაფხულო ფესტივალის დაწყებამდე.

შებინდებული იყო, როცა ერთ-ერთი მორიგი რეპეტიციიდან ფილოლოგიური ფაკულტეტის ორი სტუდენტი ბიჭი მასლაათით გამოვიდა.

— ისეთ გუნებაზე ვარ, ქვეყანა ჩემი მგონია, ყველაფერი მიხარია და მინდა სიყვარულში გამოვუტყდე ყველას! — თქვა გიომ და მეგობარს ხელი გადაჰხვია.

— ასე იცის გაზაფხულმა, ჩემი გიო! — გაეღიმა დათოს.

— მოდი, რა, დღეს ხომ ავიღეთ სტიპენდია, ფეხით ჩავყვეთ ვარაზისხევს და მერე თითო-თითო კათხა ლუდი მივაყოლოთ ხინკალს. რას იტყვი? — შესთავაზა გიომ.

დათომ უყოყმანოდ მიიღო ეს წინადადება და არაერთხელ გატკეპნილ გზას, ვინ იცის, მერამდენედ გაუყვნენ.

— ამ ზაფხულს, სამცხე-ჯავახეთში მონასტრების აღდგენითი სამუშაოების მერე ზღვაზე შევუბეროთ. ამხელა კაცი ვარ და ვერსად ვამხელ, ცურვა რომ არ ვიცი, — ზაფხულიც „დაგეგმა“ გიომ.

— კი მაგრამ, იმ შენს ხარაგაულში ღელე მაინც არ ჩამოედინება, ცურვა რომ გესწავლა? — მართლა გაუკვირდა დათოს.

— რავა არ ჩამოედინება, მარა, იმის მერე, რაც ჩემი დეიდაშვილი დაიხრჩო, საწყალი ალეკო, დედაჩემი წყალთან ახლოს არ მიშვებს. მუდამ ისე ნერვიულობდა და მაფიცებდა, მდინარეს არ გაეკაროო, რომ მეცოდებოდა დედა, მეც ყოველთვის ვუსრულებდი თხოვნას და ასე მოვედი აქამდე.

— აბა, აწი აღარ შეუსრულებ დედაშენს თხოვნას?

— იცი, რა, დათო? ზღვა მიყვარს უსაზღვროდ. პატარაობაში რამდენჯერმე ჩამიყვანეს ქობულეთში და ახლაც მაბოდებს მასზე. ზოგჯერ, შუა ზამთარშიც კი ისე მომენატრება მისი უკიდეგანობა, ზღვის მარილიანი სუნი და მლაშე გემო, რომ გამაჟრჟოლებს. ამ ზაფხულს, როგორც კი ცურვას „გავბედავ“, გავალ შორს, შორს და მერე, შეყვარებული ბიჭივით ჩუმად სიყვარულს ავუხსნი...

— ვის?..

— რა კარგად მკითხე — „ვის?“ მართლაც, სულიერი არსება მგონია ზღვა, ხან გულჩათხრობილი, ხან მობუბუნე, ხან კიდევ ცუდ ადამიანებზე განრისხებული და ამიტომაც აქაფებული და მღელვარე.

— მაგარი ხარ, გიო! მაინც როდის წამაკითხებ შენს ლექსებს?

— ზღვას რომ სიყვარულს ავუხსნი, მერე.

ბიჭები ცირკს გასცდნენ. კვლავ ნელ-ნელა მიუყვებოდნენ გზას. უცებ ზურგზე ტომარამოკიდებულმა კაცმა მიიქცია მათი ყურადღება. ტომარაში რაღაც მოძრაობდა. ნაბიჯს მოუჩქარეს და ტომრიდან წკმუტუნიც მოესმათ.

— ძიაკაცო, რა გაქვს მაგ ტომარაში? — ჰკითხა გიომ.

კაცი რუსი გამოდგა, მაგრამ ქართულს „კარგად“ ამტვრევდა.

— ჩვენმა ძაღლმა — დაშამ ლეკვები გააჩინა. ჩემი ცოლი თქვა: რად გინდა ლეკვებიო, წამოვიყვანე რო კურაში (მტკვარში) გადავყარო.

ბიჭები გაოგნდნენ.

— შე კაიკაცო, ან გაგეყიდა, ან მეზობლებისთვის მიგეცა, ასე როგორ იმეტებ სულიერ არსებებს? — აღშფოთდა გიო.

— ვერ გავყიდე და რა ვქნა? მეზობლებს კი არ უნდათ. მოდი და შენ იყიდე.

— ერთი შენი სახელი მაჩუქე, ძია!

— ვალოდია კაპუსტინ! — გაიჯგიმა რუსი.

— მაჩვენე ლეკვები! — თითქმის ერთხმად უბრძანეს.

კაცმა ტომარას პირი მოხსნა. იქიდან სამი ერთმანეთზე უკეთესი თეთრი და ფუმფულა ლეკვი კუდის ქიცინით ამოძვრა.

— შეგარცხვინა ღმერთმა! — ამოიძახა გიომ.

— მართლა კაპუსტინია ეს ოხერი! — ვერ მოითმინა დათომაც.

— რამდენად ყიდდი მაგ ლეკვებს? — ჩაეკითხა კვლავ გიო.

— თითო 5 მანეთი, რა!

— აჰა, კაპუსტინ, 15 ლარი. აჭამე, ასვი და სოფელში რომ წავალ საალდგომოდ, მოგაკითხავ და სამივეს წავიყვან. თანახმა ხარ? მე სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობ და ამ ლეკვებით არ შემიშვებენ.

— Хорошо, идет! — ხელები მოიფშვნიტა ვალოდიამ.

ბიჭებმა მისი მისამართი ჩაიწერეს, ლეკვებს მოეფერნენ, გაეთამაშნენ და კაპუსტინს ოციოდე დღის მერე მისვლას დაჰპირდნენ. ვალოდიამ სიხარულით თავი დაუკანტურა და უკან გაბრუნდა.

გიო და დათო მეორე მხარეს გადავიდნენ და ჩელუსკინელების ხიდზე (ახლანდელი თამარ მეფის ხიდი) კარგა ხნით შეჩერდნენ. ადიდებული მდინარე სწრაფად მოედინებოდა.

— როგორ ამშვიდებს წყალი თვალს, გონებას, სულს და განწყობას. კარგად მესმის ტატოსი! — თქვა გიომ და სწორედ ამ დროს თვალი მოჰკრა ნაცნობ ტომარას.



უკან გაიხედეს და ხელცარიელ, ჩქარი ნაბიჯებით მიმავალ კაპუსტინს მოჰკრეს თვალი.

— შეხე, ბიჭო, რა ქნა იმ ოხერმა, ვინ იცის, ეს მისამართიც არ არის მისი, — წამოიძახა დათომ.

გიო უცებ მოსწყდა ადგილს. დათომ ბოლომდე ვერ გააცნობიერა გიოს გადაწყვეტილება, მაგრამ გულმა ცუდი უგრძნო და სირბილითვე გაჰყვა მეგობარს, რომელიც მდინარის დინების მიმართულებით სანაპიროსკენ მიქროდა. როგორც კი მტკვრის ჯებირს მიუახლოვდა, თვალის დახამხამებაში ზედ მოექცა და ლამაზად გადახტა. „ვაიმე, გაგიჟდა! დაიხრჩობა, მან ხომ ცურვა არ იცის!“ — გაუელვა დათოს და სირბილს მოუმატა, თან თვალს არ აშორებდა გიოს თავს. მან სწრაფად წაავლო ხელი ტომარას და ნაპირისაკენ შემობრუნდა. რესტორან „არაგვთან“ ჯებირი გახსნილი იყო, სადაც ქვებისგან კიბეები გაეკეთებინათ მოყვარულ მეთევზეებს. როცა დათო აქოშინებული მივარდა ამ ადგილას, გიო მუხლებამდე იდგა წყალში, ტომარა ხელში ეჭირა და ყურებამდე იღიმებოდა.

— გადაირიე, ბიჭო? ცურვა არ ვიციო და ლეკვების გულისთვის თავს იხრჩობდი, თუ გამაბითურე მე სულელი? რას იცინი, ლამის გული გამისკდა!

— აუ, დათო, დაიხედე, რას ჰგავხარ! — სიცილი აუტყდა გიოს.

დათომ დაიხედა, თურმე მას გზადაგზა შარვალი ჩაუხსნია, რათა ნაპირზე დროზე გაეხადა და ისე გადამხტარიყო, მაგრამ წყლიდან ამოსული საღ-სალამათი გიოს დანახვისას, სულ დაავიწყდა, რომ შარვალჩამძვრალი იდგა და წითელკოპლებიანი თეთრი ტრუსი მოუჩანდა. დაბრკოლებაგადალახულ ბიჭებს ხარხარი აუტყდათ. ლეკვები დახრჩობას გადარჩენილიყვნენ და საცოდავად კანკალებდნენ. გიო აღტაცებული იყო თავისი ახალი „აღმოჩენით“:

— თურმე, მთავარი შიშის დაძლევა ყოფილა... რაც აქამდე ყველაზე რთული მეგონა, უადვილესი აღმოჩნდა, ადამიანი ხომ დაბადებიდან ფლობს ცურვის ინსტინქტს. საკმარისი გახდა კულმინაციური სიტუაცია, რომ ჩემშიც უმალ გაიღვიძა ამ ინსტინქტმა.

ასე რომ, ზღვაო, მე მალე მოვალ შენთან!

აღდგომამდე დათომ ითავა ლეკვების მოვლა-პატრონობა. აღდგომის მერე კი გიომ ხარაგაულში წაიყვანა სამივენი. როგორც კაპუსტინი ამტკიცებდა, კავკასიური ნაგაზის ჯიშისა არ გამოდგნენ, მაგრამ პატრონისადმი დიდ სიყვარულსა და ერთგულებას კი აშკარად გამოხატავდნენ.

ეს ისტორია ახლახან მიამბო დიდი ხნის უნახავმა ჩემმა უნივერსიტეტელმა ამხანაგმა დათო გედევანიშვილმა და მითხრა, თქვენი გაზეთის რუბრიკისათვის — „ჩვენ — ქართველები“ ზედგამოჭრილია გიო კაპანაძის ამბავიო. სიამოვნებით მოვისმინე და მერე გიოს ამჟამინდელი ცხოვრებაც მოვიკითხე.

— განა, არაფერი გაგიგია გიოზე?

— არა, რა მოუვიდა?

— გიოს კუჭის წყლული აწუხებდა ბოლო დროს. დედაც და ცოლიც ძალიან უწყობდნენ ხელს... აფხაზეთის ომი რომ დაიწყო, ოჯახი მოატყუა, სამსახურის საქმეზე ქუთაისში უნდა წავიდეო და სოხუმისაკენ აიღო გეზი. ზუსტად არ ვიცი, მგონი „თეთრი არწივის“ რაზმში ჩაეწერა. ერთხელ გაუსკდა კუჭის წყლული. არაფრით არ დაბრუნდა. რაღაც ბალახებით იმკურნალა. ნაცნობებმა მიამბეს, თურმე, ერთ „მშვიდ“ დილას, ზღვას რომ ახლობელივით მიაკითხა და იცურავა, ნაპირზე ამოსული სნაიპერის ტყვიამ იქვე მოკლა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი ნათელი და ღიმილიანი სახე.

მართლაც, რამდენი გიოსნაირი შეიწირა აფხაზეთის ომმა; რამდენი მეოცნებე და იმედით სავსე თვალები ჩაქრა, ვინ იცის?

***მარინა ბაბუნაშვილი***

# ფრაგმენტებიანი კროსვორდი



## თარაზულად:



კოსტიუმირებული ზეიმი



გვარი, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ატარა ბერიას ვაჟიშვილმა



ქართული ხალხური საკრავი



შენობის წინა ხედი



მასხარა



სალექციო ოთახი უმაღლეს სასწავლებელში



დიდხანს და უაზროდ მოლაპარაკე



ძაბვის ერთეული

**20**
სხვის ბინაში იჯარით მცხოვრები



მთავარი სისხლძარღვი



სახელმწიფოებრიობის სიმბოლო

**26**
გახეხილი ან აზელილი საჭმელი



ხელოვანი, რომლის შემოქმედება აღიარებულია და მიჩნეულია სანიმუშოდ (ზოგადად)



აგრეგატული მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება მზე



საუკეთესო საათი — შვეიცარია, სუნამო — საფრანგეთი, მანქანა — გერმანია, კოსტიუმი —?

**34**
მოსანიშნი ფლომასტერი



უმაღლესი სასწავლებელი



სახელმწიფო სესხის ბილეთი

## შვეულად:



ხელოვნების ნაწარმოები



ავეჯის ნაირსახეობა

**3**
სარიტუალო მეგრული სიმღერა



ხშირი და უღრანი ტყე



ჭამასთან მწყრალად მყოფი



ინსტრუმენტზე დამკვრელი



ქვირფასბეწვიანი მღრღნელი



მერქნის ანათალი



ძროხის ხორცის დაბეგვილი და შემწვარი ნაჭერი

**15**
მდინარის გადმოსვლა კალაპოტიდან



ნებისმიერი დგომი ბალეტში



ზრდილი ადამიანი, რომლის ჩამოყალიბებას, ინგლისელების აზრით, სამი თაობა სჭირდება



საავადმყოფო, სადაც მკურნალობასთან ერთად წარმოებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა


დედაქალაქს ან მსხვილ კულტურულ ცენტრს დაშორებული დასახლებული ადგილი



ადამიანის გრძნობა, განცდა



სპორტული იარაღი



რაინდთა ორდენის კუნძული



ორგანიზაციის წევრთა თავმოყრა რაიმე საკითხის გადასაწყვეტად

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა" №48 კროსვორდის პასუხები:**
**თარაზულად:** 7. მუსტანგი; 8. ბარიკადი; 10. ფუტი; 11. ფშაველა; 12. აზია; 15. ძმარი; 16. დათვი; 18. თესლი; 19. წყვილი; 20. კრემლი; 24. ნეონი; 25. აზოტი; 26. ქმარი; 29. ამწე; 31. ევკლიდე; 32. ბუდა; 33. მთავრობა; 34. წმინდანი.
**შვეულად:** 1. ჩუქურთმა; 2. ეტლი; 4. ვაშლი; 5. ჭკუა; 6. ადმირალი; 9. ზვირთი; 13. ყროყინი; 14. რეკლამა; 16. დელტა; 17. იორკი; 21. ბეჰემოთი; 22. ბოჩოლა; 23. დრეზდენი; 27. კვება; 28. ედემი; 30. ეშვი; 32. ბუდე.

## ბინები

სასწრაფოდ! დიდუბეში 1 ოთახიანი 7(8) ბინა, რკინის კარით, „ატმორით", ტელეფონით, მიშენების პერსპექტივით. საწყისი ფასი 5.800$. მის: წყალტუბოს ქ. მე-4 კორპ. მე-3 სად. ბინა №68. ტელ: 35-34-36; 34-56-65

ან იცვლება თბილისიდან ქუთაისში 2 ოთახიანი ბინა მიშენებით, გადაკეთებული 3 ოთახად, IV სართულზე, ტელეფონით და ბუნებრივი აირით. მის: ბახტრიონის ქ. (მ. „პოლიტექნიკურიდან" ერთ გაჩერებაზე). ქუთაისში ვისურვებდით სახლს ბელეტაჟზე, სავაჭროს მიდამოებთან ახლოს (600 მეტრამდე ეზოთი). ტელ: 57-12-30. ბუდუ; 2-20-02 (ქუთაისი). ნუგზარი

აგარაკი საგურამოდან 6 კმ-ში, სოფელ ბურიანში, სახლის დაწყებული მშენებლობით. I სართული ამოყვანილია კაპიტალურად, II-ზე იატაკი დასხმულია და დაწყებული. მიწის ფართი 800კვმ. ფასი 700$. ტ: 23-07-65; 877 43-32-33

## მილოცვა

**თორნიკე დონდუას**

ჩვენო სიხარულო, საყვარელო თორნიკე! გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ, სასახელო ვაჟკაცი გამხდარიყავი და გესახელებინოს მშობლები, ახლობლები, სამშობლო.

*გკოცნით დედიკო და მამიკო*

## მადლობა

ჩემი შვილი დაავადებული იყო ნეიროდერმიტით. მთელი ღამე ქავილი არ აძინებდა, გამონაყარი ჰქონდა ტანზე. ქალბატონმა ლეილა გოგიჩაძემ, რომელიც მუშაობს მიცკევიჩის 29ა-ში, დაუწყო მკურნალობა, სადიაგნოსტიკო, საკონსულტაციო ცენტრში. შედეგიც ძალიან სწრაფად მივიღეთ. არა მაქვს უფლება, არ ვირწმუნო ქალბატონი ლეილას ძალა, რომელმაც საბოლოოდ დაავადების კვალიც გააქრო. (გავიდა 3 წელი).

დიდი მადლობელი ვარ სახალხო მკურნალის, ქალბატონი ლეილა გოგიჩაძის, აღმოჩენილი ყურადღებისა და გულისხმიერებისათვის. ტელ: 37-79-67; 38-48-04.

*ლოლაძე*

## გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 96-07-81; 4-13-86 (ქუთაისში)

დავასაქმებ ოფისში სასწრაფოდ, შრომისმოყვარე, განათლებულ ადამიანებს, გონებრივ სამუშაოზე, ოფისმენეჯერად (არ არის ვაჭრობა), მაღალი ანაზღაურებით, საინტერესო პირობებით, თავისუფალი გრაფიკით, განურჩევლად პროფესიისა. ტელ: 37-30-50. თამუნა ოშაყმაშვილი (გასაუბრება ყოველდღე, გარდა კვირისა)

გთავაზობთ გაწევრებას საერთაშორისო ბიზნეს-კლუბში, 18-60 წლამდე, პროფესიის განურჩევლად, მრავალი შეღავათით, საინტერესო პირობებით. თანხის გამომუშავების მრავალი საშუალებით (არ არის ვაჭრობა). ტელ: 37-30-50. ლევან ტერტერაშვილი

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 877 44-97-46. ნინო ჭელიძე

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). ვასწავლი კოსმეტიკასა და ეპილაციას. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კარიან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ვაკეთებ ეპილაციას ერთჯერადი ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შემოგთავაზებთ საუკეთესო სახის გამწმენდ და მკვებავ საშუალებებს. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

ავიკრეფთ და დაგიკაბადონებთ წიგნებს, ბუკლეტებს, გაზეთს და ა.შ. ტელ: 61-51-17; 95-46-79

ფირმა PULSAR-ში ახლავე შეგიძლიათ შეიძინოთ კომპიუტერები, ორგტექნიკა, სათადარიგო ნაწილები; სწრაფი, ეფექტური და ხარისხიანი მომსახურება; ორგტექნიკის შეკეთება, კარტრიჯებში ტონერის ჩაყრა; კომპიუტერების ყიდვა-გაყიდვა. გაძლევთ შანსს – მაღალ ფასში გაყიდოთ კომპიუტერი. კონსულტაციები უფასოა. დაუყოვნებლივ მოგვმართეთ: ტელ: 33-08-71. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16 შპს „პულსარი"

ყველაზე იაფად თბილისში! შეგისრულებთ ყველა სახის სამღებრო სამუშაოს (ფასადი, შპალერი, შეთეთრება, ლაქი), უმაღლესი ხარისხის გარანტიით. ტელ: 897 58-36-29

წყლის გამაცხელებელი ავზების დაყენება, შეკეთება, გაწმენდა. საჭიროების შემთხვევაში ანოდის შეცვლა, რომელიც იცავს ავზის შიგნითა კედლებს კოროზიისა და გახვრეტისაგან. ტელ: 63-56-59; 899 57-22-63

სილამაზის სალონი „პოდიუმი-777"! თმის მოდელური შეჭრა კატალოგების მიხედვით – 5 ლარი; დავარცხნა-გასწორება – 5-7 ლარი; მელირება – 12-15 ლარი; ქიმიური გასწორება – 15-25 ლარი; დახვევა – 20 ლარი; შეღებვა (WELLA) – 10 ლარი; საბანკეტო და საქორწილო ვარცხნილობები – 15-25 ლარი. თქვენ მოგემსახურებათ სტილისტი ირა გურჯიანი. მის: დ. აღმაშენებლის გამზ. №113 (მილიციის ეზოში). მიღება წინასწარი ჩაწერით, კვირის გარდა. ტელ: 68-28-17 (ბინა). 899 57-46-40. მიღება წინასწარი ჩაწერით

## მკურნალობა

პროსტატიტს, ქლამიდიოზს, ტრიქომონიაზს, უშვილობას, სქესობრივი პოტენციის დაქვეითებას, უახლესი მეთოდებისა და აპარატურის გამოყენებით მკურნალობს პროფესორი ტიგრან სალაყაია. მის: მარჯანიშვილის №23 (მეტროსთან). VI სად. (ეზოდან), ბინა 1. ტელ: 35-20-06. მიღება შაბათს 12-16 სთ.

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მ. ცინცაძე სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსაგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, სახსრებს, სამწვერა ნერვის ანთებას, რადიკულიტს, პოლიართრიტს, თავის ტკივილებს, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს, ნაღვლის ბუშტს, პროსტატიტს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 5-8 დღეში, სრული გარანტიით. მის: ვორონინის ქ. №25, II სართ. („დინამოს" სტადიონთან). ტელ: 34-04-06

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე, ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. შედეგი და ანონიმურობა გარანტირებულია. ტელ: 96-62-58; 97-47-24

ვმკურნალობ ოპერაციის გარეშე ცხვირის პოლიპებს, გლანდებს, ბავშვებში ადენოიდებს, ქრონიკულ სურდოს, ჰაიმორიტს, ალერგიულ დაავადებებს. მკურნალობას ატარებს პროფესორი. ლტოლვილებს და ხელმოკლე ოჯახებს ვმკურნალობ უფასოდ. მის. ამბროლაურის ქ. №166. XI კორპ. IV სად. ბინა №46. (რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ). ტელ: 37-42-17; 53-60-06

ბავშვებში ენურეზის (უნებლიე შარდვა), ეპილეფსიის, ენაბლუობის, ალერგიის, დიათეზის, ცერებრალური დამბლის (ადრეულ ასაკში) მკურნალობა – მხოლოდ უნიკალური ბალახებით, სპეციალურად ბავშვებისათვის. ტელ: 95-33-47

მეჭეჭებისა და სხვა ხორცმეტების მოცილება სახესა და ტანზე უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. მიღება ექიმ რუსუდან საყვარელიძესთან, სამკურნალო ცენტრში. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №115 (პოლიციის შენობის უკან, ეზოში). ტელ: 95-83-54

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული ეფექტით პირველივე დღეებიდან!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, „დისკის ამოვარდნა" (დისკოზი), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები). ექიმის კონსულტაციები უფასოა. მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან"), ც. დადიანის ქ. №87, კაბ. №11. ტელ: 61-02-97; 69-91-92. (კაბ). ექიმი ალექსიშვილი

გაწუხებთ ხველა, ქოშინი ან სიცხიანობა? – მაშინ გესაჭიროებათ ნახველის საერთო კლინიკური ანალიზი. მის: მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა (სპორტის სასახლის სალაროების უკან), კაბ. №8. ექიმი ვ. კუპრაშვილი. ტელ: 36-32-55

არატრადიციული მეთოდით, მცენარეული პრეპარატებით ვმკურნალობთ ფარისებრის პათოლოგიებს (კისტა, კვანძი, ჰიპოთირეოზი), შარდ-სასქესო გზების პათოლოგიებს (პროსტატიტი, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, კისტა, მიომა, კვანძები საშვილოსნოზე, ბუასილი, ნევროზი, უძილობა). ტელ: 877 46-42-87. თამრიკო; 899 57-13-71. ეკა

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

ვამზადებ აბიტურიენტებსა და მოსწავლეებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ტელ: 32-16-04. ელისო

შევასწავლი თურქულს. ტელ: 39-77-81. მარინა

ფიზიკა-მათემატიკოსი მოამზადებს მოსწავლეებს მათემატიკურ საგნებში ან სხვა სპეციალობის პედაგოგებთან ერთად დაეხმარება ყველა საგნის მომზადებაში, სასურველი ნიშნის გარანტიით და სხვა პირობების გათვალისწინებით. ტ: 39-08-42; 34-42-67

„თბილისური" გთავაზობთ: უცხო ენათა ინტენსიურ კურსებს – ინგლისური, გერმანული; საერთაშორისო ბუღალტერიას; თარჯიმანთა ბიუროს; კომპიუტერის შემსწავლელ კურსებს. (გაიცემა სერტიფიკატი). მის: ჟ. შარტავას ქ. №7 (შრომის სასახლე), XV სართული, ოთახი №1510. ტელ: 38-14-13; 877 41-42-89

ვისაც გსურთ, გაეცნოთ გიტარის სამყაროს, შეისწავლოთ და დაეუფლოთ გიტარაზე დაკვრის ხელოვნებას, განავითაროთ შესრულების ტექნიკა, აკომპანიმენტი, პოპულარულ საესტრადო სიმღერებთან და კლასიკასთან (ესპანურებთან) ერთად და შეიძინოთ საუკეთესო ჟღერადობის გიტარები დაგვიკავშირდით: 96-22-33

## სხვადასხვა

**44 წლის გერმანელი, კარლ ტურკი „კვირის პალიტრის" საშუალებით ეძებს ქართველ ქალს...**

სიმაღლე 1,86 სმ, ტექნიკოსი, ჰყავს 15 წლის ქალიშვილი – ეძებს ქართველ ქალს მასთან დამეგობრების, დროთა განმავლობაში კი დაქორწინების მიზნით. უყვარს ბუნება, ლიტერატურა, მოგზაურობა და მუსიკა. იგი 28 წლის განმავლობაში მემაღაროედ მუშაობდა, ამჟამად კი პენსიონერია.

Karl Turk P.Q. Box. 1433
D=54404, Hermeskeil,
Germany

ლ. ყანჩაველის სახელობის საქართველოს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი რეორგანიზაციასთან დაკავშირებით აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად: პესტიციდების ეკოლოგიური შეფასების განყოფილება – განყოფილების გამგე, 1 საშტატო ერთეული; ფიტოპათოლოგიის განყოფილება – განყოფილების გამგე, 1 საშტატო ერთეული; ენტომოლოგიისა და გამოყენებითი ზოოლოგიის განყოფილება – განყოფილების გამგე, 1 საშტატო ერთეული; ბიოლოგიური კონტროლის განყოფილება – განყოფილების გამგე, 1 საშტატო ერთეული. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან მეცნიერებათა დოქტორები ან მეცნიერებათა კანდიდატები, პროფილის მიხედვით მუშაობის არანაკლებ 10 წლის სტაჟის მქონენი. კონკურსის ვადაა გამოცხადებიდან 20 დღე.

საქველმოქმედო ორგანიზაცია „უშვილობის პრობლემიან ოჯახთა კავშირი", ზრუნავს უშვილო წყვილთა მატერიალურ, მორალურ, მრავალმხრივ ინფორმაციულ და სხვა დახმარებებზე. მის: 23-ე ბავშვთა პოლიკლინიკა, ოთახი №30 (მეტრო „ახმეტელთან"). გთხოვთ, მობრძანდეთ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, 13-17 სთ.

## იყიდება

სასწრაფოდ! ტავერნა-ბარი „გეა", მუშა მდგომარეობაში. ს/ფ – 105 კვმ. მის: კუტუზოვის ქ. №4. ტელ: 99-71-58

კეთილმოწყობილი, პრივატიზებული ბენზინგასამართი სადგური წითელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, 110ტ ტევადობის ჭურჭლით, 5 ჩამოსასხმელი სვეტით, კაფე-რესტორნით, თავისი კაპიტალური ფაცხებით და სხვა სათავსოებით. ტელ: 98-98-93; 899 51-49-93

Louise-all – ლუიზოლი – ნატურალური კოსმეტიკა: 1. მამაკაცთათვის – სახის კრემი და ლოსიონი გაპარსვის შემდეგ – ნაოჭები, გამონაყარი, ლაქები, თმის ჩაზრდა, კანის გაღიზიანებადობა; 2. ფეხის კრემი – ოფლი, სუნი, ნახეთქები, ჩაზრდილი-დეფორმირებული ფრჩხილები; 3. შამპუნი – სხვადასხვა კანისათვის – ქერტლი, თავის კანის გაღიზიანებადობა, ქავილი; 4. თავის კანის მკვებავი კრემები – ქერტლი, ქავილი, კანის დაჭიმულობა, დისკომფორტი. მის: იოსებიძის 53, კაბინეტი „ლუიზოლი". ტელ: 37-38-13

1. ძველებური, ყავისფერი ვიტრინა, თავისივე პატარა რვაკუთხედი ვიტრინა-ბარით. ფასი 900$; 2. „რაკუშკების" ფარდა. ფასი 100 ლარი. ტელ: 23-07-65

ხეხილის სხვადასხვა ჯიშის ნამყენი ნერგები, ვარდები და უწამლავი ვაზები. მის: სანერგის დასახლება (ლოტკინის დასახლების გვერდით). ტელ: 66-97-05. ამირანი

ნატურალური ტყავის, ზურგდამჭერი ქამრები ბეჭებში მოხრილი ბავშვებისა და ყველა ასაკის ადამიანისთვის; ტყავის ორმაგი სპეციალური სამედიცინო ქამრები რადიკულიტის, დისკოზისა და იშიაზისათვის და ახალფეხადგმული ბავშვებისათვის სატარებელი „ალვირები". ტელ: 53-46-41; 899 58-60-64; 14-04-29 (რუსთავი). მედიკო

სარეალიზაციოდ გაგვაჩნია ვენახის ნამყენი „საფერავი"; პარკეტი; შემოსავლობი მავთულბადე; პოლიეთილენისა და პოლისტიროლის პირველადი და მეორადი „კროშკა", ეკლიანი და ვენახის ანაზვევი მავთული. ტელ: 3-21-76; 3-34-27 (ქ. თელავი)

## ხსოვნა



### ლიდა ხურცია-ზაქაიძის ხსოვნას

ჩვენო საყვარელო ბებო, ძალიან გვენატრები, გვენატრება შენი ხელების სითბო და სიყვარულით აღსავსე, ალერსიანი მზერა. ორმოცი დღე გავიდა, რაც უკანასკნელ გზაზე გაგაცილეთ, მაგრამ შენი მონატრების გრძნობა დაუძლეველი აღმოჩნდა ჩვენში.

ღმერთს შევთხოვთ, მუდამ ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შვილიშვილები: ვასიკო და მეგი ჭანიშვილები, ინა ზაქაიძე*



### თემურ ზებედაშვილის ხსოვნას

6 დეკემბერს ორმოცი დღე სრულდება შენი გარდაცვალებიდან. შენი მშობლები, და, ნათესავ-მეგობარ-ახლობლები გაოგნებულები, გაფითრებულები, თვალცრემლიანები შევყურებთ ერთმანეთს.

კიდევ ერთხელ გემშვიდობები.

ნათელში გამყოფოს ბუნების ძალამ!

*ბაჩუკი ბახტაძე*



### ბერდია ხანაშვილის მონატრება

ძნელი ყოფილა მეგობრის დაკარგვა. ჩვენ ხომ ერთად გავატარეთ ბავშვობა და ერთად დავვაჟკაცდით. ერთმანეთს ვუზიარებდით პირველი სიყვარულით გამოწვეულ განცდებს. ორმოცი დღეა, აღარ გვამხიარულებს შენი ხალასი იუმორი, ველარ ვხედავთ სიხარულით გაცისკროვნებულ თვალებს.

19 წლის ვაჟკაცს, როცა თავს ბედნიერად თვლიდი, მაშინ გიმუხთლა ბედმა, სიყვარულით გულანთებულს. შენი მეგობრები შენს საფლავთან უტყვი გოდებით ჩამუხლულები, წლების უკან დაბრუნებაზე ვოცნებობთ ხოლმე, მაგრამ სასწაული არ ხდება. იმ სითბოს სანაცვლოდ, რომელიც შენ დაგვიტოვე, ისღა გვრჩება, სანთელი ავანთოთ და ვილოცოთ შენი სულისთვის.

„ვინც ღმერთს უყვარს, უდროოდ კვდება" – ამით როგორ ვინუგეშოთ თავი, ანდა, როგორ ვანუგეშოთ ცრემლგამშრალი დედაშენი, ქვადქცეული მამაშენი და შენი პატარა ძმა?...

ძნელი ყოფილა, ბერდო, უშენობა, ძნელი...

*გიორგი უტიაშვილი*



### მურმან ხაინდრავას ხსოვნას

დიდი ვალდ იყო შენი სიკვდილი, მურმან. ყველას თავზარი დაეცა – ნათესავსაც და მეგობარსაც, ნაცნობსაც და უცნობსაც...

იშვიათია შენებრ ერთგული, კეთილშობილი, თბილი, ყურადღებიანი, უაღრესად განსწავლული ადამიანი. რამდენის იმედი და გვერდში მდგომი იყავი, რამდენს დაამახსოვრე თავი.

სამწუხარო ის არის, რომ უცაბედად წახვედი, უნუგეშოდ მიატოვე შენი სათაყვანებელი ოჯახი, შენი საყვარელი მეუღლე – ნინო და ერთადერთი ქალიშვილი სალომე, დედა, ძმები...

მშვიდობით, მურმან, ღმერთმა სასუფეველში დაამკვიდროს შენი კეთილი სული...

*ახლობლები*



### ბექა ფირაშვილის ხსოვნას

ბექა, შვილო, ჩემო სიცოცხლევ და სიხარულო, როგორ ჩაგეიკალი გული, დაგვტოვე უიმედოდ. გლოვის ზარმა ჩამოჰკრა ჩვენს ოჯახში, სიკვდილმა დაიჩოქა ჩვენს კართან. თითქოს ცა ჩამოგვექცაო თავზე, უეცრად გამოგვეცალა ხელიდან 20 წლის ვაჟკაცი. ახლა სიცარიელეში ვდგავარ, ირგვლივ უკუნეთია, ყველაფერი დამთავრდა, სიცოცხლეც აღარ მინდა, შენ აღარ მყავხარ, ჩემო ბიჭო. რა ვუყო გაუბედურებულ მამაშენს, ან ლელას, ფრთამოტეხილი რომ დატოვე, რით ვანუგეშო?

40 დღე გავიდა, ბექა, გაუსაძლისი 40 დღე, როგორ გავძელით ურთიერთმანეთოდ, როგორ მენატრები.

ერთი დამრჩენია მხოლოდ: როცა შენი მარადიული სული, ციური უსასრულობიდან ღრუბლებს შეუერთდება, წვიმად წამოხვალ, დამეკვრები, გულში ჩამიხუტებ, კიდევ ერთხელ მაგრად მომეფერები, როგორც არასდროს, ჩემო პატარავ.

მშვიდობით, მსუბუქი იყოს მშობლიური მიწა შენთვის, შვილო!

*დედა*



### გელა ტაბლიაშვილის ხსოვნას

ოთხი წელი გავიდა, მას შემდეგ, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. მუდმად ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ. ყოველ 3 დეკემბერს სიხარულით ვხვდებოდით და გვიხაროდა დეკემბრის თვის მოსვლა. 1996 წლის 3 დეკემბერს მოგილოცეთ დაბადების დღის 21 წელი. 8 დეკემბერს კი წახვედი ჩვენგან და ზეცაში არჩიე ყოფნა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*ნათლულისაგან*



### დათო ლევანის ძე კვიჭიძის გახსენება

დათო! ერთი უსასრულოდ გაწელილი წელიწადი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. ცრემლითა და ტკივილით გაჯერებული დღეები მიჰყვება ერთმანეთს. სიტყვები უძლურია, ჩვენი განცდების გადმოსაცემად. აუტანლად გვაკლიხარ და გვენატრები. 1999 წლის 23 ნოემბერს 17 წელი შეგისრულდა და 5 დეკემბრის დილას, სიცოცხლის ულამაზეს წლებში, გამოეთხოვე ოჯახს, ჩვენო ერთადერთო სიამაყევ და სიხარულო.

ტრაგიკულმა შემთხვევამ შეიწირა შენი 17 წლის სიცოცხლე. შენს სახელს დავიწყება არ უწერია. იძინე ტკბილად. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*ოჯახი*



### ნიკოლოზ (ნიკა) თავაძის გახსენება

შვილო ნიკა!

...შენ ანგელოზი მოხვედი ამქვეყნად და ანგელოზადვე დარჩი...

შენ ომში დაღუპული ბაბუის ოჯახის გასაძლიერებლად და გასამრავლებლად გაჩნდი ამქვეყნად...

...და ძალადობამ გიმსხვერპლა...

...შენ ობლობაში გაზრდილი სამი დის ერთადერთი ვაჟი იყავი. ნათესავების, ახლობლების, თანასოფლელების თვალის ჩინი და იმედი...

...და, ძალადობის მსხვერპლი გახდი...

შენმა თანაკლასელებმა, რომლებთანაც ამ უბედურებაში გაეხვიე, დაჭრილი, უპატრონოდ მიგატოვეს... მათი და შენი მკვლელის ოჯახის წევრები მეზობლებსა და ახლობლებს გვიწუხებენ, კბილს გვისინჯავენ, მორიგებას ცდილობენ.

...ღმერთო! დაგვიფარე ამ უღმერთოთაგან!

შენი სიკვდილით დაცოდვილებულებმა უნდა იცოდნენ, რომ მათგან დამოუკიდებლად, მათივე ტვინის უჯრედებში უკვე ჩაფიქსირებულია ეს საზარელი დანაშაული. იგი მალე მათ გენეტიკურ აპარატშიც დაიდებს ბინას და, ერთ მშვენიერ დღეს ღმერთთან ერთად თავიანთი ტვინი მოუწყობს განკითხვას. უმძიმესი და ხანგრძლივი იქნება განკითხვა იგი.

არ გაიკვირვო, სასამართლოზე იარაღი თუ დაგაჭერინონ... „ვაჟკაცმა", „სპორტსმენმა" წაგართვას და შემოაკვდე... არაფერი არ გაიკვირვო... შენეული სიდარბაისლით მიუტევე და უფალს მიანდვე მათი განკითხვაც...

შენს საყვარელ და სალოცავ სახლ-კარს, სოფელ ნატანებში, ამიერიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კუთვნილებად ვაცხადებთ. გვჯერა, ის წმინდა ადგილად იქცევა და ილოცებს შენი და ყველა იმათი სულისათვის, შენებრ ძალადობის მსხვერპლი რომ გახდა საქართველოში და შეაჩვენებს ყველა მკვლელს, ქურდს, მაწყვარსა და მოშურნეს, რათა განიწმინდოს ერი ჩვენი.

გვაპატიე, ძნელბედობის ჟამს, თავს ვერ მოვერიეთ, სული შეგიშფოთეთ და ისე ვერ ვილოცეთ შენთვის, როგორც იმსახურებ.

...შენ ძალადობის მსხვერპლი ხარ...

...შენ ანგელოზი მოხვედი ამქვეყნად და ანგელოზადვე დარჩი...

*ნანული, ზოია, მარგო თავაძეები*



### იოსებ ინაშვილის გახსენება

წელიწადი სრულდება, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ.

გვეჩვენება, რომ შენ ჩვენს მონატრებას გრძნობ და ჩვენთან ხარ, უსაზღვროდ მოყვარულო, ერთგულო, უღალატო, სამაგალითო მეუღლევ, მამავ, ბაბუავ.

ბუნებით ვაჟკაც კაცს მგრძნობიარე და სათუთი გული გქონდა, ყველაფერი გულთან ახლოს მიგქონდა, განატრებოდა შენი სოხუმი. შენი დიდი ოჯახის კარი ყველასთვის ღია იყო, რამდენი სიკეთე გაქვს გაკეთებული.

ჩვენგან ანთებულმა სანთლებმა გაგინათონ მარადიული სასუფეველი.

*შენი დიდი ოჯახი*



### დათო სახლთხუციშვილის ხსოვნას

ჩვენო საყვარელო დათო! 3 დეკემბერს 28 წლის გახდებოდი. უშენოდ თვალცრემლიანნი ვხვდებით შენს დაბადების დღეს. სულის ტკივილამდე გვაკლიხარ და გვენატრები, ჩვენო საყვარელო, ლამაზო ბიჭო. 16 წელი ხომ მართლაც წუთიერი გაელვებაა და ხანმოკლე ნეტარება. რა იქნებოდა, იმ ავადსახსენებელ ექსკურსიაზე ცხოვრება წამით შეჩერებულიყო. 12 წელმა ვერ უშველა შენს უბედურ დედას. ძმებით მოსილი ისევ მწარედ გლოვობს და დაგტირის.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩვენო ნაადრევად წასულო და მიწაში დავაჟკაცებულო დათო.

*შენი ძმა გია*



### ჯემალ ბუხაიძის გახსენება

ორმოცმაც განვლო მას შემდეგ, რაც შენმა ლამაზმა და უბოროტო სულმა საბოლოოდ დაგვტოვა. უდიდესი ტკივილი და სიცარიელე დატოვე თითოეული შენი ახლობლის გულში. შეუმსუბუქებელია შენი მეუღლის და ალბათ ყველაზე დიდი მეგობრის, დალის ტკივილები. შვილიშვილებიც თითქოსდა შენი გარდაცვალების შემდეგ ნაადრევად გაიზარდნენ.

მართლაც დიდი ტკივილი დატოვე, ჩვენო ჯემო... ტკივილი, რომელიც შენისთანა ალალმართალ, კეთილ და სათნო ადამიანს მუდამ გააჩნია. ძალიან გვაკლიხარ... ძალიან გვენატრები და სამწუხაროდ, მხოლოდ მოგონებაღა დაგვრჩა...

*მიშა და მაიკო ბალოშვილები*



### ნუგზარ ქობულიას მონატრება

40 დღე გავიდა იმ ავადმოსაგონარი დღიდან, რაც შენ მოღიმარმა გაიხურე კარი და აღარ დაბრუნებულხარ. როგორ გვენატრები, მამა, საუკუნედ გვექცა 40 დღე. დედისთვის რა ძნელია უშენოდ ცხოვრება. შენი საკუნა და ნიკუშა დარბიან ოთახებში, გეძებენ და გეძახიან, ძალიან ენატრებათ საყვარელი ბაბუკა. ძნელია, მამა, შენი ალერსიანი და სათნო სახის დავიწყება, თბილი სიტყვის დავიწყება.

გამორჩეული იყავი შენი იუმორით, სიცილით, თანადგომით. ღმერთსაც კარგი ჰყვარებია.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩვენო გულმართალო და საყვარელო მამიკო.

მსუბუქი იყოს შენთვის საყვარელი ქართული მიწა.

*შენი ოჯახი*

# ჩაერთე და მოიგე...

## 16.X-30.XII.2000

## 18+30=48

SIM ბარათი ავანსი ჩართვა

•

საყოფაცხოვრებო ტექნიკა
SIEMENS

•

დასვენება საზღვარგარეთ

•

# ავტომანქანა

250-877

წამახალისებელ ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია გახდეთ ჯეოსელის აბონენტი და 21 ოქტომბრიდან ყოველ შაბათს 21.00. საათზე სტუდია „მაესტროს“ ბლოკში, პირდაპირ ეთერში დაელოდოთ იღბალს.

ამ დროს თქვენი ტელეფონი აუცილებლად ჩართული უნდა იყოს! პირველ გათამაშებაში მონაწილეობას ღებულობენ ის აბონენტები, რომლებიც ჩაერთვ ნენ ჯეოსელის ქსელში 16-დან 20 ოქტომბრის ჩათვლით. 28 ოქტომბრის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ ის აბონენტები, რომლებიც ჩაერთვებიან ჯეოსელ-ის ქსელში 21- დან 27 ოქტომბრის ჩათვლით და ა.შ.

- წამახალისებელ ვიქტორინაში მონაწილოებას არ ღებულობენ ჯეოსელის თანამშრომლები, დილერები და მათი ოჯახის წევრები;

ჯეოსელი GSM

# უცნობი მაიკლ დუგლასი

ჰოლივუდის ვარსკვლავს და პროდიუსერს მაიკლ დუგლასს 55 წლის ასაკში კიდევ ერთი ვაჟიშვილი შეეძინა და ახალშობილის დედა ცოლად შეირთო. ყველაფერია ცნობილი მაიკლ დუგლასის შესახებ, თუ კიდევ დარჩა რაიმე საიდუმლო?

— ისურვებდით, რომ თქვენ მიერ განსახიერებულ გმირთაგან რომელიმე ცხოვრებაში შეგხვედროდათ?

იგი ერთხანს დუმს. თითქოს სასურველი, ამაღლებული მამობის თემიდან „პროზაულ“ კინოზე გადართვა უჭირს.



*— ჰმ, ძნელია. არა, არ ვისურვებდი. მაგრამ, იცით, რამ გამაკვირვა? „უოლ-სტრიტის“ გამოსვლის შემდეგ ძალიან ბევრმა მითხრა, ბირჟაზე მინდა ნასვლა, რათა გავხდე ისეთი, როგორიც არის გორდონ გეკო. მე კი გორდონობაზე მეოცნებეთ ვარწმუნებდი, ნამდვილი თაღლითია და არ შეიძლება იგი იდეალად გაიხადოთ-მეთქი. მერე კი მივხვდი: ადამიანებს კინოთაღლითები უყვართ, რადგანაც ისინი იმ საზღვრებს ძლევენ, რომლის გადალახვასაც ჩვეულებრივი ობივატელი ვერ მოახერხებს.*

და მაინც, ძნელი სათქმელია, 24 კინოგმირიდან რომელია ნამდვილი მაიქლი, რადგან ის ჰოლივუდის ისეთი ვარსკვლავია, რომელიც ეკრანსა და რეალურ ცხოვრებაში ერთნაირად გამოიყურება.

ბოლო ფილმში, „მოხეტიალე ბიჭები“, დუგლასი ცოტა ზანტია, აუჩქარებელი, თვითირონიული, ტანსრული და ქალებზე იმედგაცრუებული.

*— ვთამაშობ პროფესორს, რომელსაც მშვენიერი რომანის შემდეგ, 7 წელია, წიგნი აღარ დაუწერია. ცოლიც გაექცა, თავისი მამათმავალი აგენტი კი მუქარით ახალ წიგნს სთხოვს, ხოლო მისი საუკეთესო სტუდენტი თავის მოკვლის მანიით არის შეპყრობილი და იძულებულია, იგი შეიფაროს... ეს იყო დიდებული როლი და იცით, რატომ? რეჟისორი კურტის ჰენსონი სრულ თავისუფლებას მაძლევდა,* — ამბობს იგი და უმატებს, — *მე ვარ მსახიობი, რომელმაც გარკვეული გზა გაიარა და იმის უფლება მოვიპოვე, რომ ჩემი სურვილით ავირჩიო როლი. ვითამაშო ის, რაც მინდა და არა ის, რასაც მაყურებელი ელის.*

1972 წლამდე დუგლასი თეატრის სცენაზე თამაშობდა. მერე კი სატელევიზიო სერიალში „სან-ფრანცისკოს ქუჩები“ ინსპექტორის როლი შეასრულა. მაგრამ ამ გაჭიანურებული სერიალის დამთავრებამდე გაბედა და 1975 წელს დააფინანსა მილოშ ფორმანის ფილმი „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“. ეს კინონაწარმოები 5 ოსკარით დაჯილდოვდა. ასე რომ, მსახიობობა, ჰოლივუდი და წარმატებები იყო და არის მაიკლის ხელობა. „გუგულმა“ პოპულარობით იგი მამას, კერკ დუგლასს გაუტოლა და მერე კი „უოლ-სტრიტში“ მამაკაცის საუკეთესო როლისთვის აღებული „ოსკარით“ მშობელი უკან ჩამოიტოვა. მოხუცი კერკი ხომ „ოსკარს“ ვერ ეღირსა.

მაიკლ დუგლასი დღემდე ჰოლივუდში მოღვაწეობს. იგი მეტად ცნობილი ადამიანია და ამიტომაც მასზე ბევრს ლაპარაკობენ. 1993 წელს მოჭარბებული სექსუალური მოთხოვნილებებისგან თავის დასაღწევად იმკურნალა, რათა ამის გამო ხმაურიანი სკანდალები არ ჰქონოდა.

*— მამამ დამარიგა, — არ გინდა აურზაური, იყავი თავმდაბალი ვარსკვლავიო. მეც ყურად ვიღე მშობლის რჩევა და ვცდილობ, ჩემი თავგადასავლებით საზოგადოება არ შევაწუხო,* — ამბობს მსახიობი.

გოეთემ თქვა, — ვინც მხოლოდ საკუთარ თავს თამაშობს, მსახიობი არ არისო. მაიკლ დუგლასი ამ მოსაზრების საპირისპირო მსახიობია. იგი არამცთუ გამოგონილ ეკრანულ სამყაროში თამაშობს, არამედ რეალურ ცხოვრებაშიც.

„მოხეტიალე ბიჭებში“ მისი მსახიობური ოსტატობა ზენიტს აღწევს. იგი აქ თითქმის თავისი თაობის მამაკაცს განასახიერებს, ამიტომაც იშლება ზღვარი პერსონაჟსა და მის შემსრულებელს შორის და იმით, რომ ერთგვარად ირონიულად უყურებს მის მიერ განსახიერებულ გმირს, საკუთარ რეალურ ცხოვრებასაც დასცინის და აქარწყლებს საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს — დუგლასი ის მამაკაცია, რომელიც მიწაზე მყარად დგასო.

მსახიობი სიამოვნებით ლაპარაკობს ქალზე, რომელმაც მას სულ ახლახან ვაჟიშვილი აჩუქა და 55 წლისას მამობის სიტკბო კიდევ ერთხელ განაცდევინა, — ქეთრინის სახით ჩემი ცხოვრების ქალი ვიპოვე. მყავს ვაჟიშვილი, რომელიც ახალგაზრდული ენერგიით მავსებს და ჩემი წარსული ცხოვრების კიდევ ერთხელ გადასინჯვას მაიძულებსო.

ჟურნალისტებმა გამოამზეურეს მაიკლ დუგლასის და ქეთრინ ზეტა-ჯონსის საქორწინო კონტრაქტის დეტალები: სავარაუდო განქორწინების შემთხვევაში ქალი ვალდებულია, მათი ერთად ცხოვრების შესახებ არაფერი თქვას. ხოლო თუ დუგლასი ცოლს უღალატებს, ვალდებულია, ყოველი ღალატისთვის ცოლს 5 მილიონი დოლარი გადაუხადოს.

დუგლასი ამ თემაზე საუბარს თავს არიდებს, ხოლო რაც შეეხება მის ხელოვნებას, იგი ამაზე გულღიად საუბრობს და მაშინ წარმოჩინდება მსახიობის შინაგანი სამყარო: ამბობს, რომ უკმაყოფილოა გლენ კლოზის „საბედისწერო აფერაში“ თამაშით, უფრო მოსწონს და უყვარს „ძირითად ინსტინქტში“ განსახიერებული როლი. „*და იცით, რატომ? უკეთესად ვგრძნობ თავს, როცა დამოუკიდებლად მოქმედებას არ მიკრძალავენ. როცა როლზე მუშაობისას რეჟისორი ყველა ნიუანსს არ მკარნახობს და სრულ თავისუფლებას მაძლევს*“.

**შტერნი №45**

# მაქსიმილიან შელი სიღატაკეში ლაფავს სულს

რიგის ფესტივალზე — „ბალტიის მარგალიტი“, 69 წლის ცნობილი კინორეჟისორი და მსახიობი მაქსიმილიან შელი ათასწლეულის მსახიობად აღიარეს. მსგავსი წარმატება მას 1961 წელს, „ოსკარის“ მიღებისას ხვდა წილად.

სამწუხაროდ, როცა კლაუს-მარია ბრანდაუერი დაფნის გვირგვინს თავს ადგამდა, მაქსი ცუდად გახდა. მსახიობი სასწრაფოდ მოათავსეს რიგის კლინიკის სარეანიმაციო განყოფილებაში, ხოლო შემდეგ საგანგებო რეისით მიუნხენში გაამგზავრეს. 3 კვირის შემდეგ შელიმ დატოვა კლინიკა და მშობლიურ მამულს მიაშურა ავსტრიაში, კარინტოს მთებში, სადაც სულს ლაფავს სიღარიბეში.



ბოლო დროს მაქსიმილიანის ოჯახს ბევრი უსიამოვნება შეხვდა. უფროსი და, ოდესღაც პოპულარული მსახიობი მარია შელი გაკოტრდა, გალოთდა და თავის მოკვლაც კი სცადა. მაქსიმილიანმა იხსნა — გადაიხადა მისი ვალები. ახლა 74 წლის მოხუცი ძმასთან ერთად ცხოვრობს.

გალატაკებული მაქსიმილიანი ფილმებს დღეს ოცნებაში იღებს, ვინაიდან სპონსორებს ველარ შოულობს.

ოდესღაც მათ ოჯახში ყველაფერს დედა — მარგარეტ შელი მართავდა. მისი გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეთა შორის დიდი დავა დაიწყო ქონების გასაყოფად. დიდ სახლში მარია დაბინავდა, მაქსიმილიანს მონადირის ქოხი ხვდა წილად, ძმამ — კარლმა კი, სოფელში ცხოვრება არ ისურვა და თავის წილად ფული მოითხოვა. მას დღემდე არ მიუღია კუთვნილი 650 ათასი მარკა, მაგრამ უკვე არაფერს ითხოვს. ხმა გავარდა, მაქსიმილიანის მეუღლე, მსახიობი ნატალია ანდრეიჩენკო, მაზლს რუსული მაფიით დაემუქრა და შეშინებულ კარლს ინფარქტმა დაარტყაო.

და-ძმათაგან ყველაზე ბედნიერია მარია. მობალახე ძროხებითა და თხებით მოფენილ ველ-მინდვრებში დასეირნობს და ჰგონია, უკვე სამოთხეშია.

უკეთილშობილესი მაქსიმილიანი პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში არ ახსენებს არც ცოლს და არც მის ადგილსამყოფელს. მისი ერთადერთი სიხარულია შვილები — 11 წლის ქალიშვილი ნასტია, რომელიც ნატალია ანდრეიჩენკოსთან შეეძინა და ნაშვილები — 17 წლის დიმიტრი. ისინი მამასთან ცხოვრობენ და ეჭვადაც არ იციან, თუ როგორ სულიერ ტრაგედიას განიცდის ის...

**ბუნტე №38**

# აბა, ვინ ვარ...

◆ *ხომ გითხარით, გაგიჭირდებათ ჩემი ცნობა-მეთქი...*

◆ *არადა, ყველა შესანიშნავად მიცნობდით... თუ არ მეშლება, გიყვარდით კიდეც, გიყვარდათ ჩვენი განუყრელი სამეული: იური ნიკულინი, გიორგი ვიცინი და მე*

***ჟენია მორგუნოვი.***



# მისი ფერფლი წყნარ ოკეანეში მიმოფანტეს...



ეს უცნაური კაცი, რომელიც დემონივით ბობოქრობდა ხოლმე, ეკრანზე გამოჩენისთანავე ანდამატივით იზიდავდა ყველას.

სტივ მაკ-ქუინს იმდენი უბედურება ჰქონდა გამოვლილი, რომ ხანდახან უჭირდა კიდეც გარდასახვა. ფილმში, „ჯოჯოხეთი გმირებისთვის“, რეჟისორი დონ სიგალი იძულებული გახდა, სტივისთვის ასატირებლად სილა გაეწნა.

ბევრმა სცადა მისთვის მიებაძა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

...ექვსი თვის იყო, მამამ რომ მიატოვა. მერე მთელი სიცოცხლე ეძებდა მას. როგორც იქნა, მიაკვლია, მაგრამ სამი თვის მკვდარი დახვდა. დედამისი, გამოუსწორებელი ლოთი, 50 წლისა იყო, ტვინში სისხლის ჩაქცევით რომ გარდაიცვალა. 12 წლამდე მისურელი ფერმერი ზრდიდა. ერთ დღეს, არავინ იცის, რატომ, დედამ მოაკითხა და ლოს-ანჯელესში წაიყვანა, მაგრამ ყველაფერში ხელი მოეცარათ. სტივის სკოლა ქუჩა იყო. მერე მოზარდთა კოლონიაში აღმოჩნდა. მოგვიანებით დედამ მონახულა და 200 ათასი დოლარი აჩუქა.

სიყვარული, რომელიც ყმაწვილს ასე აკლდა, გვიან, მილიონობით თაყვანისმცემლის გულში პოვა.

16 წლისა გემით კუბაში გაემგზავრა და იქ დარჩა. მოგვიანებით დომინიკანელთა რესპუბლიკაში ამოყო თავი. სამი წელი იმსახურა ფლოტში. ურჩობისთვის 41 დღე კარცერში იჯდა. დანაშაული მოგვიანებით გამოისყიდა — არქტიკაში, სასწავლო ოპერაციის დროს. ზღვაში გადაეშვა ხუთი მეზღვაურის გადასარჩენად და მაშინვე გმირად იქცა.

17 წლისამ ყველაფერი ნახა და გამოსცადა. თავის გადასარჩენად უამრავი ხელობა მოსინჯა. იყო შეშისმჭრელი, მაღაროელი, ტელევიზორების შემკეთებელი, სატვირთო მანქანის მძღოლი, დოკერი, გამყიდველი... ისეთი ჯურღმულებიდან წამოვიდა, რომ აუცილებლად სულ მაღლა-მაღლა უნდა ევლო. ასეც მოხდა.

ნიუ-იორკში თეატრალურ სტუდიაში ჩაეწერა. 1955 წელს შეხვდა ბროდვეის მომღერალსა და მოცეკვავეს ნეილ ადამსს. ერთი ნახვით შეუყვარდათ ერთმანეთი. ოთხი თვის შემდეგ ჯვარი დაიწერეს. ცოლმა ვალები გაუსტუმრა, მის სცენარებსაც გაუკვლია გზა და ორი შვილიც გაუჩინა.

1956 წელს პირველი როლი მიიღო ფილმში „ზიზღით დაღდასმული“. თამაშობდა პოლ ნიუმენთან ერთად. იმ წელიწადს ცივი ზამთარი დადგა. გადაღებებს შორის მსახიობები ოდნავ გამთბარ ოთახში იკრიბებოდნენ. ნიუმენი უკვე ვარსკვლავი იყო, ჰყავდა ლიმუზინი, მძღოლი, მდივანი... სანამ გადაღებაზე მოუხმობდნენ, თავის მანქანაში ტელევიზორს უყურებდა. სტივი შორიდან აკვირდებოდა. ტყავიდან ძვრებოდა, რომ მისნაირი სახელი მოეხვეჭა.

სერიალმა „კანონის სახელით“ ფული და სახელი მოუტანა. ეგებ დამთხვევაა, მაგრამ მისი გმირები ხშირად მტრულ გარემოში ცდილობენ დამკვიდრებას.

სტივს არ უყვარდა ავტოგრაფების დარიგება, ინტერვიუების მიცემა, „მაღალ“ საზოგადოებაში ტრიალი. ადამიანებზე მეტად საგნებს ეგუებოდა. 210 მოტოციკლეტი, 55 მანქანა და 5 თვითმფრინავი ჰყავდა. საწოლიც კი დაადგმევინა აეროპორტის ანგარში, რათა თავის „სათამაშოებთან“ ახლოს ყოფილიყო. ქალებსაც ვერ ივიწყებდა. სიბერეს ვერ ეგუებოდა და თავი რომ დაერწმუნებინა, ჯერ კიდევ მომხიბვლელი ვარო, ყველა ქალს ეარშიყებოდა. ერთხელ, მისი მექალთანეობით გაბეზრებულმა ცოლმა მიახალა, — მაქსიმილიან შელისთან პატარა ფლირტი მქონდაო. კინაღამ გაგიჟდა და ლამის მოკლა.

ფილმებში დუბლიორები არასოდეს ჰყოლია. გადაღებებზე მხოლოდ კასკადიორებთან მეგობრობდა. კინომსახიობი რომ არ გამხდარიყო, ალბათ ფორმულა №1-ის მსოფლიო ჩემპიონი იქნებოდა. ან ვინ იცის, იქნებ უბრალო მექანიკოსად დარჩენილიყო.

1972 წელს გაიცნო 34 წლის ალი მაკ-გრაუ და უბოდიშოდ წაჰგვარა ქმარს, პროდიუსერ ბობ ევანსს, რომელსაც იმ დროს „ნათლიის“ გადაღებების გამო არ ეცალა.

„სტივი საშინლად ეჭვიანი იყო, სულ მეჩხუბებოდა. არ მქონდა მაკიაჟის გაკეთების, მეგობრების ნახვის უფლება. ჩემდა უნებურად მივეჯაჭვე მას. იმის შიშით, რომ არ მივეტოვებინე, ყველაფერზე თანახმა ვიყავი“, — იგონებდა ალი.

ცოლ-ქმარი კარჩაკეტილად ცხოვრობდა. დილიდან საღამომდე ტელევიზორს უსხდნენ. სტივი მარიხუანას და ლუდს მიეძალა. გააფთრებით უშლიდა ხელს ალის სამსახიობო კარიერას. ისევ აიშვა თავი. ერთხელ ორი კახპა შინაც კი მიიყვანა, დილით კი ალის სთხოვა, გოგონებს საუზმე მოუმზადეო. ალი იმ დღეს კი დაჰყვა ქმრის ნებას, მაგრამ... მალიბუს სახლის ფანჯრიდან დიდხანს უყურა გემებს და თავისუფლება მოსწყურდა. სტივმა რომ შეიტყო, ალი კვლავ აპირებდა კინოში თამაშს, ყველაფერი დალეწა და განქორწინება მოითხოვა.

1979 წელს „მონადირის“ გადაღების შემდეგ ფილტვში სიმსივნე აღმოუჩინეს. ნაწილი ამოკვეთეს. საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ წვერმოშვებული და თმააბურძგნილი სტივის ცნობა შეუძლებელი იყო...

სჯეროდა, გადავრჩიო და მალიბუს რანჩოში მესამე ცოლთან — 25 წლის მანეკენ ბარბარა მენტისთან ერთად დასახლდა. ძალიან მორწმუნე გახდა. ალიონზე მიდიოდა ეკლესიაში.

რამდენიმე თვის შემდეგ ბარბარასთან ერთად კრუიზში ყოფნისას ისეთი ტკივილები დაეწყო, რომ მოგზაურობა შეწყვიტეს. მეტასტაზები გავრცელებული იყო. ექიმებმა ორი კვირის სიცოცხლის გარანტია მისცეს... დღეში ასობით ვიტამინს იღებდა. როცა დარწმუნდა, მეცნიერება ვერაფერს უშველიდა, მექსიკის ერთ-ერთ საავადმყოფოში დაწვა შუმაკერის გვარით. კლინიკაში ათი კვირა გაატარა. დღეში ორჯერ შვილი, ჩედი, თავის სისხლს უსხამდა...

სტივ მაკ-ქუინი ფილმებში ბევრჯერ გაქცევია სიკვდილს, მაგრამ 1980 წლის 7 ნოემბერს, მექსიკის კლინიკაში ოპერაციის დროს გული გაუჩერდა.

მისი ფერფლი წყნარ ოკეანეში მიმოფანტეს...

**პარი მატჩი №26/85**



# ვინც გადაიხდის, ის იმუშავებს

## „აი-თი-ესს“ საქართველოდან აძევებენ?

შემოსავლების მინისტრი მიხეილ მაჭავარიანი სკანდალური განცხადების გაკეთებას აპირებს. იგი აღმასრულებელ ხელისუფლებას „აი-თი-ესთან“ ხელშეკრულების გაუქმებას მოსთხოვს. ამის მიზეზი კი „საქართველოს სახელმწიფოსა და კომპანია „აი-თი-ესს“ შორის დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულების მმართველი კომიტეტის“ თავმჯდომარის თამაზ ხუხუნაშვილის დასკვნაა, რომელიც თვალნათლივ აჩვენებს, რომ „აი-თი-ესის“ საქართველოში შემოსვლით არც შემოსავლები გაზრდილა და არც კონტრაბანდა შემცირებულა.

არადა, თავის დროზე, „აი-თი-ესმა“ ტენდერში სხვა უცხოურ კომპანიებს იმით აჯობა, რომ იგი სახელმწიფოს წინაშე კისრულობდა ანტიკონტრაბანდული ღონისძიებებისა და საბაჟო რეფორმების ვალდებულებას. გარდა ამ ვალდებულებებისა, ის ქვეყანას მისი შემოსვლიდან პირველ წელს შემოსავლების 50%-ით, მეორე და მესამე წელსაც — 50-50%-ით გაზრდას ჰპირდებოდა. არც ერთი ეს პირობა არ შესრულებულა.

კურიოზული ის არის, რომ, როგორც ერთ-ერთმა კომპეტენტურმა წყარომ გაგვიმხილა, როცა ამ ფირმამ ჩვენში ანტიკონტრაბანდული ღონისძიების გატარება იკისრა, ეს თავიდანვე სიცრუის ტოლფასი იყო, რამდენადაც მისი სათავო ოფისის კომპეტენციაში ეს ვალდებულება არ შედიოდა. კულუარული ინფორმაციით, დაინტერესებულმა მხარემ ურჩია „აი-თი-ესს“, ტენდერში უპირატესობის მოსაპოვებლად, ზემოაღნიშნული ვალდებულებების შეთავაზება ქართული მხარისთვის.

ბოროტი ენები ამბობდნენ, რომ მაშინ „აი-თი-ესის“ გამარჯვებაში სატენდერო კომისიის ზოგიერთმა წევრმა ქრთამად ორი მილიონი დოლარი აიღოო, მაგრამ ჩვენ ხომ არ ვიცით, მართლაც ორ მილიონად იყიდა კონტრაქტი „აი-თი-ესმა“ თუ არა? მაგრამ, სამაგიეროდ, ვიცით, რომ მას ბევრი მომდურავი ჰყავს იმპორტიორებშიც და მთავრობაშიც. „კვირის პალიტრა“ ამ საკითხთან დაკავშირებით ესაუბრება „საქართველოს სახელმწიფოსა და კომპანია „აი-თი-ესს“ შორის დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულების მმართველი კომიტეტის“ თავმჯდომარეს **თამაზ ხუხუნაშვილს.**

**— ბატონო თამაზ, ძირითადად რა პრეტენზიები გაქვთ „აი-თი-ესთან“?**

— რა ვალდებულებებიც აიღო, ვერ შეასრულა. პრაქტიკულად, რაც 1999 წელს საბაჟოზე თვეში საშუალოდ შემოდიოდა, დაახლოებით იგივეა დღესაც — ანუ გამოდის 11 მილიონი დოლარი. წელიწადში ეს 132 მილიონი დოლარის ტოლფასია. არადა მისი ვალდებულების მიხედვით 2000 წელს საშუალოდ 260 მილიონი დოლარი უნდა ყოფილიყო, 2001 წელს — 312 მილიონი. „აი-თი-ესი“ კი დღემდე გეგმის შესრულებას 50%-ით თუ ახერხებს.

**— ამ საკითხთან დაკავშირებით რა პოზიცია უკავია თავად „აი-თი-ესს“?**

— 1999 წლის გეგმაც რომ ვერ შეასრულა, მაისის თვეში მის წინაშე ეს საკითხი დაისვა. პრეტენზია წამოაყენეს, რომ ამის მიზეზი 5000 დოლარის ზღურბლი იყო („აი-თი-ესი“ 5000 დოლარისა და ზევით ღირებულების საქონელს უტარებდა ინსპექტირებას — მ.მ.). მათი განცხადებით, დიდი რაოდენობის ტვირთების ფარული დანაწევრების წყალობით, მათი ქვეყანაში შემოტანა „აი-თი-ესის“ გვერდის ავლით ხდებოდა. ჩვენ ეს პრეტენზია გავითვალისწინეთ და ზღურბლი 2500 დოლარამდე ჩამოვიტანეთ. ამაზეც ჩავატარეთ ანალიზი და აღმოჩნდა, რომ ზღურბლის დაწევამ შედეგი არ მოგვცა. განსხვავება მხოლოდ რაღაც 1% მივიღეთ. რაც შეეხება მომსახურების ხარისხს: ყველაზე მთავარი იმპორტიორისთვის ვადებია, ანუ რა ვადაში მიიღებს „იგეემს“ (განბაჟებისათვის აუცილებელ სერტიფიკატს). სახელმწიფოს ტვირთების წინასწარი ინსპექტირება იმიტომ აძლევდა ხელს, რომ როდესაც საქონელი შემოდიოდა ჩვენს საზღვარზე, ქართველ იმპორტიორსა და ქართველ მებაჟეს შორის ხდებოდა გარიგება — ფასების შემცირება, რაოდენობის და გადასახადების დამალვა. ამჯერად კი, როგორ ხდება: დავუშვათ, უნდა შემოვიტანო წამლები გერმანიიდან. მაქვს ხელშეკრულება და წამლების წამოღებას ვაპირებ 10 დეკემბერს. ერთი კვირით ადრე ვწერ „აი-თი-ესის“ სახელზე განაცხადს, შემდეგ ჩემს ექსპორტიორს ვაუწყებ — შენ დაგიკავშირდებიან კომპანია „აი-თი-ესიდან“ და გთხოვ, ინფორმაცია მისცე-მეთქი. ამის შემდეგ კომპანია „აი-თი-ესის“ ჰამბურგის ოფისი ექსპორტიორს უთანხმებს ინსპექტირების ვადებს, ჰამბურგის ოფისის თანამშრომლები აკეთებენ საქონლის ინსპექტირებას და დგინდება საქონლის ფასი, კოდი, დარიცხული გადასახადები. გამოწერს სერტიფიკატს და კომპიუტერული ქსელით გამოაგზავნის თბილისში, „აი-თი-ესში“ იმპორტიორი აიღებს ამ მოწმობას და დახვდება თავის ტვირთს. მებაჟეც, ამ მოწმობის საფუძველზე გამოწერს საბაჟო დეკლარაციას. თუმცა ხელშეკრულება აქაც დარღვეულია. ხელშეკრულების მიხედვით განაცხადის შეტანიდან ერთი ოპერაცია 7-11 სამუშაო დღეში უნდა ჩატარდეს, რეალურად კი ერთ თვეშიც ჭიანურდება. გარდა ამისა, არც ხარისხი მოწმდება. მხოლოდ იდენტიფიკაციას და რაოდენობას ამოწმებენ. მაგ. შემოდის ბენზინი. წერენ, რომ ეს არის ბენზინი და არ ამოწმებენ მის შემადგენლობას.

**— თავის დროზე „აი-თი-ესმა“ ანტიკონტრაბანდული ღონისძიებების გატარებაც იკისრა. ამა წლის ივლისიდან კი მას ეს უფლება ჩამოერთვა. რატომ?**

— ვერ ასრულებდა. 2000 წლის ანტიკონტრაბანდული ღონისძიებებით სახელმწიფოს სასარგებლოდ 6 თვეში მხოლოდ 6 ათასი დოლარი ამოიღეს. ამიტომ გადაწყდა, რომ კომპანია






„აი-თი-ესს“ ეყოლებოდა მხოლოდ ერთი მრჩეველი ანტიკონტრაბანდულ საკითხებში საბაჟოზე, ლეგიონთან და ამასთან ერთად, 400 ათას დოლარს გადაუხდიდა სახელმწიფოს. ამ ფულით დაფინანსდება სახელმწიფო სტრუქტურები და ისინი ჩაატარებენ ანტიკონტრაბანდულ ღონისძიებებს.

**— თქვენი აზრით, რატომ ვერ ასრულებს „აი-თი-ესი“ თავის მოვალეობას?**

— საბაჟო რეფორმას და იმავე ანტიკონტრაბანდულ ღონისძიებას განახორციელებს მხოლოდ სახელმწიფო. როგორ უნდა გააკეთოს ეს კერძო ფირმამ, როცა მას ტვირთის დაჭერის უფლება არ აქვს და ხელშეკრულებაში უწერია, რომ ის იძლევა მხოლოდ რეკომენდაციებს?!

**— შემოსავლების სამინისტროს თქვენ ურჩიეთ, რომ ხელშეკრულება გაუუქმდეს „აი-თი-ესს“. „აი-თი-ესი“ რა აზრისაა ამ საკითხზე?**

— „აი-თი-ესის“ მხარემ გვთხოვა, ამ ხელშეკრულების კიდევ ერთი წლით გაგრძელება.

**— რა ინტერესი აქვს მას აქ დარჩენის. პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, მას ამ ხელშეკრულებით თურმე ერთი თეთრი მოგება არ მიუღია...**

— ნებისმიერ კომპანიას აქვს ფინანსური ინტერესი. სადაც მოგებას არ ნახულობენ, ვადის გაგრძელებას არ ითხოვენ. მე არ ვიცი, რამდენი მოიგო, მაგრამ იმპორტიორებისგან ინსპექტირებისათვის გადასახადების სახით დაახლოებით 6-8 მილიონი დოლარი მიიღო.

*შემოსავლების მინისტრი მიხეილ მაჭავარიანი, მმართველი კომიტეტის მიერ ჩატარებული ანალიზით კმაყოფილია და მიიჩნევს, რომ თამაზ ხუხუნაშვილის და მისი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნა ფაქტებითა და ციფრებით არის გამყარებული. პროცედურის მიხედვით ეს დოკუმენტი განსახილველად კვირის ბოლოს უკვე მთავრობის წევრებს გადაეცა, რომლებიც მთავრობის სხდომაზე თავის პოზიციასაც დააფიქსირებენ. თუმცა მთავარი სიტყვა მაინც პრეზიდენტს ეკუთვნის.*

**— ბატონო მიშა, როგორ ფიქრობთ, როდესაც მთავრობის სხდომაზე დადგება ეს საკითხი, პრეზიდენტი მმართველი კომიტეტის ამ დასკვნას მხარს დაუჭერს?**

— ... პრეზიდენტი დაუჭერს მხარს იმ არგუმენტებს, რასაც მოისმენს. ჩვენ არა მარტო დასკვნას წარვუდგენთ, არამედ ვეტყვით რას ვფიქრობთ. ამის შემდეგ მიიღებს იგი გადაწყვეტილებას, როგორი უნდა იყოს კონტრაქტის მომავალი... სხვათა შორის, დასკვნაში საკმაოდ თვალნათლივ არის ნაჩვენები 1999 წლის იმპორტი, შემოსავლები, ასევე 2000 წლის იმპორტი.

**— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, უახლოეს მომავალში ახალ ტენდერს უნდა ველოდოთ?**

— ჯერ მივიღოთ გადაწყვეტილება. მათ კონტრაქტი აქვთ 2001 წლის ბოლომდე. იმ შემთხვევაში, თუ მათ კონტრაქტი გაუგრძელდება, მაშინ პირობები აუცილებლად უნდა შეიცვალოს. ვერ განხორციელდა საბაჟო რეფორმა, ვერ ხორციელდება საბაჟო გადასახადების ზრდა, მაშინ საქართველომ კომპენსაცია უნდა მიიღოს. ანტიკონტრაბანდული ვალდებულების გაუქმების შემდეგ ჩვენ უკვე კომპენსაციას ვღებულობთ „აი-თი-ესიდან“ — ყოველთვიურად დაახლოებით 33 ათას დოლარს. ყოველ შემთხვევაში, მე გავაკეთებ ყველაფერს, რომ ორი წლის შემდეგ, ვინც იქნება ჩემს ადგილზე, ან ფინანსთა მინისტრის ადგილზე, ვინმემ უხეში სიტყვებით არ მომიხსენიოს — როგორი არასწორი გადაწყვეტილება მიიღო მაჭავარიანმაო.

**— ბატონო მიშა, „აი-თი-ესს“ აქვს სავალდებულო მომსახურების ექსკლუზიური უფლება. როგორ ფიქრობთ, როდესაც მას ეს პრიორიტეტი მიენიჭა, იყო თუ არა ანტიმონოპოლიური კანონის დარღვევა?**

— ეს გახლდათ სავალდებულო წინასწარი ინსპექტირება გარკვეული თანხის ზემოთ. მე როგორც ვიცი, ეს ყველა შესაბამის სამსახურთან არის შეთანხმებული. მე სხვა რამეზე ვდავობ. ჩვენი იურისტებიც კი ვერ მაძლევენ მკაცრ განმარტებას. მეწარმეები ამბობენ, რომ ამ კონტრაქტით არ შეიძლება გადასახადის დაწესება. გადასახადი 1,29% უნდა დადგინდეს ან საბაჟო კოდექსით, ან საგადასახადო კოდექსით, ან საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელიც პარლამენტშია რატიფიცირებული. ამ შემთხვევაში არც ერთია, არც მეორე და არც მესამე. ეს არის სადავო, მაგრამ ეს კონტრაქტის შემდგენლებს უნდა ვკითხოთ და არა მე... საინტერესო, იცით რა არის? ასეთი ტენდერების შემდეგ რატომღაც საქართველო უფრო ხშირად წაგებული გამოდის ხოლმე, ვიდრე მოგებული.

**— დღეს უკვე მუსირებს აზრი, რომ გარკვეულ ფირმებს ერთი სული აქვთ, როდის დაიკავებენ „აი-თი-ესის“ ადგილს...**

— ილაპარაკონ. ერთი ის ვიცი, რომ ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, საქართველოს ფული უნდა გადაუხადოს და არა პირიქით. მართალი გითხრათ, ნაკლებად ვარ დაინტერესებული, რომელი ფირმა გაიმარჯვებს. მთავარია თანხა მივიღოთ.

**— რამდენს მოსთხოვთ?**

— ტენდერის პირობებზეა დამოკიდებული. ჩვენ ფაქტობრივად, მათ ვაძლევთ საშუალებას, რომ ფული იშოვონ. ისინი ამაში ფულს აკეთებენ, ასე რომ, საბაჟო რეფორმას რომ გამოადგეს, იმდენი ეღირება.

**— მმართველი კომიტეტის დასკვნიდან გამომდინარე, „აი-თი-ესმა“ ვერ შეასრულა ვერც ერთი ვალდებულება. გვაქვს იმის გარანტია, რომ ახალი ფირმა რომ შემოვიდეს, ანალოგიური აღარ განმეორდება?**

— გარანტია არაფრის არა გვაქვს.

**— საზოგადოებაში მუსირებს აზრი — რატომ აყენებთ ამ საკითხს მაინცდამაინც ახლა და ორი წლის განმავლობაში, როცა პრაქტიკულად ფირმამ საქართველოს ვერაფერი გაუკეთა, ახლა დგება ეს საკითხი?**

— ადამიანი პირველ წელს რომ დაიწყებს მუშაობას, უთხრა — შენ ვერ აკეთებ ვერაფერს და წადი აქედანო, ხომ უნდა აცადო, არა?! ჩვენ მას ვაცადეთ. აბა, 2001 წლის ბოლოს რომ დამეყენებინა ეს საკითხი, არ მეტყოდნენ — აქამდე სად იყავიო?! აი, დღეს გეუბნებით: ჩვენ უკვე ავანთეთ ყვითელი და ვთქვით, რომ ის ნაკისრი ვალდებულებები არ შესრულდა.

**— ფაქტია, რომ ამ ფირმის შემოსვლით შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფომ თავის ქვეყანას ვერ მოუძებნა „პატრონი“ და იმის ნაცვლად, რომ ორი წლის განმავლობაში უზარმაზარი შემოსავლები უნდა შემოსულიყო, არ შემოსულა. იმასაც ამბობენ, „აი-თი-ესმა“ ტენდერში გამარჯვებისთვის 2 მილიონი გადაიხადა. დაისმება ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი?**

— თუ ვინმეს 2 მილიონი გადაუხადა, ეს გამოჩნდება. დეპორტის შემთხვევაში ხომ მიადგება იმათ, ვისაც ეს ფული მისცა?! სიმართლე გითხრათ, ქრთამის აღებაში ეჭვი მეპარება.

**— იმ პერიოდში, როცა ეს ტენდერი ჩატარდა, თქვენ მოქალაქეთა კავშირის გენერალური მდივანი იყავით, მმართველი პარტიის წარმომადგენელი იყო სატენდერო კომისიის თავმჯდომარე ონოფრიშვილი...**

— მოიცათ, მოიცათ, რომელია არამმართველი პარტიის წარმომადგენელი მთავრობაში?

**— სწორედ მეც ამას ვგულისხმობ, ხომ არ იყო სწორედ მმართველი პარტიის შეცდომა „აი-თი-ესის“ შემოყვანა საქართველოში?**

— პრინციპი არის სწორი, მაგრამ როგორ გაკეთდა, ეს მეორეა. თუ „აი-თი-ესმა“ 2 მილიონი გადაიხადა, მაშინ ისიც უნდა თქვან, ვის გადაუხადა.

*თავის მხრივ „კვირის პალიტრამ“ „აი-თი-ესის“ თბილისის ოფისის დირექტორთან, ნევილ ბისეტთანაც სცადა დაკავშირება. თუმცა როგორც მისმა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა განგვიცხადა, მისი ფიზიკური მოხელთება არცთუ ისე იოლი იყო და სულ ისე დარჩენას კითხვების დატოვება შეგვთავაზა. ასეც მოვიქეცით, მაგრამ მთელი სამი დღის განმავლობაში უშედეგოდ ველოდით პასუხს.*

*რაც შეეხება სახელმწიფო პოლიტიკას გადასახადების სფეროში, უდავოა, რომ კიდევ ერთი ფიასკო განიცადა. კონტრაბანდისტებთან და ხელისუფლებასთან შეკრულ მაფიოზ ბიუჯეტისმჭამელებთან მრავალგზის დამარცხებულ სახელმწიფოს ვერც ინგლისელებმა უშველეს. თუმცა შეცდომა იქნებოდა, ეს მარტო უცხოელებისთვის დაგვებრალებინა. თავიდათავი ისევ ჩვენი სახელმწიფოებრივი უსუსურობა და ხელისუფლების წარმომადგენელთა არასახელმწიფოებრივი აზროვნებაა, რომლებიც ყოველი უცხოელის საქართველოში შემოსვლას, ყოველ ტენდერს მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი გამორჩენისთვის იყენებენ. კარგად ნაკვები ინგლისელები მგონი მიდიან. რომელ ახალ „მჭამელს“ მოგვივლენს ხელისუფლება?!*

***მარინა მამისაშვილი***



## კითხვა-პასუხი

***თუ საცხოვრებელი კერძო ბინა პრივატიზებული არ არის, როგორ კეთდება ბინის პრივატიზაცია და რა ჯდება?***

***სონღულაშვილი***

კერძო ბინას პრივატიზება არ სჭირდება. სახელმწიფო ბინის პრივატიზებისთვის კი უნდა მიმართოთ სერვისული მომსახურების ცენტრს, სადაც კომუნალური გადასახადების დაფარვის შემდეგ აიღებთ ფორმა №1-ს. ამ ცნობას წარადგენთ ნოტარიუსში, სადაც გაფორმდება პრივატიზაციის ხელშეკრულება, რაც 15 ლარი ღირს. ნოტარიუსის შემდეგ კი რეგისტრაციას გაივლით საჯარო რეესტრში (26 ლარი), საბოლოოდ კი სახლმმართველობაში მიიტანთ ყველა საბუთს.

***მთაწმინდის რ-ნის სერვისული მომსახურების ცენტრი***

***იქნებ გვიპასუხოთ, როდის მოხდება შეტანილი ანაბრების ანაზღაურება?***

***ლაგოდეხი***

შეტანილ ანაბრებზე თანხის გაცემა დაიწყო 1998 წლიდან და იგი ეხებოდა მხოლოდ I ჯგუფის ინვალიდებს, თანხის გაცემა კი ხდებოდა შემდეგი ოდენობით: პირველ ათას მანეთზე — 100 ლარი, დანარჩენ 1000 მანეთზე — 10-10 ლარი. თანხის გაცემა 2000 წლის 1 იანვრიდან შეჩერებულია და, სამწუხაროდ, არც 2001 წლის ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული.

***ფინანსთა სამინისტრო***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2 დეკემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| **აშშ დოლარი** | 1,9800 |
| **გერმანული მარკა** | 0,8853 |
| **ინგლ. გირვანქა სტერლინგი** | 2.8276 |
| **ევრო** | 1,7315 |
| **რუსული რუბლი** | 0,0710 |
| **თურქული ლირა (10.000)** | 0,0291 |

MONROE
მონრო ამორტიზატორები
ნებისმიერი მარკის ავტომობილისათვის, მათ შორის ჯიპის, ვოლგის და ჟიგულისათვის, ერთწლიანი გარანტიით.
☎ 95-11-69; 899-54-21-66

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— [illegible] 15-20 წუთში;
— [illegible]
— [illegible]
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.

ფირმა «გარანტი»
აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით.
გარანტია — 10 წელი
მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78



☎ 63-05-26; 99-86-09; 38-37-89; 877-43-85-69

შტამპები და ფირმების რეგისტრაცია აუდიტი არასამთავრობო ორგანიზაციების
რუსთაველის 22
☎ 99-86-09; 38-37-89

## ამერიკის პრეზიდენტის ბედს სასამართლო გადაწყვეტს

აშშ-ის მატიანეში ამიერიდან ახალი ფურცელი ჩაიწერება. არ მოსწრებია ქვეყნის ისტორიას, პრეზიდენტობის კანდიდატებს თეთრ სახლში სასამართლოს გზით შეჭრა მოენდომებინოთ. როგორც მოსალოდნელი იყო, ფლორიდის არჩევნებში დამარცხებულმა ალბერტ გორმა უგულებელყო კენჭისყრის შედეგები. მან თავის სიცოცხლეში ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური სიტყვა წარმოთქვა: ბრძოლას განვაგრძობ არა ანგარების გამო, არამედ მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიის გამარჯვებისთვის... არა აქვს მნიშვნელობა შედეგს, მთავარია, გათვალისწინებულ იქნეს ხალხის აზრიო.

ბუშის ბანაკმა გორის საქციელი მოკლედ შეაფასა — „ფარისეველი!“ ტეხასის გუბერნატორის თანამოაზრემ დიკ ჩეინმა გორი გაკიცხა: ქვეყანაში ხელისუფლების გადაცემის მშვიდობიან პროცესს თავისი სიჯიუტით უშლის ხელსო.

რესპუბლიკელებმა უკვე დაიწყეს ფულადი შეწირულობის შეგროვება პრეზიდენტის ადმინისტრაციის ჩამოსაყალიბებლად. ამასობაში, გორის ადვოკატებმა ფლორიდის საოლქო სასამართლოში სარჩელი წარადგინეს. ისინი ითხოვენ, თავიდან გადაიხედოს არჩევნების შედეგები შტატების იმ ოლქებში, სადაც იგნორირებულ იქნა ათასობით „საკამათო“ ბიულეტენი. ამ საქმეს მოისმენს რესპუბლიკელების თანამოაზრე, კომპიუტერის მიერ შერჩეული მოსამართლე, სანდერს საულსი. როგორც მოსალოდნელია, ეს პროცესი 12 დეკემბრამდე არ დასრულდება.

***კომსომოლსკაია პრავდა №221***

## ვიქირავებ კუთხეს ევროკორპუსში



ბერლინში გამართულ ევროფორუმზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. ივანოვმა სენსაციური განცხადება გააკეთა — მოსკოვი, სავსებით ბუნებრივად მიიჩნევს ევროპელთა სწრაფვას, საკუთარი ძალებით უზრუნველყონ საკუთარი უსაფრთხოება და მზად არის, ევროკავშირთან კონსტრუქციული ურთიერთქმედებისთვისო. საუბარია იმაზე, რომ რუსეთს სურს, შეუერთდეს ევროკორპუსს, რომლის ფორმირება 2003 წლისთვის არის დაგეგმილი.

უსაფრთხოების ევროპულ ძალთა შექმნის იდეა ახალი არ არის. იგი ემყარება წამყვანი ევროპული სახელმწიფოების სწრაფვას, შეამცირონ კონტინენტზე ამერიკელთა გავლენა. პროცესმა ახალი იმპულსი მიიღო კოსოვოში ნატოს ოპერაციის შემდეგ. ამ ფონზე ჩრდილო ატლანტიკურ კავშირში გაძლიერდა ფინანსური „გარჩევები“; ამერიკა ამტკიცებს, რომ ევროპელები ძალიან მცირე თანხას დებენ ნატოს თავდაცვისუნარიანობაში. ევროპელთა ვარაუდით, ამერიკელთა ამბიციები კონტინენტზე მეტისმეტად დიდია. ევროპელებს კი მეტი დამოუკიდებლობა სურთ. რფ თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობის მთავარი სამმართველოს უფროსი — გენერალი ლ. ივაშოვი არ მალავს, რომ ევროკორპუსის შექმნას რუსეთის სამხედრო უწყებაში განიხილავენ, როგორც ნატოსგან ევროპის დისტანცირების პროცესის დასაწყისს.

ალიანსის შტაბბინაში შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ი. ივანოვის გამონათქვამი, მაგრამ აქ მშვიდად არიან, რადგან უახლოეს ხანში „ევროპის მოტაცებას“ რუსეთი ვერ შეძლებს. ევროკორპუსის კონტურები კი, მიუხედავად ყველაფრისა, უკვე მოხაზულია და მის შექმნას მხარი დიდმა ბრიტანეთმაც დაუჭირა, რომელიც ევროპაში ამერიკის ყველაზე ერთგულ მოკავშირედ ითვლება. ბრიტანეთი ვარაუდობს, რომ 60 ათასიან ევროკორპუსში იგი გაგზავნის თავის 12,5 ათას სამხედრო მოსამსახურეს, 18 სამხედრო გემსა და 72 თვითმფრინავს. ბრიტანეთის ოპოზიციამ აღნიშნა, მოსკოვი და ოფიციალური ლონდონი საოცრად შეთანხმებულად ისწრაფვიან უსაფრთხოების კონტინენტური ძალების შესაქმნელად, რაც ტონი ბლერისა და ვლ. პუტინის მოსკოვის რესტორანში „საიდუმლო სერობის“ შემდეგ გაცხადდა.

***სეგოდნია №265***

## კოშტუნიცა ტონს იცვლის

დასავლეთისა და იუგოსლავიის პრეზიდენტის ვოისლავ კოშტუნიცას „თაფლობის თვე“, როგორც ჩანს, მთავრდება. ეს სულაც არ არის საკვირველი. საოცარი უფრო ის არის, რომ იგი ასე გაჭიანურდა. კოსოვოს სიტუაციის მიმართ დასავლეთისა და ბელგრადის განსხვავებული მიდგომა, რა თქმა უნდა, ადრე თუ გვიან, თავს იჩენდა და, იჩინა კიდეც. იუგოსლავიის პრეზიდენტი პირველად დაელაპარაკა ნატოს ულტიმატუმის ენაზე: მან კოსოვოში დაბანაკებულ ალბანელთა რაზმების ტერორისტული საქმიანობის აღკვეთა მოითხოვა. თუ მშვიდობისმყოფელები არ ისურვებენ, ან ვერ შეძლებენ წესრიგის დამყარებას, კოშტუნიცა ჯარს გაგზავნის „დემილიტარიზებულ ზონაში“, რომელიც კოსოვოსა და საკუთრივ სერბეთს შორის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ მდებარეობს.

ნატოსა და იუგოსლავიას შორის დადებული შეთანხმების თანახმად, სერბეთის ჯარის ნაწილებს უფლება არა აქვთ იმოქმედონ „დემილიტარიზებული ზონის“ შიგნით. იქ მხოლოდ სატაბელო იარაღიან პოლიციელებს შეუძლიათ შესვლა, მაგრამ კოსოვოდან შემოსულ ალბანელთა მიმართ, რომლებიც მხოლოდ სატაბელო იარაღით არ არიან აღჭურვილნი, პოლიციელები უმწეონი არიან. გასულ კვირას 4 პოლიციელი მოკლეს, სწორედ ამან გამოიწვია სერბეთში დიდი აღშფოთება და კოშტუნიცას მოთმინების ფიალა აუვსო.

რა თქმა უნდა, კოშტუნიცას მუქარისა დასავლეთში არავის ეშინია. თუ სლობოდან მილოშევიჩმა ვერ გაბედა პირდაპირ შეჯახებოდა ნატოს ძალებს, „დემოკრატი და პაციფისტი“ კოშტუნიცა ამას ვერ იზამს. სერბებს დღეს არც ძალა აქვთ და, რაც მთავარია, არც სურვილი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან შეჯახებისა. ასე რომ, კოშტუნიცას ნათქვამი ულტიმატუმი კი არა, უფრო „შოკური თერაპიაა“, უშედეგო მცდელობა იმისა, რომ გავლენა მოახდინოს ნატოს ხელმძღვანელობაზე. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ კოსოვოს განთავისუფლების არმია ფორმალურად დაშლილია, მაგრამ, ფაქტობრივად, აგრძელებს არსებობას. შენარჩუნებული აქვს სტრუქტურა და ამბიციური მიზნები — ოკუპირებული ალბანური მიწების გათავისუფლება.

***იზვესტია №224***

## ფუხიმორი იატაკქვეშეთიდან გამოვიდა

პერუს ყოფილი პრეზიდენტი ალბერტო ფუხიმორი ამჟამად იაპონიაში, კანაგავას პრეფექტურის საკურორტო ქალაქ მიურაში ცხოვრობს.



თავის გამოსვლებში მან მკაფიოდ აღნიშნა, — იაპონიის ხელისუფლებისათვის პოლიტიკური თავშესაფარი არ მითხოვიაო. ეს გასაგებიცაა, ფუხიმორი კვლავ აპირებს გაზაფხულზე საპარლამენტო არჩევნებში თავისი კანდიდატურის წაყენებას და პოლიტიკური ქვეშევრდომის სტატუსის მქონე ლტოლვილს, ცხადია, პერუში მხარს არავინ დაუჭერს. ჯერჯერობით, ფუხიმორი აცხადებს, — მინდა ცოტა ხანი ჩემი წინაპრების სამშობლოში გავატარო, იმის თქმა კი ავიწყდება, რომ პერუს გარდა, ის იაპონიის მოქალაქეცაა (ეს იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა), რაც ავტომატურად გამორიცხავს პერუს არჩევნებში ფუხიმორის მონაწილეობას. როგორც ჩანს, ფუხიმორის ეს არ აწუხებს, ისევე როგორც არ ადარდებს პერუს გენერალური პროკურატურის მიერ მასზე შექმნილი კრიმინალური საქმე. ექსპრეზიდენტს ადანაშაულებენ კორუფციასა და ფულის ჩამორეცხვაში. საქმის მოკვლევა უკვე დაწყებულია. გამომძიებლებმა გამოიძახეს რობერტო ესკობარა, რომლის ძმამაც, ახლახან მოკლულმა კოლუმბიელმა ნარკობარონმა, ფუხიმორის საარჩევნო კამპანიის ფონდში 1 მლნ დოლარი ჩადო. მეორე ვადით არჩეული ფუხიმორის თქმით, მაშინ ფული მასთან ქვეყნის საიდუმლო პოლიციის ყოფილი უფროსის ვ. მონტესინოსის საშუალებით მოხვდა და არაფერი იცოდა მისი წარმოშობის თაობაზე. ძიების ვარაუდით კი, მონტესინოსმა ფული ფუხიმორის თანხმობით მიიღო ნარკობარონისაგან.

***ნოვიე იზვესტია №217***

## მოკლედ

საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, წლეულს **პალესტინის** ქალაქ ბეთლემში არ ჩატარდება საშობაო დღესასწაულთან დაკავშირებული ღონისძიებები. ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება მიიღო პალესტინა-ისრაელის ურთიერთობის გამწვავებასთან დაკავშირებით.

**რომის** მახლობლად, ეკლესიაში აღმოჩენილ იქნა აღორძინების ეპოქის უდიდესი მოქანდაკის მიქელანჯელო ბუონაროტის მიერ შექმნილი ქრისტეს ქანდაკება.

**სიდნეის** კანალიზაციაში ცოცხალი იპოვეს უზარმაზარი, იშვიათი ჯიშის კუ. სპეციალისტების გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მასში ამოიცნეს 21 წლის წინ, სიდნეის ზოოპარკიდან მოპარული კუ, სახელად ლეონარდო.



## ვადამდელი არჩევნები? კი, ბატონო!

ისრაელის პარლამენტმა ძალიან ვაჟკაცური გადაწყვეტილება მიიღო: დეპუტატთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა კანონპროექტს ქნესეთის დათხოვნისა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შესახებ. ვადამდელი არჩევნები გსურთ? — კი, ბატონო! — ასეთი იყო პრემიერ ეჰუდ ბარაქის ქნესეთში გამოსვლის იდეა. როცა ის მიხვდა, დეპუტატებს ხელს ვერ შეუშლიდა, ბატონმა ბარაქმა, თანამოაზრეებთან მოუთათბირებლად, მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო. განაცხადა: რაკი უმეტესობა ამას ითხოვს, მეც ვადამდელ არჩევნებს ვემხრობი, თუმცა მიმაჩნია, რომ ომის პირობებში არჩევნები უპასუხისმგებლობაა, თვითმკვლელობის ტოლფასია. არაფატმა თავისას მიაღწია, მან ისრაელის საზოგადოება გახლიჩაო. პრემიერს არ დაეთანხმა ოპოზიციის ლიდერი არიელ შარონი, — რაკი ბატონმა ბარაქმა ქვეყანა კრიზისამდე მიიყვანა და არ ძალუძს მისი შველა, იგი უნდა გადადგესო. ბატონი შარონის გამოსვლას დეპუტატები მოწონებით შეხვდნენ.

კანონპროექტი, ვადამდელი არჩევნების შესახებ, პირველი წაკითხვით, უბრძოლველად მიიღეს, მაგრამ მეორე და მესამე წაკითხვას 2-3 კვირა დასჭირდება, რის შემდეგაც მმართველი პარტია „ავოდა“ და ოპოზიციური პარტია „ლიკუდი“ დაიწყებენ მოლაპარაკებას არჩევნების თარიღის დასადგენად. ქნესეთში ვარაუდობენ, რომ არჩევნები გაიმართება პირველ ან სამ მაისს.

ბარაქმა სატელევიზიო გამოსვლაში განაცხადა, რომ არჩევნებში თავის კანდიდატურას წარადგენს, დარჩენილ დროში კი შეეცდება, ხელი მოაწეროს იასირ არაფატთან სამშვიდობო შეთანხმებას.

***კომერსანტი №225***

## იმპიჩმენტი ფილიპინურად

ფილიპინების პრეზიდენტმა ჟოზეფ ესტრადამ ბრუნეიში გამართული სამიტის დამთავრების შემდეგ თავს ნება მისცა, განცხრომას მისცემოდა ბრუნეის სულთნის აპარტამენტებში და რას იფიქრებდა, რომ სწორედ იმ წუთებში ფილიპინებში მისი პრეზიდენტობა სათუო გახდებოდა. ეს საქმე ჩაიდინა მისმა მეგობარმა, ქვეყნის წარმომადგენლობითი სახლის (პარლამენტის) სპიკერმა მანუელ ვილარმა. ესტრადა ფილიპინებში დაწყებული სკანდალის ეპიცენტრში მოექცა. მას 9 მილიონი დოლარის ქრთამის აღებაში ადანაშაულებენ. როგორც კი ქრთამი ახსენეს, ვილარი მაშინვე ოპოზიციონერთა ბანაკში გადაბარგდა, თუმცა ამის შესახებ, პარლამენტის სხდომის გახსნამდე არავინ არაფერი იცოდა. ვილარმა სხდომის გახსნისას პარლამენტარებს აუწყა, — უამრავი მთხოვნელის აზრის გათვალისწინებით, ისტორიულ განცხადებას ვაკეთებო. დარბაზში ყველა — მთავრობის მომხრეცა და მოწინააღმდეგეც — გაირინდა.

სპიკერი შეუდგა რეზოლუციის კითხვას, რომელიც პრეზიდენტ ესტრადას იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას იუწყებოდა.

აქამდე გარინდული დარბაზი რამდენიმე წამში რინგს დაემსგავსა. ორივე ბანაკი (მთავრობაც და ოპოზიციაც) ერთმანეთს ჯერ სიტყვიერად, შემდეგ კი ფიზიკურად დაერია. ორთა ბრძოლაში გამოიყენეს ყველაფერი — მობილური ტელეფონები, საქაღალდეები, ჩანთები და ფეხსაცმელებიც კი. სპიკერ ვილარს სამი პროესტრადელი მიეჭრა და ცემა დაუწყო. ერთმა მათგანმა გონგის ჩაქუჩიც კი ჩაჰკრა თავში. მხოლოდ წარმომადგენლობითი სახლის დაცვის ჩარევის შემდეგ გახდა შესაძლებელი მოჩხუბართა დაშორიშორება.

პარლამენტის წინ უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ნაწილი ერაპის (პრეზიდენტ ესტრადას მეტსახელი) გადადგომას ითხოვდა და მის პორტრეტებს წვავდა, ნაწილი კი, სპიკერ ვილარს „მოღალატედ“ რაცხდა და წარმომადგენლობითი სახლის წევრთა გარეკვით იმუქრებოდა. საქმეში პოლიცია ჩაერია. მომიტინგეთა დასაშლელად გამოიყენეს წყლის ჭავლი და ცრემლსადენი გაზი.

... პრეზიდენტი ესტრადა კი ამ დროს ბრუნეის პრინცთან ერთად მის არნახულ ავტომობილების კოლექციას ათვალიერებდა და აზრადაც არ მოსვლია, რომ მისმა სახელმა ქვეყანა ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაყო.

***ნიუზუიქი***

## ბელორუსიაში კადრები არაფერს წყვეტენ



ბელორუსიის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, კარგა ხანია, ამგვარი ვნებათა ღელვა არ ყოფილა. ალექსანდრ ლუკაშენკომ გადააყენა კგბ-ს თავმჯდომარე ვლ. მაცკევიჩი, უშიშროების საბჭოს სახელმწიფო მდივანი ვ. შეიმანი, გენერალური პროკურორი ო. ბოჟელკო. თუმცა ძალოვან სტრუქტურათა ხელმძღვანელების სავარძლები დიდხანს არ ყოფილა ცარიელი — საგარეო პოლიტიკური უწყების ყოფილი მეთაური უშიშროების საბჭოს სახელმწიფო მდივანი გახდა, პრეზიდენტის დაცვის უფროსი ლ. ერინი — კგბ-ს თავმჯდომარე.

დამოუკიდებელი მეთვალყურეების აზრით, ეს საკადრო ცვლილებები ალ. ლუკაშენკოს სჭირდებოდა თავის სამართლებლად, ცნობილი პოლიტიკური ფიგურების — ვ. გონჩარის, ი. ზახარენკოსა და ორტ-ს ოპერატორის დ. ზავადსკის საიდუმლო გაქრობის გამო.

უკრაინის კგბ-ს ყოფილმა მაღალჩინოსანმა, რომელმაც გვარის დასახელება არ ისურვა, „იზვესტიას“ განუცხადა: „მათ გაქრობას ასეთი ფართო საერთაშორისო რეზონანსი რომ არ მოჰყოლოდა, ძალოსნები თავიანთ ადგილებზე დარჩებოდნენ. მათი გადაყენება პოპულისტური ნაბიჯია. ვფიქრობ, ახალი ხელმძღვანელობა უფრო მოძებნის დაკარგულებს“.

უშიშროების საბჭოს ექსმეთაურის შეიმანის გადაყენება, სულ სხვა მიზნით იყო განპირობებული. გაისად ქვეყანაში ახალი საპრეზიდენტო კამპანია დაიწყება. 1994 წელს შეიმანი იმათ შორის იყო, ვინც ძალზე გაისარჯა ლუკაშენკოს გასამარჯვებლად. ასე რომ, შეიმანი ალბათ ისევ საარჩევნო კამპანიის მომზადებაში ჩაირთვება.

კამპანია კი, როგორც ჩანს, უკვე დაიწყო — ალ. ლუკაშენკო „სისხლს აახლებს“ — სხვადასხვა სტრუქტურაში თავის ერთგულ ხალხს ნიშნავს.

***იზვესტია №224***

## პარიზისა და მონაკოს დაპირისპირება

შეუდგა თუ არა საფრანგეთი ევროკავშირის თავმჯდომარეობას, პირველ რიგში ხელი მოჰკიდა ფინანსური სფეროს მოწესრიგებას. პირველი „დარტყმა“ მონაკოს სამთავრომ მიიღო, მას „სარეცხი მანქანაც“ კი უწოდეს, რადგან მსოფლიოს ყველა კუთხიდან წამოსული ჭუჭყიანი ფული სწორედ იქ ჩამოირეცხება. მონაკოში ჩასულმა საფრანგეთის ასამბლეის დეპუტატთა ჯგუფმა დაადასტურა ეს დანაშაული. ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროებმა სამთავროს წაუყენეს ულტიმატუმი — გარდაქმნას მთელი ფინანსურ-ეკონომიკური სისტემა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მკაცრი სანქციებით დაემუქრნენ.

მონაკოს მონარქმა თავადმა რენიე -მ ღირსეული პაუზის შემდეგ საფრანგეთი სიცრუეში ამხილა — მის ბრალდებას არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არა აქვსო. უნდა ითქვას, რომ მონაკოს ამ საქმეში მხოლოდ საფრანგეთი ადანაშაულებს. როგორც მონარქმა განაცხადა, მონაკოს მთელ საბანკო და იურიდიულ სისტემას საფრანგეთი აკონტროლებს. თუ რაიმე დარღვევას აქვს ადგილი, აქამდე რას უყურებდნენ ფრანგებიო? — ბრძანა მონარქმა.

დაბოლოს, რენიე -მ მართლაც სენსაციური განაცხადი გააკეთა: მონაკოს სამთავრომ, ბოლოს და ბოლოს, ნამდვილი დამოუკიდებლობა უნდა მოიპოვოს და საფრანგეთთან არსებულ ძველისძველ ხელშეკრულებას ბოლო მოუღოსო. „ამჟამად არსებული კანონის მიხედვით, ჩემი ხელისუფლების მეთაურად პარიზის მიერ შემოთავაზებული სამი მაღალჩინოსანი ფრანგი მოხელიდან ერთ-ერთი უნდა დამენიშნა. ასეთი რამ სუვერენიტეტისთვის მიუღებელია — თქვა რენიე -მ.

და მართლაც, პირველი მინისტრი, იუსტიციის, პოლიციის, შინაგან საქმეთა მინისტრები და სასამართლო აღმასრულებელთა ორი მესამედი საფრანგეთის რესპუბლიკის მოქალაქეები უნდა იყვნენ. ეტყობა, მონარქი რისკზე მიდის; იგი საპასუხო რეპრესიებსაც არ უშინდება, რადგან მონაკო გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრია და საჭირო შემთხვევაში, მიუხედავად თავისი მინიატურული ზომებისა, დასახმარებლად მათ მიმართავს.

***ნეზავისიმაია გაზეტა №226***

# ჯანა-ექიმის რჩევები

— ***გულის ტკივილის შვე-ლის***: 6 ს/კ კუნელის ნაყოფსა და 6 ს/კ შავბალახას დაასხით 7 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, თბილად შეფუთეთ და ასე გააჩერეთ 1 დღე-ღამე. შემდეგ გაწურეთ, ჩაასხით მინის ბოთლში და შედგით მაცივარში. მიიღეთ 1 ჩ/ჭ დაუმტკბარი ნაყენი 3-ჯერ დღეში.

— ***ნაღვლის ბუშტის ნების-მიერ დაავადებას შველის:*** 1/2 ჩ/კ კოწახურის ქერქს ან ნაყოფს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და ადუღეთ კიდევ 30 წუთი, გააჩერეთ 30 წუთი და შემდეგ გაწურეთ. მიიღეთ 1-2 ს/კ 2-3-ჯერ დღეში. ასევე მზადდება კოწახურის ნაყოფისაგან ნაღველმდენი ნაყენი: 2 ჩ/კ ნაყოფი დანაყეთ, დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი. გააჩერეთ 1 საათი, შემდეგ გაწურეთ. მიიღეთ 1-2 ს/კ 3-4-ჯერ დღეში.

— ***საშარდე ბუშტისა და შარდსადენი გზების დაავადებებს შველის:*** 50 გ მსხლის ფოთლებსა და ღეროებს დაასხით 1/2 ლ 40%-იანი სპირტი, გააჩერეთ 2 კვირა ოთახის ტემპერატურაზე ბნელ ადგილას. შემდეგ გაფილტრეთ და შეინახეთ მუქი ფერის მინის ქურქელში. მიიღეთ 30-40 წვეთი 3-ჯერ დღეში.

# დეპრესია და გენეტიკა



დეპრესია, ნევროზი, ფსიქოზი, პოსტ-სტრესული, ტრავმული აშლილობანი, პესიმიზმი, ტუბერკულოზი, ინფარქტი, ქეცი, მუნი — აი, არასრული სია დემოკრატიული საჩუქრებისა, რაც საქართველოს მმართველმა ძალამ უანგაროდ მიუძღვნა საკუთარ ხალხს.

დეპრესია დაავადებაა, რომლის დროსაც მუდმივად ქვეითდება გუნება-განწყობის ფონი. ადამიანი დაღვრემილი, გასაცოდავებული და სასოწარკვეთილია. დეპრესიას წინ უძღვის შიში, უიმედობა, რეალობის შეგრძნების დაქვეითება.

ნისლიანი ალბიონის მეცნიერ-გენეტიკოსებმა (სადაც სტატისტიკურად ყველაზე მაღალია დეპრესიის მაჩვენებელი), ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად დაადგინეს, რომ დეპრესია უფრო ხშირად ეუფლება ისეთ ადამიანებს, რომელთაც არათითი საჩვენებელ თითზე გრძელი აქვთ. ყოველივე ეს კი ჩანასახშივე ვითარდება, სადაც თითებისა და სასქესო ჯირკვლების ჩამოყალიბებას ერთი და იგივე გენი აკონტროლებს. გრძელი არათითი, უმეტესად, ტესტოსტერონის მომატების ხარჯზეა. მისი ჰიპერდოზირება კი მთელ რიგ ფიზიოლოგიურ ცვლილებებს იწვევს. მათ შორის დეპრესიისადმი მიდრეკილებასაც.

ამ ფაქტით, ისრაელელი გენეტიკოსებიც დაინტერესდნენ, რადგან დეპრესია, მათი მოქალაქეების ხშირი სტუმარიცაა (რაც, არცთუ იშვიათად თვითმკვლელობით მთავრდება). ინგლისელ სწავლულთა ვარაუდი გამართლდა, დეპრესიულ ავადმყოფთა 85%-ს გრძელი არათითი აქვს.

ასე რომ, რას ვერჩით ჩვენს მთავრობას, თურმე ყველა „ჭირი“ გენეტიკური ყოფილა.

***ნაირა კოკიელი***

# სიახლე მედიცინაში

**ღვიძლი ორ კვირაში გაიზრდება.** ამერიკელმა სწავლულებმა სენსაციური აღმოჩენა გააკეთეს: თუ ღვიძლს ნაწილს ჩამოვაჭრით, იგი ორი კვირის შემდეგ სრულიად აღდგება. ექიმები იმედოვნებენ, რომ ეს დაეხმარება იმ პაციენტებს, რომელთაც ღვიძლის გადანერგვა სჭირდებათ (მხოლოდ ამერიკაში ასეთი დაახლოებით 15.000 კაცია) — მათთვის უფრო იოლი იქნება ცოცხალი დონორის მონახვა.

**ქათმის ბულიონიც წამალი ყოფილა.** ნებრასკას შტატის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის მეცნიერებმა ქათმის ბულიონის მარგებლიანობის საიდუმლო ამოხსნეს.

როგორც გაირკვა, ბულიონში უამრავი ანთებსაწინააღმდეგო ნივთიერება შედის. ორგანიზმში მოხვედრისას (ბულიონთან ერთად), ნივთიერებები იმ სისხლის უჯრედების მოძრაობას ანელებენ, რომლებიც ლორწოს წარმოქმნიან, რაც ხველებასა და სურდოს იწვევს.

***სობესედნიკი №43***


**ექიმი ჰომეოპათი**

**განგკურნავთ ნებისმიერი დაავადებისგან სწრაფად და იაფად, გარანტიით!**

**აკადემიის პოლიკლინიკა (სპორტის სასახლესთან) კაბ. №16. 10-15 სთ-მდე**

**მკურნალობა უახლესი აპარატურით**

ალერგიის კომპიუტერული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ჰიპერტონიის (წნევა), ნევროზის, ლოგონევროზის (ენაბლუობა) მკურნალობა უახლესი აპარატურით.

მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №18ა, რეაბილიტაციის ცენტრი, მე-6 სართ, ბიორეზონანსული თერაპიის კაბინეტი, ექიმი **ზურაბ ხარიაშვილი**

☎ 39-01-12 (სამს.) 10-15სთ. 39-58-77 (ბინა)

**რადიკულიტები, ოსტეოქონდროზები (მარილები), სქოლიოზები, კიფოზები (ხერხემლის გამრუდებები), თავის ტკივილები, თავბრუსხვევა, მეწაღისებური და ქათმისებური გულმკერდი.**



**ამ დაავადებებს მრავალი წლის განმავლობაში დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, რუსეთსა და საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდით.**

მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე აღმაშენებლის 60-ში, კატასტროფების საავადმყოფოში (ყოფილი მიხაილოვის), I სართ. მანუალური და ფიზიოთერაპიის კაბინეტი. ტელ: 75-06-14; 877-44-01-08

**SGS** - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
**SGS** - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
**SGS** - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
**SGS** - განკურნების მაქსიმალური გარანტია
**SGS** - აბსოლუტური ანონიმურობა

**ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!**

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური **SGS**

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე




**„კვირის პალიტრის“ რედაქტორს**

***გთხოვთ, მოგვითხროთ ღამით შარდშეუკავებლობის მიზეზებისა და თავისებურებების შესახებ***

***მკითხველი***

# ენურეზი — ჩვილთა ასაკის პათოლოგია

ენურეზი ბერძნულად სითხის გამოყოფას ნიშნავს. დაავადების შესახებ ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ-მდე 1550 წელს წერდნენ ძველი ბერძნები.

ენურეზი შესაძლოა დღისა ან ღამის იყოს, ზოგჯერ ორივე ერთად, აგრეთვე პირველადი და მეორადი.

გარკვეულ ეტაპზე პათოლოგიას ექიმები „ფიზიოლოგიურად“ მიიჩნევენ და აქტიური ჩარევისაგან თავის შეკავებას გვირჩევენ. ეს, ძირითადად, 5 წლამდე ასაკის ბავშვებს ეხება. საქმე ის გახლავთ, რომ პატარებში შარდ-სასქესო სისტემა და, პირველ რიგში, შარდის ბუშტი სხვა ორგანოებთან შედარებით გვიან მწიფდება. მისი რეგულირება, ფაქტობრივად, 5 წლის ასაკში მთავრდება. ამიტომ ენურეზი 5 წლამდე არც ისე სერიოზულ „გადახრად“ მიიჩნევა. მით უფრო, თუ გენეტიკური წარმოშობა, მემკვიდრეობითი ხაზი შეინიშნება (ერთ ოჯახში 2 ან მეტი ენურეზით შეპყრობილი პატარა), მაგრამ თუ შარდშეუკავებლობა 5 წლის შემდეგ გრძელდება, სიმშვიდეს არ გირჩევდით! ნუ იფიქრებთ, რომ ყველაფერი თავისით გაივლის. წლების მატებასთან ერთად დისკომფორტისა და უარყოფითი ფსიქოლოგიური გავლენის გარდა, პათოლოგიაც „დამძიმდება“ და მასთან ბრძოლა მნიშვნელოვნად გაჭირდება.

**პირველადი ენურეზი** — პირველად წარმოშობილი პათოლოგიაა (როდესაც არ არის ჩამოყალიბებული შარდგამოყოფის შეკავების ფიზიოლოგიური რეფლექსი). **მეორადი ენურეზის** შესახებ მაშინ საუბრობენ, როდესაც პათოლოგიურის შემდეგ ნორმალური შარდგამოყოფა 3-6 თვიდან რამდენიმე წლამდე აღინიშნება და ენურეზი ამ „მშრალი პერიოდის“ შემდეგ დგება. პირველადი და მეორადი ენურეზის გამომწვევი მიზეზები სხვადასხვაა.

დღისით შარდშეუკავებლობა — საწყის ასაკში 50%-ს, ხოლო 4 წლის ასაკში 90%-ს აღენიშნება. ღამით კი 3 წლამდე — 70%-ს, 5 წლამდე კი — 80%-ს აღერიცხება. ენურეზი ბიჭუნებში უფრო ხშირია, თანაც ღამისა სჭარბობს დღისას. ენურეზის მიზეზებზე მსჯელობისას ექიმები მივიდნენ დასკვნამდე, რომ პათოლოგია მემკვიდრეობითია (უმეტესად, მამრობითი ხაზით გადადის).

ენურეზის ჩამოყალიბება აღინიშნება გართულებული მშობიარობებისა და ორსულობის შედეგად. მუცლადყოფნის პერიოდში შექმნილი პრობლემები მნიშვნელოვნად არღვევს ნაყოფის ნორმალური განვითარების პირობებს. ***პათოლოგიის არსებობისას პირველ რიგში უროლოგს უნდა მიმართოთ!***

უროლოგიური პათოლოგიის გამორიცხვის შემდეგ მიზანშეწონილია ნევროპათოლოგის კონსულტაცია, რადგანაც ენურეზი ხშირად ნევროლოგიური ხასიათისაა. ის ფსიქოლოგიური კონფლიქტის, სტრესების, უსიამოვნებებისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ „დანაშაულისათვის“ მკაცრი დასჯის შედეგია. აღსანიშნავია, რომ იმ ოჯახებში, სადაც საცხოვრებლად არადამაკმაყოფილებელი პირობებია, პატარები უფრო ხშირად „ავადმყოფობენ“ ენურეზით.



ენურეზის ჩამოყალიბებაში მნიშვნელობას ძილის ხასიათსაც ანიჭებენ. კერძოდ, მიიჩნევა, რომ ღრმა ძილი პათოლოგიის განვითარების ხელშემწყობი პირობაა. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ პატარა შარდის ბუშტს მთლიანად არ ათავისუფლებს და მასში ე.წ. ნარჩენი შარდი რჩება, რასაც ღამით შარდშეუკავებლობა ემატება. გადახრა აღენიშნებათ ახალშობილის ენცეფალოპათიით შეპყრობილ პატარებსაც, რომელნიც მკურნალობას ხანგრძლივად (4 წლამდე მაინც) საჭიროებენ.

**მშობელთა საყურადღებოდ!** არასოდეს დასაჯოთ პატარა სველი ზეწრის გამო. მასთან დიდი ტაქტი და მოთმინება გმართებთ, რათა ოპტიმიზმი და საკუთარი თავის რწმენა ჩაუნერგოთ. აწარმოეთ დღიური ბავშვთან ერთად, რომელიც პატარამ თავად უნდა შეავსოს. აღნიშნოს მასში თითოეული „მშრალი“ და „სველი“ დღე. „მშრალი“ დღეების გამო შეაქეთ ან დაასაჩუქრეთ. ეს დღიური საუკეთესოა ენურეზის სიხშირის, ზრდისა თუ შემცირების ტენდენციის გამოსავლენად. ეცადეთ, ბავშვს სავსე შარდის ბუშტის შეგრძნების ჩამოყალიბებაში დაეხმაროთ. ამისთვის შემდეგი სავარჯიშოა მოწოდებული: ყოველდღიურად სთხოვეთ, რაც შეიძლება დიდხანს შეიკავოს მოშარდვის სურვილი. 2 კვირიანი ვარჯიშის შემდეგ ამოცანა გაართულეთ. ხანგრძლივი შეკავების მერე, მოშარდვის უფლება მიეცით, ოღონდ მაშინვე შეაკავებინეთ ნაკადი და ასე რამდენჯერმე გაიმეორეთ. ზოგჯერ ასეთი მცდელობებიც საკმარისი ხდება პრობლემის აღმოსაფხვრელად.

მეორადი ენურეზი ხშირად შარდსასქესო სისტემის ინფექციის თანდართვის დროს აღინიშნება. ენურეზი ვითარდება მცირე მოცულობის შარდის ბუშტის, ჰორმონ ვაზოპრეცინის ნაკლებობის ფონზე.

პირველადი ენურეზი კეთილთვისებიანი მიმდინარეობით ხასიათდება და მკურნალობასაც უფრო ადვილად ემორჩილება. კეთილსაიმედოა პროგნოზი, თუკი „სველი“ დღეების რიცხვი მცირდება, დროის შუალედი კი იზრდება.

**მკურნალობა:** მედიკამენტური მკურნალობის საკითხი ექიმმა უნდა გადაწყვიტოს. გამოიყენება: ადაპტოგენები, ანტიდეპრესანტები. კარგ შედეგს იძლევა ჰორმონული პრეპარატი — ადიურეტინი ანუ დესმოპრესინი (ცხვირში ჩასაწვეთებლად). ის გამოყოფილი შარდის რაოდენობას ამცირებს იმ ზღვრამდე, რომ შარდის ბუშტმა დილამდე „გაძლოს“. მისი მიღება მხოლოდ ექიმის რეკომენდაციით არის მიზანშეწონილი.

გამოიყენება აგრეთვე პარაფინის და ნაფტალინის აპლიკაციები შარდის ბუშტზე. რეკომენდებულია არატრადიციული მეთოდებიც — ფიტო და მანუალური თერაპია, აკუპუნქტურა, ისეთ შემთხვევაში თუ უროლოგიური და ნევროპათოლოგიური მიზეზები გამოირიცხება. ხანში შესულ და მოზრდილ ასაკში განვითარებული ენურეზიც უროლოგიური ან ნევროპათოლოგიური პრობლემაა. კონკრეტულ შემთხვევაში კონსულტაციას ექიმთან გირჩევდით. ხშირად კარგი შედეგი აქვს ფსიქოლოგებთან საუბარსაც (თუკი ორგანული პათოლოგია გამოირიცხება).

***მაია მუხიგული***


**საახალწლო ფასდაკლება**

**სამედიცინო ცენტრში მედი**




**ლაზერული ეპილაცია**

- სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე
- ჩხვლეტის გარეშე
- უმტკივნეულოდ
- სწრაფად
- გარანტირებული ეფექტით

**ამიერკავკასიაში ერთადერთი**

**ალექსანდრიტის ლაზერის უახლესი სისტემის აპარატით**

**ი.ჭავჭავაძის გამზ. N70 25-02-02 22-50-43**

**„HERBAL V“ „ჰერბალ ვი“**

**სექსუალური აქტივობის გაუმჯობესების აბსოლუტურად უსაფრთხო, მაღალეფექტური მცენარეული საშუალება**




**HERBAL V Y — მამაკაცებისათვის.** — აბსოლუტურად უსაფრთხო მათთვისაც კი, ვინც დაავადებულია მაღალი წნევით, გულის ან სხვა დაავადებით; — აუმჯობესებს ლიბიდოს, ასტიმულირებს ნევრო-სექსუალურ ფუნქციას, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ასპექტში; — წარმატებით ხსნის სექსუალური დარღვევებით გამოწვეულ ტკივილებს წელისა და მუცლის არეში, მატებს ენერგიას და სიცოცხლის ხალისს; — რთული, ორგანული მიზეზებით განვითარებული იმპოტენციის დროს, აუცილებელი სერიოზული მედიკამენტოზური სამკურნალო კურსის განსაზღვრულ ეტაპზე „ჰერბალ ვი“ ქმნის შესანიშნავ ფონს და ახანგრძლივებს მათ ეფექტს; — „ჰერბალ ვი“-ს უკომპლექსოდ იყენებენ აბსოლუტურად ჯანმრთელი მამაკაცებიც, რომლებსაც ნერვული დაძაბულობისა და გადაღლილობის გამო დროდადრო დაქვეითებული აქვთ სექსუალური აქტიურობა.

**HERBAL VX — ქალებისათვის.** — სექსუალური პრობლემები მავნე ზემოქმედებას ახდენს როგორც მამაკაცის, ასევე ქალის მთელ ორგანიზმზეც და იწვევს ნევროზებს. რიგ სერიოზულ დაავადებებს. „ჰერბალ ვი“-ს ქალების ვარიანტი ამლიერებს სექსუალურ ლტოლვას, ააქტიურებს სასიცოცხლო ძალებს, ამცირებს წინამენსტრუალურ და პრეკლიმაქსურ დაძაბულობას და მატებს ენერგიას.

**HERBAL VY** და **HERBAL VX** — მამაკაცებისა და ქალებისათვის — „ვიაგრას“ უაღრესად პოპულარული მცენარეული ალტერნატივა მთელ მსოფლიოში! **ინგლისურ-შვეიცარული კომპანია „სვისჰელსის“ ნაწარმი.**

**აიღეთ ცხოვრებისგან საუკეთესო!**

**მოიკითხეთ სააფთიაქო ბაზებსა და აფთიაქებში.**

**„სვისჰელსის“ ექსკლუზიური დისტრიბუტორი კომპანია „ფლორენი“ ტ: 99-87-37**

# შეეწიათ წმინდა გიორგი

ვალერიან მამუკელაშვილი

დაბურულ ტყეში ციდან ჩამოვარდნილი ღრუბლებივით აქა-იქ მოჩანს ზედადგარებიდან ამოსული კვამლის დახვეული ქულები. სახელდახელოდ გაშლილ სუფრას შემოხვეული ქალი და კაცი, დიდი თუ პატარა არად აგდებს ხეთა ფოთლებიდან ჩამოცვენილ წუხანდელ წვიმის წვეთებს, თავწალღუნულნი მისევიან მწვანეზე გაფენილ მუშამბაზე დახვავებულ ხორაგს: ხაშლამასა თუ ხაჭაპურს, ხაბიზგინებსა თუ ფხლოვანებს. ჰაერი გაჟღენთილია მადის აღმძვრელი მწვადის სურნელით, რომელსაც ფარდაგივით ხის ძირებში გაფენილი ნეშომპალის სუნი ერევა.

ისმის ხორხოცი, სიმღერა, ხმამაღალი ლაპარაკი, სადღეგრძელოები და ზოგჯერაც უწმაწური შეძახილები.

ჩემი სტუმარი, თურქეთიდან ჩამოსული ბექირბეი მორჩილად მომდევს და გაკვირვებული უყურებს ამ უჩვეულო სურათს, რომელიც ფეოდალურ ხანაზე გადაღებულ კინოსურათის ეპიზოდებს უფრო ჰგავს, ვიდრე თანამედროვე ყოველდღიურობას, ცივილიზებულ სამყაროს მიერ ახალ შემოღებულ ადათ-წესებს.

— ოთარ! ოთარ! აქეთ მობრძანდით, აქეთ! — მეძახის ვიღაც უცნობი და ჩემკენ გამორბის, გულში მიკრავს და ხაშლამით გაპოხილ ტუჩებს ჩემს ულვაშებზე იწმენდს.

— გამარჯობა, ძმაო, ვეღარ მიცანი? ნოდარი ვარ, ნოდარი. რასა იქ, როგორა ხარ?

— ვარ რა, ისე, როგორც სხვები არიან. აი, სტუმარი ჩამომივიდა თურქეთიდან...

— აბა, აქეთ მობრძანდით!..

— ვერა, ძმაო, ჩემი ბიძაშვილი ნასყიდა გველოდება, აქვეა სადღაც და ვერ მიგვიგნია.

— შენი ბიძაშვილი მერე, აბა ჭიქები! — პირთამდე გავსებულ სასმისებს ორივეს ხელებში გვჩრიან. ბექირბეი თვალებით მეკითხება, როგორ მოვიქცეო და ლიპლიპა სასმელს ეჭვიანად დაჰყურებს.

— გიორგობის მადლი შეგეწიოთ, ღმერთი გწყალობდეთ! — ვამბობ ხმამაღლა და ღვინოს პირზე ვიყუდებ.

— ჭიქაში წვეთი არ უნდა დარჩეს... — ვიღაც ჯმუხი გულგაღეღილი ჯიქურ მიყურებს და მკაცრი რევიზორივით თვალს არ მაშორებს. ორივენი ვცლით ჭიქებს და ფეხზე ვდგებით.

— არავითარ შემთხვევაში, მე შენს სტუმართან ვახტანგური მინდა დავლიო, — მომძახის სუფრის თამადა და ბარბაცით ჩვენკენ მოემართება. ჩემი დამტვრეული თურქულით ვუხსნი, ლხინის უზენაესი განმკარგულებლის სურვილს და უხერხულად ვიშმუშნები. ხელჩახვეულების ტუჩების მოძრაობას პიკნიკის ყველა მონაწილე მისჩერებია და კოცნით წარმოქმნილ ბოლო წრუპუნს ტაშისკვრით აჯილდოებენ.

— ახლა კი წავალთ, ჩემო ნოდარ, ხომ იცი, რა ძნელია ლოდინი, — ვეღრიჯები ჩვენს მასპინძელს და ფიცრის გრძელ სკამს აჩქარებული ვალაჯებ.

— ყოფილიყავით ჩვენთან, რა ბიძაშვილი აგიტყდა, აგერ მწვადებიც მოაქვთ, — არ მეშვება უცნობი და ილლიაში ხელგამოდებულს მაცილებს.

— მეგობარო, მეგობარო! ერთი წუთით თუ შეიძლება!.. — მეზობელი სუფრიდან ვიღაც ახალგაზრდა წინ მეღობება.

— ერთი ჭიქით უნდა დაგვლოცოთ. ხომ იცით, გიორგობაა და დაულოცავად, რა ვქნა, ვერ გაგიშვებთ. — კიდევ სამ სუფრასთან გვიწვევენ, გვთხოვენ, გვაძალებენ, ჭიქებს ჭიქებზე ვცლით და ვგრძნობ, ფეხი როგორ მერევა. ბექირბეის აღარ სჭირდება ხვეწნა-მუდარა, ხალისი მოემატა, ყველა სადღეგრძელოზე იცინის, თავს უქნევს, შეუსვენებლივ ლაპარაკობს და ჭიქას ჭიქაზე უჭახუნებს.

— როგორ დავიჯერო, ეფენდი ოთარ, რომ ყველა ისინი, ვინც დღეს გაგვიმასპინძლდნენ, თქვენი ახლობლები არიან.

— ასეა, ბექირბეი, ზოგი ახლობელია და ზოგიც...

— არა, პირდაპირ მითხარი, იცნობდით თუ არა? — არ მეშვება ლაპარაკის სალერღელაშლილი სტუმარი და თვალებში შემცქერის.

— ოთარ, გამარჯობა! — ხელს მართმევს დაბალი, ჩოფურა, ორმოციოდე წლის ხელებდაკაპიწებული, წელზე თეთრხალათ შემოჭერილი უცნობი და ჯვარედინად მკოცნის. მთელი ძალით ვძაბავ გონებას. რა ნაცნობი სახეა, რა დაუვიწყარი ღიმილი. ის არის, ის, ნამდვილად ბებიას მეზობელი კოკრუჭა. სახელი რა ჰქვია, ღმერთო, გამახსენე! ჰო, ჰო, ვანო. რა თქმა უნდა, ვანო. ყველა არდადეგებზე სოფელში ჩამოსულს ხბოსავით რომ დამდევდა უკან.

— გამარჯობა, ვანო, როგორა ხარ, ბიჭო, როგორ?

— კარგად, ჩემო, ოთარბეგ, არა მიშავს. — ბექირს ოთარბეგი საამოდ ჩაესმის ყურში და ვანოს ნაცნობივით ულიმის.

— სახლში როგორა ხართ, ოჯახში.

— არა გვიშავს რა, შენ კი დაგვეკარგე, აღარ გვეკარები.

— რა ვქნა, ჩემო ვანო, ეს უმაღლესიო, ეს ასპირანტურაო, ეს თურქეთიო, ბებიაჩემიც ცოცხალი აღარ არის...

— ჩვენ ხომ ვართ, შენი ბიძაშვილები ხომ არიან...

— ხო და, ამიტომაც ჩამოვედი სტუმართან ერთად.

— აქეთ მობრძანდი, ჩემო ოთარ, ჯერ სანთლები დაანთეთ, ეს რამდენიმე დღეა დეკანოზად დამნიშნეს.

სანთლებს ვანთებ, გრძელ შანდალს ბექირბეის ვუდებ ხელში, მუსულმანს ეუხერხულება ქრისტიანული წეს-ჩვეულების აღსრულება, მაგრამ უარს ვერ მეუბნება. ცრემლივით ჩამონადენი წვეთები ყვითლად აჩნდება დანგრეული საყდრის ხავსიანი კვადრის მწვანე ზედაპირს. — შენი ხელით ანანთები წმინდა გიორგისა იყოს, ჩემო ოთარ, იმის მადლი შეგეწიოს, მისი ძალა შეგმატებოდეს... აჰა, ჭიქა გამომართვი.

— მე კი დავლევ, მაგრამ ამ ჩემს სტუმარს ნუ დააძალებ, მეშინია ცუდად არ გახდეს. ეგეც არ იყოს, მუსულმანია და ალაჰი ღვინის სმას უკრძალავთ...

— იქ არი მუსულმანი, აქ კი არა, აბა, ეფენდი, გადაუშვი, უარი არ იყოს... — თურქი ჭიქას იმარჯვებს და ერთი აკვრით ცლის.

— ეს ჩვენი ბავშვობის მოგონებისა იყოს, ჩემო ოთარ, რომ არ დავლიოთ, ღმერთი გვიწყენს, მერე სხვა იქნება.

— ვერა, ძმაო, კარგად იყავი, ეგეც რომ დავლიო, გზას ვეღარ გავიგნებ, მომკლავს ჩემი ბიძაშვილი ნასყიდა.

— გაიგნებ, როგორ ვერ გაიგნებ, აგერ იქ დოლ-გარმონის ხმა რომ ისმის, წელან იქ იყო, შენი ამბავი რომ ვიცი, ფეხი არ შეგეშლება — ჰაიჰარად ვსვამთ ბოლო ჭიქას და თითქმის სირბილით ვტოვებთ ბატკნებისა და ხბოს ტყავებით ამოვსებულ დეკანოზის სამფლობელოს.

ბექირბეი, რომელიღაც ბაიათს ღიღინებს და ჩემს მხარზე ჩამოკიდებული, ფეხებით რვიანებს ხაზავს. საკმაოდ დიდ სუფრას ოცამდე მეინახე შემოსხდომია და არის ერთი ჟივილხივილი. წვერგაუპარსავი, კიბესავით აყუდებული მედოლე ყუაზე დასულ სიგარეტს ექაჩება და თვალებმიბნედილი ცეცხლზე შეხურებულ თხის ტყავს გამეტებით ურტყამს თითებს. განა ღირს კი ამ მთვრალ ხალხში უცხო ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრის მიყვანა. მაგრამ უკვე გვიანია, გარშემო გვეხვევიან, გადაქცეულ ხეზე ადგილს გვითმობენ და ცხვრის ხაშლამას გვაწვდიან. ფეხზე ვდგები და შექეიფიანებულ სუფრის წევრებს გავძახი:

— გაიცანით ჩემი სტუმარი. სტამბოლის უნივერსიტეტის პრიმა დოცენტი ბექირბეი თურქი.

„სტუმარს გაუმარჯოს“, „სტუმარი ღვთისაა“, — გაისმა შეძახილები.

— ხომ არის სტამბოლის კაჟივით? — მეკითხება ვიღაც ჩოფურა და თურქს ბეჭებზე ხელს უტყაპუნებს.

— ცეკვა ქართული, შენ დაუკა! — გასძახის დამკვრელებს ჯინსებში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალბატონი და ჩემს სტუმარს საცეკვაოდ იწვევს. ხდება საოცრება. მსუქანი, ძონძროხა სტამბოლელი ქეშიკი ქშუტუნ-ქშუტუნით ძლივს რომ მოვიყვანე ბოლო სუფრასთან, ცქვიტად წყდება ადგილიდან და ძუნძულით, სკუპ-სკუპით, როკვა-როკვით მიჰყვება მანდილოსანს. ტაშის ხმა აყრუებს იქაურობას, სიცილით, შეძახილებით ამხნევებენ აცუნდრუკებულ, აქლოშინებულ კავალერს და არის ერთი ხორხოცი. მე თვალებით ვეძებ ჩემს ბიძაშვილს და მგონია, რომ არეული თვალებისა და ბახუსის გამო ვერ ვპოულობ.

— ჩვენებურო, მოდი აქ! — მავთულივით გაწვრილებული, ჭაღარაშერეული კარგად შექეიფიანებული მამაკაცი იდაყვზე ხელსა მკიდებს და გვერდზე გავყავარ.

— რაშია საქმე, მეგობარო? — ვეკითხები გაკვირვებული.



— მითხარი, თუ კაცი ხარ, ეგ სქელი მართლა თურქია?

— ნამდვილად.

— გიორგი სააკაძეს იცნობს?

— ვისა?

— გიორგი სააკაძეს.

— სააკაძეს არა, მაგრამ გიორგი შევარდნაძეს კი...

— შევარდნაძე არ მინდა. ერთი თხოვნა უნდა შემისრულო!..

— გისმენთ...

— უნდა მაჭიდაო.

— რაო? — ყურებს არ ვუჯერებ.

— უნდა მაჭიდო...

— როგორ თუ გაჭიდო?

— ისე, აგერ იქ მწვანე მდელოზე გავალთ და...

— რომელი მოჭიდავე ეგ ნახე.

— არც მე ვარ არსენა მეკოკიშვილი, მაგრამ მაინც უნდა დავეჭიდო.

— მაგის მაგივრად მე რომ გეჭიდაო?

— არა, ეგ უნდა მეჭიდაოს...

— რომ წაგაქციოს?

— ვერ წამაქცევს.

— წონაც სხვადასხვა გაქვთ, შენ მჩატე, ის ქვემძიმე...

— მაინც წავაქცევ. ბაში-აჩუკიც მჩატე წონაში გამოდიოდა, მაგრამ მაინც ხომ დასცა აბდუშაჰილი.

— კარგი, ცეკვას მორჩება და ვეტყვი.

— მამი, სადა ხარ, წამოდი, დედა გეძახის! — ვიღაცა ბრგე, დევივით ახალგაზრდამ დასტაცა ხელი ფალავანს და როგორც ფუჩეჩის კონა, ისე ამოიჩარა იღლიაში.

მიმყავს მანქანის მიმართულებით ჩემი სტუმარი, კარგად შემთვრალი ბექირბეი. ნასყიდა ვერ ვიპოვეთ, გელოდნენ და წავიდნენო. თურქი მორჩილად მომყვება და თანაც დუდღუნა ხმით მსაყვედურობს:

— სახლში რად მივდივართ?

— ალბათ ახლა იქ გველოდებიან.

— ვყოფილიყავით ცოტა ხანსაც, სახლში რა უნდა გავაკეთოთ?.. — ვერაფერს ვეუბნები, ვცდილობ არ შევიმჩნიო ის შიში, „მოჭიდავის“ სურვილით რომ მომყვება, იქით ვიყურები, სადაც ჭიდაობას მოწადინებული ფალავანი ჩვენკენ თითს იშვერს და ცდილობს შვილის მკლავებიდან დასხლტომას.

გავცილდით გიორგობის მადლით მირონცხებულ მასპინძლებს, ნათესავებს, მეგობრებს, ახალგაცნობილ მეინახეებს. უკან დაგვრჩა ფარდაგებზე გაშლილი ხაშლამა, ჩაქაფული, შოთის პურები, მწვანილი, მრავალნაირი ხორაგი და აბოლებული მწვანე ველი. მიმყავს საკმაოზე მეტად შექეიფიანებული სტუმარი და ვატყობ, რომ ღვინო თანდათან ეკიდება. უეცრად საეჭვოდ დაიძაგრა, მუხლები მოუბოშდა და მხარზე მძიმე ტომარასავით ჩამომეკიდა:

— ბექირბეი, ბექირბეი! — ჩავძახი ყურში, მაგრამ აღარაფერი ესმის, ხმას არ იღებს, საეჭვოდ იღიმება და თავისთვის ლუღლუღებს. მძიმეა, ვეღარ ვერევი, მწვანეზე ვაწვენ და აქეთ-იქით ვიყურები. რა ვქნა, რა მოვიმოქმედო, ღმერთო, წმინდა გიორგი, შენ მიშველე. გადმომხედე წყალობის თვალით! წყაროსკენ გავრბივარ, ცხვირსახოცს ვასველებ და უკან ვბრუნდები. ვიღაცა მომდევს. მესმის ზურგის მხრიდან აჩქარებული ფეხის ხმა. პიჯაკის კალთაზე მეჯაჯგურება და თავისკენ მეწევა. მოვიხედე და ჭიდაობის მოსურნე შემრჩა ხელში.

— რა უყავ, სად დამალე? — მეკითხება გაბრაზებული. ვიბოღმები, მინდა რაღაც მწარე ვუთხრა, მაგრამ ყელი შემეკრა და ვეღარაფერს ვამბობ.

— სად არის-მეთქი, გეკითხები?

— აქ არის, აგერ წევს, ცუდად გახდა.

— როგორ თუ ცუდად?

— ისე...

— რა მოუვიდა?

— არ ვიცი — ორივენი გულაღმა გაშოტილ სტუმარს დავყურებთ, სველ ცხვირსახოცს შუბლზე ვადებ და საკინძეს ვუხსნი.

— იქნებ გულია?

— არ ვიცი... ვალიდოლი იქნებოდა კარგი, მაგრამ აქ სად ვიშოვო? — ყოველი შემთხვევისთვის ბორჯომიც მოუხდებოდა...

— რაა?

— ვალიდოლი.

— ქაღალდზე დამიწერე...

გულის ჯიბიდან კალამს ვიღებ და ვწერ.

საკვირველია, ღმერთმანი, ჩემს სტუმარს სახიდან ღიმი მაინც არ შორდება: „ბექირბეი“, „ბექირბეი“, ჩავძახი. დუმს, გადის ხანი, მხართეძოზე წამოწოლილს უკეთესობისას ვერაფერს ვამჩნევ.

— აი მოვიტანე... მეუბნება „ფალავანი“ და თეთრ აბებსა და ბორჯომის ბოთლს მაწვდის.

— როგორმე პირი უნდა გავაღებინოთ...

— ახლავე, — მხრებში ხელი ძალუმად ჩაავლო და ფეხზე წამოაყენა.

— ბექირბეი, პირი გააღე!

— ვისიიი სადღეგრძელოაა?

— რაო, რა თქვა?

— ვისი სადღეგრძელოაო, — ორივეს გვეღიმება. შვებით ამოვისუნთქე. პირისახე კიდევ ერთხელ სველი ცხვირსახოცით დავუზილე და ქუდი თავზე დავახურე.

— მანქანამდე უნდა მიმაყვანინო...

— მაშ როგორ, მე მარჯვნიდან შევუდგები, შენ მარცხნიდან და გინდა ტრაპზონამდე ვატარებთ, — მანქანის უკანა სკამზე ხელიხელგადახვეულნი სხედან ორივენი. ბექირბეის ისევ ღიმილით აქვს სახე განათებული, ხოლო მოჭიდავე ფრთხილობს ხელიდან არ დაუსხლტეს სტუმარი და ცხვირით კარებს არ მიეხეთქოს.

შეეწიოთ, არა, უკვე ნამდვილად შეეწიათ წმინდა გიორგი.


## ლამაზი ფიგურა? – მიუღწეველი არაფერია!





სამედიცინო ცენტრში **“მედი”** დაინერგა და წარმატებით ხორციელდება ფიგურის კორექციის უნიკალური მეთოდი - **ულტრაბგერითი ლიპოსაქცია**. ეს უახლესი მიღწევაა კოსმეტიკურ ქირურგიაში და ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მოწინავე კლინიკებში. ულტრაბგერითი ლიპოსაქციის დროს, ცხიმოვანი ქსოვილი, ულტრაბგერის ზემოქმედებით იშლება, გადადის ემულგირებულ მდგომარეობაში და ერთდროულად ხდება მისი ამოტუმბვა. აღნიშნული ოპერაცია, სხვა ანალოგიური მეთოდებისგან განსხვავებით, გაცილებით დამზოგველია. არ აზიანებს სისხლძარღვებს, ლიმფურ სადინარებს და ნერვულ ბოჭკოებს, რის გამოც მას გართულებები პრაქტიკულად არ ახლავს. ოპერაცია მიმდინარეობს ადგილობრივი გაუტკივარებით, ნარკოზის გარეშე და პაციენტი იმავე დროს უბრუნდება ცხოვრების ჩვეულ რიტმს. ერთადერთი, რამაც შეიძლება დისკომფორტი შეუქმნას პაციენტს, კომპრესიული ბანდაჟის ტარებაა, რაც აუცილებელია ოპერაციის შემდეგ ერთი-ორი კვირის განმავლობაში.

მნიშვნელოვანია, რომ, ულტრაბგერითი ლიპოსაქციის დახმარებით, ერთხელ მოშორებული ცხიმოვანი უჯრედები, მომავალში აღარ ვითარდება და სხეულის სასურველი ფორმა უცვლელი რჩება წლების მანძილზე. ამასთან ერთად, ოპერაცის დროს, ცხიმების დაშლის გარდა, გამოყენებულია ულტრაბგერის კიდევ ერთი თვისება - კანი, მისი ზემოქმედების შემდეგ ელასტიურობას აღიდგენს და თვითონვე უბრუნდება პირვანდელ სახეს. შესაბამისად, არ ვითარდება ნაკეცები, რომელთაც მოშორება ან მოკვეთა სჭირდება.

როდესაც ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას, შეცვალოს თავისი გარეგნობა ქირურგიის საშუალებით, მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ მხოლოდ უმაღლესი კატეგორიის სოლიდური სამედიცინო ცენტრი, მაღალკვალიფიციური და გამოცდილი სპეციალისტია მაქსიმალური შედეგის და წარმატების გარანტია.

**“მედი” კოსმეტიკური ქირურგიის მხოლოდ მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიებს გთავაზობთ.**

აპარატურის უმეტესობას, რომელიც აქ გამოიყენება, ანალოგი არ გააჩნია ამიერკავკასიაში.

მყუდრო და კომფორტული გარემო, პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია და გულისხმიერება, თქვენ შეგიქმნით მკურნალობისთვის იდეალურ ატმოსფეროს.

**სამედიცინო ცენტრი “მედი”**

**ი. ჭავჭავაძის გამზ. №70**

**ტელ: 25-02-02; 22-42-73**

**ფასდაკლების კუპონი ულტრაბგერით ლიპოსაქციაზე**

კუპონის წარმოდგენის შემთხვევაში მიიღებთ შესაბამის ფასდაკლებას

15 %

# სულიერი მოძღვარი

## მინდა, მას თქვენც იცნობდეთ...



უმძიმეს მოგონებად დარჩა თითქმის უსიხარულოდ ჩავლილი ბავშვობა: ოთხი წლის ასაკში დაკარგული უსათნოესი დედა და შემდეგ, თითქოს ზღაპრიდან გადმოსული, ავზე ავი დედინაცვალი... შრომითა და ოჯახზე ზრუნვით დაქანცული მოყვარული მამის დარდიანი გამომეტყველება... მარტოობა და სევდის წიაღიდან ერთადერთ ნათელ სხივად გამობრწყინებული იგავმიუწვდომელი სვეტიცხოველი, რომლის დიდებულ სილუეტს ყმაწვილი ყოველ წუთს უმზერდა თავისი სახლის აივნიდან და ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს ვიღაცის უხილავ ხელს ამ ტაძრიდან გამობრწყინებული ნათლის სვეტი გაედო ხიდად მასა და შავ-ბნელ სამყაროს შორის არსებულ უფსკრულზე.

სადღაც მიუძღოდა ეს ხიდი, მაგრამ საით? ეს ჯერ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა. მისი ბავშვური წარმოსახვა ულრან ტყეში დაკარგულივით ეცეცებოდა გაურკვევლობის ქაოსში და გზას ეძებდა. ვის მიჰკედლებოდა, სად ეპოვა სითბო და თანაგრძნობა?! გოგონა რომ ყოფილიყო, ჯადოსნური ქვეყნიდან მოვლენილ ზღაპრულ უფლისწულს დაუცდიდა, მაგრამ ის მხოლოდ ერთი კაფანდარა, მეოცნებე ბიჭი იყო და ჯერ წარმოდგენაც არ ჰქონდა იმაზე, რომ მართლაც უფლისწული იყო, მაგრამ ჩვეულებრივი მეფის შვილი კი არა, ძე მეფეთ მეფისა, დასაბამიდან რომ განაგებს თავისივე დაარსებულ სამყაროს და ყოველ უნუგეშოს ნუგეშად და მფარველად ევლინება.

მაშინ ყმაწვილმა ეს არ იცოდა, მაგრამ სევდით მფეთქავი მისი პატარა გული მაინც სვეტიცხოვლის ტაძრისკენ ილტვოდა.

გალავანს მიღმა ლმობიერი დიდებულებით ყელყელაობდა ქრისტეს კვართის შუქით გაბრწყინებული ტაძარი, ულამაზესი გუმბათით რომ გაერღვია თეთრი ღრუბლების მაქმანით მოხატული ლურჯი ლაჟვარდი. მის კედლებში რამდენჯერ უტირია უცრემლოდ! სასომიხდილი თითქმის ყოველთვის აქ აფარებდა თავს, აქ პოულობდა ჯერ გაუცნობიერებელ ნუგეშსა და იმედს, იდუმალი ალღოთი გრძნობდა, რომ ამ სამყაროსთან რაღაც უფრო დიდი და მნიშვნელოვანი აკავშირებდა, ვიდრე რიგითი მლოცველის წადილი იყო. რა იყო ეს? იქნებ ღვთის იდუმალი მოწოდება, რომლის სიღრმეში წვდომასა და ნამდვილი არსის მიგნებას ის არც ცდილობდა და ეს არც შეეძლო. ეკლესიიდან მიღებულ სიმშვიდეს, მის გულში ყოველგვარ რისხვას რომ ახშობდა, იგი ჯერჯერობით ოდენ ნუგეშის საგზლად იზოგავდა და ხარბად ეტანებოდა წიგნების სამყაროს, სტრიქონებს მიღმა ეძიებდა ცხოვრების ნამდვილ აზრსა და შინაარსს. დაამთავრა საშუალო სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, ზედმიწევნით დაეუფლა გერმანულ და უნგრულ ენებს, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. იყო მასწავლებელიც, მეცნიერ-მკვლევარიც, შესანიშნავი მთარგმნელიც, რომლის გაკეთებულ ლექსის პწკარედებს ხშირად მარტო გარითმვაღა აკლდა, ისევ ლექსად რომ ქცეულიყო, ოღონდ — სხვა ენაზე ოსტატურად აჟღერებულ ლექსად.

მაგრამ მთელ ამ ღირებულ შრომას იდუმალ ფონად მაინც გასდევდა სულ სხვა მოწოდება, რომლის ნამდვილი არსი მაღალმა ღმერთმა რამდენიმე უმძიმესი განსაცდელით შეამეცნა.

ბევრჯერ იწვა თითქმის განუკურნებელი სენით შეპყრობილი და მხოლოდ მაშინ ეზიარა თავის ნამდვილ დანიშნულებას, როცა სხეულზე ზრუნვა ძველი ტანსაცმელივით შემოიძარცვა და ღვთით ჩაბერილი სული მიიჩნია ერთადერთ და უცვლელ სინამდვილედ.

ძნელი იყო ეს გზა... წარმავლიდან მარადიულისაკენ...

თანდათან უკან რჩებოდა და გაურკვევლობის ბურუსში იძირებოდა წიგნებიც, მეცნიერული სამუშაოც, სამომავლო მიზნებიც. ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავდა პრაქტიკული კეთილდღეობა, ადამიანები სულსწრაფი თავგამოდებით რომ ზრუნავდნენ და დაჰფოფინებდნენ...

ვიწრო იყო მტკიცე, ურყევი რწმენის მძიმე ჭიშკარი, მაგრამ ღვთის ნებით მაინც განიხვნა იგი საამისოდ მოწოდებული კაცის წინაშე და მანამდე ჯუმბერ გაგნიძედ ცნობილი ღვთის შვილი 1992 წლის 14 ოქტომბერს, მირიანობა დღეს, მამა მირიანად იქცა.

მამა მირიანი — ქაშუეთის ეკლესიის მოძღვარი, კაფანდარა, თითქმის უსხეულო, მარტოოდენ სულად ქცეული მოძღვარი, ამბიონიდან რაღაცნაირი ღვთაებრივი ხმით ქადაგებს და მრევლს მოუწოდებს მრავალტანჯული და დღესაც უდიდესი განსაცდელის წინაშე მდგარი სამშობლოს სამსახურისკენ, სიწმინდის, სიმაღლის, რწმენის განმტკიცებისაკენ, რამეთუ კარგად უწყის, რომ ამქვეყნად ყოფნა ოდენ ძნელი გამოცდაა მარადისობისაკენ მიმავალ გზაზე, სადაც იქნებ ბევრჯერ წაიბორძიკო კიდეც, მაგრამ მონანიება, აღსარება და უზენაესისათვის პატიების თხოვნა უნდა შეგეძლოს.

მისი ქადაგებიდან ზოგჯერ ნაკადულივით მოჩქეფს შეგონება, ზოგჯერ კი მეწყერივით გრგვინავს ღვთის რისხვის მუქარა იმათ მიმართ, ვინც საკუთარი კეთილდღეობისათვის ურცხვად იმეტებს სამშობლოს, მოძმეს, ახლობელს მხოლოდ იმ მიზნით, რომ ამ წარმავალ წუთისოფელში თავად ბედნიერების ტალღებზე იტივტივოს.

მისი ღრმა და მართებული რწმენით, ღმერთმა ჩვენი გამოცდის ასპარეზად მამული, ეროვნული ტრადიციები, მოძმის სიყვარული და მაღალი ზნეობრიობა გვიძღვნა. ამ სიწმინდეთა შელახვით კაცი ისე ძლიერ ვერავის ავნებს, როგორც საკუთარ თავს, რომელსაც ის სამუდამო სატანჯველისათვის წირავს. მოძღვარი მთელი არსებით ცდილობს, სწორედ ეს ჭეშმარიტება შეაგონოს თითოეულს.

შთამბეჭდავია მამა მირიანის ყოველი სიტყვა, რადგან ეს სიტყვა ზერელე ნაკითხობაზე კი არა, მყარ, სტაბილურ ცოდნაზეა დამკვიდრებული;

ემოციურია მამა მირიანის შეგონება, რადგან ამ შეგონებას ღრმა ფსიქოლოგიური ალღო ასაზრდოებს;

მშვიდი და მუსიკალურია მამა მირიანის ხმა, რადგან ეს ხმა გულის შორეული სიღრმიდან მოდის;

უანგაროა მამა მირიანის ყოველი ქმედება, რადგან ამ ქმედებას მრევლისადმი თავდაუზოგავი სამსახური უდევს საფუძვლად.

არადა, რარიგ გვჭირდება დღეს ამგვარი სულიერი მოძღვარი! ხომ ცხადია, რომ თითოეული ჩვენგანის რწმენაც, ბუნებაც და საქციელიც თითქმის მთლიანად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ დგას შუამავლად ჩვენსა და უფალს შორის. მამა მირიანი, სწორედაც, გამორჩეული მოძღვარია, რადგან მას ყველას სატკივარი სტკივა და ნუგეშიც ყველასათვის ემეტება. რამდენისათვის იქცა იგი ღრმა სულიერი ჭრილობის უებარ მალამოდ, მძიმე მწუხარების შვებად და ნუგეშად! მეც სწორედ ერთი იმათგანი ვარ.

***ნათელა ონაშვილი***

# განგების ძალაა თუ დამთხვევა?!

ბავშვობაში ძალიან ცელქი ვიყავი. ერთი უტვინო მათემატიკის მასწავლებელი გვყავდა მე-5 კლასში. ამოცანას რომ ვერ ამოხსნიდა, — დანარჩენი შინ დაამთავრეთო, — გვეტყოდა. ერთი ასეთი შემთხვევისას წამოვხტი და კლასს მასწავლებლის საყვარელი სიტყვებით მივმართე. იმანაც კინწისკვრით გამომისტუმრა გარეთ, თან მომაძახა, — მშობლის გარეშე არ დაგინახო მოსულიო.



მივდივარ, ფეხები უკან მრჩება და ამ დროს რას ვხედავ, დირექტორი მოდის. რომ არ შევენიშნე, იქვე, მახლობლად, ეკლესიის შენობას ამოვეფარე. შიშისგან მუხლები მიკანკალებს. ამ დროს შიგნიდან ხმაური შემომესმა და ეკლესიის კარის ჭუჭრუტანაში შევიჭყიტე. საფლავის ქვის ნატეხებში 5 კაცი იჯდა და კარტს თამაშობდა, გვერდით ღვინის ცარიელი ბოთლები და ნამუსრევი ეყარა. კოლმეურნეობის საწყობად ქცეულ ეკლესიას ახლა კაზინოს ფუნქციაც დამატებოდა...

...დირექტორმა ჩემი გაკვეთილებიდან გაგდების მიზეზი რომ გაიგო, ბევრი იცინა და მშობლის მოყვანასაც გადავრჩი...

მაგრამ დიდხანს არ მასვენებდა დარდი იმის შესახებ, რომ ჩემი სოფლის ეკლესიის ეზო და თვით ეკლესიაც არაკაცებმა დაისაკუთრეს. „განგების ძალა ყველას თავისას მიუზღავსო“, — ხომ გაგიგონიათ და მართლაც ასე მოხდა. ის მოთამაშეები, ეკლესია რომ გაძარცვეს, შემდეგ კი სათარეშოდ და სანაგვედ აქციეს, ყველანი დაისაჯნენ. არც ერთს სიბერემდე არ მიუღწევია.

საწყობის გამგეს ერთი ვაჟი 18 წლისა დაეღუპა ავტოკატასტროფაში, მეორეც ახალგაზრდა გარდაეცვალა (კიდევ კარგი, თვითონ მის სიკვდილს მაინც არ მოესწრო);

ეკლესიის ეზო ვინც მიისაკუთრა, ჯერ ახალგაზრდა მეუღლე გარდაეცვალა, შემდეგ შვილი მოჰყვა ავარიაში, ბოლოს კი, ამდენი უბედურებით გაგიჟებულმა 57 წლის კაცმა ტყვია დაიხალა შუბლში.

ეკლესიის ზარის გამტაცებლებმაც დიდხანს ვერ იცოცხლეს. საშინელი ავადმყოფობით დაასრულეს თავიანთი წუთისოფელი.

არ ვიცი, რა დავარქვა ამ მოვლენათა უცნაურ ჯაჭვს. განგების ძალას წინ ვერაფერი დაუდგება.

შეგვინდოს უფალმა!

***სიმონ ფხაკაძე***
***ქუთაისი***

# გაუმარჯოს ბარაბას, ჯვარს აცვით ქრისტე!

***მე ამის თქმა მინდა ყველასთვის და ამ ჩემს ერთი ღამის „აღსარებას“ ვანდობ ჩემს „კვირის პალიტრას“ — ვიცი, ის მიიტანს ყველასთან.***

ვისაც ხვალინდელი დღისა ეშინია, ობიექტური ვერ იქნება, მას ხედვა უკვე აღარ გააჩნია. სიბრძნე შინაგან სიმშვიდეშია. წინააღმდეგობა უფლისგან იმიტომ კი არ მოგვეცემა, რომ დავფრთხეთ.



მცირე თუ დიდად მოგვეჩვენა, უფრო დიდს შეგვამთხვევს, რათა მივხვდეთ, თუ რა მცირე იყო ის, რაზეც ასეთი აურზაური ავტეხეთ. ასე გაგრძელდება მანამ, ვიდრე არ გავწონასწორდებით, ან არ დავილეუპებით.

ჩვენი უბედურება მაშინ დაიწყო, როდესაც მხსნელად ჯერ ლენინი და სტალინი, ხოლო შემდეგ ცკ-ის მდივნები ვიგულვეთ. ჩვენი ერის ერთმა ნაწილმა გზის მაჩვენებლად ზვიად გამსახურდია მიიჩნია, მეორემ — ედუარდ შევარდნაძე.

ხსნა მხოლოდ უფალშია და არა — ადამიანში. თუ უფალს სთხოვ შველას, იგი გიგზავნის ადამიანს, რომელიც ასრულებს მთხოვნელის სურვილს. მაგრამ ადამიანებიც უნდა აღასრულებდნენ უფლის ნებას — ათ მცნებას. როდესაც ქვეყნისათვის ითხოვ, მთხოვნელი უნდა იყოს მთელი ერი და არა ნაწილი.

„ითხოვე და მოგეცემა, დააკაკუნე და გაგეღება“ — გვასწავლის სახარება.

ვითხოვოთ ყველამ ერთხმად ერთი სათხოვარი.

როდესაც ერთ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, ყველა ერის წარმომადგენელს ერთი მიზანი, ერთი მიმართულება უნდა ჰქონდეს, მაშინ შეისმენს უფალი ჩვენს თხოვნას. ვიყოთ კონკრეტული თხოვნაში და ფრთხილი — სიტყვაში, თორემ როგორც ვითხოვთ, ისე მოგვეცემა.

ვიდრე იყვირებენ — „ზვიადი — საქართველო“, ვიდრე ისტერიულად აკივლებული დედაკაცები პრეზიდენტს კისერზე ჩამოეკიდებიან სიტყვებით, — ბატონო ედუარდ, თქვენა ხართ ჩვენი მხსნელიო, ვიდრე შიმშილით გონებადაჩლუნგებული პენსიონერები პრეზიდენტს დაუჩოქებენ, ვიდრე მონობაში გაზრდილი კერპთაყვანისმცემელნი არ წავლენ ამ ქვეყნიდან, ქვეყანას არაფერი ეშველება.

— არ შექმნა კერპი უფლის გარდა, — გვაფრთხილებს უფალი.

კაცობრიობის უბედურების მთავარი მიზეზი 2000 წლის წინ მომხდარ უდიდეს დანაშაულში უნდა ვეძებოთ — ბრბომ საკუთარი ხსნა, — ქრისტე უარყო და ჯვარზე გააკრა, ხოლო მათნაირი ქურდი და ავაზაკი ბარაბა — იხსნა.

აგერ უკვე 2000 წელია, ვირჩევთ ბარაბას და უარვყოფთ ქრისტეს.

ასე გაგრძელდება მანამ, ვიდრე კაცობრიობა თავისი ცხოვრების წესით არ დაიმსახურებს ქრისტეს მეორედ მოსვლას. რა დააშავა ქრისტემ? მას ხომ სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებია. გვიხსნა წყურვილისგან, შიმშილისგან, სნეულებათაგან, სიკვდილისგან, თანაც უანგაროდ.

მაინც გაწირეს.

რატომ?

ადამიანი სხვაში ხედავს მხოლოდ იმას, რაც მასშია, ყველა საკუთარი საზომით ზომავს და უანგარო სიკეთეს ვერ დაინახავ, თუ ეს შენში არ არის.

ბოროტებას ვერ დაინახავ, თუ შენში არ დევს მისი ნაწილი. სიბინძურეს ვერ იგრძნობ, თუ ეს არ შეგხებია. თავისუფალ აზროვნებას ვერ ისწავლი, თუ დაბადებიდან მონა ხარ, დამოუკიდებელი ვერ გახდები, თუ მთელი ცხოვრება სხვის ნებას ემორჩილები.

მოსეს ორმოცწლიანი მოგზაურობა მონებთან, ეს არის საუკუნეში ერთხელ დადგმული განახლებული სპექტაკლი უფლის მიერ. ის ახლაც იწყება, ამ საუკუნეში და ასე გაგრძელდება დაუსრულებლად, ვიდრე კაცობრიობა არ დაიმსახურებს ქრისტეს მეორედ მოსვლას.

ქრისტე რომ დაინახო, თავისუფალი სულიერი ხედვა უნდა გქონდეს და რომ იგრძნო, უნდა იყო სულიერად ამაღლებული და განათლებული.

საქართველო გაბრწყინდება, საქართველო აყვავდებაო — ჩვენც მოუთმენლად ველოდებით ამ დღეს და თუ ამ წინასწარმეტყველების შედეგს ვერ ვხედავთ, სასოწარკვეთილებაში ვვარდებით.

აღთქმული ქვეყანა შეიძლება გავიგოთ პირდაპირი ან არაპირდაპირი მნიშვნელობით.

ჩვენი აღთქმული ქვეყანაა ის, რომელზედაც ვოცნებობთ: სულიერად თავისუფალი, მორწმუნე, ძლიერი, ბედნიერი საქართველო. ჩვენ ასეთ ქვეყანაში შესვლა არ გვიწერია; ჩვენ მონობაში დაბადებული კერპთაყვანისმცემელნი ვართ. ასეთ საქართველოში შესვლა 90-იანი წლების შემდეგ დაბადებულთა ხვედრია.

ვევედროთ უფალს, რომ ჩვენმა მომავალმა თაობებმა ასეთ ქვეყანაში ცხოვრების უფლება მოიპოვონ.

საქართველო გაბრწყინდება, საქართველო აყვავდება მხოლოდ 40-50 წლის შემდეგ.

მანამდე კი — გაუმარჯოს ბარაბას, ჯვარს აცვით ქრისტე!

ეძებეთ ხსნა უფალში!

მე უნდა მეთქვა ეს!..

***თამარ ქავთარაძე***
***თბილისი***

**რედაქციისგან: ვისაც ჩვენი გაზეთიდან „პატარა ბაკურციხელის“ უცნაური, მისტიკური ამბავი ახსოვს, მაშინ თბილისიდან, სწორედ ქალბატონი თამარი ვიწვიეთ სალათას ძილს მიცემული ბიჭის „მაჯის შემტყობრად“...**



# ფრთოსანი ქალი წითელ პარასკევს მოფრინდა

ეს ამბავი დედაჩემს გადახდა თავს.

ჩემს ძმაზე ყოფილა ფეხმძიმედ და ძალიან ავად გამხდარა. ვისთვის არ მიუმართავთ, მაგრამ ვერ განუკურნავთ. დღითი დღე სულ უარესად ხდებოდა თურმე და სიკვდილზე ფიქრიც დაუწყია.

აი, რა მიამბო დედამ:

— ბრწყინვალე აღდგომის კვირა მოახლოვდა. წითელ პარასკევს წვიმდა. თითქმის უკანასკნელ დღეში ვიყავი. შუადღისას ძლივძლივობით მოვახერხე საწოლზე წამოჯდომა. სიკვდილზე ვფიქრობდი. წარმოვიდგინე, ვინ მოვიდოდა ჩემს დაკრძალვაზე... ჩამეძინა. უცებ შხუილი და შრიალი მომესმა. რას ვხედავ! ჩემი საწოლის თავზე უზარმაზარი შავი ფრინველი დაფრინდა. დაფრინდა თუ არა, მაშინვე ყმაწვილ ქალად იქცა და მითხრა, — ახლავე ადექი. შენი ეზოს შემოსასვლელში, მუხის ქვეშ (ეზოში რამდენიმე მუხა გვიდგას), მოაგროვე ფესვებიანი ნერგები და ერთ ადგილას დაწვი. თუ ასე არ მოიქცევი, მოკვდები, ხოლო თუ აკრეფ და დაწვავ, იცოცხლებ და კარგადაც იქნებიო.

აცახცახებულს გამომეღვიძა. არ ვიცი, რა ძალამ წამომაგდო მომაკვდავი. მართლაც მოვძებნე მუხის ნორჩი ნერგები, ბუხარში დავწვი და რამდენიმე წუთში გამოვმჯობინდი.

მას აქეთ აგერ ცხრამეტი წელი გავიდა და ვერაფრით ამიხსნია იმ ცით მოვლენილი უცნაური ამბის საიდუმლო.

***ანა კლდიაშვილი***
***თერჯოლა, ქვედა სიმონეთი***

## „საზალოო–სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. რებუსი**

თხა თხაზე ნაკლები, მგელმა შექამოსო.

**II.** 1 — ბ; 2 — გ; 3 — დ; 4 — ა.

**III. კროსვორდი**

**შვეულად:** 1. კაპიტანი; 2. სიზმარა; 4. ვერნი; 5. სიონი; 7. ალიონი; 8. დილეგი; 10. მეკვლე; 13. კერპი.

**თარაზულად:** 3. ყანწი; 6. ჯერი; 9. ღამე; 11. კარლსონი; 12. ფანტა; 13. კაკაო; 14. ბარონი; 15. გორილა; 16. თუთიყუში.

**IV.** ლიანდაგი.

**V.** „ავი“

**VI.** ა) მტრედი; ბ) სვავი; გ) თოლია.



# — დედამიწა სიყვარულს ეყრდნობა...

„ადამიანები გაცილებით მეტად მიყვარს, ვიდრე ჩემი ნახატები“ — რუსუდან ფეტვიაშვილი

**რუსუდან ფეტვიაშვილის** ნახატების ნახვის შემდეგ საოცარი სისავსის გრძნობა გეუფლება. უამრავი ერთმანეთში გადაჯაჭვული ზღაპრული ფიგურა თითქოს ირეალური სამყაროს კარს ხსნის, დაახლოებით ისე სასიამოვნოდ გაბნევენ და გაოცებენ, როგორც მირიადი ვარსკვლავით მოჭედილი უსასრულო ცა... და მართლაც, სადაც ფიგურების არსებობა მთავრდება და მხოლოდ ფონი რჩება, იქაც არის რაღაც უსასრულო სიღრმის განცდა.

და მერე, როცა ამ სურათების მხატვარს — რუსუდან ფეტვიაშვილს შეხედავ, კიდევ უფრო გაოცდები: ასეთი სიღრმისა და ასეთი უბრალოების, იშვიათი ნიჭისა და ბავშვური გულუბრყვილო სისუფთავის მატარებელი ადამიანი მხოლოდ ერთ საკითხზე დაგაფიქრებს, ერთის აღიარებისათვის განგაწყობს: ყველაზე დიდი ხელოვნება მაინც ის არის, რომ დარჩე ადამიანად, ისეთად, როგორიც გაგაჩინა ღმერთმა.

ის ცხოვრობს და ხატავს, სულის სიღრმიდან ამოცენდა სახეები, სიუჟეტები ისეთი ადრეული ასაკიდან, რომ თვითონ ვერც იხსენებს: ჯერ ლაპარაკი ისწავლა, თუ ხატვა... თუმცა ფანქრით საუბრობდა ყოველთვის.

— პირველი პორტრეტი წლისა და 10 თვისამ დავხატე. ჩემი მომდევნო ძმა რომ დაიბადა, გასართობად მომცეს ფანქრები და ფურცელი, რომ გავჩერებულიყავი, დედისათვის ხელი არ შემეშალა ჩვილის მოვლაში. სულ პირველი ნახატი ჩემი ძმის — გიორგის პორტრეტი იყო. სამი წლიდან უკვე ძალიან ბევრ ფიგურას ვხატავდი.

**— თქვენი ასე ადრე გამოვლენილი ნიჭი არ განაცვიფრებდა ოჯახს?**

— არა, ეს ძალიან ბუნებრივად მიიღეს. ჩვენი ოჯახისათვის ხატვა ჩვეულებრივი რამ არის. მამაჩემი მოქანდაკეა, დედა, მართალია, ფილოლოგია, მაგრამ ისიც კარგად ხატავდა, აკადემიაშიც კი სურდა სწავლის გაგრძელება თურმე... ჩემი ერთი ძმა — დიმიტრიც მოქანდაკეა, მომდევნო დას — მარიამს კი ქსოვილები აქვს დამთავრებული, უმცროსი — სალომე — მოდელირებაზე სწავლობს. მხოლოდ ერთი ძმაა (გიორგი) ეკონომისტი... ასე რომ, ჩვენს ოჯახს ხატვის უნარი ვერ გააკვირვებდა.

**— თქვენთვის, როგორც მხატვრისათვის, მნიშვნელობა აქვს ფერს, საგნის ფორმას...**

— საგნებს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს... ძალიან მიყვარს და დიდი მნიშვნელობაც აქვს ხის ფოთლების ფერს. უსაზღვროდ მიყვარს ოქროსფერი ფოთლები ლურჯი ცის ფონზე, როცა მათ მზე უყურებს, ისინი კი შრიალებენ და ყვითელ ათინათს გამოსცემენ. ეს არის ჩემთვის ყველაზე ლამაზი რამ ამ ქვეყანაზე... თუმცა კი ჩემს ნახატებში ფერს არ ენიჭება იმხელა მნიშვნელობა, როგორიც ხაზს. წამყვანია ხაზი, რომელსაც ფერიც ემორჩილება, შინაარსიც. წინასწარ არასოდეს არ ვიცი, რას დავხატავ. არც ბავშვობაში მქონია ეს განსაზღვრული. ხატვას მოუმზადებლად ვიწყებ და ამ პროცესში ვფიქრობ, მაშინ იქმნება კომპოზიციაც, როცა დიდ ნახატს ვქმნი, შორს გამოვდივარ და როგორც სხვის დახატულს, ისე ვათვალიერებ.

**— თქვენს სურათებს აღმოსავლური ელფერი აქვსო...**

— ისეთი პატარა ასაკიდან ვხატავ, შეუძლებელია რომელიმე სამყაროს შეცნობის შემდეგ მოსულიყო... ეს ჩემთვის საოცრად ბუნებრივია...

**— ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობდით, „ვეფხისტყაოსანი“ რომ დაასურათეთ.**

— ვიდრე „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირებას შემომთავაზებდნენ, V კლასში, ფაქტობრივად, ზეპირად ვიცოდი მთელი პოემა. ძალიან ძვირფასი იყო ჩემთვის, როცა საფრანგეთმა შემომთავაზა გამეფორმებინა ფრანგულად ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი“, გამეხარდა, მაგრამ შემეშინდა კიდეც... ჩემი ასაკის გამო შევშინდი. საფრანგეთის მხარემ დაიჟინა... მოსკოვში ხელშეკრულება დავდეთ. იმდენად საინტერესო იყო პოემაზე მუშაობა, მასში იმდენი სილაღე და სილამაზეა, თუ შეხვდი, აღარც კი გინდა იმ სამყაროდან გამოსვლა. იქ ისეთი მრავალფეროვნებაა: სიკეთეც არის, სიყვარულიც, სისასტიკეც, ძალიან ღრმა პოემაა, თანაც ნაზი. როცა ხატავ „ვეფხისტყაოსნიდან“, უსაზღვროდ დიდი ენერგია გეძლევა. ჩემთვის ეს წიგნი ძალიან უცნაურია. როცა დავხურავ, თითქოს აღარც კი მახსოვს მისი არსებობა, გადავშლი და უცებ გადაიშლება ის სამყარო. მაგალითად, ლაო ძის „დაო დე ძინი“ ყოველთვის მახსოვს, მიუხედავად იმისა, რომ ზეპირად არ ვიცი, შეიძლება ერთი სიტყვაც არ მახსენდებოდეს იქიდან, ის განწყობა, ის მსოფლმხედველობა მახსოვს. „ვეფხისტყაოსანი“ კი ან მთლიანად მომიცავს, ან მთლიანად გასულია ჩემგან...

**ემიგრაციაში არასოდეს წავალ. კანადაში გალერეას მიხსნიდნენ. ოღონდ მოქალაქეობა მიიღე და ერთ წელიწადში ოფიციალური მილიონერი გახდებიო.**

**მაინც ვერ წავედი საზღვარგარეთ. ვიღაც ჩემ გარშემო დარჩებოდა უბედური. მეხვეწებოდნენ: წადი, იქიდან დაგვეხმარეო. ვერ შევძელი. ვიღაც რომ მიდიოდა, გული მწყდებოდა ხოლმე და მე რომ წავსულიყავი, ხომ დასწყდებოდათ გული ჩემს ახლობლებს?**

**— სახარებაზე მუშაობისას როგორი გრძნობა გქონდათ?**

— სახარებაზე მუშაობა დაიწყო 10 წლის წინ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია -ის ლოცვა-კურთხევით. ოთხთავზე ძალიან ბევრნი მუშაობდნენ. ის სახარება 160 სმ-იან პერგამენტზეა დაწერილი. მე ძალიან მცირე წვლილი მიმიძღვის იმ დიდ სამუშაოებში, რაც ჩატარდა... ვიდრე ამ სამუშაოს შემომთავაზებდნენ, 2 წლით ადრე, ისე მოხდა, რომ მხოლოდ ბიბლიას ვკითხულობდი. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ სხვა წიგნის წაკითხვა დროის დაკარგვა იქნებოდა. მოციქულთა საქმეები თითქმის ზეპირად ვიცოდი. ჩემთვის ვხატავდი სურათებს სახარებიდან, მაგრამ ვგრძნობდი, რაღაც ისე არ იყო. მინდოდა, ჩემს ნებაზე კი არ მეხატა, კანონი მეგრძნო. ამიტომაც, როცა უწმინდესმა შემომთავაზა ეს დიდი მისია, გამახსენდა, როგორ მინდოდა სახარების დასურათება. ომისშემდგომი პერიოდი იყო. აღარაფერს აღარ ჰქონდა აზრი ჩემთვის. ველარ ვხვდებოდი, რისთვის შეიძლება ადამიანს ჰქონდეს ცხოვრების ინტერესი. მინდოდა, ჩემი თავი დამერწმუნებინა, რომ არის რაღაც კიდევ და აი, ღმერთმა მიწყალობა ამისი დანახვა. საპატრიარქოში ვმუშაობდი, ვესწრებოდი წირვებს... მთლიანად იმ სამყაროში ვიყავი შესული. რაც კი შემეძლო, იმის



მაქსიმუმი გავაკეთე. შევისწავლე ბიზანტიური მინიატურები, სპეციალური წიგნები ხატწერის შესახებ... დაღლის გრძნობა არ მქონია, უბრალოდ, მოწიწებას ვგრძნობდი. მადლობელი ვარ, რომ სახარების მინიატურების შექმნის საშუალება მომეცა.

**— შემოქმედისათვის მთავარი რა არის?**

— მთავარია გულწრფელობა. ის უნდა გააკეთო, რაც გულიდან მოდის, გონების კონტროლის გარეშე. ის უნდა ხატო. რაც გეხატება, ეს არის გულწრფელობა, უბრალოება.

**— თქვენ გიყვართ ადამიანებთან ურთიერთობა, ახლობლების გარეშე ვერ წარმოგიდგენიათ სიცოცხლე... ხელოვანს მარტოობა უყვარსო, ამასაც ამბობენ...**

— როცა ვხატავ, ყოველთვის მარტო ვარ. ყველა ასეა... თუ არ ვხატავ, მარტოობას ვერ ვიტან.

**— მარტოობა დაუძლეველიაო...**

— ნამდვილად ასეა. პატრიარქმა ბრძანა: ღვთის წინაშე ყველანი მარტონი ვართო. ყველაზე დიდი საშინელებაა, როცა სიკვდილი მოგიახლოვდება, მიდიხარ და გრძნობ, რომ გვიანია უკვე შეცდომების გამოსწორება... „უკვე გვიან“, — აი ეს არის საშინელება. ამიტომ „თავს სინანული სჯობია, ბოლოჟამ დანანებასა“...

**— თავს ყველაზე კარგად მაინც სად გრძნობთ?**

— ყველაზე კარგად ქალაქგარეთ ვარ. დიდი სივრცეები მიყვარს.

ძალიან მიყვარს ჯვრის მონასტერი, როცა კარგი ამინდია, იქიდან კავკასიონიც ჩანს, ყაზბეგიც. ყველაზე კარგი ხედი მაინც ზედაზნიდან არის... ზღვა მიყვარს ძალიან — ზაფხულშიც, ზამთარშიც. საერთოდ, სულ ერთია, სად გავალ, ოღონდ ხეები იყოს, ბალახი, მიწა.

**— ცხოველებიც გიყვართ?**

— ცხოველები ყველას გვიყვარს ოჯახში. ჩვენ კერძო სახლი გვაქვს. ერთხელ, მახსოვს პატარა ჩოჩორი მოგვიყვანეს ცხვირგატეხილი, თქვენს ეზოში ადგილია და იყოსო... თურმე ბავშვები ურტყამდნენ უპატრონოდ მიგდებულს. ჩოჩორი ჩვენთან იზრდებოდა. მერე მეზობლებმა გვიჩივლეს: ყროყინებს და გვაწუხებსო. ჩვენც იძულებული გავხდით, მემაწვნისათვის გვეჩუქებინა. გაუკვირდა, არ მიჰყავდა: ალბათ ავადმყოფიაო...

**— მეზობლებზე არ გაბრაზდით?**

— არა... ბავშვებს ეშინოდათ, მგელი ეგონათ... მართლა ხმამაღლა ყროყინებდა დილასაღამოს, თანაც, ვიცოდით, იმ თათარ მემაწვნესთან უკეთ იცხოვრებდა ფართო ეზოში. ჩვენ სანახავად დავდიოდით... რაც უბანში უპატრონო კატა იყო, ყველა ჩვენს ეზოში იყრიდა თავს. ჩემს ძმას ხშირად ძაღლებიც მოჰყავდა... მივხვდი, რომ ყველას: ადამიანს, ცხოველს, დიდს, პატარას — ერთნაირი შეგრძნება აქვს. თუ უჭირთ, ერთნაირად უჭირთ, თუ ულხინთ, ერთნაირად ულხინთ.

**— სასოწარკვეთილი არასოდეს ყოფილხართ?**

— ომის დროს ისეთი სასოწარკვეთილი ვიყავი, არც მეგონა, თუ გამოვიდოდი ამ მდგომარეობიდან... მე და ჩემი მეუღლე მიგვიწვიეს კანადაში, ამერიკაში. არ წავედით. ჩვენი ბევრი ახლობელი აქ რჩებოდა გაჭირვებაში, მთელი ომი ჩვენც აქ გავატარეთ საშინელ უფულობაში, უშუქობაში... მამაჩემი ღამეებს ათენებდა პურის რიგში. ისეთი საშინელი სიცივე იყო, ერთხელ პალტოთი დავიძინე. რომ გამომეღვიძა, სიცივისაგან კრუნჩხვა დამემართა, ძალიან ცუდად გავხდი, გავიფიქრე: რა ეშველებათ ჩემიანებს, რა უნდა ქნან. მანქანაში ბენზინი არ ჰქონდათ, სიბნელეში, უტელეფონობაში, რით უნდა ეშველათ ჩემთვის? შემეცოდა, რომ წარმოვიდგინე, რა ელოდათ ჩემი ცუდად ყოფნის გამო. დავატანე თავს ძალა და კარგად გავხდი. თუ მოინდომებ, ბევრი რამ შეიძლება დაძლიო.

ჩემი ძმები, მათი მეგობრები აფხაზეთში იყვნენ. სულ ვლოცულობდი, ვიცოდი, გადარჩებოდნენ, მაგრამ მაინც ხომ ვნერვიულობდი. ქვეყანაში საშინელება ტრიალებდა. თითქოს ცა იყო ჩამოწოლილი. მივხვდი, რომ არ დამეხატა, მოვკვდებოდი. ფუნჯი რომ მეჭირა, ხელი მეკრუნჩხებოდა. პატარა ტილოებსაც ვერ ვხატავდი, ხელი ისე მიკანკალებდა. დიდ ტილოზე ვმუშაობდი.

მაინც ვერ წავედი საზღვარგარეთ. ვიღაც ჩემ გარშემო დარჩებოდა უბედური. მეხვეწებოდნენ: წადი, იქიდან დაგვეხმარეო. ვერ შევძელი. ვიღაც რომ მიდიოდა, გული მწყდებოდა ხოლმე და მე რომ წავსულიყავი, ხომ დასწყდებოდათ გული ჩემს ახლობლებს?

**— ესე იგი, თქვენ ემიგრაციაში არასოდეს წახვალთ...**

— არა, არასოდეს. კანადაში გალერეას მიხსნიდნენ. ოღონდ მოქალაქეობა მიიღე და ერთ წელიწადში ოფიციალური მილიონერი გახდებიო. მეხვეწებოდნენ, დამერღვია კონტრაქტი ამერიკელ ქალთან, რომელსაც ჩემი სურათები ჰქონდა წაღებული, მეჩივლა მისთვის და ახალი ხელშეკრულება გამეფორმებინა სხვასთან... ბოლოს, როგორც აღმოჩნდა, ის ქალი მართლაც მატყუებდა. მაინც არ ვუჩივლე... არც კანადაში წავედი... არ შემეძლო სხვაგვარად მოქცევა.

**— მამასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ, როგორც ხელოვანს ხელოვანთან?**

— მამაჩემის აზრს ყველაზე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ჩემი შემოქმედების ყველაზე დიდი კრიტიკოსი ის არის. ყოველთვის ყველაფერს ამჩნევს. თუ მოეწონა სურათი, მჯერა, მართლაც კარგი გამომსვლია. თუ დამიწუნა, გული მტკივა, რომ სურათი უკვე დამთავრებული მაქვს და გვიან არის გამოსწორება. ხატვის პროცესში ის არაფერს მეუბნება...

**— დედისაგან არ დაგყვათ მემკვიდრეობით ლიტერატურის სიყვარული?**

— პოეზია მიყვარს ძალიან. ზეპირად ვიცი გალაკტიონის უამრავი ლექსი, „ვეფხისტყაოსნის“ თავები, ვაჟას ზოგიერთი პოემა... დედაჩემი ძალიან კარგ ლექსებს წერდა. მეც მინდოდა დამეწერა: არ გამომდიოდა, მაინც ვწერდი ხოლმე. ახლა რომ ვკითხულობ, მეცინება.

**— კიდევ რა გიყვართ ხატვის, პოეზიის გარდა?**

— მუსიკა მიყვარს ძალიან. ყველა ჩემი ნახატი, განსაკუთრებით ძველები, კლასიკური მუსიკის მოსმენისას მაქვს დახატული. მე მგონი, მუსიკა ყველაზე მთავარი ხელოვნებაა. მერე ფერწერა მოსდევს, მერე ქანდაკება.... ეს ჩემს წარმოდგენაშია ასე.

**— ძალიან გიყვართ თქვენი სურათები?**

— ნახატები უბრალოდ მიყვარს იმდენად, რამდენადაც რაღაც განწყობას მაგონებს. ადამიანები გაცილებით მეტად მიყვარს, ვიდრე ჩემი ნახატები.

**— ადამიანში ყველაზე დიდი და მთავარი თვისება რა არის?**

— მე მაინც ვთვლი, რომ მთავარი სიყვარულია. თუ სიყვარული გაქვს, სიკეთეც გექნება, თანაგრძნობაც. თუ გული გაცივდება, ინდიფერენტული გახდება, ადამიანი ძალიან იტანჯება. სიყვარულის დაკლება — საშინელებაა. მხოლოდ ამ გრძნობით სავსე კაცი გრძნობს თავს ბედნიერად. საერთოდ, სიყვარულს ეყრდნობა დედამიწა: ახლობლების, ადამიანების, სამშობლოს და კიდევ უფრო დიდ სიყვარულს. სიყვარულზე დგას ეს ქვეყანა. მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულზე...

***ლელა ჯიყაშვილი***

# „ქართული სამოთხე“

90-იანი წლებში ბევრი ჩვენი თანამემამულე წავიდა საცხოვრებლად საზღვარგარეთის ქვეყნებში. ერთ-ერთი მათგანია ქართველი მხატვარი ზაზა თუშმალიშვილი, რომელიც ამჟამად მეუღლესთან ერთად გერმანიაში ცხოვრობს. და აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა. როგორც პოპულარული გერმანული ჟურნალი „არტ პროფილი“ გვატყობინებს, ზაზა ხშირად მართავს გამოფენებს გერმანიაში, შვეიცარიაში, ბელგიაში და მის შემოქმედებას ყველგან დიდი გულისყურით ხვდებიან. 2000 წელს გერმანიაში დაიბეჭდა ცნობები მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რაც აგრეთვე ზაზას აღიარებაზე მეტყველებს (სხვათა შორის, ამ ჟურნალის გარეკანი მთლიანად ზაზას ქვემოთ წარმოდგენილ ნახატს „ქართულ სამოთხეს“ უჭირავს).

გთავაზობთ ჟურნალ „არტ პროფილში“ დაბეჭდილ სტატიას, რომელიც მხატვარ ზაზა თუშმალიშვილის შემოქმედებას ეძღვნება.

— საქართველო, რომლის შესახებაც ინფორმაცია უმეტესად კავკასიის რეგიონში წარმოებული ომების შედეგად გვაქვს, მხატვარ ზაზა თუშმალიშვილის სამშობლოა. იგი 1960 წელს დაბადებულა ამ ქვეყნის ერთ პატარა ქალაქ გორში.

საქართველო ბუნებით ლამაზი და კულტურით მდიდარი ქვეყანაა. იგი წარმოადგენს აღმოსავლური და დასავლური კულტურების ნაზავს. ანტიკურ ხანაში დასავლეთ საქართველო კოლხეთის სახელით იყო ცნობილი. მას უკავშირდება ცნობილი ლეგენდა არგონავტებზე, რომლის მიხედვითაც, იასონი არგონავტებთან ერთად საქართველოში გამოემგზავრა ოქროს საწმისის მოსაძიებლად. საუკუნეების მანძილზე ამ პატარა ქვეყანას იპყრობდნენ სპარსელები, ბიზანტიელები, არაბები, მონღოლები, რუსები. ყველა მათგანმა გარკვეული კვალი დატოვა



მის მდიდარ ეროვნულ კულტურაზე.

საქართველოში „ოქროს ხანად“ წოდებულ პერიოდში, რომელიც X-X საუკუნეებს მოიცავს, აყვავდა ქრისტიანული ხელოვნება. ეკლესია-მონასტრები მოიხატა შესანიშნავი ფრესკებით, შეიქმნა ხატები, მოზაიკა. გარდა ბიზანტიისა, ქართველთა ქვეყანას ჰქონდა დამოუკიდებელი კავშირები მსოფლიოს უძველეს აღმოსავლურ ქრისტიანულ ცენტრებთან — ანტიოქიასა და იერუსალიმთან, აგრეთვე არაქრისტიანულ სპარსეთთან.

მხატვარი ზაზა თუშმალიშვილი კარგად იცნობს თავისი ქვეყნის კულტურულ ფესვებს. თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლისას და ფრესკების აღდგენაზე მუშაობის დროს მან საკმაო გამოცდილება შეიძინა. როგორც ზაზა ამბობს, მის შემოქმედებით სტილზე დიდი ზეგავლენა მოუხდენია X-X საუკუნეების დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსს. მსგავს კოლორიტულ წითელ, ყვითელ, მწვანე და ლურჯ ფერებს მრავლად შეხვდებით ზაზას შემოქმედებაში. თავის მასწავლებლად კი ზაზა პირველ რიგში ნიკო ფიროსმანს დაგვისახელებს, რომელსაც ჰქონდა საგნების საკუთარი ხედვა და შეუდარებლად აღწერდა ქართულ ყოფას.

1989 წელს, როდესაც გორბაჩოვის პოლიტიკის წყალობით გაიკაფა ჩახერგილი გზა საზღვარგარეთის ქვეყნებთან, ზაზა თავის 20 ნახატთან ერთად გაემგზავრა ბერლინში. მაშინ დამყარდა პირველი კონტაქტები გერმანული კულტურის მოღვაწეებთან, რამაც მხატვარს საბოლოოდ გერმანიაში ცხოვრება გადააწყვეტინა.

ზაზა თუშმალიშვილის ნახატებში მნიშვნელოვანია სახეები, რომლებიც არასოდეს იცინიან და სადღაც შორს, ქვევით, გარემომცველ სამყაროში იმზირებიან. ხანდახან ისინი ერთმანეთში გადადიან და წარმოიქმნება გაორებული სახეები, რომელთაც ჩვენ ალბათ მხოლოდ სიზმრებში თუ ვხედავთ. საერთოდ, მხატვრის შემოქმედებაში სიზმრისა და ფანტაზიის თემატიკას დიდი ადგილი უჭირავს.

მის „ქართულ სამოთხეს“ იცავს ანგელოზი, რომელსაც ჩვენ მარკ შაგალის ანგელოზს მივამსგავსებდით. თუშმალიშვილის ნახატების თვალიერებისას ცხადად ჩაგესმის ყურში ქართული პოლიფონიური მუსიკა. თუშმალიშვილის ნახატებში იგრძნობა ის სითბო და სიყვარული, რომლითაც იგი თავის სამშობლოს ხატავს.

ჭეშმარიტად ბრძანებს ბრიგიტა შრადე (ხელოვნებათმცოდნე, იგი ამჟამად საქართველოში მოღვაწეობს სვანური ფრესკების რესტავრირებაზე. — ნ.ტ.). — „მისი შემოქმედება სარკეა ხელოვანის სულისა და სამყარო, რომელსაც ის ხედავს, ეს არის პატარა საოცრება. პატარა საოცრებაა ისიც, რომ ასეთი სურათები არსებობენ... და მღერიან სიყვარულზე, მშვენიერებაზე, ადამიანისა და ბუნების, დედამიწისა და ცის ჰარმონიაზე“.

***ნინო ტარყაშვილი***

ანტიკურ ხანაში ახალი საგნების შექმნა არც პროფესია იყო და არც ჰობი. ბერძნები და რომაელები ადამიანის ღირსეულ საქმიანობად თავისუფალ დროს ბუნების ჭვრეტას მიიჩნევდნენ. ასეთი ატმოსფერო, რასაკვირველია, ხელს არ შეუწყობდა ტექნიკისა და ექსპერიმენტული მეცნიერების განვითარებას. შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. ადამიანის დამოკიდებულება სამყაროს მიმართ უფრო საქმიანი გახდა. ცხოვრებასთან ურთიერთობის ამ კულტურულმა ნიუანსმა ინჟინერიის შექმნას დაუდო სათავე. ამ დროიდან გამომგონებლობა საპატიო საქმიანობად გადაიქცა; მასზე, ღვთისმეტყველნიც არ ამბობდნენ უარს... მაგალითად, როჯერ ბეკონმა X საუკუნეში იწინასწარმეტყველა, რომ მომავალში ხომალდებს, წყალქვეშა ნავებს და „ჰაერში მოცურავე“ მანქანებს შექმნიდნენ. სწორედ იმ

# გონკანთოლიზული ათასწლეული

დროს განეკუთვნება ვიიარ დე გონკურის სახერხი მექანიზმებისა და მყვინთავის კოსტიუმების შექმნა. როგორც კი საზოგადოების სიახლეებისადმი მოთხოვნილება იგრძნეს, ინჟინრებმა ხელები დაიკაპიწეს და 1268 წელს შვეიცარიაში შექმნეს ჰიდრავლიკური ხერხი; 1280 წელს ბიზანტიაში — მენზურა; 1300 წელს იტალიაში — საზღვაო რუკები; 1320 წელს გერმანიაში — საუთოო მექანიზმი ... ადამიანის თვითშემეცნების სფეროში უდიდესი იყო 1279 წელს ფრანცისკანელი ჯონ პეკამის მიერ სარკის გამოგონება (მან მინა დაფარა ტყვიის თხელი ფენით). ვენეციელებმა მინის დამუშავება სრულყვეს. XV საუკუნეში მეტალურგიაშიც ახალი ნახტომი გაკეთდა: კალისა და ტყვიის შენადნობისაგან ჭურჭელი დაამზადეს; ასე შეცვალა თიხა ლითონმა. ამ დროს ჰოლანდიაში თევზსაჭერი ბადე გამოიგონეს. ამას თევზის კასრებში დამარილება მოჰყვა, კასრიც ახალი გამოგონილი გახლდათ. გაიხსენეთ, შუა საუკუნეების დიოგენი ხომ თიხის კასრში იჯდა. დამარილება ადრეც იყო ცნობილი, მაგრამ კონსერვირებამ (კასრების ჰერმეტიზაცია) პროდუქტის დიდხანს შენახვის და ტრანსპორტირების საშუალება მისცა. ასე იქცა თევზი ევროპის ღარიბი ფენის მთავარ საკვებად.

შუა საუკუნეებმა წარმოშვეს სამედიცინო პროფესია თანამედროვე გაგებით. ყველაფერი სამხრეთ იტალიის ქალაქ სალერნოში დაიწყო, სადაც X საუკუნიდან არსებობდა სამედიცინო სკოლა. აქ ეცნობოდა ევროპა არაბულ მედიცინას. 1140 წელს სალერნოს სკოლაში გამოსაშვები გამოცდებიც კი შემოიღეს, კურსდამთავრებულებს „დოქტორის“ ტიტული ენიჭებოდათ. სიტყვა „დოქტორმა“ დროთა განმავლობაში დაკარგა „მასწავლებლის“ მნიშვნელობა და ყველა ნასწავლ მედიკოსს უწოდებდნენ. 1224 წელს სიცილიის მეფემ ფრედერიკ -მ დაადგინა, რომ მკურნალობის უფლება მხოლოდ დიპლომიან სპეციალისტებს ჰქონდათ. მისივე დეკრეტით შეიქმნა ფარმაცევტიკა, როგორც მოღვაწეო-



ბის დამოუკიდებელი სფერო. ექიმებს კატეგორიულად ეკრძალებოდათ წამლების დამზადება. ამ დროიდან დაიწყო რეცეპტების გამოწერა და აფთიაქების გახსნა.

პირველი მკურნალები შამანები იყვნენ. უფრო გვიან ექიმებს ფილოსოფოსებს ან დალაქებს უწოდებდნენ. ინჟინრისა და მკურნალის ცალკე პროფესიის დადგენა ევროპის ცნობიერებაში ფუნდამენტურ გადატრიალებას ნიშნავდა.

**იტოგი №23**

# მონარქია ანარქიის პირასაა



ჯუჯა სახელმწიფო სვაზილენდი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შუაშია მოქცეული, ჰყავს მეფე. აქ მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს. ძირითადად სვაზები, ათი ათასამდე ევროპელი და რამდენიმე ყოფილი საბჭოელი. აქვს 300 კმ-იანი რკინიგზა, სამაგიეროდ, გაეროს წევრია და დიპლომატიური ურთიერთობა აქვს რუსეთთან!

ჰოდა, ამ ციცქნა სახელმწიფოში მეფე მსვატი -ს ქვეშევრდომნი აუჯანყდნენ. ქუჩებში გამოვიდა ქვეყნის თითქმის ყველა მცხოვრები არსებული ფეოდალური ტრადიციების ალსაკვეთად. ამის გამო მსვატი -მ ველარ აირჩია მერვე ცოლი სტადიონზე ჩამწკრივებულ, წელამდე შიშველ 20 ათას მშვენიერ ქალწულს შორის.

ამგვარი აქცია არ ახსოვს ჯუჯა სვაზილენდს. აფრიკული ადათით, 32 წლის მეფეს ყოველ წელიწადს აქვს თითო ცოლის მოყვანის უფლება. გაისად ლობამბეს სტადიონზე კვლავ შეასრულებენ ულამაზესი ქალწულები სასურველი მამაკაცის მოსახიბლად საქორწილო ცეკვა „გიიას“ — კანონი ხელმწიფის მხარეზეა!

საყოველთაო გაფიცვა მოხდა პროფკავშირებისა და არალეგალური პოლიტიკური პარტიების თაოსნობით. ქვეყანამ ვერ აპატია მეფეს ფიცით განმტკიცებული დაპირება — უარს ვიტყვი მრავალცოლიანობაზე, კორუფციას მოვსპობ, დამნაშავეებს ციხეში ამოვაყოფინებ თავს და დემოკრატიულ რეფორმებს დავიწყებო.

ევროპის ერთ-ერთი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა მსვატი -მ თავი გამოიჩინა, როგორც განათლებულმა მონარქმა. თავისი მმართველობის პირველსავე წელს მოაწესრიგა პარლამენტის მუშაობა, მაგრამ დეპუტატობის კანდიდატებს თავად ირჩევს და უპირატესობას თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებს ანიჭებს. ქვეყნის მთავრობასაც თავად მეფე აყალიბებს. ქვეყნის პრემიერ-მინისტრად პრინცი მბილინი დანიშნა. ამის გამო ხუმრობით თავის თავს „აბსოლუტურ მონარქს“ უწოდებს.

მონარქს მოთმინების ფიალა მაშინ აევსო, როდესაც 800-მა ფეხბურთის გულშემატკივარმა დაარღვია მეფის ოფიციალური აკრძალვა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გადავიდა ფეხბურთის მატჩზე დასასწრებად. პოლიციამ შეკრა გზები და სვაზილენდელები შინ არ შემოუშვა. წესრიგის დამცველებმა მეფის ბრძანებით, ძალას მიმართეს, ხელკეტები დაატრიალეს, 80 ათასიანი მანიფესტაცია დაშალეს და უიარაღო ხალხს სისხლი ადინეს, ბევრი მათგანი სატუსაღოში გამოამწყვდიეს.

მეფემ გადაწყვიტა, „რკინის ხელით“ დაემყარებინა წესრიგი თავის მიწაზე. პოლიციის სპეცსამსახურებს უფლება მიეცათ, პროკურორის სანქციის გარეშე ორი თვით დააკავონ ოპოზიციონერები, ხოლო სახელმწიფო მოხელეები საგანგებოდ გააფრთხილა: მანიფესტანტებს შორის თქვენი გამოჩენა „სახელმწიფოს ღალატად“ ჩაითვლებაო.

**იზვესტია №241**

# საიდუმლოს ერთი მეთორმეტედი



უნიკალური მონეტა, რომელიც არა მხოლოდ ნუმიზმატიკური თვალსაზრისით წარმოადგენს იშვიათ ფასეულობას, არამედ რელიგიურადაც, აღმოაჩინეს ისრაელელმა არქეოლოგებმა ისრაელის ერთ-ერთი ანტიკვარული მაღაზიის დახლზე. ერთი შეკელის ღირებულების მქონე ეს ბრინჯაოს მონეტა ჩამოსხმულია ჩვ. წ. აღ-მდე პირველი საუკუნის შუა წლებში. არქეოლოგიური მუზეუმის თანამშრომლებმა დანამდვილებით იციან, რომ ასეთი მონეტა სულ 12 ცალი არსებობდა, მუზეუმში კი 7 ცალი ინახება. უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამ არის — თითოეულ მონეტაზე ამოტვიფრული ფრაზის ნაწილი „გავრცობილია“ თორმეტივეზე. საფიქრებელია, რომ ფრაზა რაღაც რელიგიური და კაბალური მნიშვნელობისა იყო. მეცნიერებმა, ჯერჯერობით, ვერ შეძლეს ამ სიტყვის გაშიფვრა. ძველი წყაროებიდან ცნობილია, რომ ყველა ამ უცნაურ მონეტასთან დაკავშირებული ადამიანი ძალადობით მოკვდა. თორმეტივე მონეტის შეგროვების იმედი დიდი ხანია აღარ ჰქონდათ. მიაჩნდათ, რომ დანარჩენი მონეტები გადამდნარი იყო და აღარ არსებობდა. ამ აღმოჩენამ კვლავ გააცოცხლა იმედი მონეტების პოვნისა. გამყიდველის დაკითხვით არაფერი გაირკვა. მან არც კი იცოდა, რა განძის პატრონი იყო და აპირებდა სრულიად მუქთად — რაღაც 100 დოლარად დაეთმო მყიდველისათვის.

**ფავორიტი №21**

# „კიდევ ბევრი რამ უნდა გავიგო მაიაკოვსკის შესახებ“ — პატრისია ტომპსონი



ნიუ-იორკში პატრისია ტომპსონს იცნობენ, როგორც აქტიურ ფემინისტ ქალბატონს. იგი ავტორია ფილოსოფიური, სოციოლოგიური და საოჯახო ეკონომიკური 15 თხზულებისა. მათ შორის არის „მაიაკოვსკი მანჰეტენზე“. პატრისია ტომპსონის დედა ელი ჯონსი 60 წლის მანძილზე საზოგადოებისგან საიდუმლოდ ინახავდა იმ ფაქტს, რომ მისი ქალიშვილის (პატრისიას) მამა იყო ცნობილი საბჭოთა პოეტი — ვლადიმირ მაიაკოვსკი. დღეს პატრისია ტომპსონი ნიუ-იორკის პრესტიჟული „ლემან კოლეჯის“ მასწავლებელია. მან არაერთხელ მოინახულა რუსეთი.

***— რა გიზიდავთ რუსეთში?***

— რუსეთში სიცოცხლეს ვგრძნობ. ჯერ კიდევ 1991 წელს სტუმრობისას, რუსები გავაფრთხილე, — ამერიკის მხრიდან დიდ საფრთხეს უნდა ელოდოთ-მეთქი... სულაც არ მინდა, რომ რუსებმა გადაიღონ ჩვენი გამოცდილება და შექმნან სინთეზური საზოგადოება. რუსეთი არ უნდა იქცეს ამერიკის ასლად. ყოველი ჩამოსვლა რუსეთში არის ჩემს ფესვებთან, წმინდა წყაროსთან შეხება. რუსეთში თავს ისე ვგრძნობ, თითქოს დევნილი მამისეულ სახლში დავბრუნდი.

***— ბრძანეთ, რომ მაიაკოვსკის ქალიშვილი ხართ. ეს საბჭოთა კავშირის დაშლას და დამოუკიდებელი რუსეთის შექმნას დაუკავშირეთ?***

— სიმართლე გავამხილე მხოლოდ დედაჩემისა და ჩემი მამინაცვალის გარდაცვალების შემდეგ. დედა ყოველთვის გაურბოდა მაიაკოვსკისთან რომანის შესახებ საუბარს და ჩემი აღმზრდელი მამინაცვლის მიმართაც ღალატად ჩამეთვლებოდა, საიდუმლო რომ გამეცა...

***— სად შეხვდნენ ერთმანეთს დედათქვენი და მაიაკოვსკი?***

— ეს მოხდა მაიაკოვსკის ამერიკაში ჩამოსვლის დროს, 1925 წელს. მანჰეტენზე, ერთ-ერთ მიღებაზე გაუცვნიათ ერთმანეთი. ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება. დედა 21 წლის მომხიბვლელი ქალიშვილი გახლდათ, მაიაკოვსკი — მასზე ათი წლით უფროსი. დედა მეტად ნიჭიერი, ინტელექტუალური ქალი იყო; იცოდა რუსული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული ენები, კარგად იცნობდა რუსულ კლასიკას. მაიაკოვსკისთან შეხვედრის შემდეგ დაწერა წიგნი — „როგორ იქმნებიან პოეტები“. მათი ნაცნობობა მხოლოდ 5 თვეს გაგრძელდა.

***— როდისმე გინახავთ მამათქვენი?***

— ერთხელ. მაშინ სამი წლის ვიყავი. ეს იყო 1928 წელს, ნიცაში. ყველაზე უფრო მამაჩემის „ცამდე მაღალი“ ფეხები დამამახსოვრდა.

***— აპირებთ თქვენი ფემინისტური შეხედულებების გავრცელებას რუსეთში?***

— ჩემი ფემინისტური შეხედულებები სრულიად გაუგებარია თქვენი საზოგადოებისთვის. ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში ვსვამდი კითხვას: რატომ ლაპარაკობენ ბევრს მამაკაცები და ქალები დუმან? ამას მოჰყვა სტიქიური პროტესტი, რომელმაც მალე ორგანიზებული, მეცნიერული ფორმა მიიღო. ეტყობა, მამაჩემისგან გამომყვა მეამბოხე სული. მე ნამდვილი კაბიანი მაიაკოვსკი ვარ! ეს გენეტიკური კავშირი რუსეთში პირველად ჩამოსვლისას ვიგრძენი. მაშინ გავიგე, რომ მამას ჰქონდა ბავშვებისთვის მიძღვნილი წიგნები. მეც მინდოდა მეწერა ბავშვებისთვის, ახალგაზრდობისთვის. ჩემი წიგნის ერთი ეგზემპლარი მოსკოვში, მაიაკოვსკის მუზეუმში ინახება. სხვათა შორის, იქ არის ჩემი და დედაჩემის ფოტოსურათი. 2002 წელს რუსული თარგმანი გამოიცემა. მსურს ვაუწყო ყველას, რომ ვლადიმირ მაიაკოვსკი არ იყო მხოლოდ ბოლშევიკური რევოლუციის მქადაგებელი. იგი იყო ფაქიზი, ლირიკული და ნაზი პოეტი. ვიმედოვნებ, რუსეთში წიგნის გამოცემის შემდეგ ექსპერტებიც და ახალგაზრდობაც სხვაგვარად აღიქვამენ მის შემოქმედებას და მის ცხოვრებასაც.

**ვაშინგტონი, იზვესტია №223**

# „ნულოვან“ წელიწადს არჩეული ამერიკელი ლიდერი ყოველთვის იღუპება(?!)



მათ „ტეკუმსეს წყევლა“ სდევს თან. **ტეკუმსე** იყო შაიენების ტომის ლეგენდარული ბელადი, რომელიც ინგლისელებთან ერთად იბრძოდა ამერიკელების წინააღმდეგ 1812-13 წლებში. ტეკუმსეზე ამბობენ, რომ საკვირველი მაგიური ძალით იყო დაჯილდოებული. სიკვდილის წინ 45 წლის ტეკუმსეს დაუწყევლია ამერიკის ყველა მომავალი პრეზიდენტი, ვისაც ნულოვან წელიწადს აირჩევენ, ვერც ერთმა მათგანმა პრეზიდენტობის ვადა ვერ დაასრულოსო.

ჟურნალისტებმა ამ წყევლას „ნულოვანი ფაქტორი“ უწოდეს.

1860 წელს პრეზიდენტი გახდა აბრაამ ლინკოლნი, რომელიც 1864 წელს ხელმეორედ აირჩიეს. 1865 წლის 14 აპრილს იგი მეამბოხე მსახიობმა ბუტმა მოკლა.

1880 წელს არჩევნებში გაიმარჯვა ჯეიმს ჰარფილდმა. 1881 წლის ივლისში ვაშინგტონის სადგურზე შეშლილმა ადვოკატმა გიტომ მას ზურგში ტყვია დაახალა.

1900 წელს აშშ-ის პრეზიდენტად უილიამ მაკ-ქინლი აირჩიეს. 1901 წლის 6 სექტემბერს იგი უნგრელმა ემიგრანტმა, ანარქისტმა ჩაილგაშმა მოკლა.

1920 წელს თეთრ სახლს პატრონად უორენ ჰარდინგი მოევლინა. იგი ალასკაზე მოგზაურობისას, ოფიციალური ვერსიით, შხამიანმა სოკომ მოწამლა.

1940 წელს ქვეყნის ლიდერად მესამედ აირჩიეს ფრანკლინ რუზველტი, რომელიც 1945 წლის 12 აპრილს უეცრად გარდაიცვალა.

1960 წელს ამერიკამ უპირატესობა ჯონ კენედის მიანიჭა. ახალგაზრდა პრეზიდენტი 1963 წლის 22 ნოემბერს დალასში მოკლეს.

1980 წელს ქვეყნის მესაჭედ რონალდ რეიგანს ირჩევენ. იგი ერთადერთი ლიდერია, რომელიც „ნულოვანი ფაქტორის“ მსხვერპლი არ გამხდარა. მაგრამ 1981 წლის 30 მარტს ვაშინგტონში, სასტუმრო „ჰილტონის“ მახლობლად ვინმე მანიაკი — ჯონ ჰინკლი მოსაკლავად თავს დაესხა. მან 6-ჯერ ესროლა პრეზიდენტს. ერთმა ტყვიამ ფილტვები კი გაუხვრიტა, მაგრამ გულამდე ვერ მიაღწია...

**კომსომოლსკაია პრავდა**

# თავზე ხელი შემოიდეთ და ჩამოიფერთხეთ



მეცნიერება უკვე აღიარებს ადამიანებსა და ცხოველებში ბიოველის არსებობას. სწორედ მას უწოდებენ ბიოენერგოთერაპევტები „აურას“. სპეციალისტების აზრით, ბიოველის არსებობა მეცნიერულად ახსნილია: როდესაც მოლეკულათა ლიპიდები კანიდან ზედაპირზე გამოიყოფა, ჟანგბადს ხვდება და ხდება დაჟანგვა. ამ დროს ჩნდება სუსტი განათება — ბიოლუმინესცენცია, რომლის დანახვა ჩვეულებრივი თვალით შეუძლებელია. მათი დაფიქსირება შესაძლებელია სპეციალური მოწყობილობით. „ბიოფიზიკამ დიდ წარმატებებს მიაღწია ბიოველის შესწავლის საკითხში. მაგალითად, მატარებლის მემანქანეს უდგას საგანგებო აპარატურა, რომელიც აფიქსირებს მთვლემარე ადამიანის ბიოველის ცვლილებას. ჩაქინდრავს თუ არა თავს მემანქანე, ავტომატი მაშინვე იწყებს რეაგირებას და ჩნდება წარწერა: „დააჭირეთ თითი წითელ ღილაკს“, მემანქანემ „ბრძანება“ თუ არ შეასრულა, ამოძრავდება მუხრუჭი და მატარებელი თავისით ჩერდება.

პარაფსიქოლოგების აზრით, აურა ადამიანის ფაქიზი ენერგიის საგარეო პროექტიცაა და მიაჩნიათ, რომ მისი დანახვა შეუიარაღებელი თვალითაც შესაძლებელია... აქ კი ექსტრასენსორული, ზემგრძნობიარე თვალი იგულისხმება. ნამდვილი ექსტრასენსები ხედავენ არა მარტო სხვის აურას, არამედ აურის მიხედვით სხვადასხვა დაავადებას ადგენენ. ჯანმრთელი ადამიანის აურა ოქროსფერია, ავადმყოფისა კი უფერული და დალაქავებული. თუკი ადამიანი ადვილად ხვდება სხვისი ენერგეტიკული ზემოქმედების ქვეშ (გათვალვა), მისი აურა თანდათან „ირღვევა“ და იქიდან მისი სასიცოცხლო ძალა კოსმოსში მიედინება.

სხვათა შორის, ყოველ ადამიანს შეუძლია სხვისი ნეგატიური ზემოქმედებისგან თავი დაიცვას: ვთქვათ, ვინმემ უხეშად მოგმართათ, თავზე შემოივლეთ ხელი და შემდეგ „ჩამოიფერთხეთ“ მიწაზე, რითაც თქვენ მიერ „შეგროვილ“ „შავ ენერგიას“ ჩამოიშორებთ.

**არგუმენტი ი ფაქტი №46**

# მსოფლიოს საუკეთესო კლუბთა ათეული

მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა საფეხბურთო ჟურნალმა „უორლდ სოკერმა“ პლანეტის 10 უძლიერესი კლუბის სია გამოაქვეყნა. პირველ ადგილზე კვლავ „მანჩესტერ იუნაიტედია“ 96 ქულით. ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული მადრიდის „რეალი მას ორი ქულით ჩამორჩება. საკონტინენტთაშორისო თასის მომგები არგენტინული „ბოკა ხუნიორსი“ მხოლოდ მეხუთე ადგილზეა, საუკეთესო ათეულში იგი სამხრეთ ამერიკის ერთადერთი წარმომადგენელია, აღსანიშნავია ათეულში მოსკოვის „სპარტაკის“ გამოჩენაც.

| | |
|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) — 96 | 6. რომა (იტალია) — 32. |
| 2. რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — 94. | 7. სპარტაკი (რუსეთი) — 28. |
| 3. ვალენსია (ესპანეთი) — 72. | 8. ლევერკუზენი (გერმანია) — 23. |
| 4. დეპორტივო (ესპანეთი) — 64. | 9. მილანი (იტალია) — 22. |
| 5. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) — 55. | 10. ანდერლეხტი (ბელგია) — 19. |

# ლოთარ მათეუსი არაბეთის საამიროებში



ლეგენდარული გერმანელი ფეხბურთელი, 40 წელს მიღწეული ლოთარ მათეუსი, რომელსაც ეროვნულ ნაკრებებში ასპარეზობის რეკორდი ეკუთვნის და ხუთ მსოფლიო ჩემპიონატში აქვს მონაწილეობა მიღებული, საფეხბურთო კარიერას არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში დაასრულებს. მოგეხსენებათ, შარშან ამ დროს მათეუსმა მიუნხენის „ბაიერნი“ დატოვა და სათამაშოდ ამერიკის ლიგას მიაშურა. იქაური „მეტროსტარზის“ რიგებში მან 6 თვე იასპარეზა, კონტრაქტის გაგრძელება აღარ ისურვა და კარიერის საბოლოოდ დასრულება გადაწყვიტა. მით უმეტეს, გერმანელს რამდენიმე ძლიერმა კლუბმა მწვრთნელობაც კი შესთავაზა, თუმცა ლოთარ მათეუსის სამწვრთნელო კარიერის დაწყება ცოტა ხნით გადაიდო, რითაც უმალ ისარგებლეს არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში და გერმანელ ლიბეროს ექვსთვიანი კონტრაქტი შესთავაზეს. მის ახალ კლუბს „დუბაი“ ჰქვია, კონტრაქტის თანხის პირობებზე საინფორმაციო საშუალებები არაფერს იტყობინებიან, თუმცა ცხადია — ყოვლის მნახველი მათეუსი არაბეთის საამიროებს თამაშით დატკბობისათვის არ მიაშურებდა.

# მარადონა ნაკრებში ბრუნდება?

კარგა ხანია, დიეგო მარადონას საზოგადოება აღარ განუცვიფრებია. ერთ-ერთი ინგლისური გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში დიეგო არმანდომ ფრიად საინტერესო რამ თქვა: ნარკოტიკებთან კავშირი კარგა ხანია გავწყვიტე, ახლა ვვარჯიშობ და თუ სასურველ ფორმას მივაღწიე, გაისად არგენტინის ნაკრებშიც ვითამაშებო(!). არა, მარადონა არგენტინელთა კაპიტნობას აღარ აპირებს. მას ერთი ოფიციალური მატჩის ჩატარება განუზრახავს იმ გუნდში, სადაც მან დიდება და აღიარება მოიპოვა. ისე, მარადონა რომ როჟე მილასა და მისთანებზე ნაკლები არ არის, ყველას მოეხსენება, და თუ ერთ სპექტაკლსაც დაუდგამს მილიონობით მის თაყვანისმცემელს, ურიგო ნამდვილად არ უნდა იყოს.

# რომარიო ფიფას არჩევანით უკმაყოფილოა



ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელმა რომარიომ უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ფიფამ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულის გამოსავლენად ლუიშ ფიგუს, ზინედინ ზიდანისა და რივალდოს კანდიდატურები დაასახელა. რომარიოს არ მოსწონს, რომ აღნიშნულ სამეულში დასახელებული ყველა ფეხბურთელი ევროპულ კლუბებში თამაშობს — „ეს სამხრეთამერიკელი ფეხბურთელების იგნორირებაა, კერძოდ კი ჩემი, არიელ ორტეგასა და ხუან რიკელმესი. ჩვენ მათზე ნაკლებნი არაფრით ვართ“ — მიაჩნია ბრაზილიელს, რომელიც ერთხელ უკვე ფლობდა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს — 1994 წელს. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშის პრიზი ფიფამ 1991 წელს დააარსა. მას შემდეგ ეს ტიტული ოთხჯერ მიანიჭეს ევროპელს, ამდენჯერვე სამხრეთამერიკელს, ერთხელაც აფრიკელს.

# ლეონარდოს „მილანში“ მოსწყინდა

ბრაზილიის ნაკრების ნახევარმცველმა ლეონარდომ საჯაროდ განაცხადა, რომ ერთი სული აქვს, როდის დატოვებს „მილანს“, სადაც 1998 წლიდან ირიცხება. საქმე ის გახლავთ, რომ ბრაზილიელი, რომელსაც 54 მატჩი აქვს ჩატარებული ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში, ძალიან იშვიათად ხვდება „მილანის“ ძირითად შემადგენლობაში. სეზონის დაწყების შემდეგ, მას ორად ორი მატჩი აქვს სრულად ჩატარებული. ლეონარდო ამჟამად ბრწყინვალე ფორმაშია, რაც იტალიის თასის გათამაშების ამასწინანდელ მატჩშიც დადასტურდა, სადაც ბრაზილიელმა ორი გოლი გაიტანა. „მილანის“ მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ განაცხადა, რომ ლეონარდოს არსადაც არ გაუშვებს, თუმცა ფეხბურთელი მას არ ეთანხმება — „მე მივდივარ, აქ საკამათო და გადასაწყვეტი არაფერია, თავიდან „ფლამენგოში“ დაბრუნებას ვფიქრობდი, მაგრამ გადავიფიქრე. რომელიმე ევროპულ კლუბს მივაშურებ, მხოლოდ არა იტალიაში“.

# კრამნიკი კასპაროვს მატჩ-რევანშზე ჯერ შარს შუზნება



პირველი პრესკონფერენცია გამართა მსოფლიო ჩემპიონის რანგში რუსმა მოჭადრაკემ — ვლადიმირ კრამნიკმა. ყველას აინტერესებდა, თუ რა კომენტარს გაუკეთებდა კრამნიკი გარი კასპაროვის გამოწვევას, მატჩ-რევანშის შესახებ. მოგეხსენებათ, კასპაროვმა განაცხადა, რომ კრამნიკის „მეფობა“ დროებითია და მომეცემა თუ არა მატჩ-რევანშის შანსი, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დავიბრუნებო. მსოფლიო ჭადრაკის მე-14 „მეფე“ გამოწვევას საკმაოდ მშვიდად შეხვდა და განაცხადა, რომ მას ახლა დასვენება სჭირდება და სულაც არ აწუხებს ის, რომ კასპაროვს ხელმეორე დუელის გამართვა ეჩქარება. უფრო მეტიც — კრამნიკმა ისიც შეახსენა ყოფილ ჩემპიონს, რომ ჩემთან შეხვედრა თუ გინდა, ჯერ შესარჩევი შეჯიბრებები გაიარეო.

კასპაროვთან შეხვედრამდე კრამნიკს მომავალი წლის შემოდგომაზე ზემძლავრი კომპიუტერის წინააღმდეგ თამაში აქვს დაგეგმილი. ახალმა ჩემპიონმა სრულიად კაცობრიობის სახელითაც ისაუბრა — „შევეცდები დავამტკიცო, რომ ადამიანის გონებას წინ ვერავითარი მანქანა ვერ აღუდგება, თუმცა თამაში მაინც თამაშია“ — თავი დაიზღვია კრამნიკმა.

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. მd7-f6!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ შამათს **სამ** სვლაში.



# მეოთხე ქართველი „ფრაიბურგში“

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი გიორგი კიკნაძე კარიერას ბუნდესლიგის „ქართულ“ კლუბში — „ფრაიბურგში“ გააგრძელებს. მოგეხსენებათ, თბილისის „დინამოს“ ყოფილი კაპიტანი უკანასკნელ ხანს თურქული „სამსუნსპორის“ კუთვნილებად ითვლებოდა, თუმცა თურქულ კლუბში კიკნაძის კარიერა არა და არ აეწყო ისე, როგორც ფეხბურთელსა და თავად თურქებს სურდათ. ტრავმებს კლუბის ხელმძღვანელობასთან უსიამოვნებაც დაერთო და შედეგად კიკნაძემ თურქეთი დატოვა. ქართველმა ნახევარმცველმა „ფრაიბურგთან“ წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა და სავარაუდოა, რომ ახალი გუნდის ძირითად შემადგენლობაში დამდეგი წლის იანვარ-თებერვლიდან გამოჩნდება.

# „ჩელსის“ დავიდსი სჭირდება



ინგლისური საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ლონდონის „ჩელსი“ დაინტერესებულია, ტურინის „იუვენტუსისაგან“ შეიძინოს ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველი ედგარ დავიდსი. შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ „ჩელსიმ“ შოტლანდიურ „გლაზგო რეინჯერსში“ გაყიდა ნორვეგიელი ფორვარდი ტორე ადრე ფლო, მის სანაცვლოდ კი $22.000.000 მიიღო. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ამ თანხას „არისტოკრატები“ დავიდსის შესაძენად გამოიყენებენ. გაირკვა ისიც, რომ „ჩელსი“ მზადაა, ჰოლანდიელი ნახევარმცველის საფასურად „ბებერ ქალბატონს“ 20 მილიონი ფუნტი სტერლინგი გადაუხადოს.

# ბრაზილიაში ყველაზე მეტად უხეშობენ

ახლახან გაირკვა, რომ ბრაზილიური ფეხბურთი არამარტო ყველაზე მიმზიდველი, არამედ ყველაზე უხეშიც ყოფილა მსოფლიოში. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ბრაზილიის შტატის სან-პაულუს ჩემპიონატში მსაჯები, თითოეულ მატჩში, საშუალოდ 55(!) წესის დარღვევას აფიქსირებენ. შედარებისთვის: ევროპის ჩემპიონატებში წესების დარღვევა საშუალოდ 30-35%-ით ნაკლებია.

# ხავიერ კლემენტე „ოლიმპიკში“



ესპანეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი — ბასკი ხავიერ კლემენტე, რომელიც თანამდებობიდან ორიოდე წლის წინ გადააყენეს, მარსელის „ოლიმპიკის“ თავკაცად დაინიშნა. ერთ დროს ტიტულოვანი „ოლიმპიკი“, რომელიც რამდენიმე წლის წინ ჩემპიონთა თასსაც კი ფლობდა, ამჟამად ღრმა კრიზისშია და საფრანგეთის არცთუ ძლიერი ჩემპიონატის ცხრილში „გასავარდნ ზონაში“ იმყოფება. ახალი მწვრთნელი მეტად ოპტიმისტურადაა განწყობილი და მიზნად ევროთასების საგზურებისათვის ბრძოლა დაუსახავს. „ოლიმპიკმა“ ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით პირველი მატჩი შინ — საკუთარ „ველოდრომზე“ გამართა და ერთ დროს მასავით ტიტულოვან „სენტ ეტიენს“ 2:1 მოუგო.

# რებროვი პრემიერლიგაში მეთვრამეტე ფორვარდია

უკრაინის ნაკრების ფორვარდი სერგეი რებროვი ყველაზე ნაკლებსასარგებლო მოთამაშე ყოფილა ინგლისის პრემიერლიგის ძვირად ღირებულ თავდამსხმელთაგან. ბრიტანელმა სტატისტიკოსებმა გამოიანგარიშეს, რომ რებროვს საშუალოდ 4 საათში ერთხელ გააქვს გოლი. შედეგიანობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღებოდა არა მხოლოდ გატანილი გოლები, არამედ დარტყმები და კარში მოხვედრის პროცენტული მაჩვენებელიც. ამ უცნაურ რეიტინგში პირველ ადგილზე „ლივერპულელი“ ემილ ჰესკი გავიდა, მეორეზე ალან შირერი „ნიუკასლიდან“. შემდეგ მოდიან ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი „ჩელსიდან“ და „მანჩესტერელი“ დუაიტ იორკი. სერგეი რებროვი ამ სიაში მხოლოდ მეთვრამეტეა.

# სერა ფერერი „ბარსელონას“ არ დატოვებს

კატალონიის „ბარსელონას“ პრეზიდენტმა, ხუან გასპარმა უარყო ინფორმაცია კლუბის მწვრთნელის, ლორანს სერა ფერერის შესაძლო გადადგომის შესახებ. მას შემდეგ, რაც „ბარსამ“ ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის ბარიერი ვერ დაძლია და შინაურ ჩემპიონატშიც რამდენიმე სამარცხვინო მარცხი იგემა, ესპანურ პრესაში სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმოდა მოწოდებები ფერერის გუნდიდან გაგდების შესახებ. ჟურნალისტები მისი შესაძლო შემცვლელების ვინაობასაც კი ასახელებდნენ, თუმცა სულ ტყუილად. გასპარმა განაცხადა, რომ „ბარსელონას“ მიზანი წლეულს პრიმერადივიზიონის, ესპანეთის თასისა და უეფას თასის მოპოვებაა. დროებით წარუმატებლობას კი პრეზიდენტი არა მწვრთნელის დაბალკვალიფიციურობით, არამედ მაღალი კლასის მოთამაშეთა ნაკლებობით ხსნის და მიიჩნევს, რომ აუცილებელია, კლუბმა სატრანსფერო პოლიტიკა გააუმჯობესოს. შეგახსენებთ, რომ სეზონის წინ „ბარსელონამ“ დიდძალი თანხა დახარჯა მარკ ოვერმარსის, ემანუელ პეტის, ხერარდ ლოპესისა და ივან დელაპენიას შესაძენად. როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

# მაიკლ ჯონსონი კარიერის დასრულებაზე ფიქრობს



ერთ-ერთი გერმანული ტელეარხისათვის მიცემულ ინტერვიუში ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა, 400 მ-ზე სირბილში, ამერიკელმა მაიკლ ჯონსონმა განაცხადა, რომ კარიერის დასრულებას უახლოეს მომავალში აპირებს. სავარაუდოა, რომ მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც 2001 წელს უნდა გაიმართოს კანადის ქალაქ ედმონტონში, მაიკლ ჯონსონის გარეშე ჩაივლის. „ჯერ კარგად უნდა მოვიფიქრო, სად და რომელ შეჯიბრებაზე დავასრულო კარიერა. თუმცა ერთი რამ დანამდვილებით ვიცი — სარბენ ბილიკს გამარჯვებული დავტოვებ“, — განაცხადა ლეგენდარულმა მძლეოსანმა.

მსოფლიო სპორტი
ფასი 20 თეთრი
ყოველ კვირას, სამშაბათს და ხუთშაბათს
სპორტული გაზეთი ტოტალიზატორის მოყვარულთათვის და არა მარტო მათთვის
უახლესი სპორტული ინფორმაცია, მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატებისა და ჩემპიონთა ლიგის შედეგები და მიმოხილვა, სტატისტიკა, ფსონები, ცხრილები, ინტერვიუები, კურიოზები, სპორტული კროსვორდები, მთელი კვირის სპორტული TV პროგრამა, ფერადი პლაკატი და სხვ.
ინფორმაცია ჩვენი, წარმატება თქვენი!

# ათასწლეული არგენტინელებმა «დახურეს»



ექვსი წელიწადია, საკონტინენტთაშორისო თასს სამხრეთ ამერიკისაკენ აღარ „გაუხედავს“. სამშაბათს ამერიკელთათვის უსიამოვნო სერია შეწყდა. ლიბერტადორესის თასის მფლობელმა, დიეგო მარადონას სათაყვანებელმა კლუბმა — არგენტინის „ბოკა ხუნიორსმა“ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულს — მადრიდის „რეალს“ სძლია და მსოფლიო საკლუბო ფეხბურთის ყველაზე ძვირფასი ჯილდო არგენტინის გზას გაუყენა.

თამაშის ბედი პირველ 20 წუთში გადაწყდა. მატჩი ხეირიანად დაწყებულიც არ იყო, როცა „ბოკას“ ლიდერი მარტინ პალერმო „სამეფო კლუბის“ მცველებს დაუძვრა და ახლო მანძილიდან ანგარიში გახსნა. გაშვებულმა გოლმა მადრიდელები ოდნავ დააბნია, შედეგად ხუთიოდე წუთში იმავე პალერმომ ანგარიში ორამდე გაზარდა. ამის შემდეგ „რეალი“ თავის თავს დაემსგავსა და იერიშები მხოლოდ არგენტინელთა კარისაკენ ხორციელდებოდა. რობერტო კარლოსმა ჯერ ყუმბარისებური დარტყმით შეაზანზარა „ბოკა ხუნიორსის“ კარის ძელი, მეთორმეტე წუთზე კი ანგარიშში სხვაობა შეამცირა. ეს იყო და ეს. გოლი ამ თამაშში აღარ გასულა, „რეალს“ რამდენჯერმე შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, რაულმა გოლიც კი გაიტანა, მაგრამ კოლუმბიელმა არბიტრმა რატომღაც არ ჩაუთვალა. თამაშის ბოლოს პალერმოს ჰეთ-თრიკის გახერხებაც შეეძლო, თუმცა მის დარტყმულს კასილიასი დაუხვდა მარჯვედ.

თამაშის შემდეგ ესპანელთა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ მეტოქის დაუფასებლობა აღიარა, მსაჯსაც გაჰკრა კბილი და მეტოქის გამარჯვება შემთხვევითობით ახსნა — ფეხბურთში ყველაფერი ხდებაო. მარტინ პალერმო აღტაცებას ვერ მალავდა : „ეს გამარჯვება არა მარტო „ბოკა ხუნიორსს“, არამედ მთელ არგენტინელ ერს ეკუთვნის, ჩვენ დავამტკიცეთ რომ არგენტინული ფეხბურთი საუკეთესოა მსოფლიოში“. საინტერესოა, რომ ტოკიოში შეკრებილი 51.000 გულშემატკივრიდან, უმრავლესობა არგენტინელებს უჭერდა მხარს. ბუენოს აირესში მთელი ღღელამე ზეიმობდნენ ისტორიულ გამარჯვებას. მატჩის საუკეთესო მოთამაშისათვის დაწესებული პრიზი — უახლესი მოდელის „ტოიოტას“ ჯიპი მარტინ პალერმოს გადაეცა.

ამ გამარჯვებით სამხრეთამერიკელებმა კიდევ უფრო გაზარდეს უპირატესობა ევროპელებთან, ამ თასის არსებობის მანძილზე (1960 წლიდან) ევროპელებს 18-ჯერ აქვთ მოპოვებული საკონტინენტთაშორისო თასი, სამხრეთამერიკელებს — 21-ჯერ. ყველაზე მეტჯერ ამ ჯილდოს „მილანი“ და ურუგვაის ორი კლუბი „ნასიონალი“ და „პენიაროლი“ ფლობდნენ (სამ-სამჯერ). „ტოიოტას“ პრიზი კი ორჯერ არც ერთ ფეხბურთელს არ მოუპოვებია. გაგაცნობთ ყველა ფინალის შედეგს, მოყოლებული 1990 წლიდან.

| | |
|---|---|
| 1990 | მილანი (იტალია) — ოლიმპია (პარაგვაი) 3:0 |
| 1991 | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლ.) — კოლო კოლო (არგენტინა) 3:0 |
| 1992 | სან პაულუ (ბრაზილია) — ბარსელონა (ესპანეთი) 2:1 |
| 1993 | სან პაულუ (ბრაზილია) — მილანი (იტალია) 3:2 |
| 1994 | ველეს სარსფილდი (არგენტინა) — მილანი (იტალია) 2:0 |
| 1995 | აიაქსი (ჰოლანდია) — გრემიო (ბრაზილია) 0:0 (პენ. 4:3) |
| 1996 | იუვენტუსი (იტალია) — რივერ პლეიტი (არგენტინა) 1:0 |
| 1997 | ბორუსია დ. (გერმანია) — კრუზეირო (ბრაზილია) 2:0 |
| 1998 | რეალი (ესპანეთი) — ვასკუ და გამა (ბრაზილია) 2:1 |
| 1999 | მანჩესტერი (ინგლისი) — პალმეირასი (ბრაზილია) 1:0 |
| 2000 | ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) — რეალი (ესპანეთი) 1:0 |

# „ფრაიბურგი“ აღარ ხუმრობს

შაბათ-კვირას მორიგი ტურები გაიმართა ევროპის მოწინავე საფეხბურთო ქვეყნების ჩემპიონატებში. გერმანიის ბუნდესლიგის 15-ე ტურში წარმატებით იასპარეზა ორივე იმ კლუბმა, სადაც ქართველი ლეგიონერები გამოდიან. „კიოლნმა“ საკუთარ სტადიონზე 4:0 გაანადგურა მიუნხენ — 1860. ერთი გოლი არჩილ არველაძემაც გაიტანა. მეტად საპატიო ფრეს მიაღწია „ფრაიბურგმა“ — სტუმრად ბერლინში „ჰერტასთან“, მატჩი 2:2 დასრულდა, ბერლინელთა კარში ერთი გოლი ლევან კობიაშვილმა გაიტანა პენალტით. მან სრული 90 წუთი ითამაშა, იაშვილი ფინკემ მეორე ტაიმში შეიყვანა, რაც შეეხება ცქიტიშვილს, მას ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია. აღსანიშნავია, რომ ფრაიბურგმა ბოლო სამ შეხვედრაში მეხუთე ქულა მოიპოვა, მათ შორის ერთ-ერთი წინა ტურში მიუნხენის „ბაიერნთან“. ტურის ცენტრალური მატჩი კი მიუნხენში გაიმართა, სადაც „ბაიერნმა“ ლევერკუზენის „ბაიერს“ მოუგო 2:0. „ბაიერნი“ მთელი 90 წუთი უდიდეს უპირატესობას ფლობდა და შეიძლებოდა ანგარიში ორჯერ ან სამჯერ დიდიც ყოფილიყო.



კარსტენ იანკერი პირველ გოლს ზეიმობს

პატარა სენსაცია მოახდინა გიორგი ქინქლაძის „დერბი ქაუნთიმ“. ქართველი ლეგიონერის არყოფნაში „ცხვრებმა“ სტუმრად მოუგეს „იფსვიჩს“. შეგახსენებთ, რომ აქამდე „დერბის“ არათუ სტუმრად, შინაც ერთადერთი მატჩი მოეგო.

მორიგ მატჩში გაიმარჯვა თემურ ქეცბაიას „ვულვერჰემპტონმაც“. „მგლების“ რიგებში ამჯერად არც ქეცბაიას უთამაშია.

საკონტინენტთაშორისო თასის წამგებმა მადრიდის „რეალმა“ „ანდერლეხტთან“ მნიშვნელოვანი მატჩის წინ სტუმრად მოუგო „ოსასუნას“ 3:2, კვლავ ვერ მოიგო „ბარსელონამ“, რომელიც ვიგოში „სელტას“ დაუზავდა — 3:3. გიორგი ნემსაძის „დანდიმ“ შინ 1:1 ითამაშა „სენტ ჯონსონთან“, ქართველმა ნახევარმცველმა მთელი მატჩი ითამაშა, ფრედ 1:1 დაასრულა მორიგი შეხვედრა გელა შეყილაძის „ლიერსმაც“, რომელიც ასევე შინ დაუზავდა „ბეერსხოტს“.

# ერიქსონი ინგლისელებს ჯერჯერობით ვერ დაეხმარება

პრემიერლიგის კლუბ „ლესტერის“ თავკაცი პიტერ ტეილორი ოფიციალურად დაინიშნა ინგლისის ეროვნული ნაკრების მწვრთნელად, თუმცა მხოლოდ 2001 წლის ივლისამდე. აქედან გამომდინარე, სწორედ ტეილორი უთავკაცებს ინგლისელებს შესარჩევი ტურნირის სამ უმნიშვნელოვანეს მატჩში, რომელიც გუნდმა ივლისამდე უნდა გამართოს. მოგეხსენებათ, 1 ივლისიდან ინგლისის ნაკრებს „ლაციოს“ ამჟამინდელი თავკაცი სვენ გორან ერიქსონი ჩაიბარებს. ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია ცდილობდა, როგორმე დაეყოლიებინა „ლაციოს“ ხელმძღვანელობა, ერიქსონი მანამდე გაეთავისუფლებინა, მაგრამ ამაოდ. შვედს რომაულ კლუბთან 30 ივნისამდე აქვს კონტრაქტი გაფორმებული, მანამდე კი კლუბის პრეზიდენტი სერჯიო კრანიოტი შვედის გაშვებას არ აპირებს.

„თავდაპირველად იმედი მქონდა, რომ ინგლისის ნაკრებს ფინეთთან, ალბანეთთან და საბერძნეთთან მატჩებში დავეხმარებოდი, რას ვიზამ, ვალდებული ვარ გავითვალისწინო იმ გუნდის ინტერესები, რომელთანაც კონტრაქტი მაკავშირებს, იმედია ინგლისის ნაკრები აღნიშნულ სამ თამაშში უჩემოდაც მიაღწევს წარმატებას“— ნათქვამია სვენ გორან ერიქსონის მიმართვაში ინგლისის ფეხბურთის ასოციაციისადმი.

# რონალდო დაბრუნებას ივნისისათვის გეგმავს

მილანის „ინტერისა“ და ბრაზილიის ნაკრების ბოლო ხანს მივიწყებული ვარსკვლავი რონალდო უახლოეს ორ კვირაში დატოვებს ბარიცას გამაჯანსაღებელ ცენტრს და ვარჯიშს შეუდგება. შეგახსენებთ, რომ მეორე წელია რონალდო უმძიმეს ტრავმას მკურნალობს. ბრაზილიელის მკურნალმა ექიმმა ფრანკო კომბიმ განაცხადა, რომ გამოკვლევის თანახმად, რონალდოს გამოჯანმრთელება მოსალოდნელზე უკეთესი ტემპით მიმდინარეობს და შესაძლოა, ფეხბურთელმა უკვე ივნისიდან დაიწყოს ინტენსიური ვარჯიში. ბარიცას ბრაზილიელი დეკემბრის შუა რიცხვებისათვის დატოვებს და საშობაოდ სამშობლოში გაემგზავრება, იანვრიდან კი კლუბის განკარგულებაში იქნება.

# მბომა საუკეთესო აფრიკელია

2000 წლის აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს იტალიური „პარმას“ 30 წლის თავდამსხმელი პატრიკ მბომა. გამოკითხვაში, რომელიც აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ ჩაატარა, მან საგრძნობლად აჯობა მეორე და მესამე ადგილებზე გასულ ფეხბურთელებს, თანამემამულეებს ლორენ მეიერსა და ჯერემი ნჯიტაპს. აფრიკის „ოქროს ბურთის“ შარშანდელი მფლობელი, ლონდონის „არსენალის“ ნიგერიელი ფორვარდი ნვანკო კანუ წელს მხოლოდ მეხუთე ადგილზე გავიდა.



საინტერესოა, რომ მბომას აღიარებამდე კამერუნელი ფეხბურთელები ათი წლის განმავლობაში არ გამხდარან საუკეთესონი „შავ კონტინენტზე“. უკანასკნელად აფრიკის საუკეთესო მოთამაშის ტიტული კამერუნელებს 1990 წელს ერგოთ, 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ გმირს, ლეგენდარულ როჟე მილას სერიოზული კონკურენტი მაშინ არ ჰყოლია.

პირველი სერიოზული კონტრაქტი მბომამ ფრანგულ „პარი სენ ჟერმენთან“ გააფორმა, ამის შემდეგ თამაშობდა „შატორუსა“ და „მეცში“, საიდანაც იაპონიის „ჯეი ლიგაში“ გადავიდა. 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მბომა იტალიის „კალიარიმ“ მიიწვია, რომელიც იმხანად სერია „A“-ში გამოდიოდა. მოგეხსენებათ „კალიარიმ“ იტალიის უმაღლესი დივიზიონი დატოვა, მბომა „პარმაში“ გადავიდა და ალბერტო მალესანის გუნდის თავდასხმის ერთ-ერთ ლიდერად იქცა.

# რატომ დარბიან კენიელები სხვებზე სწრაფად

საინტერესო გამოკვლევა ჩაატარეს დანიის სპორტის ინსტიტუტის მედიკოსებმა. ისინი 18 თვის მანძილზე იმყოფებოდნენ კენიაში, რათა აეხსნათ, თუ რაში მდგომარეობს საიდუმლო იმისა, რომ კენიელ მორბენლებს მთელ დედამიწაზე ბადალი არ ჰყავთ.

მეცნიერები გამოკვლევას კალენჯანის პროვინციის ქალაქ ელდორეტეში ატარებდნენ, ჩრდილო-დასავლეთ კენიაში. ამ პროვინციაში დასახლებული ტომების წარმომადგენლებია უმრავლესობა იმ მორბენალთა შორის, რომლებმაც თავიანთ ქვეყანას სახელი გაუთქვეს. სწორედ იქ დაადასტურეს დანიელმა მედიკოსებმა კენიელთა მიდრეკილება სწრაფი სირბილისადმი და საოცარი გამძლეობა სარბენ ბილიკებზე.

ბრიტანულ ტელევიზიაში მომზადებულ სპეციალურ გადაცემაში დანიელმა მეცნიერებმა განაცხადეს, რომ კენიელები ევროპელებისაგან განსხვავდებიან იმით, რომ მათი გულისცემა თეთრკანიანებთან შედარებით ბევრად ნელია. ეს ფენომენი დანიელებმა კენიელთა სპეციფიკური საცხოვრებელი პირობებით ახსნეს, ქალაქი ელდორეტე ზღვის დონიდან 2130 მეტრის სიმაღლეზე იმყოფება, ასეთ სიმაღლეზე აფრიკელთა სისხლში გამომუშავდება წითელი ბურთულების დიდი რაოდენობა (სწორედ ამისათვის იყენებენ სპორტსმენები დოპინგს), შედეგად ორგანიზმი მეტ ენერგიას გამოიმუშავებს. ამას დაერთო ისიც, რომ კენიელთა ნაბიჯის სიგრძე გაცილებით დიდია, ვიდრე ევროპელებისა. ასე რომ, თუ დანიელ მეცნიერებს დავუჯერებთ, მსოფლიო სარბენ ბილიკებზე უახლოეს წლებშიც კენიელ სტაიერთა ბატონობას უნდა ველოდოთ.

# პუტინი რუსეთის ოლიმპიურ ნაკრებში?



რუსულ საინფორმაციო საშუალებებს თუ დავეყრდნობით, სავსებით შესაძლებელია, რუსეთის ძიუდოისტთა ოლიმპიურ ნაკრებში ფრიად გავლენიანი პირი აღმოჩნდეს — თავად რუსეთის პრეზიდენტი — ვლადიმირ პუტინი! რუსეთის ძიუდოისტთა ფედერაციის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ვლადიმირ პუტინის ამჟამინდელი საჭიდაო ოსტატობა სრულიად შეესაბამება ნაკრების დონეს, უფრო მეტიც — რუსული ძიუდოს პირველმა კაცმა ისიც კი თქვა, ამ წონით კატეგორიაში (60კგ) ვლადიმირ პუტინს მთელ რუსეთში ბადალი არ ჰყავსო. ვერ გეტყვით მიიღებს თუ არა რუსეთის პრეზიდენტი ძიუდოისტთა ნაკრების მიწვევას, მაგრამ ფაქტია — ამ სპორტისადმი პუტინის დიდმა სიყვარულმა, ძიუდო ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ საჭიდაო სახეობად აქცია რუსეთში. სტატისტიკოსებმა გამოიანგარიშეს, რომ უკანასკნელ 2 წელიწადში რუსეთში ძიუდოისტთა რიცხვი ორჯერ გაიზარდა.

ცნობილი გახდა ისიც, რომ ვლადიმირ პუტინმა უარი განაცხადა „ძიუდოს სახელმძღვანელოს“ ჰონორარის მიღებაზე, პუტინი წიგნის ერთ-ერთი თანაავტორია და თვლის, რომ უმჯობესია მისი წილი თანხა ამ სპორტის განვითარებას მოხმარდეს.

**გერმანია. ბუნდესლიგა**

**XV ტური**

- კიოლნი-მიუნხენი 4:0
- შტუტგარტი - დორტმუნდი 0:2
- ვოლფსბურგი — შალკე 2:0
- ბოხუმი — აინტრახტი 2:1
- ჰერტა — ფრაიბურგი 2:2
- ბაიერნი — ლევერკუზენი 2:0
- უნტერხახინგი-ვერდერი ნისლის გამო გადაიდო

**ინგლისი — პრემიერლიგა**

**XVI ტური**

- მანჩესტერი — ტოტენჰემი 2:0
- არსენალი — საუთჰემპტონი 1:0
- ლივერპული — ჩარლტონი 3:0
- ასტონ ვილა — ნიუკასლი 1:1
- ლესტერი — ლიდსი 3:1
- ვესტ ჰემი — მიდლსბრო 1:0
- ბრედფორდი — ქოვენთრი 2:1
- იფსვიჩი — დერბი ქაუნთი 0:1

**იტალია. სერია A**

**IX ტური**

- ლაციო-რეჯინა 2:0
- პარმა — ატალანტა 2:0
- ბოლონია — ვიჩენცა 1:1
- ვერონა — ბრეშა 2:1
- ნაპოლი — ბარი 1:0
- პერუჯა — რომა 0:0
- უდინეზე — მილანი 0:1
- ლეჩე — ფიორენტინა 1:1

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

**XIX ტური**

- მეცი-ლიონი 0:0
- ბასტია — ოსერი 3:1
- ტრუა — ბორდო 1:0
- ნანტი — გენგამი 2:1
- რენი — ლილი 2:0
- სედანი — პ.ს.ჟ. 5:1
- მონაკო — სტრასბურგი 1:0
- სტ. ეტიენი — ტულუზა 1:0

CMYK

## არქეოლოგი მელა

### (ნამდვილი ამბავი)



თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია ოთარ ტყეშელაშვილის ხელმძღვანელობით, 50-იანი წლების პირველ ნახევარში სადაზვერვო არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა საქართველოს დედაქალაქის მიდამოებში. ექსპედიციამ მიაკვლია ძველი მატერიალური კულტურის ძეგლებს, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა სოფელ დიღმისკენ მიმავალი შარაგზის მახლობლად მდებარე გორაკი, ე.წ. „ნატბეების გორა“. ამ გორაკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ფერდობზე, მელას სოროები გაუთხრია, თხრის დროს მიწასთან ერთად ძველი ნივთებიც გამოუყრია. ამ ნივთებს შორის იყო გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები — ნაწილი ნაცრისფერი, უმეტესობა კი — შავად გამომწვარი. ჭურჭლის ნატეხები სხვადასხვა ხანის ორნამენტებითაა შემკული. დამზადების ტექნიკის მიხედვით მელას მიერ აღმოჩენილი ჭურჭელი წააგავდა მცხეთაში სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ გვიანი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის ჭურჭელს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა მელას მიერ აღმოჩენილი სპილენძის მონეტა. იგი ბერძნული წარმოშობისაა. დამზადების ტექნიკის მიხედვით თარიღდება ძვ. წ. აღ-ის V- საუკუნეებით. ამ მონეტის აღმოჩენის ფაქტმა კიდევ ერთი საბუთი მისცა სპეციალისტებს, ძველი იბერიის სახელმწიფოსა და მისი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ მეზობელ სახელმწიფოებთან ძვ. წ. V- საუკუნეებში.

ნატბეების გორა ძველი ნამოსახლარია, რომელიც დასახლებული იყო, ძვ. წ. აღ-ის ათასწლეულის ბოლოდან ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების ჩათვლით. და ამ ფრიად მნიშვნელოვანი ძეგლის მიკვლევაში დიდი დამსახურება მიუძღვის „არქეოლოგ“ მელას. მან სოროს გათხრისას ძველი ნივთიერი კულტურის ნაშთები ზედაპირზე ამოყარა და თავისდა უნებურად, მეტად საინტერესო ძეგლი აღმოაჩინა.

***გალაქტიონ ტაგანაშვილი***

## რენესანსის სავიზიტო ბარათი



იტალიის ხელისუფლებამ უნიკალური პროექტი შეიმუშავა, — განაცხადა ქვეყნის კულტურის მინისტრმა ჯოვანა მელანდრიმ. 200 წლის მანძილზე პირველად სარესტავრაციოდ გაიგზავნება მოსეს ქანდაკება, რომელიც მიქელანჯელოს ერთ-ერთ საუკეთესო ქმნილებად არის აღიარებული.

მარმარილოს ქანდაკებაზე მუშაობას მიქელანჯელომ 15 წელი მოანდომა. მოსე არის პაპ იულიუს -ის საფლავის ანსამბლის ნაწილი, რომელიც დიდმა შემოქმედმა 1545 წელს შექმნა. იგი სან-პიერო ინ ვინკოლის (რომი) ეკლესიაში დგას. ამ ნამუშევრის გამო მიქელანჯელო არაერთხელ გაუკრიტიკებიათ, პაპთან უთანხმოებაც კი მოუვიდა, რის შედეგადაც დატოვა რომი და ფლორენციაში გადავიდა. თუმცა, მალევე დაბრუნდა, რათა დაესრულებინა სასაფლაოს მონუმენტური კომპლექსი. მაგრამ, პონტიფიკატის ფინანსურმა გაჭირვებამ არ მისცა საშუალება, გრანდიოზული ჩანაფიქრი განეხორციელებინა. თუმცა, მოსე უამისოდაც რენესანსის სავიზიტო ბარათად არის მიჩნეული. ქანდაკების რესტავრაცია გაისად, იანვარში დაიწყება და 10 თვეს გასტანს. ძეგლის აღსადგენად საჭიროა 540 მილიონი ლირა (241.000 დოლარი).

***კომსომოლსკაია პრავდა***

## კლონირებული ბრილიანტები



ბოლო დროს ლაბორატორიებში მიღებულ ბრილიანტებს, ზურმუხტს, საფირონსა და ლალს პროფესიონალი იუველირიც კი ვერ გაარჩევს წმინდა წყლის სპეკალისგან და ეს შეძლეს მეცნიერებმა.

კლონირებული ძვირფასი თვლები ათი თვის მანძილზე იქმნება. ბუნებრივისგან განსხვავებით მცირე ზადიც კი არა აქვთ. გარდა ამისა, ლაბორატორიულ პირობებში შესაძლებელია ნებისმიერ ფერთა გამის, ფორმისა და ზომის მიღება. სინჯარიდან გამოაქვთ პირდაპირ ბუდეში ჩასასმელად მზა თვალი, რომელსაც დამატებითი დაწახნაგება არ ესაჭიროება. კლონირებული ბრილიანტები ძალიან მაღალხარისხოვანია და შეძლებულ მყიდველთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. მაგალითად, მილიონერ დონალდ ტრამპის მეუღლემ საქორწინო (რვაკარატიანი) ბრილიანტი 110 ათას დოლარად გაყიდა და მის სანაცვლოდ ბეჭდის კლონირებული ასლი შეიძინა — 400 დოლარად. მისი ახალი ბეჭედი, გაუმჯობესებული ფორმულის წყალობით, უფრო მეტად ბრწყინავს.

იუველირთა აზრით, მამაკაცები მომავალშიც მიართმევენ სათაყვანო ქალებს ბრილიანტის და ზურმუხტის სამკაულებს, მაგრამ ნამდვილს თუ კლონირებულს, ეს დამოკიდებული იქნება მათი გრძნობების სიძლიერეზე.

***იზვესტია №213***

## რა ვერ გაიყვეს და-ძმა რობერტსებმა?

ის, რომ და-ძმა ხშირად ვერ ეგუება ერთმანეთს, ყველასათვის ცნობილია. ჰოლივუდში მსგავსი რამ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება. არც 32 წლის ჯულია და 44 წლის ერიკ რობერტსები არიან გამონაკლისები.

უთანხმოება 1986 წელს დაიწყო. მაშინ ჯულია 18 წლის იყო, ის ნიუ-იორკში ჩაფრინდა ძმასთან, რომელიც იმ დროს უკვე ცნობილი მსახიობი იყო. ერიკი დაეხმარა დას, მიეწვიათ ფილმში „წითელი სისხლი“. დღეს ჯულია თითოეულ ფილმში 20 მილიონ დოლარზე ნაკლებს არ იღებს. სრული ბედნიერებისთვის არაფერი აკლია. ალბათ, ასეც იქნებოდა, რომ არა ერიკი, რომელსაც ახლა მაინცდამაინც კარგად არ მისდის საქმე და წამდაუწუმ საყვედურობს დას — როცა მჭირდებოდა, ჩემ გვერდით არასოდეს ყოფილხარ, მე კი თავის დროზე გზაზე დაგაყენეო. ერიკი მხოლოდ მეორეხარისხოვან როლებს თამაშობს საშუალო დონის ფილმებში. ერთი ხანობა თავის მოკვლაც სცადა. მერე ნარკოტიკებს მიეძალა. ამ ცოტა ხნის წინ კი განაცხადა, ვიმკურნალე და გამოვსწორდიო. ახლა ეკრანზე დასაბრუნებლად მას და სჭირდება, რომელსაც ნაცნობობაც აქვს და ფულიც.

უკვე 10 წელია და-ძმა ერთმანეთს არ ელაპარაკება. ერიკი ამბობს, რომ ბავშვობაში დედა ყოველდღე სცემდა, ხოლო ჯულიას ანებივრებდა და მაინც, მათ აქვთ შერიგების შანსი. ჯულიამ ძმისშვილს — 4 წლის ემას როლი უშოვა ფილმში, სადაც გოგონას პარტნიორი იყო თავად ჯონი დეპი. დეკემბრის დასაწყისში ფილმის პრემიერაზე ერიკი და ჯულია ერთად მივიდნენ, თუმცა, ერთმანეთს არ დალაპარაკებიან...

***პოსლედნიე ნოვოსტი №47***

## მსოფლიოში

### ერთადერთი კოლექცია



პრინცმა ჩარლზმა უნიკალურ მცენარეთა ბანკის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე ლენტი გაჭრა. მიწისქვეშა ლაბორატორიაში ინახება 300 მლნ სხვადასხვა სახის მცენარე, რომელთაგან 4,5 ათასი წითელ წიგნშია შეტანილი. ფლორის ასეთი დიდი კოლექცია მსოფლიოში ერთადერთია. აღსანიშნავია, რომ ექსპონატები დაცულია ყოველგვარი ფორს-მაჟორული გარემოებისგან. შენობა ისე მტკიცეა, რომ წყალდიდობა კი არა, ბომბის აფეთქებაც ვერაფერს დააკლებს.

პრინცი ჩარლზი დაინტერესდა სელექციონერთა შრომით; იგი გაეცნო მუშაობის ყველა დეტალს. ბოლოს, გადაწყვიტა, თვალყური ედევნებინა ორქიდეას განსაკუთრებული ჯიშის „დაძინებისთვის“. პრინცმა მწუხარებით აღნიშნა, რომ გარე სამყაროს მოწამვლის შედეგად 100 ათასი მცენარე აღიგავა პირისაგან მიწისა. პრინცი და ცერემონიის მონაწილენი დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მცენარეთა საცავის შექმნის იდეას გაავრცელებენ.

***ნოვიე იზვესტია №213***

## ეიზენჰაუერის საიდუმლო ბრძანება



დამოუკიდებელი კონგოს პირველი პრემიერ-მინისტრის პატრის ლუმუმბას ლიკვიდაციის თაობაზე ამერიკის პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა პირადად გასცა განკარგულება. ამის დასტურია ახლახან მიკვლეული საარქივო მასალები. სხდომის სტენოგრაფისტის რობერტ ჯონსონის თქმით, კონგოში არსებული სიტუაციის განხილვის შემდეგ ეიზენჰაუერი მიუბრუნდა მაშინდელ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უფროსს ალენ დალესს და უთხრა, ლუმუმბა ლიკვიდირებულ უნდა იქნასო. ამას მოჰყვა პაუზა, რომელიც დაახლოებით 15 წამს გაგრძელდა, ხოლო შემდეგ კაბინეტის წევრებმა განაგრძეს დისკუსია. თეთრ სახლში მისვლისას ეიზენჰაუერმა მკაცრი წესი შემოიღო — სხდომების მხოლოდ შინაარსი გადაეცათ, არავითარი ციტატები! 1960 წლის სექტემბერში კონგოში საგანგებო დავალებით გაიგზავნა „სპეციალისტი“. მას უნდა ჩაეყარა საწამლავი ლუმუმბას საჭმელში, მაგრამ ამის საჭიროება აღარ იყო. ცსს-ს აგენტებს დაასწრეს ლუმუმბას მოწინააღმდეგეებმა: კონგოში მოაწყვეს ამბოხება და 1961 წლის 17 იანვარს მოკლეს იგი — მისი სხეული დაჩეხეს და ზედ გოგირდმჟავა გადაასხეს.

***ფავორიტი №21***

## ითქვა ის, რისი თქმისაც ეშინოდათ

ბოლოს და ბოლოს, ითქვა ის, რისი თქმაც უნდოდათ, მაგრამ ეშინოდათ თეთრკანიანებს.

აშშ-ში სენსაციაა — არნახული წარმატებით სარგებლობს ახლახან გამოსული წიგნი „ათი რამ, რაც არ შეიძლება ითქვას აშშ-ში“.

წიგნის ავტორი, ცნობილი ამერიკელი იურისტი ლარი ელდერი ამტკიცებს, რომ ამერიკაში შავები უფრო რასისტები არიან, ვიდრე თეთრკანიანები და ასახელებს ცნობილ პიროვნებებს. მაგალითად, ჰოლივუდის ყველაზე ძვირად ღირებული მსახიობი ვუპი გოლდბერგი აცხადებს, რომ მას ცოტას უხდიან მისი კანის ფერის გამო; დენზელ ვაშინგტონმა გადაღებების დროს უარი თქვა, ეკოცნა თეთრკანიანი მსახიობისათვის; რეპერი უილ სმიტი ამტკიცებს, რომ შიდსი თეთრებმა გამოიგონეს და ბოლოს, ცნობილმა ჰოლივუდელმა რეჟისორმა სპაიკ ლიმ დაგმო შერეული ქორწინებანი. ნებისმიერი მათგანის ადგილას თეთრკანიანები რომ ყოფილიყვნენ, ისინი საჯაროდ მოიხდიდნენ ბოდიშს და პასუხსაც აგებდნენ სასამართლოს წინაშე. მაგრამ, რადგან ისინი აფრიკელი ამერიკელები არიან, არავითარ აღშფოთებას არ აქვს ადგილი. ლარი ელდერის შენიშვნის სამართლიანობის კიდევ ერთ დასტურად მისი წიგნის გამოცემაც გამოდგება. წიგნის ავტორი რომ თეთრკანიანი ყოფილიყო, აშშ-ის პროგრესული ორგანიზაციები გამომცემლის ოფისის პიკეტირებას კარგა ხანია, დაიწყებდნენ. მაგრამ ლარი ელდერი აფრიკელი ამერიკელია და ამიტომ მისი წიგნის მიმართ პრეტენზიას არავინ აცხადებს.

***იტოგი №42***

## ახალი ვერსია ხეოფსის პირამიდის ამგებლის შესახებ

მეცნიერებს დღემდე აღელვებთ საკითხი, თუ ვინ ააგო გიზის დიდებული პირამიდები, განსაკუთრებით, ყველაზე სახელგანთქმული ხეოფსის პირამიდა. სეიდ ქერიმს, ეგვიპტის ისტორიის ვეტერანს მიაჩნია, რომ იგი ფარაონ ხეოფსის მიერ არ არის აგებული. მისი მშენებელი არის არქიტექტორი იმხოტეპი. ეს დასკვნა კი იმის საფუძველზე გააკეთა, რომ სახელი „ხუფუ“ ანუ „ხეოფსი“ 1924 წელს გამოჩნდა ბრიტანელი არქიტექტორის ჯონ დევისის მცდელობით. მან პირამიდის კედელზე აღმოაჩინა ფრაზა „ხნუმ ხეოფსი“, ამ სიტყვების გაშიფვრის შემდეგ ეგვიპტელი მეცნიერი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სიტყვა „ხნუმ“ ნიშნავს „ღმერთ-მფარველს“, ხოლო „ხუფუ“ — „დიდებულ ღმერთს“. ნიშნავს თუ არა ეს, რომ „ხუფუ“ ან ხეოფსი ამ პირამიდის მშენებელია? — სვამს კითხვას ქერიმი. მას მიაჩნია, რომ პირამიდა აგებული იყო არა როგორც აკლდამა, არამედ როგორც ობსერვატორია. ამ თეორიის დამადასტურებელია მასზე ამოტვიფრული იეროგლიფები, რომლის თარგმანი „ობსერვატორიას“ ნიშნავს. ამ თეორიას საფუძვლად დაედო ის ფაქტი, რომ ეგვიპტეში აღმოჩენილ ყველა პირამიდაზე გვხვდება იეროგლიფი „ბენ ბენ“, რაც პირამიდას ნიშნავს. ხეფრენის პირამიდა იეროგლიფების გაშიფვრის შემდეგ იწოდება „მუმიის სახლად“, ხოლო მიკერინის პირამიდა „აკლდამად“ — „სიკვდილის შემდგომ სახლად“. გაიზიარებენ თუ არა ამ ახალ ვერსიას ხეოფსის პირამიდის ამშენებლის შესახებ, ამას შემდგომი კვლევები დაადასტურებს.

***ფავორიტი №21***

## ასოციაცია



**თარაზულად**: 7. გემი, დირექტორი; 8. კედელი, ხალიჩა; 11. ბანქო, შარვალი; 13. ღვინო, მწნილი; 14. კლავიში, პედალი; 18. ანი, ომეგა; 19. პუგაჩოვა, დუდაევა; 21. სახელმწიფო, ატრიბუტი; 22. ხორუმი, ტანგო; 23. ჰოფმანი, ქალი; 24. ფეხბურთი, თამაშგარე; 26. კოლმეურნეობა, რაზმი; 30. მანქანა, ჩარდახი; 31. მიმი, თეატრი; 32. ქორბუდა, ცხოველი; 35. კვახი, კახეთი; 39. შაქარი, სოფელი; 40. იხვი, გურია; 41. გრიპი, გავრცელება; 42. ავრორა, გემი.

**შვეულად:** ხე, დატოტვა; 2. იოსელიანი, ქამუშაძე; 3. მოციქული, მესხეთი; 4. მერანი, მდევარი; 5. კუკარაჩა, უბანი; 6. ზღაპარი, ჯუჯა; 9. მიტინგი, ლექტორი; 10. თხილი, მიწა; 12. მიმინო, პროფესია; 15. მაჰათმა, ინდირა; 16. კრილოვი, ნამცხვარი; 17. სახრჩობელა, არენა; 20. სვანეთი, ღვეზელი; 25. არტემიდე, რომი; 27. თეატრი, ნათურა; 28. წიაღისეული, მეცნიერი; 29. ნუში, ლიქიორი; 33. გაცივება, ვირუსი; 34. ფანტომასი, მონტე-კრისტო; 36. კაპური, მაწანწალა, 37. ზღვა, ტრანსპორტი; 38. ვენახი, პლანტაცია.

**წინა კროსვორდის პასუხები**:

**თარაზულად**: 7. დუმბაძე; 8. ჟარგონი; 11. დარკი; 12. ედემი; 13. ღვინო; 14. ტუნდრა; 17. ტენორი; 18. პერსონალი; 19. ლიახვი; 21. ბისკაი; 23. პრესა; 25. შპიონი; 28. იგრეკი; 31. ვექტორი; 32. ეკრანი; 33. სტვირი; 35. ამალა; 39. რკინა; 42. კისტა; 43. ეროტიკა; 44. ვატმანი.

**შვეულად**: 1. კურკა; 2. ვაკე; 3. თელავი; 4. ეჟვანი; 5. არდი; 6. ანოდი; 9. მაიმუნი; 10. იმპერია; 15. აპისი; 16. კორექტურა; 17. ტიბრი; 20. ხბო; 22. სერ; 23. პრერია; 24. აფრიკა; 26. პიკნიკი; 27. ნონა; 29. გიტა; 30. კურორტი; 34. ანარა; 36. მარაო; 37. ლეკვი; 38. პიანო; 40. ტრიო; 41. ბატი.

## №48 (217) ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგს 732 რესპონდენტი ჰყავდა. 12 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 271-მა ქალმა და 449 მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელ სატელევიზიო არხს უყურებთ ყველაზე ხშირად?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველთა უმრავლესობა — 72 ყველაზე ხშირად „რუსთავი - 2-ს“ უყურებს; მხოლოდ 6-მა მკითხველმა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა. **8,37** საშუალო ქულით „რუსთავი - 2“ პირველ ადგილზეა. შემდეგ ადგილზე საქართველოს ტელევიზიის I არხია, საშუალო ქულაა 8,01. რესპონდენტთა 16-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 9 ქულით, მინიმალური კი დაახლოებით 3-მა დაუწერა. უნდა აღინიშნოს, რომ II არხი საერთო ქულების რაოდენობით მესამე ადგილზეა, მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით კი მას წინ უსწრებენ: „I სტერეო“, „აჭარის ტელევიზია“ და „IX არხი“. მხოლოდ ორმა მკითხველმა მიაკუთვნა მას მაქსიმალური — 9 ქულა („საქართველოს ხმასაც“ ზუსტად ორმა რესპონდენტმა დაუწერა 9 ქულა). ასევე, აღსანიშნავია, რომ მეოთხე ადგილზე გასული „კავკასია“ და მეშვიდეზე მყოფი „ევრიკა“ არც ერთ მკითხველს არ შეუფასებია მაქსიმალური ქულით.

ყველაზე მეტი მინიმალური ქულა წილად ხვდა „აჭარის ტელევიზიას“, მკითხველთა 68-მა დაუწერა მას 1 ქულა.

თუ გავიხსენებთ ანალოგიურ თემაზე ჩვენს ამასწინანდელ გამოკითხვას, ვნახავთ, რომ საპრიზო ადგილები უცვლელია — მაშინაც და ახლაც „რუსთავი - 2“ ლიდერობს, შემდეგ კი I და II არხები მოდის..

### ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲐᲠᲮᲔᲑᲘ




საპრიზოს ზუსტად 7 ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები: 63 წლის **ᲠᲔᲖᲝ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ,** 47 წლის **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲛᲦᲕᲓᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,** 75 წლის თერჯოლელი **ᲥᲝᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (ბარათზე სახელი არ იყო მითითებული), რუსთაველები: 36 წლის **ᲜᲐᲜᲐ ᲐᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ,** 30 წლის **ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ,** 50 წლის **ᲒᲔᲚᲐ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ** ზაჰესიდან და ერთიც — 50 წლის ინკოგნიტო **„ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ“.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 5 დეკემბერს, 17 საათზე („ქართველმა“ თან უნდა იქონიოს გაზეთი, საიდანაც ამოჭრა გამოსაგზავნი ქვითარი).

## №49 (218) ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ

**„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

### 100 ᲚᲐᲠᲘ

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲜᲣ ᲓᲐᲒᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲑᲐᲗ, ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲗ *მკითხველის რეიტინგში.*

**№49 (218) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 6 დეკემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 7 დეკემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

ᲗᲔᲛᲐ №49 (218) — ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ

**„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐ ᲓᲐᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲬᲝᲜᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№49(218) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲔᲑᲘ | ᲥᲣᲚᲐ |
|---|---|---|
| 1 | **რას გვეტყვით, მამაო (საოჯახო მართლმადიდებლური საკითხავი)** | |
| 2 | **საბალდო-სალადო** | |
| 3 | **ვინ ვარ მე?** | |
| 4 | **შტრიხები საკუთარი პორტრეტისათვის** | |
| 5 | **ავტოსალონი** | |
| 6 | **ჩვენ, ქართველები** | |
| 7 | **იბეჭდება პირველად (ლიტერატურული გვერდი)** | |
| 8 | **დედათბილისი** | |

*მკითხველის რეიტინგი* *

**ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲗ:**

**პლანეტის ყველაზე მომხიბვლელი თანამედროვე ქალი**

✓ ____________________

**პლანეტის ყველაზე მომხიბვლელი თანამედროვე მამაკაცი**

✓ ____________________

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲒᲕᲐᲠᲘ ____________________

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ (ᲠᲐᲘᲝᲜᲘ) ____________________

ᲐᲡᲐᲙᲘ ________ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ ________

**„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ ᲧᲣᲗᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲒᲕᲘᲐᲜ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲡ**

### *მკითხველის რეიტინგის შედეგები*

მკითხველის რეიტინგს 611 რესპონდენტი გამოეხმაურა. კითხვა ასეთი იყო: **„თქვენი აზრით, ვინ არის წლის ყველაზე „დიდი ცრუპენტელა?“**

როგორც ჩანს, დღეს ჩვენს მკითხველებს ყველაზე მეტად უშუქობა აწუხებთ და ვინც თავის დროზე მათ ოცდაოთხსაათიან ელექტროენერგიას დაჰპირდა და ეს დანაპირები არ შეასრულა, უმეტესად სწორედ ისინი დასახელდნენ წლის ყველაზე დიდ ცრუპენტელებად.

**ᲬᲚᲘᲡ ᲪᲠᲣᲞᲔᲜᲢᲔᲚᲐᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ ᲐᲡᲔᲗᲘᲐ:**

| | | |
|---|---|---|
| **1.** | **დავით მირცხულავა** | **21,8%** |
| **2.** | **ედუარდ შევარდნაძე** | **19,6%** |
| **3.** | **საქართველოს მოქალაქეთა კავშირი** | **11,0%** |
| **4.** | **მთავრობა** | **10,5%** |
| **5.** | **მაიქლ სქოული** | **5,2%** |
| **6.** | **პარლამენტი** | **2,6%** |
| **7.** | **ზურაბ ჟვანია** | **2,3%** |
| **8.** | **კახა თარგამაძე** | **1,0%** |
| **9.** | **ზურაბ ნოღაიდელი** | **0,7%** |
| **10.** | **ვანო ზოდელავა** | **0,5%** |

ერთმა მკითხველმა კი განაცხადა, რომ წლის ყველაზე დიდი ცრუპენტელები ჩვენ თვითონ ვართ, რადგანაც თავებს ვიტყუებთო...

## © · ᲤᲝᲢᲝᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ · ᲤᲝᲢᲝᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ · ᲤᲝᲢᲝᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ · ᲤᲝᲢᲝᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

ᲠᲐᲡ ᲓᲐᲐᲠᲥᲛᲔᲕᲓᲘᲗ?

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲒᲕᲐᲠᲘ ____________________

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ (ᲠᲐᲘᲝᲜᲘ) ____________________



ვლადიმირ პუტინი, ბილ კლინტონი

**Ე.Შ.** — რაფერ ხართ, ძამა, მამულეთში?
**Ზ.Ჟ.** — თქვენ რომ გაგიხარდებათ, ისე!
**Ე.Შ.** — რავა, დაწყდით სუყველა?

***მამუკა ღვალაძე, ბაღდათი***

**Ე.Შ.** — შვილო ზურაბ, ამ ბოლო დროს არასასიამოვნო ჭორები გავრცელდა შენზე, მაგრამ მთავარია — მე არ მჯერა.

***ალექსანდრე დიდებაშვილი, მცხეთა***

**Ე.Შ.** — ზურაბ, შვილო, როგორც გავიგე, პენსიაში გასვლა გადაგიწყვეტია, მითხარი, არ მოგერიდოს, შენ ის დაიმსახურე.

***ვარა ოგბაიძე, სალაჯური***

**Ე.Შ.** — დამიჯერე, რომ ვერ შეძლებს
მელიობას კურდღელიო.
ისე რაღა დაგიმალო,
შენ მის ადგილს სულ-ელიო.

***ტრისტანი, თბილისი***

**Ე.Შ.** — უნდა დაუბრუნდე შენს პარტიას, შენს საქმეს, ჩემო ზურაბ. ახალციხეში გნიშნავ ტყის მცველად, ჟინვალში კიდევ ტბის მცველად!

***შალვა და ლაშა კუპატაძეები, თბილისი***

**Ზ.Ჟ.** (ფიქრობს):
— ხუდონჰესი არა, ბაბუ?!
იცინე, იცინე, ოთხი წელიც.

***კონსტანტინე, თბილისი***

**Ზ.Ჟ.** — ო, ბატო ედუარდ, ბატო ედუარდ, როგორ ბრძანდებით.
**Ე.Შ.** — ვინ არის ბატი, შენი...

***ლევანი გ. თბილისი***



ედუარდ შევარდნაძე, ზურაბ ჟვანია

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 202 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**Ე.Შ.** — კი „გაიზარდე“, ჩემო ზურა, მაგრამ მე მაინც ნუ გამეჯიბრები, ორი ამდენი დაბლა ვარ, იცოდე!
**Ზ.Ჟ.** — ღმერთმა დამიფაროს, ბატონო პრეზიდენტო! (ფიქრობს), ნეტავ მაღლა არ იყო და დაბლა გინდა ხუთი მაგდენი ყოფილხარ.

***ქულა ბაღიაანები, თიანეთი***

ქართული ფანტაზია
**Ე.Შ.** — ზურაბ! ა, შენ ჩემი სკამი და ღმერთმა შეგარგოს. მე კი წავალ აწი პენსიაში შვილიშვილების მოსამწყემსად.
**Ზ.Ჟ.** — ახ, არა! არა! ჩემზე ღირსეულებიც არიან.

***თამაზ დუნდუა, თბილისი***

**Ე.Შ.** — ზურიკო! გამიგონია, გედები მხოლოდ ერთხელ მღერიანო. მგონი, ცეკვავენ კიდეც! ხომ არ მიჩვენებდი, როგორ ცეკვავენ გედები?

***მარი, თბილისი***

**Ე.Შ.** — პარლამენტში რომ მოგიყვანე, სულ გამწვანებულ-გალურჯებული იყავი. ახლა კი ხარ ჩვენებური კუპატივით. ასე რომ, დაუჯერე „ბაბუს“. არც დედის წინ მოხტუნავე კვიცის ანდაზა დაივიწყო.

***პაატა ნაზღაიძე, რუსთავი***

**Ე.Შ.** — მოდი აქ, ზურაბ, მოდი. ტანგო იცი, ბიჭო?
**Ზ.Ჟ.** — არა, ბატონო ედუარდ!
**Ე.Შ.** — არა გრცხვენია მერე? რა უნდა მაგას. ხელებს გასწევ ასე, მერე მარჯვენა ფეხი, რამ-პამ-პამ, მარცხენა ფეხი, რამ-პამ-პამ.

***გიორგი დბ., თბილისი***

**Ზ.Ჟ.** — ბატონო ედუარდ, ხეზე ასვლას როდის მასწავლი?
**Ე.Შ.** — ჩემო ზურიკო, მიწაზე დადიხართ და კისერს იტეხთ. ხიდან რომ ჩამოვარდე, პარლამენტის ახალი თავმჯდომარე გამიხდება საძებნი!

***სვანი, თბილისი***

**Ე.Შ.** — ზურაბ, შვილო, ინგრევა მოქკავშირი!
**Ზ.Ჟ.** — ინგრევა, ბატოო ედუარდ, ინგრევა!
**Ე.Შ.** — მეტი საშველი არ არის, შენ უნდა ჩაგატანო შიგ.

***გიული, სოხუმელი***

**Ე.Შ.** — ზურაბ, ნახე, რა სავარძელს გიტოვებ?!
**Ზ.Ჟ.** — ბატო ედუარდ, კი არ მიტოვებთ, მრჩება.

***თ. ხუციშვილი, თბილისი***

## ფოტო განწყობისათვის



ნეტარნი



მამა — შვილს:
— მიტო, ბიჭო, კიდევ ესროლე ქვა მიხოსა...
— მეტ აღარ ვიზამ, მამიიი.
— მეტი აღარც ჭირდება, შე მუტრუკო, შენა.

**მაგნიტური დღეები**
**6/XII $22^{00}$–$24^{00}$ სთ-მდე**
**9/XII $15^{00}$–$17^{00}$ სთ-მდე**
**4/XII პირველი მეოთხედი**

## წინა სკანვორდის პასუხები





## ქართული წამალი „სალხინო“ ერთადერთი პრეპარატია, რომელსაც გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ექვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.



„კვირის პალიტრის“ **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე“** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).

**„კვირის პალიტრაში“** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში.* ***ყუთები ი[...] ება ***ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ*** ხუთშაბათობით 13 სთ-დან.*** *მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტრო[...] ლიტე[...] ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის [...] ესასვ[...] ლთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის [...] ლოში[...] ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პ[...] რიწი[...] 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით [...] სშენე[...] ისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის [...] მზ. [...] კომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედან[...]; ნაძ[...] დევში კ.თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან“ და სტა[...] იონთ[...] დიდუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. მილიციასთან, უნივერ[...] ჩის [...] ებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავ[...] ვაძის [...] 6 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. [...] ვ.ფშ[...] ღას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩ[...] ებასთ[...] ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.*

***ქალაქებში და [...] აიონ[...] ი:*** *ᲛᲪᲮᲔᲗᲐ, ᲙᲐᲡᲞᲘ, ᲒᲝᲠᲘ, ᲥᲐᲠᲔᲚᲘ, ᲮᲐᲨᲣᲠᲘ; ᲡᲣᲠᲐᲛᲘ; ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ; ᲥᲣ[...] ᲘᲡᲘ[...] ᲭᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ, ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ, ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ, ᲮᲝᲜᲘ; ᲐᲑᲐᲨᲐ, ᲡᲔᲜᲐᲙᲘ, ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ, ᲤᲝᲗᲘ[...] ᲥᲝ[...] ᲚᲔᲗᲘ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘ; ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ, ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ; ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ, ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ, ᲬᲜᲝᲠᲘ, ᲡᲘ[...] ᲜᲐᲦ[...] ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ, ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘ, ᲗᲔᲚᲐᲕᲘ; ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ, ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ;* ***არსებული „სიტყვა [...] ა ს[...] მის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ᲐᲮᲛᲔᲢᲐᲨᲘ ყუთებ[...] დაი[...] ება ყოველი თვის I კვირის ხუთშაბათს 10 სთ.-დან. ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲨᲘ [...] თვის [...] კვირის ხუთშაბათს. ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲨᲘ თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან. ᲥᲘᲜ[...] ᲚᲡ[...] და ᲓᲣᲨᲔᲗᲨᲘ კი თვის IV კვირის ხუთშაბათს.***

**ყურადღ[...] ა: [...] ვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპ[...] ნდ[...] ტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კა[...] ონით.©**

**(49) უ[...] ა[...] ო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტ[...] ქსტი ______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

სიტყვა და საქმე

***გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება***

№49 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 7 დეკემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.



შეადგინა რამაზ ალანიამ

სელინ დიონის კოლექციის საგანი

## ჟურნალი სასიამოვნო დასვენებისთვის



## დენი დე ვიტო შვილებმა „შეარცხვინეს“

დენი დე ვიტომ თავის გოგონებს სკოლაში მიაკითხა, მაგრამ ბავშვები მანქანაში არ ჩასხდნენ და გაიქცნენ. სანამ გაკვირვებული მსახიობი მიზეზს ეძებდა, შვილებმა მობილური ტელეფონით დაურეკეს, — მამიკო, გემუდარებით, გამორთე მაგნიტოფონი. მეგობრები დაგვცინებენ, რომ გაიგონონ მაგ სულელური ვალსების ჰანგები.



მსახიობმა გაითვალისწინა შენიშვნა, წრე დაარტყა სკოლას და ჭიშკარს „მეტალიკის“ გამამხნევებელი ჰანგებით მიუახლოვდა.


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

[R] ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი. სარედაქციო კოლეგია.**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა:** 98-74-44

palitra@access.sanet.ge
palitra@geo.net.ge

**სარეგისტრაციო ნომერი 1518**
**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.